

პ ი ღ ა ნ
ქ ე უ ი ა ე

ნ ე რ ი ლ ე შ ი

სახელმწიფო გამოცემლობა

„საბჭოთა საქართველო“

თბილისი

1963

9C (41)

301 (47 — 922) (092 აბაშიძე, პ.) + 9 (47.922.3)

ა 135.

ჰაიდარ აბაშიძის სახელი კარგადაა ცნობილი თანამედროვე ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში ჩახედული ყოველი პირისათვის.

ამ ჩემი, უპრეტენზიო და უანგარო პიროვნების ღვაწლი კარგად იციან უფროსი თაობის ადამიანებმა. ისინი თავის დროზე გატაცებით კითხულობდნენ მაშინ სრულიად ახალგაზრდა პუბლიცისტის მოკლე, მაგრამ საღი პატრიოტული მრწამსით განათებულ სტატიებსა თუ კორესპონდენციებს.

ჰაიდარ აბაშიძე არის ღვიძლი შვილი საქართველოს შესანიშნავი კუთხის — აჭარისა, რომელსაც ისტორიამ წარსულში მრავალი უბედურება დაატყდა თავს. რუსი ხალხის ძმური დახმარებით უცხოელ დამპყრობთა ბატონობისაგან დახსნილი აჭარის შვილი ჰაიდარ აბაშიძე ზრუნავდა არა მარტო ქართული მუსლიმანური პროვინციების, არამედ მთელი ქართველი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის.

მოვლენები, რომლებსაც თავის დროზე ასეთი ვაჟკაცური შემართებით ეხმარებოდა ჰაიდარ აბაშიძე, ისტორიის კუთვნილებაა გახდა, მაგრამ მის წერილებს მაინც შერჩა გარდახდილ ბრძოლათა სურნელი და, რაც მთავარია, მოქალაქეობრივი სამსახურის მაგალითის ძალა. ამდენად, იგი ინტერესმოკლებული არ იქნება ნათელი მომავლის მშენებელი ახალგაზრდა თაობისათვის.

ჰაიდარ აბაშიძის წერილების წინამდებარე მეორე გამოცემა შევსებულია ახალი მასალებით და უფრო სრულ წარმოდგენას იძლევა ამ პატრიოტი მოქალაქის ღვაწლზე ხალხისა და სამშობლოს წინაშე.



წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი წერილები მკზნე-
ბარე ქართველი პატრიოტის — ჰაიდარ აბაშიძის კალამს
ეკუთვნის. ყველა წერილში, დიდში თუ პატარაში, ნათლად
გამოსჭვივის საქართველოს განუყოფელი კუთხის — აჭარის
შემომტკიცებისა და აღორძინებისათვის უსაზღვრო ზრუნვა,
გაბედულად გაისმის უკულმართი წარსულის ნაიარევის მო-
შუშებისათვის ბრძოლისაკენ მოწოდების ძლიერი ხმა.

ჰაიდარ აბაშიძეს იმ დროს მოუხდა ასპარეზზე გამოსვლა,
როცა სამხრეთ საქართველოში და, კერძოდ, აჭარაში უაღ-
რესად გამწვავებული ფორმით მიმდინარეობდა ეროვნული
და რელიგიური ბრძოლა, ერთი მხრივ, ბეგებისა და ხოჯა-
მოლების, ხოლო მეორე მხრივ, პროგრესული იდეების ადა-
მიანთა შორის. განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა
პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როცა პანისლამისტები და
მეფის რეაქციული მოხელეები ამ პროგრესულ ადამიანთა
წინააღმდეგ ბრძოლისათვის ერთად დაირაზმნენ. ომმა უკი-
დურესად გაამძაფრა მათი დაპირისპირება. ბეგებმა და ხო-
ჯებმა ისარგებლეს შექმნილი ვითარებით, მეფის ხელისუფ-
ლებას გვერდში ამოუდგნენ და საერთო ძალით იერიში მი-
იტანეს იმათ წინააღმდეგ, ვინც ახალ, პროგრესულ აზრს
ნერგავდა. მეტადრე იმათ დევნიდნენ, ვინც ისლამის ფანა-
ტიზმს უარყოფდა და საქართველოს ორიენტაციის მომხრე
იყო. ასეთი ვითარება იყო მეფის ხელისუფლების დამხოვამ-
დე, რევოლუციის შემდეგ კი აჭარის რეაქციონერებსა და
ფანატიკოსებს გამოეჭომაგნენ აზერბაიჯანელი მუსავატელები.
ამრიგად, რეაქციონერთა ბრძოლის ტაქტიკა შეიცვალა დრო-
ების მიხედვით, სტრატეგიული ხაზი კი იგივე დარჩა — აჭა-
რის მკვიდრთაგან ვინც თავს ქართველად აღიარებდა, მას
მოლაღატედ და სჯულის გამყიდველად თვლიდნენ. ფანატი-

კოსთა ასეთი გეზი შორეული წარსულის ნაანდერძევი იყო. ამ ფრონტზე ბრძოლა მიმდინარეობდა ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის დროიდან. მომხდურნი მუდამ ცდილობდნენ სასტიკი რეპრესიებით ჩაეხშოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ისტორიულად ცნობილია, რომ ოსმალთა ბატონობის დროს აჭარის მოსახლეობის ბრძოლა ეროვნული თვითმყოფობისათვის არასოდეს არ შეწყვეტილა. ამ ბრძოლას ბევრი პატრიოტი შეეწირა. ისინი მტკიცედ იცავდნენ მშობლიურ მიწა-წყალს, თავისი ქვეყნის ღირსებას, დედა ენას, კულტურასა და ეროვნულ თვითმყოფობას. საქართველოს გმირული ისტორიის ფურცლებზე წითელი ასოებით აღბეჭდილია მათი უკუდავი სახელები. სამშობლოს ღირსეული შვილები სელიმ ხიშიაშვილი, ემრულა ბოლქვაძე, ახმედ კიკნაძე და სხვები თავიანთი შეუპოვარი ბრძოლით თაობებს აღაფრთოვანებდნენ. წინაპართა მებრძოლური ტრადიცია შთამაგონებელი გახდა ახალთაობისათვის, რომლის ღირსეული წარმომადგენელია ჰაიდარ აბაშიძე. ჰ. აბაშიძის პატრიოტულ მისწრაფებებს რომ წინაპართა გმირული წარსული ედო საფუძვლად, ეს თითქმის ყველა მისი წერილიდან ჩანს. მას აწუხებდა სამშობლოს მიერ გადატანილი მრავალი უბედურება, აღმოსავლეთელი დამპყრობლების, ბერძენი კოლონიზატორების, რომაელი ინკვიზიტორების, არაბი მომხდურების, მონგოლთა ურდოების, აგრესორი ოსმალებისა და სხვა ოკუპანტების ურიცხვი შემოსევით გამოწვეული. ამავე დროს აღაფრთოვანებდა ქართველ მაჰაცთა შეუდრეკელი წინააღმდეგობა საქულველი მტრისადმი და თვითონაც არჩია სახელოვან წინაპართა გზით სიარული.

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება, თუ ჰაიდარ აბაშიძის მოღვაწეობის პარალელურად გაკვრით მანც წარმოვუდგენთ მკითხველს აჭარის იმ მაჰაც შვილთა პატრიოტულ ღვაწლს, რომლებიც ჯერ კიდევ აღრე თავგანწირვით იბრძოდნენ სამშობლო კუთხის ხსნისა და კეთილდღეობისათვის. მაშინ ნათელი გახდება, როგორი ზეგავლენის მოხდენა შეეძლო მათ გმირულ მაგალითს შემდგომი თაობების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაზე.

მართლაცდა, ვის არ შემატებს ძალას სელიმ ხიმშიაშვილის მაგალითი. უშიშარმა სელიმმა ხომ თავის მოკვეთის წინ ამაყად მოიხსენია თავისი ქართველობა და ჯალათებს პირში მიახალა: „გურჯისტანი ოსმალს არ შერჩება!“

განა შეიძლება ქართველმა კაცმა დაივიწყოს შერიფ ხიმშიაშვილის ღვაწლი აჭარის წინაშე, მისი თავგამოდებული ზრუნვა დედა-სამშობლო საქართველოსთან აჭარის შეერთებისათვის? შერიფმა ჯერ კიდევ ადრე, ოსმალთა ბატონობის დროს, დაიწყო ბრძოლა ამ დიდი მიზნის განსახორციელებლად. მის მხარდამხარ თავგანწირვით იბრძოდნენ ხულოელი გაბაიძე და ბერიძე, ქედელი ლორთქიფანიძე და მიქელაძე, ქობულეთელი გულო-აღა კაიკაციშვილი და სხვები.

დიდი ბრძოლები გადაიტანა შერიფმა და კიდევ მოესწრო იმას, რომ მისი კეთილშობილური მიზანი განხორციელდა და აჭარა კვლავ დაუბრუნდა დედა-სამშობლოს. იგი უსაზღვრო ბედნიერად თვლიდა თავს, რომ პირადად მოესწრო ამ სასიხარულო დღეს და გატაცებით ოცნებობდა ახალი აჭარის აყვავებაზე. ერთ-ერთ წერილში თავის მიზანსწრაფვას იგი ასე გადმოგვცემს: „...ღრმად მიძინებულ სულსა და გულს დაიშვებდნენ ჩვენი ღირს მემკვიდრეობით, რომლით წინ წავა ქვეყნის მშენებლობა, სამოქალაქო ვაჭრობა, ხელოსნობა, სწავლამეცნიერება, ზნე-კეთილობით, ერთი ათასად და ათი ათასად წარიმართება მიწის შემუშავება, ნერგვა, წინდვა, მოყვან-მარგვლა; ყოველი საზრდო გაიფუტება, რომ ყოველი კაცი ბედნიერების გზაკვალს დაადგეს სიმართლით და კაცთმოყვარეობით“.

შერიფ ხიმშიაშვილის თაობას ეკუთვნოდა ქობულეთელი გულო-აღა კაიკაციშვილი. იგი შერიფთან ერთად პრაქტიკულად იბრძოდა იმისათვის, რომ რუსების ჯარის დახმარებით დედა-სამშობლოსათვის შემოეერთებინა მთელი სამხრეთი საქართველო. ჯერ კიდევ ადრე გ. კაიკაციშვილი ქართული გაზეთების კორესპონდენტი ყოფილა. ხშირად ათავებდა წერილებს „ღრობასა“ და „ევრიაში“. მის წერილებში ასახულია ქართველ მაჰმადიანთა აუტანელი მდგომარეობა. გასული საუკუნის 70-იან წლებში სამხრეთ საქართველოში და, კერძოდ, ქობულეთში ხშირად ხდებოდა აჯანყებები. გ. კაიკაციშვილის წერი-

ლები სწორედ ხალხის ამ გამოსვლებს შეეხებოდა. იგი ხშირად დადიოდა საქრისტიანო საქართველოში ქობულეთის წარმომადგენლად. ზოგჯერ ოსმალთა მთავრობაც ოფიციალურად თავის წარმომადგენლადაც გზავნიდა მას ოზურგეთში და სხვ. სარგებლობდა რა ამ მდგომარეობით, გ. კაიკაციშვილი სერიოზულ მუშაობას ეწეოდა ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების დასახლოებლად. მანვე მოსახლეობაში დიდი მუშაობა გასწია მუჰაჯირობის წინააღმდეგ. მისი გულწრფელი და საქმიანი რჩევა-დარიგების შედეგად მრავალი ოჯახი დაუბრუნდა თავის კერას.

გულო-ალა კაიკაციშვილი სწავლა-განათლების დიდი მოტრფიალე იყო. იმ დროს არც ქობულეთში, არც ბათუმში ქართული სკოლა არ არსებობდა. გულო-ალამ უფროსი ვაჟიშვილი სწავლის მისაღებად სოხუმში ანთიმოზ ჯუღელს მიაბარა, შემდეგ კი იქიდან თბილისში გადაიყვანა თავისი მეზობლის—ნიჟარაძის შვილთან ერთად. როგორც აბ. წულაძე წერს, გულო-ალას უარი უთქვამს ბათუმის გუბერნატორისათვის, რომელიც ურჩევდა სამხედრო სასწავლებელში მიებარებინა შვილი. „სამაგიეროდ მან დაუჭერა პეტრე უმიკაშვილს, ალექსანდრე ყაზბეგს და თავად კოწია მუხრან-ბატონს და ორივე ახალგაზრდა მისცა გიმნაზიაში. ქართული გიმნაზიიდან გადავიდნენ ოდესის უნივერსიტეტში. გულო-ალას შვილი დიდი ნიჭიერი იყო. მისი განზრახვა იყო ექიმი გამოსულიყო და ღარიბ მოძვე ქართველ მუსლიმანებისათვის სასარგებლო კაცი გამხდარიყო, მაგრამ არ დასცალდა და უნივერსიტეტის დამთავრებამდე გარდაიცვალა რუსეთში“¹.

თავსდატეხილი ამ უბედურების მიუხედავად, გ. კაიკაციშვილი კვლავ სკოლის კეთილდღეობაზე ფიქრობდა. „გულო-ალამ შვილის ხსოვნის აღსანიშნავად ქობულეთის სკოლას შესწირა ორქვევანახევარი მიწა, ღირებული რამოდენიმე ათას მანეთად... სრული იმედია, რომ მოხუცი გულო-ალა მოესწრე-

¹ აბ. წულაძე, „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს“, თბილისი, 1915 წ. გვ. 22.

ბა ჩვენს სრულ ერთობას და ავით მისი დაკოდლი გული გამთელდება¹.

გულო-ალა კაიკაციშვილი იმდენად დაინტერესებული ყოფილა კულტურის საქმით, რომ 1913 წელს ლეონიდე ეპისკოპოსის მიერ შეგროვილი და შემოწირული წიგნების ფონდით ქობულეთში გახსნილი წიგნსაცავის გამგეობა პირადად უქისრია².

გულო-ალა კაიკაციშვილი დაახლოებული ყოფილა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან და ძმურად იზიარებდა მათ სიხარულსა თუ უბედურებას. აკაკი წერეთელს დასაფლავებაზე იგი ამაღელვებელი სიტყვით გამოემშვიდობა მგოსნის ცხედარს:

„უჩვეულო დღეა, მთელი საქართველო გარს ეხვევა შენს კუბოს, თითქოს რაღაცას გეხვეწებიახო... მეც ამათ რიცხვში ურევევარ, მოხუცებული, უძლური ქართველი მუსლიმანი, გამოგზავნილი სანხრეთის მხრიდან, იმ მხრიდან, რომელიც სამას წელზე მეტია მოიტაცა მტერმა და მოაშორა საქართველოს. გამომგზავნეს და დაჰვალეს, რომ მათ მაგივრადაც თაყვანი ვსცე შენს დიდებულ ცხედარს — და თუ მოვახერხე, ორიოდე სიტყვა გითხრა. საქართველომ მუდამ მტრის ბრძოლაში გაატარა თავისი სიცოცხლე. თუ სპარსი, თუ ისპალანი და სხვა ერებიც ღვრიდნენ მათ სისხლს და აოხრებდნენ ქართველთა სადიდებელ ნაშთებს და აჰგვარად საქართველოს ისტორია ქართველი ერის წამების ისტორიაც არის. ბოლოს კი ოსმალეთის (ომის) ღროს მოხდა განგება და კვლავ შემოგვიერთდით ჩვენ უფროს მოძმე ქართველებს და ცსუნთქავთ ქართველ ერთან ერთად“³.

შერიფ ხიმშიაშვილი და გულო-ალა კაიკაციშვილი პრესის თვალსაჩინო მოღვაწეებიც იყვნენ, ხშირად აქვეყნებდნენ მასალებს აჭარის საჭირბოროტო საკითხებზე როგორც ადგილობრივ, ისე თბილისისა ეურნალ-გაზეთებში. მათი თანამოკალმე,

¹ ა. ვ. წულაძე, „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს“, გვ. 22 — 23.

² ეურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., № 26.

³ ა. ვ. წულაძე, „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს“, თბილისი, 1915 წ., გვ. 22 — 23.

ქედის რაიონის მცხოვრები აბდულ მიქელაძე სისტემატურად წერდა წერილებს იმპერიალისტური ომის შედეგად გაჩანაგებული აჭარლების უბედურებაზე, მთელი ქართველი ხალხის ძმურ დახმარებაზე. „აჭარლებს მუდამ დიდი იმედი ჰქონდათ მისი ძმა ქრისტიანი ქართველების, სწამდათ ისინი გაჭირვების დროს... ძმურად ხელს გაუწვდიდნენ ობოლ აჭარლებს... ჩვენი მდგომარეობა უკიდურესი იყო, მშვიერი ვიყავით, მაგრამ თქვენმა გამოგზავნილმა სიმინდმა მოგვისწრო და სული ჩავგიპურეთ“¹.

იგი დიდად მადლიერი იყო და სათანადოდაც აფასებდა თავისი ძმების — ქრისტიანი ქართველების დახმარებას ოპით დარბეული აჭარისადმი. აი, რას ვკითხულობთ მის ერთ-ერთ წერილში: „ჭირმა დაგვარწმუნა აჭარლები, რომ ჩვენ ქრისტიან ძმებს უზომოდ ვუყვარვართ. ვაზეთით ვგებულობთ, რომ ყველა კუთხეში მყოფი ჩვენი ძმები შემოწირულებას აგროვებენ, შეძლებისდაგვარად გვეწევიან თვით დამშეული სოფლები, ბრძოლის ველზე მყოფი ჯარისკაცები, გვეწევა დიდი და პატარა. ვიცით, რომ ამ შემწეობით ჩვენი დახოცილი მკვდრები არ გაცოცხლდებიან, ჩვენი ნაპუსის შეშლალავეები არ დაისჯება, დამწვარ-გაპარტახებული სახლ-კარ-ეზო-მიდამო არ აშენდება, ნალიები სიმინდით არ გაივსება, მაგრამ თითოეული კაპიკი ქრისტიან ქართველების მიერ ჩვენთვის გადაღებული, მილიონია, თითოეული მათი თანაგრძნობის სიტყვა ჩვენი მალამოა. გვწამს, რომ ეს თანაგრძნობა უფრო მეტს იმატებს, მეტად შეგვაკავშირებს და ვისაც ამდენხანს მიაჩნდა, რომ ჩვენ, რაკი სხვადასხვა სჯული გვაქვს, არ შეგვიძლია ძმები და მეგობრები ვიყოთ, დარწმუნდება, რომ ჩვენ ერთი ვართ... ქართული წერა-კითხვის მკოდნე ჩვენში არავენ იყო და თუ იყო, იგიც ზაქარია ჭიჭინაძის, პეტრე უშიკაშვილის და თავადი ილია ჭავჭავაძის მეოხებით. ახლა ქართულის წამკითხავი თითქმის ყველა სოფელშია და დიდი სამადლო საქმე იქნება, თუ ნახმარ გაზეთებს და წიგნებს გამოგვიგზავნით“².

¹ გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ., № 62.

² იქვე, № 68:

აბდულ შიქელაძე დიდად დაინტერესებული იყო აჭარაში ქართული სკოლების გახსნით და მათში ახალგაზრდობის მიზიდვით. იგი კალმით და საქმით ებრძოდა ყველა იმას, ვინც აჭარაში ქართული სკოლის გახსნის წინააღმდეგი იყო. „აბდულ-ეფენდის დიდი ხანია კარგად აქვს შეგნებული, რომ აჭარლების სამშობლო ენა ქართულია. მან კარგად იცის, რომ სკოლაში ბავშვებს ქართული უნდა ასწავლონ. როცა აბდულ-ეფენდიმ დაინახა, რომ ზოგიერთი მასწავლებელი სკოლაში ქართულ წერა-კითხვას არ ასწავლიდა, ეწყინა და ეს ამბავი დასწერა „ბათუმის გაზეთში“. ამისათვის 60 წლის მოხუცი ციხეში ჩასვეს“¹.

ამ სტრიქონებიდან ნათლად ჩანს, თუ სკოლებსა და მედრესეებში როგორ დევნიდნენ ქართულ ენას. აბდულ შიქელაძეს გული შესტკიოდა ამ საქმისათვის, ხმარობდა საჭირო ზომებს, მაგრამ რას გააწყობდა, როცა ხელისუფლება ისლამით მოწამლულ ფანატიკოსთა მხარეზე იყო.

აბდულ შიქელაძე მეტად ნიჭიერი კაცი ყოფილა. მას გვიან ასაკში შეუსწავლია წერა-კითხვა ზაქარია ჭიჭინაძესთან და შემდეგ იმდენად გათვითნობიერებულა, რომ გაზეთ „ივერის“ კორესპონდენტი გამხდარა.

ა. შიქელაძეს უყვარდა თავისი კუთხის მკვიდრნი და ყველაფერს აკეთებდა მათი კულტურული დაწინაურებისათვის. უმაღურმა ხელისუფლებამ აბუჩად აიგდო მისი ღვაწლი და სიბერის დღენი ციხეში გაატარებინა. მაგრამ მადლიერი აჭარა ყოველთვის ტკბილად მოიხსენიებს მის სახელს, არ დაკარგავს, სათუთად შეინახავს მის მიერ ვადარჩენილ და ჩვენამდე მოღწეულ „აჭარულ კარაბაღინს“.

შემდგომი თაობის იმ ქართველ მუსლიმანთაგან, რომლებმაც სათუთად შემოინახეს თავისი ერის სიყვარული და აჭარის კულტურული აღორძინებისათვის თავსაც არ ზოგავდნენ, თვალსაჩინო ღვაწლით გამოირჩეოდა მემედ აბაშიძე.

ჩემს წინაშე, — ამბობდა იგი სიცოცხლის ბოლო წლებში, —

¹ ა. შ. წ უ ლ ა ძ ე, „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს“. 1915 წ., გვ. 27 — 28.

როგორც ქართველი ინტელიგენტის წინაშე, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ისმებოდა პოლიტიკური, ეროვნული და სოლიდარული ხასიათის საკითხიო. „სალი გონება და ჩვენი ხალხის ისტორიული წარსული ყოველთვის მიკარნახებდა, რომ სამუსლიმანო საქართველო დარჩენილიყო თავის დედა — საქრისტიანო საქართველოსთან“¹.

მეკედ აბაშიძე აქტიურად მონაწილეობდა აჭარის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქართველ მაჰმადიანთაგან იგი პირველი ჩაება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ გამოსვლებში, თავგამოდებით იბრძოდა დედა-სამშობლოსთან აჭარის შემოპტიკებისათვის, მშრომელი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. ამ ბრძოლაში მან სასტიკი რეპრესიები განიცადა მეფის რუსეთის მთავრობის მხრიდანაც და ოსმალეთის მთავრობის მხრიდანაც, მაგრამ ფარ-ხმალი არასოდეს არ დაუყრია, შეუპოვრად ადგა ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ გზას — საქართველოს მთლიანობისათვის, ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის ბრძოლის გზას.

„განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გაიარა ჩემს თვალწინ, როგორც კინემატოგრაფიის ლენტმა, — წერდა მ. აბაშიძე ავტობიოგრაფიაში. — ბეგობის ტიტულს ფორმალურად ამოფარებულს, არაერთხელ და ორხელ მიმიღია მხურვალე მონაწილეობა ამ მოძრაობაში, რაც იციან მრავალმა თავდადებულმა და გულწრფელმა რევოლუციონერებმა, რომლებიც დღესაც ცოცხლები არიან.

როგორც აბდულ-ჰამიდის და „მლადოთურქების“ რეჟიმმა, აგრეთვე მეფის რუსეთმა სათანადოდ შეაფასეს ჩემი მოღვაწეობა და თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: დევნა-დატუსაღება, ციხე-კატორღა და სიკვდილის განაჩენი ჩემთვის არ მოუქლიათ, რის შედეგად გავნადგურდი ნივთიერად... დავკარგე ორი ვაჟიშვილი. მაგრამ ყოველივეს შუეუარიგდი, ყოველივე დავთმე ჩვენი ხალხის უკეთესი მერმისის მოპლოდინემ. ღრმად მწამდა, რომ შორს არ იყო ის ღრო, როდესაც თავისუფლების ბრწყინ-

¹ ბათუმის რევ. მუზეუმი, ფონდი № 5, საქმე 2/3, გვ. 1.

ვალე განთიადიც ამოატანდა, ხალხთა განთავისუფლების მზევ ამობრწყინდებოდა და ჩემი უძვირფასესი იდეალი, რომელსაც მე სიყრმიდანვე ვეძსახურებოდი, ფრთებს შვისხამდა და ღი-
ლი ხნის ოცნება საქმედ იქცეოდა“¹.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი. მოღვაწეობის შემდეგ, 1930 წელს მემედმა ითხოვა სამსახურიდან განთავისუფლება (იგი ამ დროს მაზინჯაურის საბჭოთა მეურნეობის ღირექტორი იყო). მთავრობამ დააკმაყოფილა მისი განცხადება და დაუნიშნა პერსონალური პენსია.

აჭარელთა მწარე წარსულით უკმაყოფილო, ხალხის სიკეთი-
სათვის მუდამ მშფოთვარე მემედმა მხოლოდ საბჭოთა ხელა-
სუფლების გამარჯვების შემდეგ იგრძნო სულიერი კმაყოფი-
ლება. ავტობიოგრაფიაში, დასასრულ, იგი წერდა:

„მშრომელი ხალხის საქმის მოყვარული იმთავითვე ვიყავი და მით უმეტეს ახლა ამ ხელისუფლებისადმი სიჰპათიითა და პატივისცემის გრძნობით ვარ გამსჭვალული“.

მემედ აბაშიძის თანამედროვეთაგან აღმინისტრაციული და საზოგადოებრივი საქმიანობით ცნობილი იყო რეგებ დედე-
აღას ძე უჩუარაძე. იგი აჭარაში პირველი კაცი იყო, რომელსაც უშალღესი განათლება ჰქონდა მიღებული. ოღესის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რეგებმა დაიწყო მუშა-
ობა ქალაქის თვითმმართველობაში ქალაქის თავის მოადგი-
ლედ. მეფის თვითმპყრობელობის დროსაც იგი დიდ დახმარებას უწევდა თანამეჰამულებს. „რეგებ-ეფენდიც დიდად ცდილობს ქართველმა მუსლიმანებმა დანარჩენ ქართველ ქრისტიანებთან ერთობა და ამზანაგობა დაიცვან. აჭარლების ახლანდელი გასა-
ჭირის შემსუბუქებას რეგები დიდად უწყობს ხელს და იმეღიზ აწიც ეცდება კეთილი საქმის გაკეთებას“, — წერდა აბ. წუ-
ლაძე².

რეგები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობა-
ში. ამას ადასტურებს ისიც, რომ აჭარაში საბჭოთა ხელისუფ-

1 ბათუმის რევ. მუზეუმი, ფონდი № 5, საქმე 2/3, გვ. 2.

2 აბ. წუ ლ ა ძ ე, „მშური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს“, 1915 წ., გვ. 24.

ლების გამარჯვებისას იგი აჭარის პირველი რევოლუციური კომიტეტის წევრად აირჩიეს.

ქართული სკოლების გახსნის საქმეს დიდ დახმარებას უწევდა აჭარისწყლელი ყედემ-ალა ზაქარაძე. მას ღრმად სწამდა თავისი ქართველობა და, როგორც აბ. წულაძე გადმოგვცემს, იმ აჭარელს, რომელსაც თავი ქართველად არ მიაჩნდა, „ბეჩს“ უწოდებდა.

„აჭარისწყალზე სასოფლო სკოლის გახსნა მთლიანად მისი თაოსნობით იყო. მანვე ითავა და სოფელს მოათხოვნინა, რომ ამ სკოლაში ქართული ენის სწავლება ისევე სავალდებულო ყოფილიყო, როგორც რუსული. ყედემ-ალას წყალობით მთელ აჭარაში ეს ერთადერთი სკოლაა, სადაც მასწავლებელი ვალდებულა „ბაღნებს“ ქართული ასწავლოს“, — წერდა ყედემ-ალა ზაქარაძის შესახებ აბ. წულაძე¹.

ჯერ კიდევ 1907 წელს ზ. ჭიჭინაძე თავის წიგნში იხსენიებდა ღურსუნ ქიქავას, რომელსაც ასეთი შინაარსის წერილი მიუწერია მისთვის: „თქვენი პატივცემული წერილი მივიღე, ძალიან მესიამოვნა, მაგრამ როგორც თქვენი წერილის შინაარსი გავიგე და კიდევ სხვა თქვენი გამოცემული წიგნები წავიკითხე, დიდი ღვაწლი დაგიდვიათ ქართველ მაჰმადიანებზე. ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს ვერ დაგვიფასებია თქვენი შრომა, მხოლოდ იყავით დარწმუნებულნი, რომ თქვენი დიდებული შრომა ჩვენზე ამაოდ არ ჩაივლის. ჩვენ, ერთ ჯგუფს გვჯერა, რომ ჩვენი მოძმე ქართველები ყოველ საშუალებას აღმოგვიჩენენ ყველაფერში და მათი აღმოჩენილი საშუალება იქნება ჩვენთვის დიდი სასარგებლო და დიდი იმედიც გვაქვს თქვენი... ძალიან დიდად დამავეალებთ, თუ „ქვათა ღაღადს“ ი. ჭავჭავაძისას გამოგვიგზავნიდით. თქვენი კეთილის მსურველი ღურსუნი“².

ასეთი მიწერ-მოწერა აჭარის მოსახლეობის ერთ ნაწილსა და ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის ხშირი იყო. იგი მათ

¹ აბ. წულაძე. „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს“, გვ. 25 — 26.

² ზ. ჭიჭინაძე. „მუსლიმანი ქართველები და მათი სოფლები საქართველოში“, 1913 წ., გვ. 318.

ძმურ თანამშრომლობასა და ურთიერთ დაახლოებაზე მეტყველებდა.

სამწუხაროდ, აჭარის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მის შოღვაწე პირთა საქმიანობის შესახებ წერილობითი დოკუმენტების დიდი ნაწილი დაიკარგა. ამიტომ ჰაიდარ აბაშიძის წერილების გამოქვეყნებას, როგორც პირველ წყაროს ამ დარგში, უთუოდ დიდი მნიშვნელობა ექნება. წინამდებარე წიგნში ქვეყნდება 1913 წლიდან ჰაიდარ აბაშიძის მიერ სხვადასხვა გაზეთებსა და ჟურნალებში დაბეჭდილი წერილები და სტატიები.

ჰაიდარ ალის ძე აბაშიძე დაიბადა ქ. ბათუმში, 1893 წლის 15 აგვისტოს. იგი 1900 წელს მიაბარეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბათუმის სკოლაში, 1908 წელს კი გადავიდა საქალაქო სასწავლებელში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1912 წელს.

ჰაიდარ აბაშიძის პირველი წერილი დაიბეჭდა 1913 წლის 17 თებერვალს „ბათუმის გაზეთში“ სათაურით: „ხმა ქრისტიან მოძმეებს“. ამ წერილში ავტორი მკითხველს მოუთხრობდა აჭარის წარსულზე, იმაზე, თუ ფეხქვეშ როგორ გათელეს მომხდურებმა აჭარელთა თავისუფლება, წაართვეს მშობლიურ ენაზე ლაპარაკის უფლება, აუკრძალეს ღვიძლ ენაზე წერა-კითხვის შესწავლა და მოანატრეს ქართული წიგნი.

ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის ერთადერთ გზად ჰ. აბაშიძეს დედა-სამშობლო საქართველოსთან შეერთება მიაჩნდა. საჭიროა მომხდურთა მიერ ცეცხლითა და მახვილით დანერგილი მავნე ადათ-წესების ამოძიკვა და მშობლიური წესების აღდგენაო, — წერდა იგი და ამ საქმის მოგვარების საბოლოო იმედს ქრისტიან ქართველთა დახმარებაზე ამყარებდა.

ვერ მიუხვდნენ რა ამ კეთილშობილურ აზრს, ზოგიერთებმა დაიწყეს მტკიცება, თითქოს ჰაიდარ აბაშიძეს და მის მომხრეებს აჭარლების გაქრისტიანება სურდათ. ჰაიდარი თავგამოდებით განუმარტავდა ხალხს, ერი სხვაა და სარწმუნოება კიდევ სხვაო, მაგრამ ისლამის ბანგით გაბრუებული მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ ორ ცნებას ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა.

მუსლიმან ქართველებს „თათარს“, „თურქს“, ზოგჯერ „გურჯს“ ეძახდნენ. „გურჯობაში“ ისინი ეროვნებას გულისხმობდნენ, ხოლო „თათრობაში“ სარწმუნოებას. ამავე დროს გრძნობდნენ იმასაც, რომ თურქები მათ „გურჯებს“ ეძახდნენ. ამიტომ ისინი თავს თურქებისაგან გამოყოფილად ცნობდნენ, მაგრამ რელიგიის მხრივ მათთან მაინც ბევრ საერთოს ხედავდნენ. საჭირო იყო ამ დაბნეულობის ბურუსის გაფანტვა.

3. აბაშიძე არ კმაყოფილდებოდა მარტო მუსლიმანი ფანატიკოსების წინააღმდეგ ბრძოლით, საჭიროდ თვლიდა გაეჩაღებინა პროპაგანდა იმ ჩამორჩენილ ქრისტიან ქართველობაში, რომლებიც იზიარებდნენ მტრების მცდარ შეხედულებას და აჭარლებს „თათრებად“ თვლიდნენ. 3. აბაშიძეს, როგორც ქართველ პატრიოტს, გულს უბზარავდა ეს გარემოება და იგი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ აჭარლებში არ ჩამქრალიყო ეროვნული გრძნობების „მბეჭუტავი ნაპერწკალი“. ჰაიდარი პირუთვნელად ძრახავდა ყველა იმ ვაიინტელიგენტს, რომლებიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ — მაჰმადიანური სარწმუნოების მქონე აჭარლებს ქართული ეროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები დაკარგული აქეთო.

3. აბაშიძე და მისი მომხრეები თავგამოდებით ატკიცებდნენ, რომ აჭარლები იგივე ქართველები იყვნენ, რომ „თათრებად“ მათი აღიარება ხელს უშლიდა ქართველი ხალხის საერთო, ეროვნულ ინტერესებს, არღვევდა მის მთლიანობას, აბრკოლებდა საუკუნოვანი სიბნელისა და უმეცრებისაგან აჭარელთა ხსნის საშვილიშვილო საქმეს.

ჰაიდარ აბაშიძე თავისი სხარტი წერილებით სისტემატურად ეხმაურებოდა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენებს. მისი თითოეული წერილი საქმიანი და საინტერესო იყო და მოწინავე საზოგადოებრიობის დიდ ყურადღებას იმსახურებდა. ჰაიდარ აბაშიძის მიერ წამოჭრილი საკითხების გარშემო თითქმის ყველა გაზეთში იბეჭდებოდა საპასუხო წერილები. ცნობილი ქართველი პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე აღტაცებული იყო ჰაიდარ აბაშიძის წერილებით, ჰაიდარს დიდ პატრიოტად, საქართველოს მთლიანობისათვის თავდადებულ მებრძოლად თვლიდა. ზ. ჭიჭინაძეს აღაფრთოვანებდა ის ფაქ-

ტი, რომ აჭარლები ჰაიდარ აბაშიძის თაოსნობით პროტესტს აცხადებდნენ — ჩვენ თათრები არა ვართ და ასე ნურც გვე-
ძახიანო. „ეს განცხადება თუ რამდენად კეთილშობილური
არის და ბუნებრივი, ამას განმარტება აღარ სჭირიაო“, —
წერდა იგი.

1913 წელს ქართველმა ისტორიკოსმა მოსე ჯანაშვილმა გა-
ზეთ „სახალხო გაზეთში“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით
„ტბეთის სვეტი შავშეთში“, რომელიც ჰაიდარ აბაშიძეს მი-
უძღვნა.

როგორც ცნობილია, პირველმა მსოფლიო ომმა დიდად
დააზარალა აჭარა, მოსახლეობა ფიზიკური და სულიერი გა-
ნადგურების გზაზე აღმოჩნდა. აჭარლებსათვის მორალური და
მატერიალური დაზარალების აღმოჩენის, აგრეთვე სამხრეთ სა-
ქართველოს მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების გაღრ-
მავების მიზნით ქართველმა საზოგადოებამ გამოსცა სპეცია-
ლური წიგნი აპოლონ წულაძის ავტორობით — „ძმური სიტყვა
ქართველ მუსლიმანებს“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა
ქართველი მუსლიმანების გათვითცნობიერების საქმეში. წიგ-
ნი მოგვითხრობდა აჭარის წარსულის, აწმყოსა და მომავლის
ყველა ძირითად საკითხებზე, ხალხის გაჭირვებულ მდგომარე-
ობაზე. მასში დაბეჭდილი იყო მოწინავე ქართველ მოღვა-
წეთა აზრი და შეხედულებანი აჭარისათვის მორალური და
მატერიალური დაზარალების გზების ძიების შესახებ. ამ წიგნში
ჰაიდარ აბაშიძეზე ვკითხულობთ:

„ჰაიდარ-ბეგი ქართველ მუსლიმანებში პირველი ახალ-
გაზრდა კაცია, რომელიც სიტყვით და კალმით, სრული შეგ-
ნებით იცავს ჩვენს ერთიანობას... ამის მტკიცებას და ამ აზრის
გავრცელებას ჰაიდარ-ბეგი იწყებს თავისიანებში, მაგრამ, სამ-
წუხაროდ, ჰაიდარ-ბეგის კეთილ რჩევას ბევრი მაშინ ვერ
მიუხვდა, ბევრი კიდევ გადაემტერა... ზოგს ჰაიდარ-ბეგი მუს-
ლიმანების მტერი ეგონა“.¹

იმპერიალისტური ომი უბედურებად დაატყდა თავს აჭა-

¹ ა. პ. წულაძე, „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს“, 1915 წ.,
გვ. 28 — 29.

რის მოსახლეობას. ოსმალთა ჯარის სარდლობა აჭარლებს აიძულებდა ეომათ რუსების წინააღმდეგ, ხოლო ვინც უარს განაცხადებდა, მათ წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს ახორციელებდა. გარდა ამისა, მოსახლეობას ავალებდნენ სურბათ-სანოვაგე ეძლია ოსმალთა ჯარებისათვის. ეს იყო სულთნის ჯარების შემოტევის დროს, შემდეგ კი, როცა რუსეთის ჯარებმა განდევნეს ოსმალები, აჭარას ახალი უბედურება ეწია — ბათუმის გუბერნატორმა ლიახოვმა აჭარლები მოღალატეებად გამოაცხადა და ბევრი მათგანი შორეულ მხარეში გადაასახლა. თუმცა შემდეგ გამოიჩინა, რომ აჭარლებს ღალატში არავითარი ბრალი არ ედოთ, მაგრამ უდანაშაულო სასჯელის მსხვერპლთ ეს რაღას უშველიდა.

ამ პერიოდში ოსმალეთილი ფანატიკოსები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ აჭარლები აეჯანყებინათ რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ აჭარის პროგრესული ძალები წინააღმდეგნენ მათ და სათანადო ახსნა-განმარტებით შეძლეს დაერწმუნებინათ ხალხი, რომ რუსეთს მათთვის სამტრო არა ჰქონდა რა.

პაიღარ აბაშიძემ ომთან დაკავშირებით გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც განმარტავდა ომის მიზანს და აჭარლებს ამოცანებს. წერილმა დიდი გამოძახილი ჰპოვა. მიუხედავად ღრმა ფანატიკური ბურჟუასა, სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა ძირითადად რუსეთისადმი კეთილგანწყობილი დარჩა. „ჩვენ არაერთხელ დავრწმუნდით, — წერდა ისმაილ კაიკაცი-შვილი, — რომ რუსეთის მმართველობის შემდეგ სრულ უშაშროებასა და მყუდროებაში ვართ, ჩვენ ისიც ვიცით, თუ ვინ იყო ჩვენი წინაპრები, ჩვენ ქართველები ვართ გვარტომობით“.¹

პაიღარ აბაშიძე ომის პერიოდში თანამიმდევრობით იბრძოდა აჭარელ ფანატიკოსთა წინააღმდეგ, ნიღაბს ხდიდა მათ ცრუ პროპაგანდას ე. წ. საღვთო ომის შესახებ და განუმარტავდა მოსახლეობას, ნამდვილად რა იყო მომხდურთა მიზნები და ამოცანები. რა შუაშია დღეს, მე-20 საუკუნეში „საღვთო ომი“, ვის სცალია ან ვის ეპიტნავება სარწმუნოების დევნა, წერდა ი. ი.

¹ „ახალი ივერია“, 1914 წ., № 32.

პაიდარმა მწარე გულისტკივილით განიცადა ომით დარბეული აჭარის უბედურება. შექმნილი აუტანელი მდგომარეობიდან გამოსავალს იგი მხოლოდ ქრისტიან ქართველებში ხედავდა, მთელ იმედებს მათზე ამყარებდა და მათგან დახმარებასაც მოითხოვდა. მან ამაღლევებელი წერილით მიმართა ქართველ საზოგადოებრიობას და მოუწოდა აჭარლებს დახმარებოდნენ. პ. აბაშიძის წერილზე გაზეთმა „სახალხო ფურცელმა“ გამოაქვეყნა ვრცელი სტატია, რომელშიც კვითხულობთ:

„ცრემლი უნდა მოადგეს თვალს და გულმა მწვავე ტკივილი იგრძნოს ზემოთ მოყვანილი წერილის გამო, თუ ცრემლთა წყარო მთლად არ დაშრეტილა ჩვენი და გრძნობა სამუდამოდ არ დაუკარგავს, უნდა იგრძნოს უმძიმესი ტკივილი და გაიგონოს უდიდესი მოვალეობის ხმა“.¹

ქართველმა საქველმოქმედო საზოგადოებამ დიდი მუშაობა გასწია იმპერიალისტური ომით დაზარალებულთა დასახმარებლად. ამ საზოგადოების ბათუმის განყოფილებამ ქმედითი ღონისძიებები გაატარა აჭარლებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. საქველმოქმედო საზოგადოების მოწოდებას გამოეხმაურა მთელი საქართველო. არ დარჩენილა არც ერთი ქალაქი, დაბა ან სოფელი, რომელსაც მონაწილეობა არ მიეღოს შემოწირულებათა შეგროვებაში. საქველმოქმედო საზოგადოებამ 1915 წელს გამოსცა სპეციალური ფურცელი — აღმანახი № 1, „ძმური სიტყვა“ წარწერით „დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ“, რომლის მთელი შემოსავალი გადაეცა დაზარალებულთა დახმარების ფონდს. ქართველი ხალხი ძლიერ დააინტერესა ამ გაზეთმა, რომლის ყოველ ეგზემპლარში 5 მანეთს იხდიდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ეს თანხა ხმარდებოდა გაუბედურებულ აჭარლებს.

არ დარჩენილა არც ერთი ქართველი საზოგადო მოღვაწე, რომ ამ აღმანახში არ გამოეთქვა თავისი აზრი სამხრეთ საქართველოს შესახებ.

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 234.

შემდგომში საქველმოქმედო საზოგადოებამ გამოსცა წიგნი „ანგარიში ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებისა 1915 წელს“. მასში წარმოდგენილი იყო დაწვრილებითი მასალები იმის შესახებ, თუ რომელმა ქალაქმა, სოფელმა, საწარმომ ან მოქალაქემ (დიდმა თუ პატარამ) რა შემოწირულება გამოგზავნა აჭარელთა დასახმარებლად.

ამავე წიგნში დაიბეჭდა მოწოდება ქრისტიანი ქართველებისადმი — მეტი დახმარება გაეწიათ აჭარისათვის. „დადგადრო, — ნათქვამია მოწოდებაში, — როდესაც ჩვენ ჩვენს გათიშულ ძმებს თვალნათლივ უნდა დაეუმტკიცოთ არა მხოლოდ ჩვენი თანაგრძნობა, არამედ ისიც, რომ ჩვენ ერთნი ვაყავით ძველად ლხინში, ერთივე ვიყოთ ახლა ჭირში... ნუთუ აქ დაყოვნება გემართებს... აჭარელთა ბედიღბალი ჩვენი ქვეყნის დიდი და მწვავე საკითხთაგანია, როგორც ქართველი გვარტომობის ხალხისა“¹.

აჭარლებისათვის დახმარების კეთილშობილურმა საქმემ გამოხმაურება ჰპოვა ქართველ ქალებშიც.

ამ დახმარების შესახებ ჰაიდარ აბაშიძის მიერ „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებულმა წერილმა დიდი თანაგრძნობა გამოიწვია. პოეტი ქალი განდევილი (დომინიკა ერისთავი) წერდა:

„ქართველ ქალებო, გადაიკითხეთ გუშინდელ „სახალხო ფურცელში“ მოთავსებული წერილი ჰაიდარ-ბეგ აბაშიძისა? თუ არ წაგიკითხავთ, გთხოვთ წაიკითხოთ და მაშინ დამეთანხმებით, რომ ამ სტრიქონების დამწერი უცრემლოდ ვერ წაიკითხავდა აბაშიძის წერილს. უცრემლოდ მეტქი ვამბობ. ეს ცოტაა — მე ვქვითინებდი ბავშვივით... ხმა მივცეთ გულდაკოდილ ძმებს, ვაპცნობოთ, რომ ქართველ ქალთა ნაზი გრძნობა არ გამქრალა, იგი ერთგვარის სიყვარულით ექცევა როგორც ქრისტიან, ისე მაჰმადიან ქართველს, ვაუწყოთ, რომ ჩვენ ერთის დედამამის შვილები ვართ — ერთი ცის ქვეშ დაბადებულნი და აღზრდილნი, რომ არ არის ორი საქართველო,

¹ ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოებისა 1915 წელს, 1915 წ., გვ. 1 — 2.

იგი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე და მისი შვილების უბედურება გულს გვიკლავს რა სარწმუნოებისაც არ უნდა იყოს იგი¹.

ამ მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურნენ ქართველი პატრიოტი ქალები, სულითა და გულით ჩაებნენ დამშეულ აქარელთა დახმარების საქმეში. იმავე მგოსანმა განდევნილმა აქარლებს მიუძღვნა ლექსი, რომლის სტრიქონები დიდი გულთბილობით გამოირჩევა.

სალამი შენდა, ქართველო,
ნაფლეთო ერის გულისა,
გეარ-ტომო შავთელ-რუსთველის
და თამარ დედოფალისა,
დამცველო ტკბილის ქართულის,
კერავ რაინდის სულისა,
ტანჯულო, მაგრამ ტანჯვაშიც
გმირებრ ამტანო წყლულისა...
გულს გიშლის ტურფა სამშობლო
ქეთევან წამებულისა,
და მიძღვნილია შენდამი
მდაბლად სალამი ძმურისა².

იმ დღეებში აქარელ ქალებს შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა მეორე მგოსანმა ქალმა დარია ახვლედიანმაც:

თუმც შავ დროის მწარე ხვედრმა
დაგვაშორა მკვიდრი დანი,
არ დაგვინდო მუხთალ ბედმა,
დაგვიბნელა დღე მზიანი,
დადგა დრო, რომ დაკარგულმან
დებმა დები დაგინახოთ,
შევერთდეთ და ლხინ-ვარამი
ერთ მთლიანად დავისახოთ...
მაშ, ესცნოთ, დანო, რომ ერთნი ვართ,
ერთი მამის შვილთა შვილნი,
საქართველოს შვილები ვართ,
ერთ ძუძუზე გამოზრდილნი.

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 235.

² აქარისადმი მიძღვნილი ფურცელი-ალმანახი. „ძმური სიტყვა“, 1915 წ., № 1.

გაიყანით ჩვენი მხარე,
გაიყანით ჩვენი წყლული,
მაშინ იგრძნობთ, როგორ ჰქნება
დაჩაგრული მგოსნის გული!

იმ დროს ქართულ გაზეთებში მრავალი წერილი დაიბეჭდა აჭარის შესახებ. ვერც ერთ მათგანს უცრემლოდ ვერ წაიკითხავთ.

წერილები იბეჭდებოდა სამხრეთ საქართველოსა და ლაზეთზეც. 1916 წელს საქველმოქმედო საზოგადოებამ ჰაიდარ აბაშიძე გაგზავნა ლაზეთში დამშეული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად. მან სხვა საჩუქრებთან ერთად სიმინდიც დაურიგა მოსახლეობას.

ჰაიდარ აბაშიძე ერთნაირ გულშემატკივრობას იჩენდა ყველა ქართველი მაჰმადიანის მიმართ. იგი თანაბრად იბრძოდა აჭარელთა და ლაზთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ქართული ეროვნული თვითშეგნებისა და კულტურის აღდგენისათვის.

საგულისხმოა, რომ შემოწირულებებს აგროვებდნენ არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ სხვა ქალაქებშიც, სადაც კი ქართველები იმყოფებოდნენ — პეტერბურგში, ბაქოში, ოდესაში, კიევში, აგრეთვე ფრონტზე მყოფნიც და შორეულ მხარეში გადასახლებულნიც.

ამ დიდი დახმარებისათვის მადლიერების გრძნობა ბევრმა აჭარელმა სხვადასხვა გაზეთში წერილების გამოქვეყნებითაც გამოხატა. მაგალითად, გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა ასეთი წერილი:

„ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ქართველ მოძმე საზოგადოებას ჩვენი გულითადი მადლობა მასზედ, რომ ქართველმა ძმებმა ჩვენ დახმარება აღმოგვიჩინეს და საკვები სიმინდი მოგვაწოდეს.

1 აბ. წულაძე, „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს“, 1915 წ., გვ. 114 — 115.

პატივისცემით: ახმედ აბულაძე, აბდულ მიქელაძე, ქარუნ-
ოლი“¹.

ქრისტიანი ქართველები აპარლებს ეხმარებოდნენ მატე-
რიალურადაც და მორალურადაც. იმ დროის ჟურნალ-გაზე-
თებში ამ საკითხს დიდი ადგილი ეთმობოდა. ჟურნალ „თეატ-
რი და ცხოვრების“ რედაქტორი იოსებ იმედაშვილი აპარ-
ლების შესახებ წერდა: „სწორედ ახლა გვმართებს, როგორც
იტყვიან, ფოლადის ქალამნის ჩაცმა, რკინის კვერთხის ხელში
დაჭერა და ქვეყნითი ქვეყნად სიარული, რათა დავუმტკიცოთ
ყველას, რომ ქართველი მუსლიმანები ჩვენი ძმებია და მათი
აქლება ჩვენი აქლებაც არის“².

მეფის მთავრობის მიერ აპარლების მოღალატეებად გა-
მოცხადებასთან დაკავშირებით ქართულმა საქველმოქმედო
საზოგადოებამ შექმნა იურიდიული კომისია, რომელმაც აპარ-
ლების გასამართლების დროს გადამწყვეტი როლი შეას-
რულა. კომისიის წევრები თავდადებით იცავდნენ უდანაშაუ-
ლო აპარლებს. ი. იმედაშვილის თქმისა არ იყოს, მთელი
ქართველობა ფეხზე დადგა. ჰაიდარ აბაშიძე და მისი მომხ-
რეები გვერდში ამოუდგნენ მოწინავე ქართველ ძმებს და
ყოველნაირად ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ხალხისა და
მთავრობის წინაშე — აპარლები საქართველოს ერთგული
შვილები არიან და მათზე ღალატის თქმა საშინელი ცილისწა-
მებაო. ჰაიდარ აბაშიძე მთელი არსებით განიცდიდა ქართვე-
ლი მუსლიმანების ყველა ტკივილს. ამიტომ იყო, რომ ეპისკო-
პოსმა ლეონიდემ მას „ქართველი მუსლიმანების სულიერა
ინტერესების სასიქადულო დარაჯი“ უწოდა.

„საქველმოქმედო საზოგადოება“ ჰაიდარ აბაშიძეს ხშირად
გზავნიდა სამუსლიმანო საქართველოს სხვადასხვა რაიონში.
ისიც ამა თუ იმ საკითხზე ეწეოდა საჭირო ახსნა-განმარტებას,
აგრეთვე ეცნობოდა ადგილობრივ მცხოვრებთა მდგომარეობას,
ისმენდა მათ საჩივრებს და ზრუნავდა მოსახლეობის ცხოვ-
რების პირობების შემსუბუქებისათვის.

¹ გაზ. „საქართველო“, 1915 წ., № 88.

² ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., № 26.

ლაზეთში მივლინების დროს ათინის რაიონის ესქი (ძველ) ტრაპიზუნში დასახლებულ ქობულეთლებს პ. აბაშიძისათვის გადაუციათ ქართულ ენაზე დაწერილი თხოვნა: „ან წაგვიყვანეთ ჩვენს სამშობლოში და ან აქ მოგვხედეთ“¹. ისინი ქობულეთიდან მუჰაჯირობის დროს წასულან და ითხოვნენ ისევ თავის მხარეში დაბრუნებას. ჰაიდარი გატაცებით და მთელი მონდომებით ზრუნავდა მათი თხოვნის დაკმაყოფილებისათვის.

აჭარაში ქართული სკოლების გახსნა ფრიად აქტუალური საქმე იყო. ქართველი მუსლიმანები მშობლიურ ენაზე დაეუფლებოდნენ წერა-კითხვას, ეს კი ხელს შეუწყობდა მათ ეროვნულ გათვითცნობიერებას. ჰაიდარისა და მისი მომხრეების მოწინააღმდეგენი მოითხოვდნენ ოსმალური სკოლების გახსნას და ამ ენის მასწავლებლების მოწვევას სხვა ქვეყნიებიდან. ეს გამიზნული იყო იქითკენ, რომ აჭარის მოსახლეობას არ სცოდნოდა ქართული წერა-კითხვა, დაევიწყებინა თავისი ეროვნება და სამშობლო ქვეყანა. ქართული სკოლების გახსნას მხურვალედ უჭერდნენ მხარს შეგნებული აჭარლები ჰაიდარ აბაშიძის მეთაურობით. ამ პერიოდში ქართველმა საზოგადოებამ რამდენიმე სკოლა გახსნა აჭარის სხვადასხვა სოფელში — ყოროლისთავეში, ხუცუბანში, ზემო აგარაში, ქვემო აგარაში, ჩხუტუნეთში და ალაშბარში.

სოფელ ყოროლისთავეში სკოლის გახსნასთან დაკავშირებით, საზეიმო სხდომაზე ღრმა პატრიოტული სიტყვით გამოვიდა პ. აბაშიძე. მან ქართველ მოღვაწეებს ასე მიმართა: „გაგვიძეხით წინ და წაგვიყვანეთ ნათელ გზაზე, რომ მით ჩვენც თქვენთან ერთად გავწიოთ საერთო ტანჯული ცხოვრების მძიმე უღელი, რომლითაც გავახარებთ ჩვენს ტანჯულ სამშობლოს და მასთან ერთად გავახარებთ ჩვენს წარსულ გმირებს, ტურფა სამშობლოსათვის წამებულებს. მაშ, ვუსურვოთ გამარჯვება პირველ მერცხალს — დღევანდელ ეროვნულ სკოლას“².

¹ გაზ. „საქართველო“, 1916 წ., № 188.

² იქვე, № 55.

აჭარაში ქართული სკოლების გახსნის გარშემო იმ დროის პრესაში აუარებელი მასალაა. ამ საკითხზე სისტემატურად წერდნენ ქართველი საზოგადოების მოწინავე ადამიანები: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, მოსე ჯანაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, გიორგი წერეთელი, ლეონიდე ეპისკოპოსი, განდევილი (დომინიკა ერისთავი), დავით კლდიაშვილი, სერგეი მესხი, სამსონ ფირცხალავა, გერონტი ქიქოძე, თედო სახოკია, ალ. მგელაძე, ანა სოლორაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, პეტრე უმიკაშვილი, ილია ფერაძე, ალექსანდრე ყიფშიძე, ანტონ ფურცელაძე, გიორგი ყაზბეგი, ილია ჭყონია, აპ. წულაძე და მრავალი სხვა. უფრო ადრე ქართული სკოლების გახსნით დიდ დაინტერესებას იჩენდა და ამ საქმის პრაქტიკული განხორციელებისათვის თავგამოდებით იბრძოდა ილია ჭავჭავაძე.

ამ პერიოდში ქართველ მაჰმადიანთა ქართულ სკოლებში თანდათან ფეხს იკიდებდა თათრული ენის სწავლებაც. კავკასიის ხოჯები მოითხოვდნენ ყურანის სწავლების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე დაყენებას. ამ მიზნით ქ. გორში მოწვეულ იქნა თურქული ენის მასწავლებელთა ყრილობა, რომელზედაც განიხილეს ახალი პროგრამის შედგენის საკითხი. ამ გარემოებამ ძლიერ აღაშფოთა ჰაიდარ აბაშიძე, რომელიც ყრილობას ესწრებოდა. მან მკაცრად განაცხადა: ეს ყრილობა ჩვენ არ გვეხება, ჩვენ, აჭარლები ქართველები ვართ და თუ მანინცდამანინც გინდათ ყურანის სწავლება, შეიძლება ის გადაითარგმნოს ქართულად და ვასწავლოთ ქართულ ენაზეო. ეს უაღრესად გაბედული სიტყვა იყო იმ დროისათვის. ფანტიკოსები აღსდგნენ პ. აბაშიძის წინააღმდეგ და იმდენი მოახერხეს, რომ მას მასწავლებლობა აუკრძალეს, მისი საყვარელი სკოლის კარები გამოუკეტეს. ჰაიდარი ვერ მოღრკია ასეთმა სასჯელმა. იგი უფრო მეტი სიმტკიცით განაგრძობდა ბრძოლას იმათ წინააღმდეგ, ვინც აჭარლებს თიშავდა ქართველებისაგან. მის გაბედულ ბრძოლას ქართული ყურანალ-გაზეთები დიდ შეფასებას აძლევდნენ, ჰაიდარს „ქართველ მუსლიმანთა შორის გამოფხიზლების მოციქულად“ აცხადებდნენ.

ბათუმის ადმინისტრაციის მიერ ჰ. აბაშიძის მასწავლებლობიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ქართველ მუსლიმანებს ახალი საშიშროება მოელით“. ავტორი აღნიშნავდა, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ იმთავითვე დაისახა მიზნად ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის ჩინური კედელი აღემატა. იმომბედა რა აბაშიძის სიტყვებს — „ჩვენ, ქართველი მაჰმადიანები არავის მივცემთ ნებას ჩვენს საყვარელ დედა ენაზე იერიში მიიტანოს“, გაზეთი ალტაცებით წერდა: „ვაჟა, ასეთ მტკიცე შეგნებას და ქებათა-ქება იმ შეგნებულ ჩვენს მოძმე ქართველ მუსლიმანებს, რომელთა ბუნება გაშუქებულია ამ დიადი ეროვნული შეგნებით“.¹

მდგომარეობის კვლავ გართულებასთან დაკავშირებით ჰაიდარ აბაშიძემ 1917 წელს ეჟურნალ „ცხოვრებაში“ გამოაქვეყნა სტატია ეროვნულ საკითხზე, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა ქართველ საზოგადოებრიობაში. ამ წერილის შეახებ გ. ლელიანი წერდა: „ღია ბარათში... ბ. ჰაიდარ-ბეგ აბაშიძემ მარტივად და ენერგიულად გამოთქვა ის, რასაც ყოველი შეგნებული ქართველი გრძნობს ბოლო დროს. უკეთესად არ შეიძლება ჩვენი საერთო ეროვნული თვალსაზრისის გამოხატვა. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ თვით ღია ბარათის ავტორი ქართველი მაჰმადიანია“.²

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში ხელისუფლება ბურჟუაზიულ-მემამულურ პარტიათა ხელში მოექცა. ამ დროს საქართველოს — მენშევიკები, სომხეთს — დაშნაკები და აზერბაიჯანს მუსავატელები მართავდნენ. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატი თავისი „დამოუკიდებელი“ პოლიტიკით რუსეთისაგან მოწყვეტილი და სულთნის სახელმწიფოს პირისპირ აღმოჩნდა. მან არ ცნო გერმანიასთან საბჭოთა მთავრობის მიერ დადებული ბრესტის ზავი, გაამწვავა ურთიერთობა

¹ გაზ. „საქართველო“, 1916 წ., № 123.

² გ. ლელიანი, ეჟურნ. „ცხოვრება“, 1917 წ., № 3, გვ. 23.

ოსმალეთთან, რასაც შედეგად მოჰყვა ამიერკავკასიაში ომის გაგრძელება. მან არა მარტო ვერ შეინარჩუნა სამხრეთ საქართველოს ტერიტორია, არამედ შიდა საქართველოც ვერ დაიცვა; სულთნის ჯარები ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრნენ.

1918 წლის აპრილში თურქები ბათუმში შემოვიდნენ. მალე მათ დაიპყრეს ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს, ოზურგეთისა და სხვა მაზრები. ყველგან აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა. „სატუსაღოები სავსეა უკმაყოფილო აჭარლებით. ქალაქში, მთელ აჭარაში ავრცელებენ „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ პროკლამაციებს, ეს მოწოდება აჭარლებში დიდ გამოძახილს პოულობს.“¹ ასეთივე მდგომარეობა იყო ახალციხისა და სხვა მაზრებში.

სულთნის რეჟიმისაგან დევნილმა პროგრესულმა აჭარლებმა 1918 წლის მაისში ქ. თბილისში დააარსეს „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს მემედ აბაშიძე (დაუსწრებლად), თავმჯდომარის მოადგილედ — ჰაიდარ აბაშიძე და პასუხისმგებელ მდივნად — სულეიმან დიასამიძე. კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ ხ. თხილაიშვილი, ქ. ნოლაიდელი, ი. ქათამაძე, ახმედ ბეჟანიძე, ყადირ შერვაშიძე, ზია აბაშიძე, სულეიმან ირემაძე და სხვები.

ამ კომიტეტმა დიდი მუშაობა გააჩაღა: ბეჭდავდა და ავრცელებდა პროკლამაციებს, რაზმავდა მასებს ოკუპანტთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

1918 წლის 13 ნოემბერს გერმანიაში მოხდა რევოლუცია, გერმანიის მთავრობა დაემხო, რის შედეგად ბრესტის ზავი გაუქმდა. 1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის შეთანხმების თანახმად სულთნის ჯარებმა დატოვეს კავკასია და, კერძოდ, ბათუმის ოლქი.

1918 წლის ბოლოს ბათუმში შემოვიდა ხუთი გემი, რომლებმაც მოიყვანეს ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის 15 ათასი ჯარისკაცი. ამ ოკუპანტებმა დაიპყრეს ბათუმის

¹ გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 267.

ოლქი და შექმნეს „დამოუკიდებელი“ პატარა სახელმწიფო მარიონეტული მთავრობით, რომელსაც მეთაურობდა შავრაზმელი მასლოვი.

ოკუპანტების მიზანს შეადგენდა რუსეთის მეფისნაცვლის ძალაუფლების აღდგენა კავკასიაში და „წესრიგის დამყარება“, ანუ თავისი პოლიტიკური ბატონობის გავრცელება ამ მხარეში. აქ ბატონობის დროს მათ ერთიმეორეს წაჰკიდეს კავკასიის ერები, ხოლო კავკასიის სიმდიდრე გაზიდეს საზღვარგარეთ, ამიერკავკასია გადააქციეს ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად, რუსეთიდან განდევნილ თეთრგვარდიელ გენერლებს მფარველობდნენ და ამარაგებდნენ.

ამ დროს დიდ მუშაობას ეწეოდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“. მოკავშირეთა მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციას გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ ამნაირად გადმოგვცემდა:

„გაზეთებში გამოქვეყნებული დეპეშებიდან ჩანს, რომ სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოს უკვე 24 თებერვალს გადაუწყვეტია გამოაცხადოს ბათუმის პორტი თავისუფალ პორტად. ქალაქი და მის გარშემო პატარა ზონა შეადგენენ ხალხთა ლიგის მთავრობის ქვეშ მყოფ პატარა სახელმწიფოს და მას დაიკავებენ საერთაშორისო რაზმები ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის სამი ბატალიონისაგან შემდგარი“¹.

ბათუმის ბოლშევიკები აქტიურად იბრძოდნენ ოკუპანტების წინააღმდეგ; მათ ბათუმში 1919 წელს მოაწყვეს სპეციალური მებრძოლი ჯგუფი და სახელოსნო, სადაც ამზადებდნენ ასაფეთქებელ მანქანებს, ე. წ. ჯოჯოხეთის მანქანებს.

ბათუმის ბოლშევიკებმა პირველი აფეთქება მოახდინეს გემ „ვოზროუდენიაზე“, რომელიც დატვირთული იყო სამხედრო საჭურვლით ვრანგელის ბანდებისათვის; 1920 წლის 23 აპრილს ააფეთქეს კინტრიშის ზიდი, ხოლო ივნისში — გემი „სვეტი“, რომელსაც თეთრგვარდიელებისათვის

¹ გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920 წ., № 320.

ნავთობი და ბენზინი მიჰქონდა. ოკუპანტები იძულებული შეიქნენ ეცხლწაკიდებული გემი ბათუმის ნავსადგურიდან გაეყვანათ და ზღვაში ჩაეძირათ.

ბოლშევიკების გადაწყვეტილებით უნდა აეფეთქებინათ თეთრგვარდიელების გემიც, რომელსაც ლალუმი მიჰქონდა დენიკინისათვის, მაგრამ გემზე ნაღმი უცებ გასკდა, რამაც იმსხვერპლა ორი ინგლისელი ოფიცერი.

ბათუმის ბოლშევიკების ხელმძღვანელობით აჭარის სოფლებში ეწყობოდა გლებთა გამოსვლები და აჯანყებები.

1920 წლის 4 აპრილს ბათუმის გენერალ-გუბერნატორის კუჟ-კოლისის განკარგულებით დახურეს გაზეთი „ბატუმსკი ეესტი“. გაზეთის დახურვასთან დაკავშირებით მოეწყო მუშათა დემონსტრაცია.

ბათუმის ბოლშევიკები მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ბათუმში ფაქტიური ხელისუფლება ბოლშევიკების ხელმძღვანელობით პროფკავშირთა საბჭომ აიღო ხელში. ამიტომ პროფკავშირთა ხელმძღვანელობაზე კუჟ-კოლისმა შური იძია, ისინი მოტყუებით დააპატიმრა და გადაასახლა. „მე ვერ მოვითმენ, რომ ინგლისის მეფის ბაი-რალის გვერდით მეორე ხელისუფლება არსებობდესო“, — იმუქრებოდა კუჟ-კოლისი. ოკუპანტებმა აკრძალეს მუშათა ორგანიზაციები, დახურეს გაზეთი „გოლოს ტრუდა“ და სხვ.

ჰაიდარ აბაშიძე სასტიკად აკრიტიკებდა ოკუპანტების ვერაგულ პოლიტიკას. ბათუმი ყაჩაღების, თეთრგვარდიელებისა და სპეკულანტების ბუდედ იყო ქცეული. უდანაშაულოდ იწკებლებოდნენ პატიოსანი ადამიანები. ციხე, გადასახლება და სიკვდილი ხალხის მოკეთეთა ხვედრი გახდა.

წერდა რა სამხრეთ საქართველოს შესახებ, პ. აბაშიძე მწარე სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგაც აჭარა კვლავ უუფლებო მდგომარეობაში დარჩა. „ამ უკანასკნელი ომის და რუსეთის რევოლუციის ხანაში ვფიქრობდით ჩვენს კუთხესაც რაიმე საშველი დაადგებოდა და ის იქნებოდა გამოსული სამშვიდობო ასპარეზზე —

დედა-სამშობლო საქართველოსთან შეერთებით... მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, სამუსლიმანო საქართველო ასე უფლება და ღირსება აყრილი, ბოღმით ავსილი და თვალცრემლიანი დასტირის თავის ბედს¹.

ოკუპანტები იძულებული შეიქნენ 1920 წ. ივლისში დაეტოვებინათ ბათუმის ოლქი. მათ წასვლისას ბათუმში ააფეთქეს ციხე-სიმაგრეები და სამხედრო იარაღ-საჭურველი შავ ზღვაში გადაყარეს, ოლქის სიმდიდრე კი თან წაიღეს. მათი წასვლის შემდეგ ბათუმში მენშევიკური მთავრობის ჯარები შემოვიდნენ.

როგორც ზემოთ ითქვა, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში აჭარის პროგრესულ ძალებს სასტიკი ბრძოლა უხდებოდათ პანისლამისტებთან, რომლებიც ოსმალეთის ორიენტაციისა იყვნენ. შემდგომ წლებში მათ სახე იცვალეს და თავი შეაფარეს ე. წ. „სედაი მილეთის“ („ხალხის ხმა“) ორგანიზაციას. „სედაიმილეთლებმა“ ბათუმში დააარსეს ოლქის მუსლიმანთა კომიტეტი, რომლის მიზანს შეადგენდა საქართველოსაგან სამხრეთ საქართველოს ჩამოშორება.

ოსმალეთის დამარცხებამდე „სედაიმილეთლები“ ჩვენი მხარის ოსმალთა მფარველობაში გადაყვანის მომხრენი იყვნენ, ხოლო მოკავშირეთა მიერ ოსმალეთის დანაწილების შემდეგ მათ ტაქტიკა შეცვალეს და ცდილობდნენ „დამოუკიდებელი აჭარისტანის“ შექმნას, რომლის მფარველად დენიკინს ვარაუდობდნენ. მათ ამ მიზნით შეადგინეს მიმართვა მოკავშირეების სახელზე და სამხედრო გუბერნატორის საშუალებით მოკავშირეებს გადასცეს საზავო კონფერენციაზე განსახილველად...

„სედაი მილეთის“ ჯგუფს ხელს უწყობდნენ მუსავატელები: ამ გამკემთა „მთავრობის“ მოქმედების შესახებ ვკითხულობთ: „მისმა მუღმივმა აგენტებმა, მისმა მილიონებმა, ნავთის გაზიდვის გამო ჩვენს მხარეს ამოაცალეს სასიცოცხლო

¹ ჰ. აბაშიძე, „ხმა სამუსლიმანო საქართველოდან“, ვახ. „ერთობა“, 1920 წ., № 49.

ძარღვი, ბათუმი გამოგველიჯეს ხელიდან და უცხო ქვეყნის კაპიტალისტებს მიუგდეს საჯიჯნად“¹.

მუსავატელთა ბურჟუაზიულ მთავრობას სურდა ბათუმი გამოეყენებინა სატრანზიტო ქალაქად და აქედან გაეზიდა ბაქოს ნავთობის პროდუქცია.

„სედაი მილეთს“ მფარველობდა ინგლისიც. „სედაი მილეთის“ ერთი მესვეურთაგანი თავმომწონედ აცხადებდა: „როდესაც ხულოში ქართველ ჯარზე გავიმარჯვე, გენერალმა კუკ-კოლისმა მომილოცა და მირჩია ქართველები დამეტყვევებიაო“².

აქ ლაპარაკია 1920 წელს „სედაიმილეთლების“ მიერ ჩოლოქის პირსა და ხულოში ქართველი ჯარების წინააღმდეგ ჩადენილ სამარცხვინო აქტზე. „სედაიმილეთლების“ ჯარს ქართველი ჯარების წინააღმდეგ აქეზებდნენ ინგლისელები და თეთრგვარდიელები. „სედაი მილეთის“ „ბაში-ბუზუკებს“ წერთნიდნენ ოსმალეთის ოფიცრები. სამხედრო ვარჯიში ხდებოდა თურქულ ენაზე, მათ დროშაც თურქული ჰქონდათ.

ოსმალეთის დამარცხების შემდეგ „სედაიმილეთლები“ ღობე-ყორეს ედებოდნენ. რაკი მუსავატელების საქმე კარგად არ იყო, „სედაიმილეთლებმა“ დაშნაკელებთან მიკედლება მოისურვეს. დაშნაკელებსაც ეს უნდოდათ, ისინი ოცნებობდნენ სამხრეთ საქართველოს ხელში ჩაგდებაზე, რომ ჭოროხის ხეობით შავ ზღვაზე გასულიყვნენ. ამიტომ „სედაი მილეთის“ წინადადებას დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ. ამის საბუთად შეგვიძლია დავიმოწმოთ ერევნის გაზეთ „აშხატაკანიდან“ თბილისის „აშხვატორში“ გადმობეჭდილი შემდეგი ცნობა:

„ყარსში მივიდნენ აჭარის წარმომადგენლები და სომხეთის მთავრობას განუცხადეს დღეს, რადგანაც არ მოხერხდა კავკასიის სამხრეთ დასავლეთის სახელმწიფოს განხორციელება, ამიტომ აჭარამ დაადგინა არ შეუერთდეს საქართველოს, რადგანაც საქართველო დევნის აჭარაში მუსლიმანთა

¹ გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920 წ., № 319.

² გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 135.

ენას, სარწმუნოებასა და სხვა, აჭარას სურს შეუერთდეს სომხეთს და მიიღოს ავტონომიაო“¹.

ამრიგად, დაშნაკელებსა და აჭარის რეაქციონერებს ჰქონიათ წინასწარი მოლაპარაკება ამ საქმეზე და „სედაიმილეთლები“ მათთან „ავტონომიის“ მომხრენი ყოფილან.

3. აბაშიძე „სედაიმილეთლებს“ სამართლიანად უწოდებდა აჭარის გამყიდველებს.

როცა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“ ავტონომიის პროგრამის პროექტი გამოაქვეყნა, იგი „სედაი მილეთის“ მესვეურებმა გააკრიტიკეს და თითოეული მუხლის შესახებ თავისებურ ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ. ისინი „სამუსლიმანო საქართველოს კომიტეტს“ ხალხისა და სამშობლოს გამყიდველებად ნათლავდნენ და სწორედ ამიტომ თავიანთ რეაქციულ ბროშურას უწოდეს „გასაყიდი ხალხი“. მაგრამ მოსახლეობამ გამოიცნო მათი მზაკვრული ოინები, მათი გამცემლური პოლიტიკა და ჭირივით შეიძულა ამ „პარტიის“ ყველა მიმდევარი.

აჭარის მოსახლეობის ზიზღი „სედაიმილეთლებისადმი“ მრავალ ლექსშია გამოთქმული. აი, ერთი მათგანი:

ხმა მოგულეთიდან

(ლექსი „სედაიმილეთლებზე“)

დამერწმუნეთ, ბატონებო, დამახინჯდა საქმე ჩვენში,
ძმამა ძმაი გეიმეტა, თოფი მიუმიზნა ყელში.
კვიციანი თუ შერეული, ყველა მოხდა იმათ წრეში,
იტრებმა ძლიერ გეიხარეს, თევზი ჰპოვეს მღერიე წყლებში.
რესპუბლიკა დავაარსეთ, რა თქმა უნდა — კვირიკეში,
„სახლეებს“ სწავლა მიუღიათ ადგილობრივ ქობულეთში,
დიპლომატები გამოდის კეპიეთის ფაკულტეტში,
გვეუბნებიან შებრძანდით მუდმივად ამ სამოთხეში.
მეზობლებო, გაიღვიძეთ, იგი ყველას გვევალება,
ძმებთა შორის სირცხვილია გავაკეთოთ ღალატობა,
უპურმარაილო ყოფილან, — იგი ნუ დაგვებრალება,
იმისთანებს ნუ იკადრებთ, რაც რომ კაცს არ ეკადრება...

¹ გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 128.

გაქირვებულს მოგვეშველენ, მოვიგონეთ ქართელობა, აჭარა მათ გამოიხსნეს, ამის ვარი არ ითქმება, მტრებსაც ძლიერ ეამებათ ჩვენი ქვეყნის დამონება, უფსკრულისკენ მიჰყავთ იმათ ჩვენი გზა და ჩვენი ნება. ლექსის წერას შევეუდექი, არ დავწერო არ იქნება, სამშობლოს თუ დავივიწყებთ, იცოდეთ რომ არ გვექნება, სულ ერთბაშად დაეიღუპებით, კაცი ვერ მოგვეხმარება, ისტორია შევად დაგვწერს, აროდეს არ წეიშლება. ფესქვეშ გავსრისოთ ლალატი, ერთმანეთის შური, მტრობა, ეშმაკის გზაზე დამდგარვართ, ეს არის ჭეშმარიტება! გამოვიდეთ ბრძოლის ველზე, დავამტკიცოთ მკვიდრი ძმობა, ჩვენი ქვეყნის ორგულები აღრე ხმაღზე აიგება“¹.

„სედაი მილეთს“ თავისი ბეჭდვითი ორგანო ჰქონია, მაგრამ ბათუმში ამ გაზეთის არც ერთი ნომერი არ ინახება. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ასეთ ცნობას გვაწვდის: „ბათუმში გამოდის თურქულ ენაზე გაზეთი „სედაი მილეთი“ („ხალხის ხმა“). ეს გაზეთი, სანამ ბუტაფორული ყარსის მთავრობა არსებობდა, ამ მთავრობის ორგანო იყო, შემდეგ მუსლიმანთა პარტიის, ე. ი. პანთურქისტების ორგანოა. ის იცავს ოსმალეთის უფლებებს ყარს-არდაგან-ბათუმის ოლქებზე, მოითხოვს, რომ ეს ოლქები ოსმალეთს გადაეცეს“².

ეს გაზეთი ოფიციალურად აცხადებდა იმას, რასაც „სედაიმილეთლები“ ფარულად ქადაგებდნენ ხალხში ოსმალთა სასარგებლოდ.

„სედაიმილეთლების“ ოსმალოფილურ პოლიტიკას სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ აჭარის პროგრესული ძალები. მათ სული და გული საქართველოსკენ მიუწევდათ. ისინი დიდად აფასებდნენ ქრისტიანი ქართველების ამავს აჭარის წინაშე. ეს ნათლად ჩანს ხაფიზ-ეფენდი მეხეშიძის შემდეგი წერილიდანაც:

„ამ უბედურებამ აატირა და ააკენესა ჩვენი ერთგული მშობელი დედა-საქართველო, რომელმაც ამოძრავა და გამოგვაღვენა თავისი ძენი და ასულნი ჩვენთან, მის წიაღიდან

¹ გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920 წ., № 372.

² გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 223.

გამოქცეულს დაკარგვის, დაღუპვის და სრულიად განადგურების გზაზედ მიმავალ შვილების დასაბრუნებლად... ძმური სიყვარულით ჩაგვიკრეს, ისევე წიაღში დაგვაბრუნეს დაღუპვისაგან, მშვირები დაგვაპურეს, აღგვიდგინეს ჩვენს დამწუხრებულ გულში ნამდვილი ჩვენი დიდებული სამშობლოს — საქართველოს სხეული ქრისტიან ქართველებმა.

დღეს აჭარაში ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, ყველა, მალღიერნი, აღფრთოვანებულნი, ჩვენი მოძმე ქართველი ქრისტიანების მიერ ძმობისათვის და ასეთ განუსაზღვრელ უხვ ნივთიერ და ზნეობრივ დახმარებისათვის, მზათა ვართ შესაფერად გამოვეხმაუროთ მათ და ძმური ფიცი დავსდვათ, რომ ჩვენ საუკუნოდ ვიქნებით განუყრელნი ქირსა და ლხინში მათთან, როგორც ერთხორცილი და ერთსულნი ტყუბი ძმები უმადლესად კეთილშობილის მოყვარულის დედისა — საქართველოსი¹.

საყურადღებოა, რომ ხაფიზ-ეფენდი მეხეშიძე ხოჯა ყოფილა და ხულოს ორკლასიან სასწავლებელში რჩულს ასწავლიდა თურმე. მეხეშიძის შესახებ აბ. წულაძე წერდა, რომ იგი ზედა აჭარის სკოლებში ქართული ენის სწავლების თავის სიმადლეზე დაყენების საქმისადმი დიდ მზრუნველობას იჩენდა, რაც მის შეგნებულობაზე მიგვიითითებს. იმ დროში თუ რომელიმე ხოჯა ბავშვებს ქართულსაც ასწავლიდა, მას რჩულის მოღალატედ თვლიდნენ და ხალხისაგან რიყავდნენ. ასე, მაგალითად, სოფელ წყავროკის ხოჯა ახმედ ქათამაძე მოუხსნიათ იმისათვის, რომ იგი ქართულს ასწავლიდა თავის მოსწავლეებს. ფანატიკოსებმა მასზე ხალხში გაავრცელეს ხმა — ჩვენი ხოჯა გაგიაურებულია, რჩულს გვიკარგავს და ბავშვებს „აქართველებსო“².

ქათამაძეს მალულად კავშირი ჰქონია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, საიდანაც მოსდიოდა ქართული წიგნები და ბავშვებს ქართულად ასწავლიდა, სანამ ამას გაუგებდნენ.

¹ გაზ. „საქართველო“, 1915 წ., № 64.

² აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 157, გვ. 30.

საქართველოსთან აჭარის შეერთების პროგრესულ აზრს დიდად თანაუგრძნობდა ქობულეთის მცხოვრები სულეიმან თევრათის ძე მანელიშვილი, რომელიც რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციაში მონაწილეობდა და დაკავშირებული იყო რსდმპ ბათუმის კომიტეტთან, ბათუმის ნავთობის მრეწველობის მუშებთან. მანელიშვილი სასტიკად ებრძოდა „სედაიმილეთლებს“ და დიდ მუშაობას ეწეოდა საქართველოსთან აჭარის შეერთებისათვის. სწორედ ამის გამო იგი „სედაიმილეთლებმა“ დააპატიმრეს და სურდათ მისი ფიზიკურად მოსპობა, მაგრამ ვერ გაბედეს, რადგან ხალხი მანელიშვილის მხარეზე დადგა. ამის შემდეგაც ს. მანელიშვილი კვლავ ურყევად ემსახურებოდა თავის მიწრაფებებს, რაც ნათლად ჩანს მისი მოგონების შემდეგი სტრიქონებიდან: „სედაი მილეთის“ უფროსებმა მკითხეს — თუ შეცვალე შენი აზრიო. მე ვუპასუხე, რომ რატომ უნდა შემეცვალა აზრი, ან რა მქონდა შესაცვლელი მეთქი. ჩემი აზრი ის იყო, რომ მეზობლებთან კარგად ვყოფილიყავით, უაზრო სისხლისღვრა არ მომხდარიყო და ტყუილა ხალხი არ გვეწვალებინა“¹.

ეს ის პერიოდია, როცა ინგლისელების მიერ გაბრიყვებულნი „სედაიმილეთლები“ ჩოლოქთან ქართველი ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებნენ.

მანელიშვილი დიდ აგიტაციას ეწეოდა იმ დროს მოსახლეობაში „სედაიმილეთლების“ წინააღმდეგ, განუმარტავდა მოსახლეობას — ქრისტიანი ქართველები ჩვენი ძმები არიან და მათთან საბრძოლო შებმა უდიდესი დანაშაულიაო.

იმ დროს მოსახლეობაში დიდ მუშაობას ეწეოდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მდივანი სულეიმან ეუბის ძე დიასაშიძე. იგი დაიბადა 1895 წელს, ქალაქ ბათუმში. 1915 წელს დაამთავრა ბათუმის ვაჟთა გიმნაზია. მოწაფეობის დროიდანვე ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. მუდამ დაინტერესებული იყო აჭარის მოსახლეობის კულტურული წინსვლით და იღწვოდა მუსლიმან და ქრისტიან ქართველთა დაახლოება-დამეგობრებისა-

¹ აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 157, გვ. 118.

თვის, შეუპოვრად ებრძოდა პანისლამიზმსა და პანთურქიზმს. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა ზურგი შეაქცია ისლამის რელიგიას და დაიწყო მის წინააღმდეგ აქტიური პროპაგანდა.

ს. დიასამიძე დიდ მუშაობას ეწეოდა აჭარელ ქალთა გათვითცნობიერებისათვისაც. მისი ახსნა-განმარტების შედეგად რამდენიმე ოჯახმა მიაბარა სკოლაში ქალიშვილები. ზოგი მათგანი შემდეგ თბილისის უმაღლეს სასწავლებელშიც შევიდა.

ს. დიასამიძეს აწუხებდა არა მარტო აჭარაში მცხოვრები, არამედ მუჰაჯირობაში ჩავარდნილი აჭარლების ბედიც. მან სპეციალურად შემოიარა ტრაპიზონი, უნია, სამსუნი, სკუდარი, სტამბოლი და სხვა ადგილები, სადაც ინახულა აჭარიდან გადახვეწილი მაჰმადიანი ქართველები. აი, რას ამბობს იგი მათ შესახებ: „მუჰაჯირები დიდი სიყვარულით იხსენიებდნენ მათ მიერ მიტოვებულ სამშობლოს და ოცნებობდნენ აქეთ დაბრუნებაზე. იგონებდნენ იმას, თუ როგორ პირდებოდნენ თურქები მათ პირველად „ოქროს მთების აშენებას“ და შემდეგ კი დასცინოდნენ და „ფუშტ გურჯებს“, ანუ მოლალატე ქართველებს ეძახდნენ. მათ შერჩენილი ჰქონდათ მშობლიური ენა, სიმღერები, ზნე-ჩვეულება, ხასიათი და ქართული სახის სილამაზე. სტამბოლში მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს კარგი მეგობრობა ჰქონდათ. ხშირად ოჯახებში ერთად თავს იყრდნენ და ბაასობდნენ თავიანთ ეკონომიურ მდგომარეობაზე და ეროვნულ საკითხებზე“.

მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ს. დიასამიძეს მათთვის გაუგზავნია ი. გოგებაშვილის „დედა ენა“, ქართული ეურნალ-გაზეთები და წიგნები.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მუსავატელებმა მაჰმუდ-ბეგ ეფენდიევის, სულთან-ბეგ სულთანოვის, იური გაჯინსკისა და სხვათა მეთაურობით, აგრეთვე აჭარის რეაქციონერი თურქოფილი ბეგების, ალებისა და ხოჯების დახმარებით ბათუმში „აზერბაიჯანის საქველმოქმედო საზოგადოების“ შირმით მოიწვიეს კრება და აპირებდნენ „ისლამის კომიტეტის“ დაარსებას, რის საშუალებით ფიქრობდნენ თურქეთთან აჭარის შეერთებას. მაგრამ აჭარის პროგრე-

სულმა ადამიანებმა ჩაშალეს ეს კრება და, ამრიგად, ხელი შეუშალეს ბოროტი ზრახვების განხორციელებას. მალე აჭარის პატრიოტებმა ს. დიასამიძის მონაწილეობით თვითონ აიღეს ინიციატივა, აჭარის სოფლებიდან მოიწვიეს წარმომადგენლები და აზიზიეს ჯამეში გამართეს საოლქო კრება. ამ კრებას ესწრებოდნენ აგრეთვე ქრისტიანი ქართველები. კრებამ კვლავ მოითხოვა სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული გაერთიანება — საქართველოს გამთლიანება, აჭარაში ქართული სკოლების გახსნა, მოსახლეობაში ქართული წერა-კითხვის გავრცელება და სხვ.

ოსმალეთის მთავრობამ ს. დიასამიძე გამოაცხადა „ისლამისა და ოსმალეთის მოღალატედ“, ხოლო მეფის მთავრობამ — პოლიტიკურად არასაიმედოდ, და მას პოლიცია სისტემატურად სდევნიდა. იგი იძულებული ხდებოდა ხშირად გაქცეულიყო ბათუმიდან ხან ოზურგეთში, ხან თბილისში და იქიდან მიეღო მონაწილეობა საერთო-ეროვნული საქმის დაცვაში, ყველა ჯურის ელემენტთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად ს. დიასამიძემ შეძლო განეგრძო სწავლა თბილისის უნივერსიტეტში, რომელიც 1921 წელს დაამთავრა. ამრიგად, იგი იყო პირველი აჭარელი, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე აჭარაში უმაღლესი განათლება მხოლოდ ორ აჭარელს — რეჯებ ნიუჟარაძესა და ხასან ლორთქიფანიძეს ჰქონდა). ს. დიასამიძემ შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტში, რომელიც 1932 წელს დაამთავრა.

1921 წლიდან ს. დიასამიძე იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში საქ. კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის დავალებით მან დიდი მუშაობა გასწია ღარიბ გლეხთა კომიტეტების ჩამოყალიბებისათვის. არჩეული იყო ღარიბთა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს თავმჯდომარედ, აქტიურად მონაწილეობდა შავი მეჭლისის დაშლასა და ახა-

ლი, წითელი მეჯლისის დაარსებაში. აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შექმნის შემდეგ იგი აირჩიეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად და აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ.

რიაგორც ცნობილია, 1918 წელს ოსმალეთის ჯარებმა მოახდინეს ბათუმის ოკუპაცია. მათ იმავე წელს სცადეს რეფერენდუმის ჩატარება და ამ მიზნით ბათუმის ვალის (გუბერნატორის) ბრძანებით სოფლებიდან მოიწვიეს მოსახლეობის ზედა ფენის წარმომადგენლები სოფელ ფიჭვნარში. შეკრებას ესწრებოდა თვითონ ვალი, რომელმაც დამსწრეთ გააცნო რეფერენდუმის მიზანი, ხმის მიცემის წესი და ხალხს მოუწოდა ხმა მიეცათ ოსმალეთისათვის. ამომრჩეველთა შემადგენლობა იყოფოდა ორ ჯგუფად: ერთნი ოსმალეთის ორიენტაციისა იყვნენ, ხოლო მეორენი — საქართველოსი. ხოჯები და მოლები ეწეოდნენ აგიტაციას ოსმალეთის სასარგებლოდ, ხოლო აჭარის პროგრესული ძალები, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტში“, მოუწოდებდნენ ხმა მიეცათ საქართველოსათვის. ესენი ამომრჩეველთა შედარებით მცირე რიცხვს შეადგენდნენ. მაგრამ მაინც შეუპოვრად იბრძოდნენ ფანატიკოსების წინააღმდეგ. დიდი გაბედულება გამოიჩინა ამ კომიტეტის წევრმა ხასან თხილაიშვილმა, რომელმაც ხმის მიცემამდე განაცხადა, რომ ხმას მისცემდა საქართველოს და ასეც მოიქცა. ამის შესახებ გაზეთ „ერთობაში“ ეწერა:

„სანამ ხმის მიცემას დაიწყებდნენ, ერთმა შეგნებულმა პირმა მოისურვა ხალხისათვის სიპართლე გაეგებინებინა და კიდევაც შეძლო რამდენიმე პირის მიმხრობა. დღეს აქ, როგორც გუბერნატორი ხალხს მოუწოდებს, ისე არა დგას კითხვით, აქ სარწმუნოება არაფერ შუაშიაო, აქ არსებობს პოლიტიკური საკითხიო და არ მოვსტყუვდეთ და არ მივსცეთ ხმა ოსმალებს, ყველამ მივცეთ ხმა ჩვენს ძმებს ქართველებსო. ეს შეამჩნიეს, გუბერნატორმა მიიწვია თავისთან და შეეკითხა: „შენ მუსლიმანი ხარ თუ ქრისტიანი?“ პასუხი: „მე ქართველი მუსლიმანი ვარ“. გუბერნატორი: „ეხლა შენ“

მუსლიმანობა გინდა თუ ქრისტიანობა?“ პასუხი: „მე მუსლიმანობა მინდა, მაგრამ სულთანის ფაშების და ბეგების მონობა არ მინდა“. მაშინ გუბერნატორი განრისხდა და ასკერებს უბრძანა, ეს კაცი ყანდარმერიის უფროსს მიჰკვარეთო. შემდეგ მიიყვანეს ყუთთან ხმის მისაცემად და მან იმდენი ხალხის წინაშე საქართველოს ხმა მისცა“¹.

გაზეთი გადმოგვცემს, რომ შემდეგ გუბერნატორს იგი ყანდარმერიისათვის გადაუცია. ბევრი უწვალებაათ, უნდოდათ მისი ნებისყოფა გაეტეხათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ბოლოს ბოძზე გაუკრავთ დასახვრეტად. ასკერები ბრძანებას ელოდნენ, რომ ქართველი პატრიოტი დაეხვრიტათ, მაგრამ იგი ერთ შემთხვევას უხსნია სიკვდილისაგან. ამ დროს გერმანელი ოკუპანტები თურმე ნატანებში იდგნენ ერთი მეთაურის თანხლებით. მათ ეს ამბავი გაუგიათ, ჩამოსულან ქობულეთში და თხილაიშვილის სიკვდილით დასჯა შეუჩერებიათ. ცხადია, გერმანელების ეს საქციელი მათი გულკეთილობით არ აიხსნება; ისინი თურქებთან ცუდ დამოკიდებულებაში იყვნენ — ვერ მორიგდნენ საქართველოს გაყოფის საქმეში და სურდათ ოსმალთა ავტორიტეტი შეელახათ ქართველი მოსახლეობის წინაშე, თანაც ამ მანევრით თავი უნდა გაესაღებინათ, როგორც ცივილიზებული ქვეყნის წარმომადგენლებს.

გუბერნატორს განზრახვა ჰქონია იმ დამესვე მოესპო სიცოცხლე თხილაიშვილისათვის, მაგრამ თანამოაზრეებს მოუხერხებიათ მისი ოზურგეთში გადაყვანა, საიდანაც შემდეგ თბილისს გამგზავრებულა.

„ჩემთან, თბილისში, 1918 წლის ბოლოს ჩამოვიდა ხასან თხილაიშვილი, რომელმაც ქობულეთში თურქების მიერ ჩატარებული რეფერენდუმის დროს ხმა მისცა თურქების წინააღმდეგ და შემთხვევით გადაურჩა ჩამოხრჩობას“, — ვკითხულობთ იუსუფ ქათამაძის ავტობიოგრაფიაში².

ზემოხსენებულმა რეფერენდუმმა მიზანს ვერ მიაღწია.

¹ გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 161.

² აკარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 232.

იგი სამარცხვინოდ ჩაიფუშა. „ამ რეფერენდუმმა, რომელიც ასკერების ზედამხედველობით მოხდა, სასაცილოდ ჩაიარა; მთავრობამ შეატყო, რომ სასურველი შედეგი არ უჩანდა რეფერენდუმს და შეაჩერა იგი“¹.

ხასან თხილაიშვილს ლექსების წერაც ემარჯვებოდა. მისი ერთ-ერთი ლექსი „მესხეთს“ სამხრეთ საქართველოს წარსულ დიდებასა და „სედაიმილეთელთა“ შავ საქმიანობას შეეხება. აი ისიც:

ისტორიულად ნაქებო,
მესხეთო, ტურფა მხარეო,
შოთა რუსთველის მშობელო,
გამოიღვიძე მალეო.
შოთას სიტყვები ეხლაც კქუხს,
მესხეთო, გაიხარეო,
სიმართლის მზემან ანათოს,
მოჰფინოს ჩვენი არეო.
თამარ მეფისა ნაშენი
ციხე აქ ბლომად დგანაო,
ის მოწმობს ჩვენსა წარსულსა,
დედამ რომ გვითხრა ნანაო.
ხელს გვიწვდის დედა-სამშობლო,
— ჩემო სულიკო ნენაო,
მოდი და გულში ჩამეკარ,
არ შეგეყაროს სნებაო.
ყორნებს კი ლახვრათ ესობათ
დედის ეს ტკბილი სიტყვები
და ყოველ ღონეს ხმარობენ
შევიქნეთ კვალათ მონები.
დაძრწიან ყოველ სოფელში
უვიცნი მოქრთამულები,
მტრებს გვერდში ამოდგომიან,
ჩაუჭიბავენ ფულები.
ოჯახს გვინგრევენ, სამშობლოს
განადგურებას ლამობენ,
მტრები ფერხულს უვლიან,
ჩვენი წვალებით ხარობენ.

¹ ივანე მესხის მოგონება, აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 36, გვ. 6.

განა არ გვეყო ცრემლები,
განა არ კმარა გოდება?
რომ დღესაც არ გვასვენებენ,
ავსული აღარ გვშორდება?
ისტორიულად ნაქებო,
მესხეთო, ტურფა მხარეო,
შოთა რუსთველის მშობელო,
გამოიღვიძე მალეო“¹.

დღეა-სამშობლო საქართველოსთან აჭარის შეერთებისათვის მშრომელი მოსახლეობის გათავისუფლებისა და კულტურული აღორძინებისათვის ბრძოლაში თავისი წვლილი შეიტანა რევოლუციური მოძრაობის აქტიურმა მონაწილემ ოსმან გურგენიძემ. რსდმპ ბათუმის კომიტეტის დავალებით იგი დადიოდა აჭარის სოფლებში და ავრცელებდა ცარიზმის საწინააღმდეგო პროკლამაციებს, ამასთან ეწეოდა აგიტაციას ოსმალეთის გავლენის წინააღმდეგ. ო. გურგენიძე მონაწილეობდა ბათუმის 1902 წლის მარტის ცნობილ დემონსტრაციაში, მამაცურად იბრძოდა რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის ბარიკადებზე. მისი ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად ბევრი აჭარელი ჩამოვიდა მთებიდან და ბათუმის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა რიგებს შეემატა.

როგორც დავინახეთ, აჭარას თავისი ავბედობის უამს ბევრი ღირსეული მამულიშვილი გამოუჩნდა. ისინი წრფელი გულისტკივილით იზიარებდნენ მის ჭირსა და ვარამს და ძალ-ღონეს არ იშურებდნენ უუფლებობისა და უმეცრების წყევლიადისაგან მისი ხსნისათვის. ამ მოღვაწეთაგან ჰაიდარ აბაშიძე გამოირჩევა იმით, რომ მან პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად ბასრი კალამიც მოიმარჯვა აჭარის მტრებთან ბრძოლაში და იმავე კალმით ირგვლივ შემოიკრიბა თავისი ქვეყნის მოკეთენიც.

ჰაიდარმა თავისი საქმიანი, პირუთვნელი და მახვილი სიტყვით დიდი ყურადღება დაიმსახურა. არ დარჩენილა მისი არც ერთი სტატია, რომელზეც ქართველი საზოგადოებრიობის

¹ ვაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920 წ., № 375.

მოწინავე ადამიანებს არ გამოეთქვათ თავიანთი აზრი. ბევრ-მა მათგანმა ჰაიდარის წერილებიდან გაიგო, რომ მაჰმადიან ქართველთა ერთი ნაწილი, რომელმაც შეიცნო თავისი ქართველობა, ესწრაფვოდა დაკარგულ სამშობლოსთან დაახლოებას, რაც ქართველი ხალხის ეროვნულ გულისტკივილს მალამოდ ედებოდა. აი, რას წერდა ამის თაობაზე ლელიანი:

„როგორც ბ. ჰაიდარ-ბეგ აბაშიძის წერილიდან სჩანს, შეგნებულ მაჰმადიან ქართველების ნებისყოფა ხელახლა დაკარგულ სამშობლოსკენ მიისწრაფვის. ამ ხალხის სურვილი კი, ყოველ შემთხვევაში, უმაღლესი კანონი უნდა იყოს ქართველებისათვისაც და ამიერკავკასიის მაჰმადიანებისათვისაც“¹.

ჰაიდარი მარტო თავისი წერილებით არ კმაყოფილდებოდა, თანამოაზრეებსაც ავალებდა გამოეთქვათ თავიანთი გულისტკივილი პრესის ფურცლებზე და, ამრიგად, ბევრი თანამოკალმე გაიჩინა. „პრესის საშუალებით ხმას იღებენ როგორც მაჰმადიანი ქართველი მამაკაცები, ისე მათი ქალებიც, — წერდა „სახალხო გაზეთი“, — ამის აშკარა საბუთი გახლავთ ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე... და სხვა, რომელთა გონივრული წერილებიც იბეჭდება „ბათუმის გაზეთში“². ქართველ მოღვაწეებს ძლიერ ახარებდათ ეს ამბავი. მ. ჯანაშვილი ჰაიდარს და მის თანამემამულეებს სთხოვდა მეტი დაეწერათ აქარაზე. „ჰაიდარ-ბეგ აბაშიძეს და მის მეყვისეებს მივმართავ თხოვნით, შეასრულონ ჩვენი გულითადი წადილი და მოგვცენ თავიანთი მოჭირახულე და ბრწყინვალე სამშობლოს ვრცელი აღწერა.

მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველები ყველა ღვიძლი ძმები. ვართ, ჩავჭიდოთ ხელი ერთმანეთს და პატიოსანი შრომით აღვაყვავილოთ ჩვენი მარად ტურფა სამშობლო“³.

ჰაიდარ აბაშიძის მთავარი საზრუნავი იყო აქარა დღეს-საქართველოს დაბრუნებოდა და კვლავ ქართულ ეროვნულ

¹ გაზ. „საქართველო“, 1917 წ., № 27.

² გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1914 წ., № 1145.

³ მ. ჯანაშვილი, „მესხეთი“, 1915 წ., გვ. 23.

ნიადაგზე აყვავებულიყო. იგი- გაათრებით ებრძოდა ყველა-
იმას, ვინც აჭარლებს „თათრებს“ უწოდებდა. ამის თაობაზე
მან საგანგებოდ წერილები მისწერა ცნობილ ქართველ საზო-
გადო მოღვაწეს ზაქარია ჭიჭინაძესა და სხვებს და მოითხო-
ვა მათგან — ჩვენ, აჭარლებს „თათრებს“ ნუ გვეძახით და
ნურც ეურნალ-გაზეთებში გვიხსენიებთ ამ სახელითო. ამ
წერილის საპასუხოდ ზ. ჭიჭინაძემ გაზეთ „სამშობლოს“ რე-
დაქტორს გაუგზავნა წერილი, სადაც აღნიშნავდა: მთელი
აჭარა, შავშეთი და ბევრი სხვა რაიონი დამივლია, სადაც
ქართულ ენაზე ლაპარაკობენ და მაინც ზოგიერთი თავისთავს
„თათარს“ ეძახის; მეც მათი ზეგავლენით ჩემს წიგნებში
აჭარლებს დღემდე „თათრებად“ ვიხსენიებდიო. „ეხლა რა-
კი გონიერებამ გაიმარჯვა და ქართველ მაჰმადიანთაგან
თქვენგვარი პირები მოგვევლინენ და მათ კალამიც აიღეს
ხელში და დაიწყეს მხარეების შეგნება, საუბარი და კამათი,
ამიტომ მეც ეს კილო შევიცვალე და უკვე ხუთ წელიწადზე-
მეტი იქნება მას შემდეგ გასული, რაც მე „თათრის“ მაგიე-
რად ქართველ მაჰმადიანს ვხმარობ... ჭეშმარიტად მოხარუ-
ლი ვარ, რომ ქართველ მაჰმადიანების შესახებ თქვენ ხში-
რად საუბრობთ და წერთ. იმედია, რომ ჩვენს თანაგრძნო-
ბას თქვენდამი წრფელი გულით შეხედავთ და იმაშიც და-
მერწმუნეთ, რომ დღეის შემდეგ ჩემს წიგნებში „თათარი“
აღარ იქნება ნახმარი“¹.

აი, როგორი გავლენა იქონია ზ. ჭიჭინაძეზე ჰაიდარის
პირუთვნელმა წერილმა. ზ. ჭიჭინაძეს სასიამოვნოდ და-
ურჩა ის გარემოება, რომ ქართველი მაჰმადიანები ძლიერ
თაკილობდნენ, თუ მათ „თათარს“ დაუძახებდა ვინმე. ყვე-
ლა მოწინავე ქართველი აღტაცებული იყო ჰაიდარის გულ-
წრფელი პატრიოტობით. როცა ჰაიდარ აბაშიძე ქუთაისში
წ. ასათიანის მიერ გამართულ სალიტერატურო სადამოზე გა-
მოვიდა და მოჰყვა, როგორ გავიგე მე, რომ ქართველი
ვარო, ხალხი მხურვალე ტაშით შეხვდა. ლ. მაჭავარიანმა
იმავე საღამოს ჰ. აბაშიძეს მიუძღვნა ლექსი:

¹ ზ. ჭიჭინაძე, გაზ. „სამშობლო“, 1915 წ., № 106.

გაიგე, რომ ხარ სულით ქართველი,
იცან სამშობლო, შენი ქვეყანა,
მოწყვეტილ ყვავილს ძუძუ გაწოვა,
გზარდა, გალალა და გეაკვანა...
სულის სიღრმეში ჩაგწვდა ბრძოლის ხმად
ღედის ტკბილ რძესთან ღედის ნანინა,
იმედის სხივად იქცა სიციოცხლე,
ცრემლად ღაწვებზე რომ დაგადინა¹.

ასეთი სიყვარულით სარგებლობდა ჰაიდარ აბაშიძე ქართველ საზოგადოებრიობაში.

როცა 1916 წელს ბათუმის ადმინისტრაციამ ჰაიდარია მასწავლებლობიდან გადააყენა, ამ ამბავმა ქართველი მოღვაწეები ძლიერ აღაშფოთა. ბევრმა მათგანმა თავისი უკმაყოფილება წერილობით გაზეთშიც გამოთქვა, თან ჰაიდარიც გულმხურვალედ დაახასიათა. „...მისი სალი ქკუა, განშორებული სარწმუნოებრივ მიბრჯნილობას (ფანატიზმს), ძლიერ მალე მიხვდა ქართველ მუსლიმანთა ცხოვრების მწარე სინამდვილეს და ხმამაღლა, თამამად და მოუერიდებლად იწყო ქადაგება თავის თანამოძმეთა შორის ქართული ეროვნული შეგნების შესახებ“². — წერდა „შენი ჩაქუჩი“. „ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე ქართულ საზოგადოებაში კარგად ცნობილი პიროვნებაა. მისი ღვაწლი მაჰმადიანთა გათვითცნობიერების საქმეში მრავალფეროვანი და დიდად ნაყოფიერია“, — ვკითხულობთ სერგო გერსამიას წერილში³.

ჰაიდარ აბაშიძის ეროვნული მოღვაწეობა მეფის მოხელეებს არ დარჩათ შეუშინველი. აჭარის რეაქციონერებმა და ბათუმის გუბერნატორმა გადაწყვიტეს აჭარიდან მისი გაძევება. ამაზე გაზეთ „სახალხო ფურცელშიც“ გამოქვეყნდა ცნობა: „ბათუმის კომენდანტის ბრძანება ქართველ მაჰმადიან ჰაიდარ აბაშიძის ბათუმში ცხოვრების აკრძალვის შესახებ“⁴.

მიუხედავად სამშობლო კუთხიდან გადასახლებისა, ჰაი-

¹ ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., № 26, გვ. 9.

² ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1916 წ., № 48.

³ გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., № 701.

⁴ იქვე, 1917 წ., № 894.

დარ აბაშიძე კვლავ დაუცხრომლად განაგრძობდა აჭარის შემომტკიცება-აღორძინებისათვის ბრძოლას. იგი რევოლუციის შემდეგ განთავისუფლდა ჟანდარმერიის მხრივ დევნისაგან. ამ დროს ბათუმში ოკუპანტები ერთიმეორეს ცვლიდნენ და მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი შეიქმნა. ევროპის „ცივილიზებული“ ოკუპანტები ხალხს უკიდურეს პირობებში აყენებდნენ, რის გამო ქალაქად და სოფლად სისტემატურად ხდებოდა აჯანყებები, რაც გაგრძელდა 1921 წლის 18 მარტამდე. მოკავშირეების მიერ ბათუმის ოკუპაციას ჰაიდარ აბაშიძე ერთი წუთითაც ვერ ურიგდებოდა და, ამრიგად, სრულებით არ იზიარებდა ქართველი ხალხის მოღალატეების — მენშევიკების მთავრობის შეთანხმებას იმპერიალისტებთან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პ. აბაშიძის კრიტიკული განსჯა ვერ სწვდებოდა მენშევიკ „მმართველთა“ გაკოტრებულ პოლიტიკას და ვერ ააშკარავებდა იმპერიალისტების ნამდვილ ზრახვებს, იმპერიალისტებისა, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ილესავდნენ კბილებს. ამასთან, მართალია, ჰაიდარი ბოლშევიკური პარტიის წევრი არ იყო, მაგრამ თავისი მისწრაფებებითა და პრაქტიკული საქმიანობით ბოლშევიკურ იდეებს ემსახურებოდა.

დიდია პ. აბაშიძის ღვაწლი აჭარის წინაშე, ამ კუთხის ეროვნული გამოფხიზლებისა და კულტურული დაწინაურების საქმეში.

ჰაიდარ აბაშიძემ დიდი საქმე გააკეთა, მან ბევრი საინტერესო ფურცელი შეჰმატა საქართველოს ისტორიას თავისი შინაარსიანი წერილებით, რომლებიც აჭარის იმდროინდელი ცხოვრების ცალკეული მოვლენების შესწავლისათვის საუკეთესო საბუთებს წარმოადგენენ. პ. აბაშიძეს აღრევე სურდა წიგნად გამოეცა ეს სტატიები. ამის შესახებ ჯერ კიდევ 47 წლის წინათ ჟურნალ „თეატრ და ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა ასეთი ცნობა:

„ქართველი მაჰმადიანი ჰაიდარ აბაშიძე ბეჭდავს წიგნს აჭარლების შესახებ. წიგნში მოთავსდება ყველა ის წერი-

ლები, რომლებიც ომის შემდეგ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა. წიგნის დარიგებას (ავტორი) უფასოდ ფიქრობს¹.

ჰაიდარ აბაშიძის პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე, მგზნებარე, სხარტი წერილები დღეს მზეურდება ერთ წიგნად შეკრული. ამ კრებულში მკითხველი გაეცნობა საქართველოს განუყოფელი კუთხის — აჭარის ცხოვრებისა და ბრძოლის ღირსშესანიშნავ მოვლენებს.

ხ. ახვლედიანი

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

¹ ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ 1916 წ., № 137, გვ. 16

ᄒᄒ ᄒᄒ ᄒᄒ ᄒᄒ ᄒᄒ ᄒᄒ

როდის გავიგე მე, რომ ქართველი ვარ

პირველად მამაჩემმა ბათუმის ქართულ სასწავლებელში მიმაბარა. ეს იყო დაახლოებით 900-იან წლებში. სასწავლებელში შესვლისას ერთმა კაცმა მომკიდა ხელი, შემიყვანა კლასში და დამსვა სკამზე. მე გაკვირვებული და შეშინებული ვიცქირებოდი ირგვლივ, მოუთმენლად ველოდი „ხოჯას“ შემოსვლას. კლასში დავინახე რამდენიმე ბავშვი წითელ ფესკებში. მათი დანახვა გამეხარდა და ვიფიქრე: „აწი რა მიჭირს, გარდა ქართველებინა — გიაურებისა, აქ ჩვენი თათრებიც ყოფილან-მეთქი“. ბევრი დრო არ გასულა, მომესმა რაღაც რეკვა. მოწაფეები ამ ხმის გაგონებაზე ფეხზე წამოდგნენ. მეც ავყევი იმათ და გავედით სკოლის ეზოში, სადაც კიდევ სხვა წითელფესკიანებიც დავინახე. მათ შორის ნაცნობებიც აღმოჩნდნენ. ნაცნობების დანახვამ ჩემი სიხარული გააორკეცა. წითელფესკიან ნაცნობებს შევეკითხე — „რას აკეთებთ, რისთვის მოსულხართ აქ?“ მათ მიპასუხეს: „ჩვენ აქ ვსწავლობთო“. — „თქვენ კი სწავლობთ, მაგრამ, ერთი მითხარით, ჩვენთან როდის შემოვა ხოჯა?“ — შევეკითხე. მიმითითეს იმ კაცზე, რომელმაც მე პირველად შემიყვანა კლასში და მითხრეს: „აი ეს არის ჩვენი ხოჯა, რომელსაც ქართულად მასწავლებელს ეძახიან და ჩვენებურად კი, ესე იგი თურქულად ხოჯასა“. დარეკეს. შევედით კლასში. ჩამოვარდა სიწყნარე: მასწავლებელმა აიღო ხელში წიგნი, მიათითა ხელი ერთ ფესკიან მოწაფეს და უთხრა:

— „თათრახან“, გამოდი დაფასთან!

დროთა ვითარებაში, სკოლაში ყოფნისას ვაკვირდებოდი და ყოველდღე ვამჩნევდი, რომ ჩვენი მასწავლებელი, საზოგადოდ, ფესკიან მოწაფეებს „თათრახანს“ ეძახდა, ქართველი

მოწაფეები კი მათ თათრებს უწოდებდნენ. ეს სახელწოდება ფესკიანებს სრულიად არ ეუცხოებოდათ, პირიქით, სიამოვნებასაც გვრიდათ.

ერთ დღეს, გაკვეთილზე ჩვენი მასწავლებელი უნებლიედ გავაჯავრე, რისთვისაც გაჯავრებული კილოთი მითხრა:

— „თათრახან“, ნუ ეშმაკობ!

სკოლიდან დაბრუნებისას მამას ვუამბე:

— მამა, ჩვენ, თათრებს მასწავლებელი „თათრახანს“ გვეძახის.

მამისაგან შემდეგი პასუხი მივიღე:

— თათარი კი, მაგრამ ეს „ხანი“ რა არის, მართალი გითხრა, შვილო, არ ვიცი.

— შვილო, თქვენ, თათრებს მასწავლებელი გეფერებათ და „ხანი“ ხართო, — გეუბნებათ, — დაუმატა დედამ.

— მოფერება კი არა, ისე გაჯავრებით მითხრა, რომ შიშმა ამიტანა-მეთქი, — მივუგე მე.

მეოთხე წელზე პირველდაწყებითი სასწავლებელი მივატოვე და გადავედი ბათუმის საქალაქო სასწავლებელში. აქ სხვა სურათი გადამეშალა. ახლოს გავეცანი რუს და ქართველ მოწაფეებს. რუსი მასწავლებლები და მოწაფეები ჩვენ, მაჰმადიანებს გვეძახდნენ „ტუროკს“, ქართველები კი — „თათრებს“. გვეგონა „თურქი“ რუსული სახელწოდება იყოს „თათრის“. აი, სწორედ ამიტომ არ გვეუცხოვებოდა, რუსები ჩვენ — თათრებს „თურქებს“ რომ გვეძახდნენ. საქალაქო სასწავლებელში მხოლოდ ერთი წელიწადი დავრჩი. შემდეგ მამაჩემმა 1905 წელს გამგზავნა საზღვარგარეთ ოსმალური ენის შესასწავლად. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ოსმალეთში „გურჯი“ მიწოდეს. ჩავფიქრდი. ეს რა ამბავია: ხან „თათარი“ ვარ, ხან „თათრახანი“, ხან „თურქი“ და ხან კი „გურჯი“-მეთქი?

ოსმალეთიდან დავბრუნდი 1908 წელს, ისევ შევედი ბათუმის საქალაქო სასწავლებელში, რომელიც 1912 წელს დავამთავრე.

რუსულ, თურქულ წიგნებში აღტაცებით ვკითხულობდი სავშობლოს შესახებ ლექსებს და მოთხრობებს. მაშინ აზ-



ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის ქართული სკოლის მასწავლებელი ევლიანე გოგოლაშვილი (1) და მისი მოწიფეები: მათ შორის — ამ წიგნის ავტორი ლადარ ანაშიძე (2), პოეტისორი კახახე მეგრელიძე (3), პედიატრი პიმენ დანგოშვილი (4), ცნობილი ბოლშევიკი ალექო ყოფიკაშვილი (5), მწერალი იოლით კავკარაძე (6), ეკონომისტი სავა ბერბენიშვილი (7), დამასხურებელი ფაბრიკეტი ალექსანდრე თირო-შვილი (8) და სხვ., 1904 წ.

სხვათა შორის, ჩვენი დაუღალავი მუშაკის, ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის ნაწარმოებიც და მითხრა:

— მოდი, დავჯდეთ და ამ წიგნებს გადავხედოთ.

მეც დავეთანხმე და დავიწყეთ კითხვა. წასვლისას კი დამიტოვა ის წიგნები. რამდენიმე დღის შემდეგ დავუწყე ძებნა ჩემს ძვირფას მეგობარს, ვინახულე და ვუთხარი:

— მითხარი, როდის ითამაშებენ ჩვენს ქართულ თეატრში „ლალატს“, უსათუოდ კიდეც უნდა წავიდე.

მაშინ მან ტკბილად გაიცინა და მითხრა:

— მოდი ჭკუაზე?

მე ამაზე ვუპასუხე:

— ენ არა კმარა! საჭიროა სხვებიც მოვიდნენ ჭკუაზე, და მასთან ერთად შეიგნონ და შეაგნებინონ გზაკვალაბნეულ, დაბეჩავებულ ქართველ მაკმადიანებს, რომ ისინი არიან ქართველები, მათი დედა ენა ქართული ენაა და სამშობლო კი კონტა საქართველო...

ამასთანავე არ შეიძლება არ მოვიხსენიო ის გარემოებაც, რომ ჩემსა და სხვა ქართველი მაკმადიანების გამოფხიზლებას დიდად შეუწყო ხელი მრავალ დასაბუთებულ წერილთა მეოხებით „ბათუმის გაზეთმა“. რომელიც ჭელიძის რედაქტორობით გამოდიოდა და რომლის თანამშრომელიც გახლდით. ამავე ღრის ბათუმში დაარსდა მუდმივი ქართული დრამატული დასი. როგორც ქართულმა გაზეთმა, ისე ქართულმა თეატრმა დიდად შეუწყო ხელი ქართველ მაკმადიანებს შორის ქართული ენის და ქართული შეგნების გავრცელებას. ამასთანავე, 1912 წლის შემდეგ მე დავუახლოვდი ბათუმის საშუალო სასწავლებელში მოსწავლე რამდენიმე ქართველ ახალგაზრდას, რომლებთან კავშირმა გულში საქართველოს სიყვარული უფრო მეტად გამიღვივა¹.

¹ ეურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., 28 ივნისი, № 26, გვ. 10—12.

ხმა ქრისტიან მოძრაობას*

მრავალი საუკუნის შინაური და გარეული ბრძოლით და ომებით ჩვენი საერთო სამშობლო — საქართველო დაიძაბა. ამით გარეშე მტრები სარგებლობდნენ და ჩვენს ქვეყანას უფრო და უფრო აწიოკებდნენ და აოხრებდნენ. ეს ასე იყო საზოგადოდ, მაგრამ მე აქ აღვნიშნავ მე-16 და მე-17 საუკუნეებში ოსმალების შემოსევას და მის შედეგებს. ოსმალებმა ტრაპიზონიდან დაწყებული ნელ-ნელა დაიპყრეს საქართველოს სხვადასხვა ნაწილი აჭარა-ქობულეთამდის და მალე აჭარა-ქობულეთიც ჩაიგდეს ხელში. შემდეგ მათ მართო გამარჯვება არ იკმარეს და მოინდომეს ჩვენი წინაპრების გამაჰმადიანება. ბევრი აწიოკების, აოხრების და ხალხის წამების შემდეგ მათ განამტკიცეს მაჰმადის სჯული დაპყრობილ ადგილებში. მაგრამ მაჰმადის სარწმუნოების მიღების შემდეგაც არ მოასვენეს ხალხი. მერე შეუდგნენ მისი კულტურის აღმოფხვრას. დაუწყეს დევნა ქართულ ენას და განადგურება ისტორიულ-კულტურულ ნაშთებს. ამ შირიკ ოსმალებმა მიზანს მიაღწიეს და რამდენიმე ადგილას მოსპეს ქართული ენის ხსენებაც კი, ხოლო ყველგან ვერ შესძლეს; აჭარა-ქობულეთამდე ოსმალეთის ხელში ყოფილ საქართველოში დღემდე დარჩენილია ძველი ქართული ენა. გამაჰმადიანებული ქართველები ნელ-ნელა შეეჩვივნენ ოსმალეთის სჯულ-კანონებს და მათ შორის განმტკიცდა მაჰმადის სჯული. მაჰმადიანი ქართველები ჯერ კიდევ ოსმალეთის ქვეშევრდომნი იყვნენ, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა და რამდენიმე ხნის შემდეგ, სახელდობრ, 1878 წ. რუსეთმა

* რედაქცია დიდი სიამოვნებით უთმობს ადგილს ჩვენი თანამომგ ახალგაზრდა მაჰმადიანი ქართველის წერილს. („ბათუმის გაზეთი“).

შეიერთა ოსმალეთის ხელში ყოფილი საქართველოს ნაწილი — აჭარა და სხვ.

ამ მხარეს რომ ისტორიულად თვალი გადავავლოთ, საზარელი სურათი გვიდგება თვალწინ. მთელი სამი საუკუნის განმავლობაში კულტურული წინმსვლელობის მაგიერ იგი ერთ წერტილზე გაიყინა, დაჰკარგა ძველი კულტურის ნაანდერძევი და ჩამორჩა უკან თანამომემ ქრისტიან ქართველებს. საქრისტიანო საქართველომ დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ და განვითარდა. მას დღეს თითქმის შეუძლია გვერდში ამოუდგეს დასავლეთ ევროპის კულტურულ პატარა ერებს. მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, დაეწაფა ვაჭრობა-მრეწველობას, განავითარა მწერლობა, ლიტერატურა და ხელოვნება, შექმნა კულტურული დაწესებულებანი და სხვ.. გამაჰმადიანებულ საქართველოში კი ამ დროს ხალხმა თავის დედა ენაზე წერა-კითხვაც კი არ იცის. ეროვნულადაც კი არ არის გათვითცნობიერებული, სიბნელითა და უმეცრებით მოცული გადაგვარების გზაზეა დამდგარი და დაემსგავსა პირველყოფილ ხალხს. ოდესღაც ეს მამაცი და ამაყი ხალხი, დღეს კი ეკონომიურად და გონებრივად დაბეჩავებული, მიტოვებულია ღვთის ანაბარად. არავინ მისთვის არ ზრუნავდა და არც ზრუნავს. რა გაუკეთა მას ოსმალეთმა იმდენი ხნის განმავლობაში, როცა იგი მის ხელში იმყოფებოდა? ის, რომ გამოუცვალა სჯული და აღმოფხვრა მასში კულტურის ნასახიც კი. ენით შებღალული და დაჩაგრული მაჰმადიანი ქართველები გახდნენ რუსეთის ქვეშევრდომნი. მაშინ ისინი შეშინდნენ და დაფრთხნენ. ეგონათ, რომ ახლაც ისეთი დღე მოელოდათ, რაც მათ ოსმალეთმა დაჰმართა, ე. ი. ხელახლა სჯულის გამოცვლა, ვაი-ვაგლახი და აწიოკება. ამიტომ შეშინდნენ და ნაწილი ოსმალეთში გადაიხვეწა, დანარჩენები კი უცდიდნენ რა იქნებოდა და როგორ მოეწყობოდა რუსეთის ორთავიანი არწივის ფრთებქვეშ მათი ცხოვრება. ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთ პირობებში მათ არ შეეძლოთ ეზრუნათ სწავლა-განათლებლაზე და როცა ხალხი თავის თავზე არ ზრუნავს, მისთვის ხომ თავს არავინ იწუხებს. ასეც მოხდა. ამოდენა მხარეში მეტად მცირეა პირ-

ველდაწყებითი სკოლები და რაც არის, ისიც უნაყოფოა მაჰმადიანი ქართველებისათვის, რადგან სწავლა იქ უცხო და გაუგებარ ენაზე სწარმოებს. ჩვენი ხალხის გამოღვიძება და კულტურული ცხოვრების ფერხულში ჩაბმა შეიძლება მისი ადამიანურ უფლებათა აღდგენით, მაგრამ სად არის ეს ადამიანობა, როდესაც მას ეუბნებიან — შენ რადგან მაჰმადიანი ხარ, მუსულმანი, თურქ-ოსმალთა ხარ და არა ქართველი. არც ენა, არც გვარი, არც სოფლის სახელები, არც ჩვენი ძველი კულტურის ნაშთები არა გვშველის ჩვენი ვინაობის დასამტკიცებლად. და ამიტომ იმ თითო-ორთა სკოლით, რომლებიც გახსნეს ჩვენში, ვერ ვსარგებლობთ, რადგან ჩვენს ენაზე არ არის სწავლა. ამასთან, მას შემდეგ, რაც ამ ხალხმა მაჰმადის სჯული მიიღო, ნელ-ნელა შეწყვიტა ქრისტიან თაწამოძმეებთან კავშირი, რადგანაც ეს ცოდვად მიაჩნდათ. ბევრი დღესაც ასე ფიქრობს, ვინაიდან მისი აზრით, თუ ქრისტიანთან კავშირი დაიკავა, მაშინ ის სჯულს ღალატობს. სამწუხაროდ, ქრისტიან ქართველებსაც რაღაც უხერხულად მიაჩნიათ მაჰმადიან ქართველებთან კავშირი. ეს ითქმის უმრავლესობაზე. ასეთი მდგომარეობა აღარ უნდა გაგრძელდეს. საჭიროა მაჰმადიან ქართველობაში შეგნების შეტანა და მათი გათვითცნობიერება. ეს კი უნდა ითავოთ თქვენ, ქრისტიანმა ქართველებმა. რა ვუყოთ, რომ სჯული სხვადასხვა გვაქვს, ეს ჩვენს კავშირს ხელს არ შეუშლის.

მაშ, თქვენ უნდა ეცადოთ, როგორც ჩვენი მოძვე და დღეს როგორც სწავლა-განათლებით ჩვენთან შედარებით ბევრად წინწასულნი, დაეხმაროთ თქვენს თანამოძმეებს წერა-კითხვის შესწავლაში, რომ ამის საშუალებით გათვითცნობიერდნენ ისინი და იცნონ თავიანთი თავი. ჩვენ დღეს თქვენგან მოველით მტკიცე საძიკველის ჩადგმას და ცხოვრების გზაზე გამოსვლას. შეიძლება ამ მუშაობაში თქვენ ბევრი დაბრკოლება გადაგელობოთ წინ, საყვედურებიც გაიგონოთ და ბევრი შრომაც დახარჯოთ, მაგრამ რაც უნდა იყოს, უნდა დაგვეხმაროთ ჩამორჩენილ ძმებს, მით უმე-

ტეს თქვენი შრომა უნაყოფოდ არ ჩაივლის. ნუ შეგიშლით
ხელს ნურავითარი დაბრკოლებანი, მოგვეპყარით, როგორც
ძმებს, წაგვიძეხით წინ, გვასწავლეთ წერა-კითხვა და ამოგ-
ვიყენეთ თქვენს გვერდით. ჩვენი ჩამორჩენა თქვენთვისაც
შავნებელია, ჩვენი უმეცრება, როგორც ჩვენი, ისე თქვენი
სირცხვილიცაა, რადგან ჩვენ ერთნი ვართ.²

„ბათუმის გაზეთი“, 1913 წ., 17 თებერვალი, № 9, გვ. 2-3.

როდემდის ვიძინებით ასე?

დღეს ყველანი კარგად ვხედავთ, თუ რამდენად დაცემულია კულტურული მხრით, მაჰმადიანი ქართველები. ამის უმთავრესი მიზეზი ჩვენს შავბნელ ისტორიულ წარსულში მარხია. მაჰმადიანი ქართველობა ეროვნულად დაბნეულობას განიცდის.

ისინი ლაპარაკობენ ორ ენაზე: ქართულად და თურქულად, მაგრამ კარგად არც ერთი არ არის განმტკიცებული. თათრული ენის ცოდნა იმდენად საჭირო არ არის, როგორც ქართული ენისა. რასაკვირველია, კაცმა რამდენი მეტი ენა იცის, იმდენად უკეთესია, მაგრამ სამშობლო ენა კი სხვაზედ უფრო საჭიროა... დღეს ქართველ მაჰმადიანებს არც შეუძლიათ და ვერც სარგებლობენ თათრული კულტურით. ისევ თუ ვინმე რაიქვს წაიკითხავს, მოთხრობას, ლექსს და სხვ... ქართულ ენაზედ, მაგრამ ძლიერ ცოტას და უხასიათოდ. როცა ხალხი არ აფასებს კულტურულ განვითარებას, მას არ შეუძლია შექმნას კულტურული მოღვაწენი. მაგალითად, ავიღოთ ვლადიკავრ ალექსი-მესხიშვილის იუბილე. მას დიდი აღტაცებით მიეგება ბათუმის ქართველი საზოგადოება, ისე როგორც სხვა ქალაქებში. აქ მიეგება არა თუ მარტო ქართველი საზოგადოება, არამედ სომხებიც. როცა აგრე აღტაცებით ეგებებოდნენ ამ დიდებულ მოღვაწის დღესასწაულს, სად იყვნენ მაშინ ქართველი მაჰმადიანები? შეიძლება თქვენ თქვათ, რომ თუ ქრისტიანი ქართველები მიეგებებოდა, ეს იმათ ნიშნავს, რომ მასში გამოხატულია ქართველი მაჰმადიანებიცო. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ჩვენ კიდევ ვერა ვართ იმდენად შეერთებული და შეთვისებული, რომ ერთის სიტყვაში მეორის სიტყვა იხატებოდეს და ერთის სიხარულში მეორეს სიხარული. მესხიშვილის და სხვა ქართველ მოღვაწეთა დღესასწაულში თუ გლოვაში ვერ შევეერთ-

დით ერთად ეს ორი ახლო მოძმენი და ერთის გულის ვერ აღვნიშნეთ სიხარული ანუ მწუხარება. რასაკვირველია, აქ ყოველთვის გამორჩენილი ვიყავით ქართველი მაჰმადიანები. ეს ჩვენი ჩამორჩენის ბრალია, მაგრამ არც ჩვენს ქრისტიან თანამოძმეებს ეპატიებათ, რომ ასე გულგრილად გვეპყრობიან, არ გვიყენებენ გვერდში, არ გვიჩვენებენ გზას, თუ რომელ გზაზედ უნდა ვიაროთ. მდაბიო ხალხიდან დაწყებული მოინტელიგენტო პირებამდე, ქრისტიანთაგან გვესმის ჩვენი სჯულის და ფანატიკოსობის კიცხვა. ამას კი სარგებლობის მაგიერ ვნება მოაქვს. სჯული ჩვენ სრულიადაც ხელს ვერ შეგვიშლის, რომ ჩვენს საერთო დედა ენაზე ცოდნას და განვითარებას დავეწყოთ და თვალი გავახილოთ. ჩვენ უნდა დავინტერესდეთ ჩვენი სამშობლოს ბედ-იღბლით, მისი კულტურით და წინმსვლელობით, ჩვენ უნდა კვალდაკვალ გავყვეთ ჩვენს თანამოძმე ქრისტიან ქართველებს ევროპული ცივილიზაციის გზაზე, თუ გვინდა, რომ თავი დავაღწიოთ გადაგვარებას და გადაშენებას³.

„ბათუმის გაზეთი“, 1913 წ., № 27, გვ. 2.



ჰიდატ აბაშიძე. 1918 წ.

სამწუხარო ჩვეულება

ქართველი ერის იმ ნაწილს, რომელნიც მაჰმადის სჯულს ვემსახურებით, გვეძახიან „თათრებს“ და ამ სახელს კი ჩვენ — ქართველი მაჰმადიანნიც თანაფუგრძობთ. მაგრამ თუ რა დიდი გამოურკვეველი შეცდომაა აქ, ის კი არ ვიცით და ყურადღებასაც არ ვაქცევთ, არც ქართველი მაჰმადიანები და არც ჩვენი მოძმე ქართველი ქრისტიანები. არ ვიცით, რისთვის გვეძახიან ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს — „თათრებს“ და ამ სახელს რად თანაფუგრძობთ ჩვენ, ქართველი მაჰმადიანები? თუ იმისათვის, რომ ჩვენ მაჰმადის სჯულს ვემსახურებით, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ სარწმუნოებას არ შეუძლია ეროვნების გამოცვლა.

ქართველ მაჰმადიანს რომ ვინმე დაეკითხოს — ვინა ხარო, ის უპასუხებს — „თათარიო“, და ძლიერ იშვიათია ისეთი პირი, რომელმაც უპასუხოს — „ქართველი მაჰმადიანიო“. ის პირი, რომელიც ამბობს „თათარი ვარო“, შემცდარია, მაგრამ შემცდარია ის პირიც, ვინც ერთად ამბობს „ქართველი მაჰმადიანიო“, რადგან არ არის მიღებული, რომ როდესაც ეროვნებაზე გეკითხებიან, სჯულიც დაუსახელო. მაგალითად, ავიღოთ ჩვენი მოძმე ქართველი ქრისტიანი. იმას რომ ვეკითხოთ „ვინა ხარო“, ის ხომ არ გიპასუხებს — „ქართველი ქრისტიანიო“, არამედ მოკლედ გეტყვის — „ქართველიო“, და თუ სარწმუნოებაზე ჰკითხე, მაშინ კი გეტყვის — „ქრისტიანიო“. საჭიროა ჩვენ, ქართველმა მაჰმადიანებმაც, თუ ვინმე დაგვეკითხება „ვინა ხარო“, ვუპასუხოთ — „ქართველიო“, და თუ სარწმუნოებაზე გვეკითხეს — „მაჰმადიანიო“. ჩემი აზრით, ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს შეცდომით გვეძახიან „თათრებს“, მხოლოდ ეს შეცდომა ჩვეულებად გადაიქცა და ეს ჩვეულება ჩვენი

ქართველი მაჰმადიანებისათვის დიდად სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ეს ჩვეულება გვიკარგავს ჩვენს ეროვნულს სახეს, ჩვენს ქართველობას. ახლა კი, როდესაც ვიტყვით სიტყვა „ქართველს“, მაშინვე თვალწინ გვიდგება ქართველი ქრისტიანი და არა ქართველი მაჰმადიანი. ამისათვის საჭიროა ქართველი მაჰმადიანები ამ სამწუხარო ჩვეულებას გადავეჩვიოთ, რომ სრულიად არ დაგვეკარგოს ჩვენი ვინაობა, ჩვენი ნამდვილი ეროვნული სახე. ამ სამწუხარო ჩვეულების გადაჩვევას კი დიდად ყურადღება უნდა მივაქციოთ როგორც ჩვენ, ქართველმა მაჰმადიანებმა, ისე ჩვენმა მოძმე ქართველმა ქრისტიანებმაც¹.

„ბათუმის გაზეთი“, 1913 წ., № 34, გვ. 3—4.

ქართველი მუსლიმანების საეუროპულად

ქართველი მუსლიმანების ერთი ნაწილი, როგორც ვხედავთ, დიდი უკმაყოფილო დარჩენილა ჩემი წერილის შინაარსით — „სამწუხარო ჩვეულება“, რომელიც მოთავსებული იყო „ბათუმის გაზეთში“. ვერ ამიხსნია, თუ რა იყო აქ საწყენი? მე სარწმუნოებაზე არ მქონია სრულებით ლაპარაკი. ისინი კი, ამისდა მიუხედავად, მაინც ავრცელებენ ხმას, ვითომ ჩემი წერილი მუსლიმანობის წინააღმდეგი იყოს. რას მივაწეროთ ასეთი სამწუხარო მოვლენა, თუ არა გაუგებრობა? მაგრამ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ეს ხალხი, გაუგებრობის გამო სიცრუეს და ჭორებს ავრცელებს, რაიცა მეტად შავნებელია ჩვენთვის. თუ მათ იმ წერილის შინაარსი მუსლიმანობაზე წინააღმდეგობად ჩათვალეს, მაშინ მათ არაფერი არ ესმით, როგორც მუსლიმანობის, აგრეთვე იმ საკითხის შესახებ, რასაც ვწერდით. ამიტომ ვთხოვ ხსენებულ პირებს, ნუ ავრცელებენ მუსლიმანებში უმართებულო სიტყვებს და ნუ უბნევენ ქართველ მუსლიმანებს გზას, რადგანაც უმისოდაც დაბნეული გვაქვს გზაკვალი. ვთხოვ მათ, ან დამიმტკიცონ ის, რომ ჩემი წერილი იყო მუსლიმანობის, მაჰმადიანობის წინააღმდეგი და ან დაანებონ თავი იმ უსაბუთო და საზარელი სიტყვების ქართველ მუსლიმანებში გავრცელებას, რომლებითაც განგაშსა და უკმაყოფილებას იწვევენ. უმჯობესია ჩვენს მდგომარეობას დაეკვირდეთ და ერთმანეთის დახმარებით გავთვითცნობიერდეთ და წინ წავდგათ ნაბიჯი.

მაჰმადიან ქართველთა ფანატიკოსობა და ეროვნული ბრძოლა

როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ამას წინათ „ბათუმის გაზეთში“ მოვათავსეთ რამდენიმე წერილი ქართველი მუსლიმანების შესახებ. როგორც გაგეგებათ, იმ წერილებში აღნიშნული იყო ქართველი მუსლიმანების ეროვნული ცხოვრების მოდუნება. ჩვენ აღვნიშნეთ ხალხის — „ქართველი მუსლიმანების“ კულტურულად დაცემა, თავიანთ ქრისტიან მოძმეებისაგან ჩამოშორება და ჩამორჩენა, რომ ისინი არ ესწრაფებიან ქართულ დედა ენას, აღვნიშნეთ მათი მისწრაფება თათრული, ოსმალური ენისადმი, თავიანთი თავის თათრად წოდება და სხვ. ახლა კი განვიხილოთ ყველა ესენი. ნუთუ მაჰმადიან ქართველებს მართლა შესძულდათ დედა ენა და მასთან ერთად შესძულდათ თავიანთი მოძმეები? ნუთუ მათ შეიყვარეს თათრული, ოსმალური ენა და მასთან ერთად იგრძნეს თავი ნაძღვილ თათრებად, ოსმალებად? მე ვამბობ, რომ არა, და მსურს დავამტკიცო ეს, რამდენადაც შემიძლია. ავიღოთ და დავუჭეროთ მათ სიტყვას და ვთქვათ, რომ მართლაც ასეა — ისინი გადაგვარდნენ, ნამდვილი თათრები არიან და ესწრაფებიან თათრულ-ოსმალური ენის შესწავლას. რით დავამტკიცოთ ეს? თუ ისინი ესწრაფებიან თათრული ენის შესწავლას, მაშინ მათ უნდა ჰქონდეთ თათრული სკოლები და სხვადასხვა დაწესებულება, სადაც შეიძლება თურქული ენის შესწავლა. შეიძლება ვინმემ თქვას — მათ ნივთიერი ძალა არა აქვთ ამებისთვისო, მაგრამ არც ასეა საქმე. მათ ნივთიერი ძალა საკმარისიც აქვთ, მაგრამ მათ არა აქვთ სულიერი მისწრაფება და სიყვარული თათრული, ოსმალური ენისადმი, როგორც ჩვენ გვესმის მათი ნალაპარაკებიდან. ჩვენ რომ კარგად დავაკვირ-

დეთ და გავითვალისწინოთ, დავინახავთ, რომ მათ ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად რაღაც უშლით ხელს და ეს არის ის, დიდი ხნიდან მიძინებულნი, ოღნავ მბეჭუტავი ეროვნული გრძნობა, და ეს გრძნობა არის საწმინდოს სიყვარული. თუშ-ცადა ამ ძილში განვლო სამასმა წელმა, მაგრამ არ იქნა და ვერ ამოგლიჯეს გულიდან ეს გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა, როგორც ამას მოელოდა ოსმალეთი. თუშცადა მათ გულში სამ-შობლოს უჭირავს დაუფიწყარი ადგილი, მაგრამ ამ გრძნობას გარედან აქვს შემოხვეული ოსმალეთისაგან ჩანაგონები სი-ძულვილი. მათ ეშინიათ და ჰგონიათ თითქოს სჯულის წინა-აღმდეგი იქნება, რომ აშკარად გამოუტყდნენ თავის თავს და აღიარონ საქართველო თავის სამშობლოდ, ქართული ენა თავის დედა ენად და ქართველი ქრისტიანები თავის მოძმეებად. ესე იგი, როგორც ზემოთა ვთქვი, მათ აქვთ გულში მიძინე-ბული სამშობლოს სიყვარული ოღნავ მბეჭუტავ ნაპერწკლად. მაგრამ ამ ნაპერწკალს გარს ახვევია ოსმალეებისაგან შთაგონე-ბული ფანატიკოსობა. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ეს ხალხი, ამ გრძნობათა შორის მყოფი, ვერ წავიდა წინ სწავლა-განათ-ლებით და წინსვლის მაგიერ ისიც დაჰკარგა, რაც იცოდა.

ახლა მოგიწოდებთ თქვენ, ქართველო ქრისტიანებო და მუსლიმანებო! შეეხედოთ ყველა ამას ფხიზელი თვალთ, მო-ვიშოროთ გარს შემოხვეული ცრუ აზრები და გავხადოთ ნამ-დვილ მგზნებარე ცეცხლად ის დღემდე მოღწეული გულის პატარა ნაპერწკალი, რასაც ეწოდება ეროვნული გრძნობა და შეგნება. რასაკვირველია, ამ ცრუ აზრების მოშორებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ თქვენ, ქართველო ქრისტიანებო. და თქვენ კი, ქართველო მუსლიმანებო, ნუ აპყვებით ზოგიერ-თების ცრუ აზრებს, ამაში არ არის არაფერი სჯულის წინააღ-მდეგი, არამედ ეს იქნება თქვენი განკაცება, გაადამიანება, მო-ქალაქური და ეროვნული ცხოვრების შეგნება.⁶

ნუ იძნეობ „ჩვეულება სჯულზე უმტკიცესი“

„ჩვეულება სჯულზე უმტკიცესი“ ნათქვამია, და მართალიც არის. ამას წინათ მოთავსებული იყო რამდენიმე წერილი ქართველი მუსლიმანების შესახებ. ავტორის მიზანი იყო ქართველი მუსლიმანები დასდგომოდნენ სწორსა და ნათელ გზას, გაეგოთ თავიანთი ეროვნული ვინაობა, გასცნობოდნენ სამშობლო ქვეყნის ისტორიას, გამოფხიზლებულიყვნენ და დაეწყოთ წინსვლა, როგორც შეფერის ხალხს, მეოცე საუკუნეში მყოფს. მაგრამ საუბედუროდ, ჯერ ჩვენ ვერც ერთი ვერ გაგვიკეთებია.

ავიღოთ ჩვენი ვინაობა და ვთქვათ: თუ კი ჩვენ უკვე ვიცით ვინა ვართ, რაღად გვიწოდებენ „თათარს“ ჩვენი მოძმე ქართველი ქრისტიანები? ან ჩვენ რაღად ვალიარებთ თავს თათრებად? ამაზე იყო „ბათუმის გაზეთში“ მოთავსებული წერილი, რასაც ბევრი დაეთანხმა და მიხვდა თავის შეცდომას. ზოგი კი ისევ კერპობს, თუშცა იციან კი, თუ სიპართლე საით არის. მაგრამ რა საჭიროა ცარიელი მიხვედრა, თუ ჩვენ ისევ ძველებურად გავიძახით — „ეს თათარი, ეს მაჰმადიანი, ეს ქართველი მაჰმადიანო?“ რა საჭიროა ესენი. როდის იყო, რომ ჩვენ მოძმე ქართველებს „ქართველ ქრისტიანებს“ ვუწოდებდით? დიახ, საკმარისია ვთქვათ სიტყვა — „ქართველი“, რომ მკითხველმა ჩვენი ეროვნული ვინაობა გაიგოს.

კარგი, ვთქვათ, რომ ქართველმა მუსლიმანებმა ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს და ვერ შეითვიაეს ეს, რადგანაც ხელს გვიშლის ჩვეულება, გულში ჩანერგილი დამლუპველი

ფანატიზმი. მაგრამ ქართველ ქრისტიანებს რაღა უშლით ხელს? ალბათ იმათაც ჩვეულება! მე მგონია, რომ სირცხვილიც არის, ეს შემცდარი ჩვეულება ვალია რომ სინამდვილის მაგიერ და დავმორჩილდეთ მას.

პირდაპირ სენად გვაქვს გამგდარი ძვალა და რბილში ეს სამარცხეინო ჩვეულება. დიახ! ჩვენ ავად ვართ და წამალს კი არ ვეძებთ. მე თამამად ვიტყვი, რომ საუკეთესო ნაბიჯი იქნება ამ ჩვეულების თავიდან მოშორება. ამაში უნდა დაგვეხმაროთ თქვენ, ქართველო ქრისტიანებო, და აწი მაინც ნუღარ გვიწოდებთ „თათრებს“. აი, მაშინ შეიძლება ქართველმა მუსლიმანებმაც შეაჩვიონ ყური სინამდვილეს და ღრმად ჩაუკვირდნენ თუ რაშია საქმე.

განა მარტო ჩვენ ჩავდივართ ასეთ შეცდომას? არა! ჩვენ რუსმა მოხელეებმაც დაგვარქვეს „თურქი“. ბევრ რუსს ვერც კი დააჯერებთ, თუ ჩვენ ქართველები ვართ. ასე სცდებიან არა მარტო უსწავლენი, არამედ თვით მასწავლებელნიც კი. თუ გნებავთ, მოვიყვან ერთ მაგალითს.

ბათუმის ერთ სასწავლებელში მოწაფეებს გაკვეთილად მისცეს დასაწერად „აღწერა ბათუმის ოლქის მცხოვრებთა“. ერთმა მოწაფემ დაწერა — ბათუმის ოლქში ცხოვრობენ უმეტესად ქართველი მუსლიმანებიო. მასწავლებელს ძლიერ გაუკვირდა და იკითხა: ვინ არიან ქართველი მუსლიმანებიო? მან თქვა: — ესენი ქართველი მუსლიმანები როდი არიან, ესენი „თურქები“ არიანო.

ამის შემდეგ რაღა უნდა ვთქვა. მე ძლიერ მიკვირს ამ შევნებულ პირთა საქმე. თუ იციან, რად ამახინჯებენ სინამდვილეს და თუ არ იციან, მაშ რას სწავლობენ? ვთქვათ, ისინი უშაღლესი პოლიტიკური მოსაზრებით გვიწოდებენ „თურქებს“, მაგრამ ჩვენ რატომ არ ვეუბნებით მათ: არა, ბატონებო, ჩვენ „თურქები“, ოსმალები კი არა, ქართველები გახლავართ. თუ რუსები, სომხები, ბერძნები ან სხვები კი აღიარებენ მართლმადიდებლობას, კათოლიკობას, გრიგორიანობას და მაჰმადიანობას, მაგრამ ეროვნებად რუსი, ბერძენი, სომეხი და სხვ. რჩება, ჩვენ რაღა დავაშავეთ? მაჰმადიანები რომ ვართ, განა ქართველები აღარ ვართ? მაშ, სადაურია ჩვენი დედა ენა, ჩვენი გვა-

რი, რა არის ეს ისტორიული ნაშთები, რომელნიც დალაღებენ ჩვენს ვინაობას.

თვით ქვანიც კი დალაღებენ, თუ ვინ ვართ ჩვენ და მაშ, ჩვეულება ნუ იქნება სჯულზე უმტკიცესი. აწი მაინც ნუ მიგვაჩნია ჩვენი თავი თათრებად და ნურც სხვას მივცემთ ნებას, რომ „თათრები“ გვიწოდოს, სჯული სჯულად უნდა იყოს და ეროვნება ეროვნებად⁷.

„ბათუმის გაზეთი“, 1913 წ. 1 დეკემბერი, № 88, გვ. 2.

მეორე დიმიტრი თავდადებულის ღირსეული შვილი

სიტყვა, წარმოქმნილი ბათუმის წარმომადგენელ ჰაილარ აბაშიძის მიერ კონსტანტინე ყიფიანის იუბილეზე, თბილისში

ბათუმის ქართული საზოგადოება საწრმუნოების და მიმართულების განურჩევლად შენს სიცოცხლეში ამ ფრიად შესანიშნავ, სადღესასწაულო დღეს წრფელი გულის სიღრმიდან სალამს მოგიძღვნის და შენი ღიალი ღვაწლის კეთილ-ნაყოფიერების გამთვალისწინებელი უგულთადეს მადლობას მოგახსენებს... და ღირსიც ხარ მადლობისა, რადგან მთელი ორმოცდახუთი წლის განმავლობაში იშვიათი თავდადებით და სამაგალითო გულმოდგინებით, შენი ზეგარდმო მადლით ცხებულ მსახიობური მოღვაწეობის მეოხებით ქართველის გულში თესლსა კეთილს სთესს... მრავალ წელთა განმავლობაში არა ერთი და ორი მძიმე და რთული როლი შეგისრულებია, როგორც ქართულ, ისე ევროპულ დრამატიულ ნაწარმოებთაგან და სხვადასხვა მოქმედი პირის სულისკვეთებანი და მისწრაფებანი საუცხოო ხელოვნებით განგისახიერებია. სიყრმითვე მსახიობური მოღვაწეობის მიმართ ჭეშმარიტი სიყვარულით გამსჭვალულმა, შენ 1879 წელს ქართული სამუდამო სასცენო დასის დაარსებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღე და მას უკან ამ დასის ერთი საუკეთესო დამამშვენებელ გვირგვინთაგანი ბრძანდები...

მრავალწამებული საქართველო თუ წელში გაიმართა, შევბედისწერას არ დაემონა, და ვერც წარიტაცა შევა ყოჩაღმა, ვით უმწეო მსხვერპლი, ეს უმთავრესად იმის გამოც მოხდა, რომ სასცენო მოღვაწეობა კარგა ხანია მის ცის ქვეშ ძლიერ

კულტურულ ძალად ცნობილ იქმნა... და მან, ამ ძალამ, ხელი შეუწყო ქართველი ერის არა თუ მხოლოდ ზნეობრივ წრთვნას, არამედ მის ნამდვილ ეროვნულ გათვითცნობიერებას. ჭეშმარიტად, ჩვენისთანა ბედში მყოფისთვის თეატრი ეროვნული სიცოცხლის დედა-ძარღვია, მისი არსებობის გუდამ საამურად მოჩუხჩუხე განმანოყიერებელი ნაკადულია... ქართული თეატრი შეიქმნა სკოლად; ის ზრდის ჩვენი ერის ფართო მასას, აძლიერებს მის გულში არა თუ მხოლოდ ეროვნულ, არამედ ადამიანურ შეგნებასაც. ამ სკოლის გავლენის გაფართოებასა და აყვავებაში შენ, როგორც უნიჭიერეს მსახიობს, დიდი წილი გიძევს, რადგან შენს სიტყვას ერთნაირის დაკვირვებით და აღტაცებით მოისმენდა ჩვენი ერის ყოველი წოდების და კლასის წარმომადგენელი...

ეჭვდაუდებელია, რომ შენი გული აღტაცებას განიცდის, როდესაც ხედავ, რომ დღითი-დღე შენი საყვარელი სასცენო საქმე ჩვენი ტურფა სამშობლოს სხვადასხვა ქალაქსა და დაბაში ფეხს იკიდებს, რათა მოფინოს თვისი დიადი საკეთილო გავლენა მთელ ქართველ ერს... ბათუმის ქართველი საზოგადოება, როგორც მცხოვრები ისეთ მხარეში, რომელიც უკმა სიავის მეოხებით დიდხანს იყო მოწყვეტილი საერთო დედის, საქართველოს გულ-მკერდს, განსაკუთრებით გამსჭვალულია შენი სასცენო მოღვაწეობის მიმართ ღრმა პატივისცემის გრძნობით. აქაც, ძველ, კლასიკურ, ოქროსმატყლოვან კოლხიდაში, დიდი ზანი არ არის, ჩაიდგა იმ დიდებულო საქმის საძირკველი, რომლის თავდადებული მოჭირნახულეც ბრძანდები... აქაც შენი სულიერი შვილები, ახალგაზრდა მსახიობნი, სათავეში ჩაუდგენ შენს საყვარელ საქმეს, რომელმაც მკვიდრთა შორის თანაგრძნობა და სიყვარული მოიპოვა...

ბათუმის ქართველი საზოგადოება, გიძღვნის რა თავმდაბლად მადლობას სასცენო მოღვაწეობისათვის, გისურვებს მრავალყამიერ სიცოცხლეს მშობლიური სცენის დასამშვენებლად და დანარჩენი მხრის ქართველებთან ერთად ხმამაღლა გილაღადღებს:

„შაბაშ კაცი, შაბაშ სიტყვა.
შაბაშ საქმე მისგან ქმნილი!“

ქართველი მაჰმადიანი ქალის ხმა

რამდენადაც მეტს დავფიქრდები საცოდავ ჩემს დებზე — მუსლიმან ქალებზე და წარმოვიდგენ მათ უნუგეშო მდგომარეობას, იმდენად გული მიღელავს და სული მიშფოთავს. ბევრჯერ მითქვამს, განა ჩვენი სიცოცხლეს სიცოცხლეა და ჩვენც ადამიანები ვართ? ვხედავ ჩვენი პიროვნების დამცირებას, ჩვენს არარაობას, რაიცა იწვევს სულის ქეჯნას და ცრემლებსაც კი. საყოველთაოდ, მთელ დედამიწის ზურგზე, თვით უგანათლებულეს ქვეყნებშიაც კი, ქალები რომ დაჩაგრულნი არიან მამაკაცებთან შედარებით, ეს ვიცით, მაგრამ ჩვენი მუსლიმანი ქალების მდგომარეობა განსაკუთრებით აუტანელია. ჩვენ მოწყვეტილნი ვართ ცხოვრებას და მოკლებულნი ვართ თვით მზის სინათლესაც კი. ცხოვრებისა და ბუნების კანონები ჩვენთვის თითქოს არ არსებობენ. აკრძალული გვაქვს მონაწილეობის მიღება კულტურულ საზოგადოებებში, დაწესებულებებში. არ შეგვიძლია დავესწროთ საზოგადო კრებებს, ვიაროთ საკრებულოში, თეატრში და სხვა. აკრძალული გვაქვს აგრეთვე ქუჩაში თავისუფლად სეირნობა. დილიდან საღამომდე უნდა ვიყოთ ჩაკეტილი ოთხ კედელშია და ვუცადლოთ ჩვენი ქმრების მობრძანებას. ჩვენმა გასათხოვარმა ქალებმა უნდა უცადონ მშობლებისაგან პირუტყვივით გაყიდვას. მათ არა აქვთ ნება იმას გაჰყვინენ ცოლად, ვინც მოსწონთ.

მშობლები მათ ისე ეპყრობიან, როგორც გასაყიდ ნივთს, სიყვარული ხომ მათთვის აკრძალულია; მამა ირჩევს სასიძოდ ისეთ კაცს, რომელიც მის ქალიშვილს ერთხელაც არ უნახავს, ქალის დაუკითხავად მამა ათავენს მასთან საქმეს, აქორწინებს ზედ და ატანს თავის ქალს საკუთარი ნებითა და განკარგულ-

ბით, მიუხედავად იმისა, თანახმაა ქალი ასეთი ქორწინების, თუ არა. ამასთან, ხშირად ხდება ისეთი მაგალითი, რომ თხუთმეტი წლის ქალი თავის უნებურად იძულებული ხდება გაჰყვეს სამოცი წლის კაცს, ვისთანაც უნდა გაატაროს ყმაწვილმა ქალმა თავისი ტანჯული და წამებული სიცოცხლე. დიახ, ასეთი საცოდავი და უნუგემოა ჩვენი მდგომარეობა. განა ღირსი ვართ ანუ პირუტყვულ მდგომარეობაში ყოფნისა? განა ჩვენ ადამიანები არა ვართ? განა ჩვენში ადამიანური გრძნობა არ სუფევს ისე, როგორც მამაკაცებში? განა ჩვენ გაჩენილი ვართ მხოლოდ მამაკაცების მონებად? არა, ჩვენ მამაკაცების მონებად კი არა, დედებად და მეუღლეებად ვართ გაჩენილი... ჩვენ, ქალები მამაკაცების მონები და მათი ფეხქვეშ სათელი კი არა, მათი ცხოვრების შეგნებული და სწორუფლებიანი თანამგზავრები უნდა ვიყოთ. ჩვენი დამცირების, დამონების მაგალითად ჩაითვლება ჩვენი ჩადრებით დაბურვაც. რატომ არ გვანებებენ ჩვენი მამაკაცები პირის გამოჩენას? რატომ ვართ ჩადრში დაბურული და მოკლებული დღის სინათლეს? ზოგიერთი ჩვენი ხოჯა-მოლა ამბობს და კაცებიც იმეორებენ, ქალებმა რომ პირი აიხადონ, ეს ცუდად იმოქმედებს კაცებზე, რადგან ვნებათა ღელვას იწვევენ და ქალებმა ამით არ უნდა ჩააყენონ ისინი ასეთ მდგომარეობაშიო. ვთქვათ, რომ ეს ასეა, მაგრამ განა ქალები მოკლებული არიან მგრძნობელობას; ჩვენც ხომ ადამიანები ვართ? რატომ მამაკაცები არ იფარებენ პირზე ჩადრს? რატომ გვაშერინებენ ჩვენ, ჩადრიანებს სახეზე? თუ კი ჩვენ გვიქადაგებენ ზნეობის დაცვას ამ სახით, რატომ თვითონ არ იცავენ ასეთ წესს? მაგრამ არა, ამოა ეს კითხვები. ჩვენ, მაჰმადიანი ქალები კარგად ვგრძნობთ, რომ აქ საქმე გვაქვს ძალმომრეობასთან, რაიცა ნაანდერძევი გვაქვს ჩვენი ქმრების და მამების უმეცრებისა და უკულტურობისაგან. რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს ის, რომ საშუალო და უმაღლეს კურსდამთავრებული ჩვენი დები — განათლებული მუსლიმანი ქალები ჩადრებით აღარ იბურავენ პირისახეს, ცოდნითა და შეგნებით აღჭურვილნი თამამად გამოდიან ცხოვრების ასპარეზზე და თავიანთ განათლებულ თანამოძმე მუსლიმან მამაკაცებთან ერთად ემსახურებიან თავისი ერის კულტურულ აღორძინებას. დადგება

დრო, რომ განათლების სხივები ჩვენშიაც გაჰფანტავს სიბნელეს. ჩვენი ქართველი მაჰმადიანი ქალების მოვალეობაა შვილები აღვზარდოთ დროის შესაფერისად, ჩავუნერგოთ მათ გულში მძულვარება იმ მონობისა და დამცირებისადმი, რასაც ჩვენ განვიცდით, რომ იქნება მათ მაინც დააღწიონ თავი ასეთ მდგომარეობას. *

„ბათუმის გაზეთი“, 1914 წ., კვირა, 2 მარტი, № 18.

არაბი და თათრული ბაზეთი მაჰმადიანი ჰართველების შესახებ

ბაქოს თათრულ ბაზეთ „ილბალის“ 511-ე ნომერში მოთავსებულია ბათუმიდან ბ-ნ არაბ ვასფი-ეფენდის წერილი, რომელშიაც ბ-ნი ავტორი ეხება ბათუმის მცხოვრებთ და აღნიშნავს რა მათ კულტურულ მდგომარეობას, ანცალკეევებს ბათუმის მუსლიმანებს და ამბობს:

„ეს მშვენიერი ქალაქი ამ ორი წლის წინათ ვინახულე და ჩვენი მოძმე მუსლიმანების მდგომარეობამ ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. იმ დროს, როდესაც სხვა ერი კულტურას მისდევს, ჩვენი მოძმე მუსლიმანები თავის დროს უნაყოფოდ ჰკარგავენ, რისი შედეგიც მათივე დაცემა და უკან ჩამორჩენაა. ამ მდგომარეობამ ძლიერ ჩამაფიქრა. მადლობა ღმერთს, სწავლა-განათლების გზა ფართოა და ის რომელიმე ერის საკუთრებას არ შეადგენს, ის ჩვენც გვეკუთვნის. რამდენად გავითვალისწინებდი ბათუმის მუსლიმანების მდგომარეობას, იმდენად ის რაღაც საცოდაობას წარმოადგენდა, მაგრამ მადლობა ღმერთს, დღეს ბათუმში ვხედავ ახლად დაბადებულ წინმსვლელობას, რომლითაც მე დიდად ვამაყობ. ერთ-ერთი ეროვნული შეგნების ყვავილი თათრული თეატრია. მისი მიზანია არა ის, რომ მისმა ინიციატორებმა ჯიბე გაივსონ, არამედ ერს უჩვენონ სწორი გზა და მისი შეგნება უმაღლეს საფეხურზე დააყენონ... მეორეც, ჩემი აღტაცების მიზეზი არის ის, რომ ბათუმის მუსლიმანებში დაიბადა აზრი დამხმარებელი საზოგადოების დაარსებისა, რომელსაც მიზნად აქვს დააარსოს ყველგან ეროვნული სასწავლებლები, დააარსოს გამომცემელი ამხანაგობა, რომელიც გამოსცემს წიგნებსა და გაზეთებს და აგრეთვე დაეხმარება ღარიბებს და სხვ.“

მესამე ის არის, რომ მეჩეთის ხარჯით, მეჩეთთან უნდა გაიხსნას ეროვნული სასწავლებელი და იქვე დაარსდეს ეროვნული სამკითხველო... ცხადია, ამ გზას რომ დროზე დადგომოდნენ ჩვენი ბათუმელი მოძმენი, ეხლა დიდად დაწინავებულნი იქნებოდნენო“ და სხვ.

ვკითხულობთ ამ ამონაწერს, ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს მიერ ხაზგასმულს და გვიკვირს ბ-ნი არაბი ვასფი-ეფენდის ლათაიები. ჩვენ კარგად გვესმის, ვის გულისხმობს ის „თანამოძმე“ მუსლიმანებად, ვისთვის უნდა „თათრული თეატრი“, „ეროვნული სასწავლებლები“, „ეროვნული წიგნები“, მაგრამ მოვასწავლებთ მას, რომ აქაური მუსლიმანების დიდ უმპრავლესობას კარგა ხანია აქვს ეროვნული სასწავლებელი, ჰყავს ეროვნული ქართული დრამატიული საზოგადოება და დასი, მოეპოვება სამშობლო ენაზე გამოცემული ქართული წიგნები. რაც შეეხება იმ თათრულ თეატრს, რომელსაც შესტრფის ბ-ნი არაბი ვასფი-ეფენდი, არავითარი ნაყოფი არ მოაქვს აქ. დიახ: „დაწინავებულნი იქნებოდნენო“, — ამბობს ბ-ნი ვასფი-ეფენდი მაშინ, როდესაც კარგად ხედავს, თუ სამასი წლის ოსმალეთის ბატონობამ და რეჟიმმა რა მოგვცა ქართველ მაჰმადიანებს. და ნუთუ „თათრული თეატრი“ ორი წლის განმავლობაში, სადაც ესწრება ორი-სამი ქართველი მუსლიმანი, ჩვენ თათრულს შეგვასწავლის? დედა ენის შებღალვამ და თათრული ენის გავრცელების სურვილმა ჩვენ დაგვცა, დაგვაკინა და დაგვაბნია და ნუთუ ახლად მოცოცხლებულსა და ცოტად თუ ბევრად გაღვიძებულ ქართველ მაჰმადიანებში ბ-ნი ვასფი-ეფენდის შეაქვს კიდევ თათრული ენის გავრცელების და დედა ენის მოსპობის სურვილი? რატომ მერე?

არაბმა ვასფი-ეფენდიმ უნდა იცოდეს, რომ ერთია სარწმუნოება და მეორე—ეროვნება. სარწმუნოებრივი ნიადაგით ერის განახლება ფიქცოა. წარმოუდგენელი იყო მკვდრეთით აღმდგარ ახალი საბერძნეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის განახლება და კულტურულ-ეროვნული აღორძინება გარეშე დედა ენისა, მშობლიური კულტურისა და ევროპული ცივილიზაციისა. მათ უნდა მიჰბაძოს ყველამ, მიუხედავად იმისა, თუ რა სარწმუნოებას აღიარებს იგი. ინდოეთი და არაბეთიც ხომ

ამ გზას დაადგა. ამასთან გვიკვირს ბ-ნ არაბი ვასფი-ეფენდის პო-
ლიტიკა. მართალია, ზოგადკაცობრიული თვალთა ხედვის ის-
რით, ყველანი ჩვენ — ადამიანები, ერთმანეთის მოყვასები და
ძმები უნდა ვიყოთ, მაგრამ ბ-ნი ვასფი-ეფენდი, თვითონ
ტომით არაბი, ოსმალეთელისა და სპარსეთელის როლში, შე-
ტად ყალბ პოზიციაზე დგას და რატომ არ გრძნობს ამას?¹⁰

„ბათუმის გაზეთი“, 1914 წ., 16 მარტი, № 22, გვ. 2

ამასაც მტკიცება უნდა?!

პასუხად ჩვენს გადაგვარებულ თანამოძიეს და
თანამორწმუნეს, ბ-ნ ყარაღა-ზადეს*

ბაქოს თათრულ გაზ. „ილბალის“ 628-ე ნომერში მოთაყ-
სებულია გადაგვარებული ქართველი მაჰმადიანის, ბ-ნ
ყარაღა-ზადეს წერილი სათაურით „გურჯი მუსლიმანლერც
დაირ“, ე. ი. „ქართველი მუსლიმანების შესახებ“. ბ-ნ ავ-
ტორს თავის წერილში მოჰყავს სიტყვები „ბათუმის გაზეთ-
ში“ ქართველი მაჰმადიანების შესახებ დაბეჭდილი წერი-
ლებიდან და ეკამათება მის მიერ მოყვანილ სიტყვებს. აი-
როგორ იწყებს ბ-ნი ავტორი თავის წერილს: „ამ ბოლო
ხანებში ქართულ გაზეთებში ვკითხულობთ ქართველი მაჰ-
მადიანების შესახებ წერილებს, რომლებშიაც ავტორი ხან
აშკარად და ხან კი მალულად გამოდის და წმიდა საქმე-
ების ჩხრეკაში არის. მე მგონია, რომ ამისთანა წერილებში
წმიდა და თვალით დაუნახველი ერთი მისწრაფებაა. ამის
მსგავს მისწრაფებას ხალხისათვის კარგი მხარეც აქვს და
ავიც...“

ისტორიის მიხედულობით ქართველი მუსლიმანები ქრის-
ტიან ქართველობიდან გადასულან, ე. ი. ისინი სხვა ბევრ
მუსლიმანებსავე იყვნენ მუსლიმანები არ ყოფილან. მათ
მუსლიმანობა მიუღიათ და თურქებთან შეერთებულან.
დღევანდელი მათი ჩვეულება და ხასიათი თურქებიდან მი-
უღიათ. ამის მიხედულობით დღეს ქართველი მუსლიმანები

* ყარაღა-ზადე აქარელია, მისი ქართული გვარი — ზაქარაძეა, უმაღ-
ლესი. ცოდნა მიღებული აქვს კონსტანტინეპოლში. (ავტორის შენიშვნა.)

ერთი ბრძანების წინაშე სდგანან... მუსლიმან ქართველების დედა ენა ქართულია, მაგრამ თათრული მათი გულის და სულის ამხანაგია... ამის მიხედულობით, წერილების მწერაკი შუამდგომელი ხალხოსანი „მაჰმადიანი ქართველი“ მის წერილებს რომ ცოტათი დაუფიქრებოდეს, გაიგებდეს ზალხის გრძნობას და ისე სწერდეს, უფრო კარგს იზამდაო“ და სხვა... წერილის ბოლოს ავტორი ამართლებს ვასფი-ეფენდის, მოჰკავს „ბათუმის გაზეთიდან“ ჩვენი სიტყვები, რომელნიც ვასფი-ეფენდის ჰქონდა მოთავსებული იმავე ბაქოს თათრულ გაზეთში, „იღბალის“ 511-ე ნომერში და ამბობს შემდეგ სიტყვებს: „ამ წერილის წამკითხველს ეგონება, რომ თითქოს მართლაც ბათუმში მცხოვრებ ქართველ მუსლიმანებს მათი სასწავლებლები აქვთ და აქაურობა განათლების ბუდეაო. „მაჰმადიან ქართველის“ ძახილი, ეროვნული სასწავლებლები, ეროვნული თეატრი გვაქვსო. მისი მსგავსია, რომ ვიძახოთ ქვეყნის ყოველ კუთხეში ყოველნაირი სასწავლებლები არისო. მაგრამ მან რამდენიც უნდა იყვიროს „არის“-ო, ბათუმში ქართველ მუსლიმანებს მათი შესაფერი სასწავლებელი არა აქვთ და არა.

რომელიმე გაპარტახებულ სამლოცველოსთანაც დაუკავშირებელი ეროვნული ფანატიკოსობისაგან რა გამოვა? „მაჰმადიანი ქართველი“ წარსულის დაბრუნებაზე ფიქრობს და ამის მეტი საფიქრელი არა აქვს რა. დიახ, უკან დაბრუნებაც ერთი წინმსვლელობაა და რაც შეეხება ენის სწავლას, გარდა ქართულისა, თათრული და რუსულიც საჭიროა. თათრული ენის საჭიროებას მოითხოვს ჩვენი სარწმუნოება, რადგანაც უმეტესი წიგნები მუსლიმანებისა თათრულია. „მაჰმადიანი ქართველის“ თათრული ენისა და მარიფათის მოუწონლობას ჩვენ ერთგვარ ავადმყოფობად ვთვლით. განა ქართული ლიტერატურა თურქულსავეთ მდიდარია და მათ თურქებსავეთ ძველი განათლება აქვთ? ისტორიის სხვისი სათვალეებით კითხვით ჭეშმარიტი გამოცდილების მიღება შეუძლებელია და ამისთანა მიმართულება სხვა იღბლის მაჩვენებელია, ვფიქრობ და აქ ვჩერდები“-ო.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ სრულიად

უსაფუძვლოდ და უსაბუთოდ გვიკიჟინებს ჩვენი გადაგვარებული თანამოძმე ბ-ნი ყარალა-ზადე, რომ ამბობს: „ქართველი მაჰმადიანი“ წარსულის დაბრუნებაზე ფიქრობს და ამის მეტი საფიქრალი არა აქვს რაო“. ამ კიჟინში ერთგვარი ცილისწამებაცაა ბოროტი განზრახვით ჩართული. წარსულის დაბრუნება არავის ძალუძს, ისტორიის ჩარხი უკუღმა არ ტრიალებს. ეს ჩვენ კარგად გვესმის. ყარალა-ზადეს ამ სიტყვებს მხოლოდ ის სარჩული უდევს, რომ მოგვისისინოს ჩვენი თანამორწმუნენი, თითქოს ჩვენ სარწმუნოებრივ მხარეს ვეხებოდეთ და განზრახვა გვქონდეს ჩვენ ძველ მამა-პაპათა ქრისტიანულ სარწმუნოებას დავუბრუნდეთ. ეს სრულებით არ არის ასე. სარწმუნოება ტანსაცმელი არაა, როცა გინდა გაიხადო და როცა გინდა ჩაიცვა. მამასადამე, რა აზრი აქვს „წარსულის უკან დაბრუნებაზე“ კამათს, როდესაც ჩვენ ჩვენს თანამოძმე და თანამორწმუნეებს მოვუწოდებთ მხოლოდ კულტურული განვითარების, განახლებისა და განათლებისაკენ? ამასთან, მკითხველი იმასაც ხედავს, რომ ბ-ნი ყარალა-ზადე ძველ გაცვეთილ ლათაიებსა მღერის... ასეთ გულუბრყვილობა და ოპორტუნისტ მწერალ მოღვაწეთა იმედებსა და ოცნებას ცივი წყალი გადაასხა მთავრობის პოლიტიკამ. ეს საზოგადოდ, მაგრამ კერძოდ, ბ-ნი ყარალა-ზადე ტყუილად ირჩება იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს სარწმუნოების გამოცვლასთან ერთად გამაჰმადიანებულმა ქართველობამ დაჰკარგა თავისი ეროვნული სახე. მართალია, თურქთა ბატონობამ და ისლამმა თავისი ბეჭედი დაასვა მას, მაგრამ ეროვნული თვითარსება და ერი ვერ აღმოფხვრა მასში. ამას უტყუარად ამტკიცებს ის გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, რომ მაჰმადიანობასა და თურქთა გავლენას ჩვენზე 300—400 წ. ისტორია აქვს, ჩვენ მაინც ეროვნულად ქართველებად დავრჩით, არ გადაგვარდით. ასეთი ტიპები, როგორიც თვით ბ-ნი ყარალა-ზადე ბრძანდება, საბედნიეროდ ჩვენში იშვიათია. იგი აფუჩეჩებს რა მაჰმადიან ქართველების ეროვნულ განსხვავებას და ლამობს მათ გათქვეფას და გადაგვარებას ოსმალებში, თურქებში, ამბობს — „რაც შეეხება ენის სწავლას, გარდა ქარ-

თულისა, თათრული და რუსულიც საჭიროა. თათრული ენის საჭიროებას მოითხოვს ჩვენში სარწმუნოება, რადგანაც უმეტესი წიგნები მუსლიმანობის შესწავლისა თათრულია“ და სხვ. ჯერ ერთი, ჩვენ არსად არ გვითქვამს ქართული დედა ენის გარდა, სხვა ენების შესწავლა არ გვინდაო. რაც შეეხება იმას, რომ საღვთო წერილი ჩვენს სჯულზე უმეტესად თათრულია, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მათი გადმოთარგმნა არ შეიძლებოდეს ქართულად, ჩვენი ხალხისათვის უფრო გასაგებ, ჩვენს დედა ენაზე. თუ კი მუსლიმანთა საღვთო წერილის სასულიერო წიგნები ითარგმნება თურქების, ინდოელების, ევხანელების, სპარსელების და უკანასკნელ დროს, ქურთების ენაზედაც, რატომ ქართულადაც არ უნდა ითარგმნოს? იბნიჰეჯერმა ნება დართო, არამც თუ მარტო მუსლიმანთა სხვადასხვა სასულიერო წიგნების თარგმნისა, არამედ თვით ყურანისაც. ამასთან, უმაღლესმა მუსლიმანთა სამღვდლოებამ გამოიტანა ფეტვა ამავე საგნის შესახებ და დაადგინა, რომ ულუმიდინიე (საღვთო წერილი) და ისტორია მუსლიმანობისა თარგმნილ იქნას სხვა ენებზედაც. ნუთუ ყარაღაზადემ არ იცის ყოველივე ეს? და თუ იცის, რატომ არ ამბობს იმას, რომ მაჰმადიან ქართველთათვისაც გადმოითარგმნოს აგრეთვე, როგორც სხვებმა თარგმნეს თავ-თავიანთ დედა ენებზე? ქართველ მუსლიმანების 99 პროცენტისათვის ხომ უფრო გასაგები იქნება მაშინ და უფრო მტკიცედ დაიცავენ თავიანთ სჯულს?...

ჩვენ არ გვითქვამს, ბათუმელ მუსლიმანებს ყოვლად უნაკლულო ეროვნული სკოლები და კულტ. დაწესებულებანი აქვთო. ჩვენ ვთქვით, რომ არის ქართული ეროვნული სკოლები და თეატრი და არაა საჭირო, რომ ამათ ნაცვლად თათრულ-ოსმალურ თეატრსა და სკოლას ვაწვდიდეთ ქართველ მუსლიმანებს. ამას ვამბობთ ახლაც, ოღონდ დავსძენთ, რომ თუ რამეს ნაკლი აქვს, ამას გასწორება უნდა. ბ-ნი ყარაღაზადე, იმის დასამტკიცებლად რომ თურქული ენა შევისწავლოთ, მოგვმართავს კითხვით: „განა ქართული ლიტერატურა თურქულსავეთ მდიდარია და თურქებსავეთ ძველი განათლება აქვთ ქართველებსო?“ ასეთი კითხვის

წამოყენება, მეტი რომ არა ვთქვათ, დიდი სითამამეა. ჯერ ერთი, განა ბ-ნი ყარალა-ზადე იცნობს ქართულ ლიტერატურას და ძველ კულტურას, ასეთი კითხვებს რომ იძლევა? ვთქვათ, რომ თურქებს მდიდარი ლიტერატურა და ძველი განათლება აქვთ, მერე ჩვენ — ქართველ მუსლიმანებს რა? თუ განათლებაზე და ლიტერატურის სიმდიდრეზე ვილაპარაკებთ, საფრანგეთის განათლება ბევრად სჯობია ოსმალეთისას და გერმანული ლიტერატურისთანა მდიდარი ლიტერატურა არამც თუ თურქებს, არამედ უფრო განათლებულ ევროპის სხვა ერებსაც არა აქვთ. მაგრამ საქმე ამაში კი არა, არამედ იმაშია, რომ ყოველ ერს, როგორი ლიტერატურაც არ უნდა ჰქონდეს მას, თავისი უნდა ერჩიოს სხვისას, ვინაიდან თავისი ლიტერატურის საშუალებით ვითარდება და წინ მიდის კულტურულად ესა თუ ის ხალხი. სხვისი მდიდარი ლიტერატურით უნდა ვისარგებლოთ, ხოლო მშობლიური ჩვენი არ უნდა დავივიწყოთ. ჩვენი გადაგვარებული თანამემამულე და თანამორწმუნე ბ-ნი ყარალა-ზადე კი გვირჩევს ჩვენ, ქართველ მუსლიმანებს, ჩვენი დავივიწყოთ და სხვისას მივსდიოთ. ასეთ პირებზე ამბობს ჩვენი დიდი პოეტი აკაკი:

„გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია,
მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია“.

დასასრულ ბ-ნი ყარალა-ზადე ამბობს: „მუსლიმანობის ქართველობაზე გადმოყვანა ყოვლად შეუძლებელიაო“. საჭირო არ არის ასეთი ბუნდოვანობა. ჩვენ ვთქვით და ვამბობთ, რომ „მუსლიმანობა“ არის სიტყვა და ცნება სარწმუნოების გამომხატველი, „ქართველობა“ კი — ეროვნების. თქვენ და თქვენი მსგავსი არაბი ვასფი-ეფენდი და სხვანი „მუსლიმანობაში“ ათავსებთ ყველა მაჰმადიანებს ეროვნების განურჩევლად და „ქართველობას“ გულისხმობთ ქრისტიანობად. ამიტომ ამბობთ: „მუსლიმანობის გადმოყვანა ქართველობაზე შეუძლებელიაო“. ეს უფიცობაა, ფანატიკოსობა, თუ სხვა რაიმე ბოროტი განზრახვა, აღარ ვიცით; ეს კი ვიცით, რომ აქ დიდი შეცდომა და სიყალბეა. როგორც ქრისტეს, ისე მაჰმადის სარწმუნოებას აღიარებენ მრავალი

სხვა ერები, რომელთაც თავთავიანთი ეროვნული დედა ენა და საკუთარი ლიტერატურა აქვთ. როგორც ბევრი ერების ნაწილები, ზოგი მაჰმადიანია და ზოგი ქრისტიანი, და ენა და ლიტერატურა ამა თუ იმ ერის წარმომადგენელთ, ქრისტიანებსაც და მაჰმადიანებსაც, საერთო აქვთ, ისე ჩვენც, მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს საერთო გვაქვს ჩვენი მშობლიური დედა ენა და ლიტერატურა. ეს ისე ნათელი და ცხადია, რომ ამის მტკიცება აღარ უნდა იყოს საჭირო. მაგრამ სამწუხაროდ, არიან გადაგვარებული არაბი ვასფი-ეფენდისა და გადაგვარებული ქართველი ყარაღა-ზადესთანა კალმოსნები, რომელთაც ასეთი ნათელი ჭეშმარიტება ჯერაც ვერ შეუგნიათ. უფრო სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ასეთ კალმოსნებს ადგილს აძლევს თათრული გაზეთი „იღბალი“.¹¹

„ბათუმის გაზეთი“. 1914 წ., 15 მაისი, № 38, გვ. 2-3.

საგულისხმო პროტესტი

„ბათუმის გაზეთის“ რედაქციამ მიიღო ქვემოთ მოყვანილი წერილი, რომელსაც ხელს აწერს ცხრამეტი მაჰმადიანი ქართველი. წერილს ვბეჭდავთ უცვლელად:

ამ ბოლო ხანებში ბათუმის ოლქის მაჰმადიანმა ქართველობამ გამოიღვიძა ეროვნულად. ამას ხელი შეუწყო მათი დედა ენის დევნამ და საერთო შევიწროებამ აქ, ადგილობრივ და ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომთა ეროვნულად თვითგამორკვევამ. ოსმალეთის იმპერიაში აღარ დარჩენილა არც ერთი კულტურული ერის შვილები, რომ ეროვნულად არ გამორკვეულიყვნენ. ჭერი მიდგა გურჯებზე, ქართველებზე, რომლებიც, ერთის მხრივ, ბათუმის ოლქის რუსეთთან შემოერთების დროს დარჩნენ ისევ ოსმალეთის მონობაში, და მეორეს მხრივ, მუჰაჯირებად გარდაიხვეწენ ოსმალეთში აქედან. ასეთი გურჯების, მაჰმადიანი ქართველების რიცხვი დიდია ოსმალეთში და აი ისინიც გამოერკვენ ეროვნულად. პანისლამიზმის ბურუსი გაიფანტა და ეროვნულმა ინტერესებმა შეაკავშირა როგორც მაჰმადიანი, ისე ქრისტიანი ბერძნები, სერბები, ბულგარელები, რუმინელები და ალბანელები. ასევე დაემართა ოსმალეთში მცხოვრებ ქართველებს. ამის ცოცხალ მაგალითს იძლევიან სტამბოლელი მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველები, რომელნიც იკრიბებიან ერთად, ერთ ჭერქვეშ და ბჭობენ თავიანთ ჭირ-ვარამზე, თავიანთ ეროვნულ საქმეებზე. ეს თუ ასეა ოსმალეთში, მით უმეტეს უნდა იყოს აქ, სადაც ჩვენი თანამოძმე ქრისტიანი ქართველობა ზრუნავს ჩვენთვის, მათ ჩამორჩენილ მოძმეთათვის და სურს კულტურულ ნიადაგზე დაუკავშირდეთ მათ. ჩვენ დავინტერესდით ჩვენი დედა ენით, ჩვენი ქართული მწიგნობრობით, პრესით და თეატრით. ჩვენი მიზანია გავიღვი-

ძოთ და ჩვენც ჩვენს თანამოქმედებთან ერთად ჩავებათ ეროვნების ფერხულში და დავადგეთ ევროპის ცივილიზაციის გზას. ამ დროს კი გამოსულან ზოგიერთი ეროვნულად გადაგვარებული და გადამახინჯებული ტომით არაბნი და, სამწუხაროდ, ქართველები, გურჯებიც და სიტყვიერად თუ ბეჭდვითი სიტყვით (იხ. ბაქოს თათრული გაზეთის „იღბლის“ №№ 511 და 627) ეწვევიან აგიტაციას მაჰმადიანი ქართველების ეროვნული გამოღვიძების წინააღმდეგ. ეს ვაუბატონები პანისლამიზმის ბურჟუსში ახვევენ ეროვნულ საკითხებს და ურჩევენ მათ: „რადგანაც თქვენ მუსლიმანები ხართ, მაჰმადიანები, ისლამისათვის არ არსებობს ეროვნებაო“. მაგრამ ამავე დროს მათ ავიწყდებათ, რომ ყოველი ქვეყნის მუსლიმანები თავის ეროვნებას მისდევენ, თავიანთ ენას და კულტურას იცავენ და სხვა. ვინაიდან ჩვენ ქვემოთ ამის ხელისმომწერნი ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ერთია ეროვნება და მეორე — სარწმუნოება და ამასთან არავინ არ გვიშლის ჩვენ მაჰმადის სარწმუნოებას, მუსლიმანობის აღიარებას, არ გვიქადაგებენ სჯულის გამოცვლას, არამედ ჩვენ და ჩვენი თანამოქმედ შეგნებული ქრისტიანი ქართველები მივისწრაფვით კულტურული ერთობისაკენ, გვაერთებს საერთო ეროვნება, ენა, ლიტერატურა და ეროვნული ინტერესები, რომლების მიფუჩეჩება და დავიწყება იქნებოდა ჩვენი კულტურულად დაბეჩავებისა, გადაგვარებისა და მოსპობის მომასწავებელი, ამიტომ ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ იმ ვაუბატონებს, რომელნიც თავისი უვიცობით, ქვენა მიზნებით ან რაიმე სხვა განზრახვით წინ ეღობებიან მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების ეროვნულ-კულტურულ დაკავშირებას¹².



ქ. ბერიძე (მ. ბერიძის ძე) და მისი ცოლი (მ. ბერიძის ქ.)
წარდგენილია მისი (მ. ბერიძის) მიერ

**სამგლოვიარო დეპეზა აკ. წერეთლის
გარდაცვალების გამო**

ძარტველ მავმადიანთა ჯგუფისაგან

ქართველი ერის ნაწილ-ნანგრევებს, ისედაც ბედისაგან დაწყველილ-დატანჯულებს, ტანჯვაზე ტანჯვა აღარ გვშორდება და ამ უკანასკნელმა, სამუდამოდ დაუვიწყარმა, თავზარდამცემმა—საქართველო'ს დიდებული შვილის დაკარგვამ გადააქარბა ყოველ ტანჯვას და მოგვწყვიტა წელი¹³.

გაზ. „სამშობლო“, 1915 წ., 4 თებერვალი, № 3, გვ. 3.

მაჰმადის დროშა, საღმრთო ომი და ოსმალები

მაჰმადმა სიკვდილის დროს დაიბარა მისი მორწმუნენი და უანდერძა: „აი ჩემი საღმრთო დროშა, რომელსაც ვაბარებ ჩემს ნათესაებს. ჩემ მემკვიდრე-ხალიფად უნდა ინიშნებოდეს ჩემი მემკვიდრეთაგანი. თუკი რომელიმე სარწმუნოების ხალხი გამოილაშქრებს თქვენზე მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოსპოს ჩემი სარწმუნოება, მაშინ ჩემი მოადგილე-ხალიფი ვალდებულია გამოაცხადოს საღმრთო ომი, გამოიტანოს ეს ჩემი საღმრთო დროშა, წაუძღვეს წინ ჰუსლიმანობას და მაშინ ვალდებული იქნებიან ჩემი მორწმუნენი უკანასკნელ სისხლის წვეთამდის დაიცვან ჩემი სარწმუნოებაო“.

აი, მაჰმადის საღმრთო ომის და საღმრთო დროშის შესახებ.

ახლა გავითვალისწინოთ მაჰმადის ანდერძი და შევეხოთ თურქებს

დღეს ხალიფებიცა და საღმრთო დროშაც აბარიათ ოსმალებს — თურქებს, რაც მაჰმადის სურვილისა და ანდერძის წინააღმდეგია. რასაკვირველია, ეს უფლება ოსმალებმა შეინარჩუნეს ძალმომრეობით და არა მაჰმადის ანდერძის მიხედვით.

მაჰმადის ანდერძის მიხედვით, თურქებს ნება არა აქვთ საღმრთო ომის გამოცხადებისა, რა პირობებშიც არ უნდა ჩავარდეს ისლამი, რადგანაც ისინი მოკლებული არიან საღმრთო ომის გამოცხადების უფლებებს.

გარდა ამისა, რა შუაშია დღეს, მეოცე საუკუნეში საღმრთო ომი? ვის ცალია ან ვის ეპიტნავენა სარწმუნოებისადმი დევნა? მიუხედავად ზემოხსენებულისა, დღეს ოსმა-

ლებმა — თურქებმა საღმრთო ომი გამოაცხადეს, რომელსაც მოყვება მაჰმადის საღმრთო ღროშის გამოტანაც...

ვთქვათ, ოსმალებს აქვთ უფლება საღმრთო ომის გამოცხადებისა, მერე რა საფუძველი უდევს ოსმალთა საღმრთო ომის გამოცხადებას? აღარ ვიცი.

შეიძლება ოსმალები საღმრთო ომის გამოცხადებას ამყარებენ მაჰმადის შემდეგ სიტყვებზე: „ხუბბულ ვათან მინელ იჰან“ (ე. ი. სამშობლოს სიყვარული დამოკიდებულია სარწმუნოებაზე — რამდენადაც გიყვარს შენი სამშობლო, ამდენადვე გეყვარება შენი სარწმუნოებაც).

ეს კარგი, მაგრამ რა შუაში არიან სხვადასხვა ერის მუსლიმანები, თუნდაც ოსმალები — თურქები განსაცდელში იყენენ?

რა შუაში არიან დღეს საწყალი აჭარლები, რომ ეუბნებიან (როგორც გაზ. „აზრში“ წაიკითხეთ) — „საღმრთო ომი გამოცხადდა და თქვენ რას აპირებთ“.

ან რა შუაშია ოთხას მილიონამდე მუსლიმანობა, რომლებსაც თავ-თავისი სამშობლო და დედა ენა აქვთ, თუ შვიდი მილიონი თურქი განსაცდელში არის? აშკარაა, რომ ოსმალებმა საღმრთო ომი გამოაცხადეს თავისი ინტერესების დასაცავად და არა მაჰმადის სარწმუნოებისათვის. მათი მიზანი იყო: საღმრთო ომის გამოცხადებით ესარგებლათ და ოთხას მილიონამდე მუსლიმანი, რომლებსაც თავ-თავისი სამშობლო და დედა ენა აქვთ, თავისი ინტერესებისათვის მსხვერპლად შეეწირათ. მაგრამ ეს ვერ მოახერხეს, თუმცა საწყალი დაბეჩავებული ქართველი მუსლიმანობა, თურქების წყალობით მაინც კიდევ გაითელა⁴.

კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური

ძვირფასო მოძმენო!

მოგვწყინდა მოწოდებაც და საყვედურიც თქვენდამი, მაგრამ რა გზა გვაქვს მეტი? სხვას ვის უნდა ვუსაყვედუროთ, ვის მოვუწოდოთ, ვის ვუთხრათ ჩვენი გულისტკივილი? ვის? საით წავიდეთ? ვის მივპართოთ, თუ არა ისევ თქვენ.

რაც ჩემი ღელა ენის ანბანის კითხვა ვისწავლე, იმ დღიდან გაზეთებში ვკითხულობ თქვენს სიტყვებს ქართველი მაჰმადიანებისადმი: „დავეხმაროთ, ხელი გავუწოდოთ, წერა-კითხვა ვასწავლოთ ჩვენს მოძმეებს“, და ეს ჩვენი ჩვენად ბოლოვდება და მეტი არაფერი.

ბატონებო! გულახდილად მოგახსენებთ და იმეღია, არ გამკიცხავთ, რომ თქვენი სიტყვა დაჩაგრული მოძმეებისადმი, ყოველთვის ცარიელ სიტყვებად რჩება.

მალე ორმოცი წელიწადი შესრულდება, რაც თქვენ შემოგიერთდით; ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბევრში ერთსაც ვერ ვხედავთ. ქართველი მაჰმადიანების მტკიცე საძირკველის ჩადგმა და ცხოვრების გზაზე გამოყვანა თქვენი ვალი იყო. შესაძლოა ამ მუშაობაში ბევრი დაბრკოლება, საყვედურიც შეგხვედროდათ და ბევრი შრომაც დაგეხარჯათ, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, უნდა დაგვხმარებოდით თქვენს ჩამორჩენილ ძმებს, თქვენი კულტურის ნანგრევებს, მით უფრო, რომ თქვენი შრომა უნაყოფოდ არ ჩაივლიდა. სწავლა-განათლების გავრცელებით ქართველი მაჰმადიანები გვერდით უნდა ამოგეყენებიათ და დღეს ექვის თვალით შესახედნი აღარ ვიქნებოდით; პირიქით, დღეს თქვენთან ერთად, იარაღით ხელში, მონაწილე ვიქნებოდით თქვენი ქირ-ვარამისა. ჩვენს დღევანდელ ჩამორჩენასა და შეუვნებ-

ლობაში თქვენ ხართ დამნაშავე და უმთავრესად თქვენი სირცხვილია.

ასეთ საყვედურებზე ბ-ნი „იმერი“ შემდეგი სიტყვებით მოგემართავს: „შეიძლება, ამ შემთხვევაში, ქართველთა ჩვეულებრივი დაუდევრობაც იყოს დამნაშავე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაშიც, მაგრამ უდიდესი მიზეზი ჩვენი და მაჰმადიანი ქართველების არასრული გაერთიანებისა, ის პოლიტიკური შორსმჭვრეტელობაა, რომლითაც არა ერთს და ორ ბიუროკრატს შეუძლია იამაყოს“.

ბ-ნ „იმერს“ და მის თანამოაზრე პირებს, რომლებიც ხშირად ასეთ მიზეზებზე უთითებენ, მოვასხენებთ, რომ ტყუილად ნუ ირჯებიან და ნუ სწუხდებიან. ასეთი მიზეზების წამოყენებით და მითითებით ქართველი ქრისტიანობა (რამდენიშეს გარდა), ვერ იხსნის თავს იმ დანაშაულობისა და მძიმე უღლისაგან, რომელიც დღეს კისერზე ადევს ყოველ ქართველს.

ჩვენი მოძვენი სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობენ ბუნების დასათვალისწინებლად და ის კი ავიწყდებათ, რომ სხვაგან გაქცევას, წავიდნენ და კარის ყურეში დაათვალისწინებულ ბუნება და სხვადასხვა ნაშთები მისი კულტურის ნანგრევებისა, სადაც ერთ დროს ქუხდა ქართველობა და შიშის ზარს სცემდა მტერს, სადაც დუღდა ქართველის სისხლი და დღეს კი მხოლოდ აჩრდილია და მიტოვებულია ღვთის ანაბარად, მათთვის არავინ ზრუნავდა და არც ზრუნავს!

ქართველ მუსლიმანობას უფრო მდამიო და შეუგნებელ მოძვეებთან ჰქონდა დაახლოება და ეს შეუგნებელი ქართველი ქრისტიანობა უფრო წამლავდა ქართველ მაჰმადიანობას. ამ უკანასკნელებს უწოდებდნენ „თათარს“ და მაჰმადიანებიც ამ სახელს თანაუგრძობდნენ, როგორც ნამდვილ ეროვნულ წოდებას.

ქართველი ინტელიგენცია არ ცდილობდა თავის მოძვეებთან დაახლოებას, არ მოგზაურობდნენ აქარისაკენ, არ ათვალისწინებდნენ მათი კულტურის ნანგრევებს, არ ნახულობდნენ მათ დაობლებულ ძმებს და გაპარტახებულ სოფლებს, რომელნიც მოითხოვდნენ მცირე ხარჯს. ასეთი დაახლოება კი მჭიდრო კავშირის მომასწავებელი იქნებოდა. სიტყვის განგრძობა ზედ-

მეტია, ვიტყვი მხოლოდ, რომ იმ ქართველს, რომელსაც არა აქვს დავლილი ის მხარე, რომლითაც ერთ დროს ჩვენი გამოჩენილი მეფეები ამყობდნენ და რომელიც საქართველოს საუკეთესო ნაწილად ითვლებოდა, რომელ ქართველსაც აქ წარსულის ნაწიებზე არ დაუღვრია ცრემლები, მას არ შეუძლია სულითა და გულით დახმარების გაწევა და მათი სიტყვები სიტყვებადვე დარჩება.

ახლა შევეხები დღევანდელი აჭარის მდგომარეობას.

ოსმალეთის წყალობით ბევრი აუტანელი ტანჯვა-ვაება განუცდია ქართველ მაჰმადიანობას. აღმოფხვრეს ყველაფერი. სამი საუკუნის განმავლობაში სისხლს სწოვდნენ ქართველ მაჰმადიანობას. ბოლოს, როგორც იყო ოსმალეთის კლანჭებისაგან ქართველი მაჰმადიანების ნაწილმა თავი დააღწია, მაგრამ სამწუხაროდ, ამ განთავისუფლებამ ვერ უშველათ და დღეს ოსმალეთის წყალობით კიდევ განადგურდა ნახევარი სამაჰმადიანო საქართველო, კიდევ დაინთხა მათი უდანაშაულო სისხლი.

როგორც ვხედავთ, დღეს აჭარის მხარე გათელილია. საუკეთესო ძალა მოისპო და ვინც დარჩნენ, ისინიც უკანასკნელ წუთებს ითვლიან.

საჭიროა დაუყოვნებლივი დახმარება, როგორც ნივთიერი, ისე ზნეობრივიც.

მხოლოდ კითხვა იმაშია, თუ ვინ უნდა ითავოს ეს, ვის ადევს კისერზე ამ მძიმე უღლის გაწევა?

რასაკვირველია, ჩვენს მოძმეებს — ქართველ ქრისტიანებს.

მართალია, დღეს პატარა საქრისტიანო საქართველოს დედებიც სტირიან, ბევრ მათგანს ნივთიერი დახმარებაც სჭირია, მაგრამ, შედარებით აჭარასთან, მათ ნაკლები სატირალი აქვთ.

ბ-ო! ამ მდგომარეობაში მყოფი თქვენი ძმები — აჭარლები და მათთან ერთად სამცხე-საათაბაგოს წარსული გმირნი და თამარი გთხოვენ დაეხმაროთ ჩაგრულთ.

იმედია, დღევანდელი ჩვენი ნაწერები გაზეთის ფურცლებზე არ დარჩება ხმად მლაღადებლისად უდაბნოსა შინა!

ვთხოვ სხვა ქართულ გაზეთებს ამ წერილის დაბეჭდვას¹⁵.

მოკმეთა გულუხემატიკივარის, პაწია გაიოზ იოსების ქე იხეღაუვილის მიმართ

პაწაწინა გულწრფელო ქართველო!

თქვენი წემოწირულება და გულწრფელი ამონაკენესი თქვენი პატარა ძამია აჭარლებისადმი წაეიკითხე „სახალხო ფურცელში“. გეწამს, პაწაწინავ, თქვენი ნორჩი გულიატკივილი დაჩაგრული პატარა ძამია აჭარლებისადმი, მხოლოდ, გტხოვთ, ჩემი წერილის წაკითხვისას, შემდეგი უაპბო შენ საყვარელ მამას: მამა, თქვენ რომ გამაგონეთ — „ჩვენო ქართველი ხალხი გათათრებული არისო“, ეს სრულებით ასე არ ყოფილა-თქო, ისინი გათათრებული კი არა, გამაჰმადიანებული არიან. მაჰმადიანობა არის სარწმუნოება, თათრობა კი ეროვნებაა. სარწმუნოება ვერ ცვლის ეროვნებას, მაშასადამე, ისინი ყოფილან გამაჰმადიანებული ქართველები და არა როგორც შენ მითხარი — „გათათრებული“. რაც შეეხება თათრებს (ამ განსაკუთრებული ეროვნების ხალხს), ცხოვრობენ ყაზანში, ყირიმში, სად ყირიმში და სად აჭარა-თქო?!¹⁶.

ლია წერილი

ჩვენი ძვირფასი, დაუღალავი მუშაკის, ზ-ნ ზ. ხიზინაძის მიმართ

დაუღალავო მუშაკო!

თქვენ დაუფასებელი შრომა მიგიძღვით ჩვენი — ქართველი მაკმადიანების წინაშე. და ღლეს თუ შესაფერისად ვერ გაფასებთ, ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ შემდეგშიაც ასე დარჩება. ჩვენშიაც მოიფინება სწავლა-განათლების სხივები, ჩვენც დავადგებით სწორ გზას, და მაშინ კი თქვენს ღვაწლს ერთი-ორად დავაფასებთ, და თქვენი სახელი და დიდება უკვდავად დარჩება ჩვენში. ამასთან ერთად, მსურს შემდეგი მოგახსენოთ: წავიკითხე თქვენი წერილი „თანამედროვე აზრში“ ქართველ მაკმადიანთა შესახებ წიგნების თაობაზე. როგორც თქვენი წერილიდან ჩანს, რამდენიმე წიგნი გქონიათ დაუბეჭდავი და გასურთ მათი დაბეჭდვა. ეს ძალიან სასიამოვნოა. მაგ მასალების შეგროვებაში, ექვი არაა, დიდი შრომა მიგიძღვით; ამიტომ, ჩემის აზრით, თუ გასურთ, რომ თქვენს მიერ გამოცემულმა წიგნებმა ნაყოფი მოუტანოს ქართველ მაკმადიანობას, აუცილებლად საჭიროა მოიწვიოთ კომისია შეგნებული ქართველი მაკმადიანებისაგან. მათი თანდასწრებით გაარჩევთ თქვენს მიერ გამოსაცემ წიგნებს და მათი მოწონებით დაისტამბება. ამგვარად გამოცემულ თქვენს წიგნებს თვით უკიდურესი ფანატიკი-აჭარელი სრულის ნდობით შეხედავს და გულმოდგინედაც წაიკითხავს, რაც უზომო ნაყოფს გამოიღებს. წიგნებს ზედ ექნება წარწერა, რომ იგი კომისიის თანდასწრებით შემუშავდა და ისე გამოიცა.

ამას გარდა, თქვენ გამოსაცემ წიგნთა რიცხვში, შემდეგი სათაურით გამოსაცემი წიგნიც არის მოხსენებული: „ქართველების გათათრება“. პირადად მე ამ სათაურს ვერაფერი გავუგე და უმორჩილესად გთხოვთ, მაცნობოთ: ზემოხსენებული სათაურით გამოსაცემი წიგნი რომელ მხარეს ეკუთვნის¹⁷.

მცირე ზენიშვნა

გაზეთ „საქართველოს“ მე-17 ნომერში მოთავსებულია ბ-ნ „რ. ინგილოს“ წერილი საინგილოს შესახებ, სათაურით „ვისი ბრალია?“ მე არ მსურდა ამ წერილის გაზვიადება, ვინაიდან ასეთი წერილები ჩვენ დიდ ზარალს მოგვიტანს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო იძულებული გავხდი ამოვიწერო ზოგიერთი ადგილი და დავბეჭდო გაზეთის ფურცლებზე. მოგეყავს ამონაწერი სიტყვები:

„ჩვენ ვეცდებით დავასახელოთ ზოგიერთი ფაქტი, აღვნიშნოთ მომენტები, რომელნიც საინგილოში ეროვნული შეგნების განვითარებას ხელს ვერ შეუწყობდნენ. ავიღოთ თუნდაც სარწმუნოებრივი საკითხი: მოგეხსენებათ, რომ მართლმადიდებელი ინგილოებიც არიან და მაჰმადიანებიც; მათ შორის უმრავლესობა მაჰმადიანია. გლეხის ბნელი გონება ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ სარწმუნოებრივი გარჩევა არ იგულისხმება ეროვნების სხვადასხვაობას. და აი, იმის მაგივრად, რომ მკვიდრთ ეს მარტივი დებულება ჩაუნერგონ, ყოველივე მიმართული იყო და არის დღესაც იმისაკენ, რომ შუღლი დასთესონ ქრისტიანთა და მაჰმადიანთა შორის, რომ ხშირად ნათესავეები, რომელნიც აღიარებენ სხვადასხვა სარწმუნოებას, წაჰკიდონ და გადაამტერონ ერთმანეთს.

ამით ჩვენ არ გვინდა იმისი თქმა, რომ მაჰმადიანი ინგილოები იგივე უნდა დარჩნენ და სხვ. პირიქით, ქრისტიანობის გავრცელება ზაქათალის ოლქში მხოლოდ და მხოლოდ სასურველია, მაგრამ... სამწუხაროდ, სწორედ ამ „მაგრამშია“ საინგილოს გადაგვარების უმთავრესი მიზეზი. მისიონერების დაარსებამ საინგილოში არამც თუ მოიტანა სათანადო ნაყოფი, პირიქით, საქმე უარესად წაახდინა და უფრო დაამკ-

ვიდრა ისლამში ის ინგილონიც კი, რომელთა მოქცევა არც ისე იყო ძნელი და სხვ.

მშვენივრად დაწყებული საქმე იმით დაამთავრეს, რომ ამ ორი-სამი წლის წინათ, სოფელ თასმალოში მისიონერად გამოგვიგზავნეს მოსკოვში ვოსტორგოვის მიერ დაარსებულ სამისიონერო კურსებდამთავრებული რუსი მღვდელი, რომელმაც ქართული ენა ისევე იცოდა, როგორც ჩვენ ჩინური...

სარწმუნოებრივი საკითხის მოუგვარებლობამ ძლიერ შეაფერხა საინგილოში ნაციონალური მომენტის განვითარება. რიგიანი გადაწყვეტა საინგილოში სარწმუნოებრივი საკითხისა, ჩვენი აზრით, უნდა შეადგენდეს ერთ უახლოეს და უმთავრეს მიზანს ყოველი ქართველისათვის. ეს ცხადზე უცხადესია, მხოლოდ დღევანდელ პირობებში, უნდა ვეცადოთ და ვიხმაროთ ყოველივე საშუალება: სიტყვით, წერით, უფრო კი საქმით, მოქმედებით, რომ ინგილო მაჰმადიანმა თავისი თავი ქართველად ჩასთვალოს“.

ჩვენ აქ ამ წერილზე კამათს არ შევეუდგებით. მხოლოდ ვიტყვით, რომ ასეთ მომენტში, როდესაც დგება სანეტარო ხანა საუკუნოობით დაშორებული ძმების შეერთებისა, როდესაც ერთიც და მეორეც მომზადებული ვართ მხურვალედ ჩავეკრათ გულში ერთიპეორეს ამდენი ხნის ერთიპეორესაგან დაკარგული ძმები, ამ დროს ასეთი წერილების წერა არასასურველად უნდა ჩაითვალოს და სამწუხარო უფრო ის არის, რომ „საქართველოს“ რედაქცია ასეთ წერილებს ადგილს უთმობს.¹⁸

აპარის მთებში

ცინე-კოუკაჰის ნანგრევებთან

მოხუცი და ჭაბუკი აქარელის ბაასი

ჭაბუკი: — ბაბუა! ეს ქართველები რა კეთილი ხალხი ყოფილა, როგორ გვეხმარებიან, ხელს გვიწვდიან ამ ჩვენი საერთო გაჭირვების დროს! ჩვენმა უბედურებამ არაპც თუ დიდები, პაწაწინა ქართველებიც კი აატირა. „ჩვენი პატარა ძმებო“, — ამბობენ ისინი. ჩვენ—აწიოკებულ პატარა აჭარლებს ფულსაც კი გვიგროვებენ. რატომ ტირიან, ბაბუა? რატომ გვეხმარებიან ქართველები? ჩვენი ბედი მათ რომ დასტეხოდათ თავზე, განა ჩვენც ხელს გავუწვდიდით?!

ჭაბუკის სიტყვებზე მოხუცს თვალები ცრემლებით აევსო. ჭაბუკი ამ სურათის დანახვამ გააოცა და გაკვირვებული დაუწყო ცქერა მოხუცის აცრემლებულ თვალებს. ჭაბუკი შეეკითხა: — ბაბუა, რა გატირებს, რა დაგემართა?!

ჭაბუკის სიტყვებზე მოხუცმა მწარედ ამოიგმინა და შემდეგი მიუგო:

— ეხ! ჩემო შვილო, განა ჩვენზე უბედური ხალხი მოიპოვება? ჩვენ ახლა კი არა, დიდი ხანია გვაქვს სატირალი. ხომ ხედავ, შვილო, დღეს რა ხდება, რა საშინელ ცეცხლის ალშია გახვეული კაცობრიობა! ადამიანთა რამდენი უმანკო სისხლი იღვრება და ეს ყველაფერი, შვილო, სულ სამშობლოს საბედნიეროდ ხდება. რა ფასი აქვს ადამიანის სიცოცხლეს თვისა სამშობლოს გარეშე? დღეს აშკარად გამოსჭვივის უპაგალითო ომში სამშობლოს სიყვარული. ადამიანი არ ზოგავს თავის სიცოცხლეს, ოღონდ კი სამშობლოს თვისი სისხლით მინც კეთილდღეობა მოუპოვოს...

— ბაბუა! — გაუგებოდა ჭაბუკმა, — ჩემი კითხვა სხვა იყო და შენ კი სულ სხვაზე დამიწყე ლაპარაკი და კიდევაც აცრემლდი. მერე შენ რა გინდა? თუ ასეთი საყვარელი რამ არის სამშობლო, ხალხიც სისხლსა ღვრის მის საკეთილდღეოდ, შენ რაღა გატირებს?! მეც რომ მქონდეს სამშობლო, თუ ის ასეთი საყვარელი რამ არის, არც მე დავიშურებდი სისხლს მის საკეთილდღეოდ.

— აი, ჩემო შვილო, სწორედ ის არის მიზეზი ჩემი ცრემლების, რომ ის საყვარელი სამშობლო შენცა გაქვს და შენ კი ეს არ იცი. აი, შეხედე, — მიუთითა მოხუცმა ხელი ჭაბუკს ციხე-კოშკების ნანგრევებზე, — ეს უტყვი ნანგრევები რის მოწამენი არ არიან! რამდენ ჩვენ წინაპარს გმირულად აი, ამ კოშკებთან თვისი წმინდა სისხლი დაუნთხევია თავის ეროვნების და პიროვნების დასაცავად! რამდენჯერ დამდგარა აქ სისხლის შორევი, რამდენი ჩვენი გმირის ძვლებია ჩამარხული აი აქ, ამ მთებში. შეხედე, კიდევ როგორ ამაყად გამოიციქირებიან ეს ჩვენი წინაპართა აჩრდილნი! ვერავითარ თელვას მათთვის ძველებური სიამაყის ფერი ვერ შეუტვლია. აი, შვილო, ეს არის ჩვენი სამშობლოს სიამაყე და ჩვენი სამშობლო კი მთელი საქართველოა. ქართველები კი ჩვენი ღვიძლი ძმები არიან და ჩვენც ქართველნი ვართ. ძველად ჩვენი ჭირი და ღვინი განუყოფელი იყო. მაგრამ ბედმა გვიშუხთლა, დაგვაშორა ერთმანეთს ძენი საქართველოსი. ამ დაშორებასთან ერთად ვულკანტეთ ჩვენ წარსულს გმირებს. ჩვენ უარყავით სამშობლო, ედემის მსგავსი საქართველო და მასთან ერთად ეროვნებაც. აი, სწორედ ეს მალონებს და მატირებს, შვილო, რომ შენმა სიტყვებმა გამახსენა გმირნი-მამაცნი, სამშობლოსათვის თავდადებული ქართველნი, ჩვენი წინაპარნი და დღევანდელი მათი აჩრდილნი.

შვილო! განა ჩვენ არ უნდა ვიცოდეთ, ვინ არიან ქართველები და რა არის მიზეზი, რომ მათ ჩვენი ტკივილები თვის ტკივილებად აღიარეს?!

განა ჩვენ არ უნდა ვიცოდეთ, ვინა ვართ ჩვენ და სამშობლო გვაქვს თუ არა?! ვაი, რა დღეს მოვესწარით საქართველოს ფიზიკლნი დარაჯნი!...¹⁹

ს ი ტ უ ვ ა

წარმოთქმული ყოროლისწყლის სკოლის კურთხევაზე

მეზობლებო, ქართველო მუსლიმანებო!

მრავალწამებულ ჩვენს ძმებს, რომელნიც მოწყვეტილი აყვნენ დედის თბილ მკერდს, ტკბილ ძუძუს, რომელთაც რამდენიმე საუკუნეა არ მოუსვენიათ მშობლიური ტკბილი ნაინა, არ უმღერიათ მშობლიურ ტკბილ ჰანგზე და არ უწონიათ დედის ტკბილი ძუძუ, მათ ღღეს ეღირსათ ჩვენი ღვიძლი ძმების, ქართველი ქრისტიანების დახმარებით იმ ტაძრის საძირკვლის ჩაყრა, სადაც ჩვენი ახალი თაობა, ჩვენი მომავალი, გაიკვებება, აღიზრდება ტკბილ დედის ძუძუთი და ამით მათ ჩაედგმებათ განწმენდილი მშობლიური ენა და ამ ენით კი დაიწყებენ ჰიკიკს და სტვენას ჩვენი ღროებით მიძინებული ველ-მინდვრების გასაღვივებლად და გასამხიარულებლად, იმ ველ-მინდვრების, რომლებსაც ერთ დროს ჭეჭა-ჭუხილი გაჰქონდა და რომლებსაც ერთ დროს მისი რაინდნი შვილნი უღვნენ გვერდში ფხიზელ დარაჯად, მასთან ერთად სტვენა ჰიკიკით ატკობდნენ მას. ღღეს კი ამ რაინდებს, ამ მიდამოების ფხიზელ დარაჯთ, სძინავთ საფლავებში, საიდანაც გულნადვლიანნი შემოგვცქერიან ჩვენ, გვევედრებიან და გვთხოვენ, რათა მათი მიძინებული ძვირფასი მიდამოები, რომლებსაც ამდენი ძილისაგან სადაც არის ფერიც გაშვებიათ, მოვალზინოთ, ვუჰიკიკოთ მშობლიური ჰანგებით, რათა ისევ ძველებურად ავახმაუროთ და ავაშრიალოთ. ჩვენი წარსულნი გმირნი, ღღემღია ჩვენზე უიმედობით ილაჯაწყვეტილნი და ღღეს კი იმედით აღჭურვილნი, დიდ სიხარულს განიცდიან, რადგანაც ღღეს ისინი გრძნობენ, რომ უკვე ჩაეყარა საძირკველი იმ ტაძარს,

რომელმაც უნდა აღზარდოს მათი საღმერთებელი მიდამოების მოქიქიკენი და მომღერალნი.

მაშ ასე, ძმებო, მოვიკიდოთ ხელი სწავლა-განათლებას და მით გავწყვიტოთ ჯაჭვი მონობისა, მაგრად ჩავჭიდოთ ხელი ძმებმა ერთი-მეორეს, ვიმზიარულოთ და მასთან ერთად ავახმაუროთ და ვამზიარულოთ დღემდის მიძინებული ჩვენი მიდამოებიც.

ხომ ხედავთ, მეზობლებო, ჩვენი ღვიძლი ძმები — ქართველი ქრისტიანები როგორ თავდადებით და თავგანწირვით იბრძვიან ჩვენთვის, ჩვენდა საკეთილდღეოდ. ჩვენმა ძმებმა დღეს ჩვენ დაგვიმტყიცეს ნამღვილი ძმობა, სიყვარული და ერთგულება. ამაზე მეტის გაკეთება ძმას ძმისთვის აღარ შეუძლია, მაგრამ ჩვენ მაინც ნუ მოვერიდებით სირცხვილს და ვუთხრათ ჩვენს ძმებს, ჯერ თქვენ არაფერი გაგიკეთებიათ ჩვენთვის, დღემდის თქვენი გაკეთებული უმცროსი ძმებისთვის ზღვაში წვეთაა-თქო. ჯერ კიდევ უნდა გვიპატრონოთ. გაგვიძეხით წინ და გაგვიყვანეთ ნათელ გზაზე, რომ მით ჩვენც, თქვენთან ერთად, გავწიოთ საერთო ტანჯული ცხოვრების მძიმე უღელი, რომლითაც გავახარებთ ჩვენს ტანჯულ სამშობლოს და მასთან ერთად გავახარებთ ჩვენს წარსულ გმირებს, ტურფა სამშობლოსათვის წაშებულებს.

მაშ, ვუსურვოთ გამარჯვება პირველ მერცხალს — დღევანდელ ეროვნულ სკოლას!²⁰

გაზ. „საქართველო“, 1916 წ., 10 მარტი, № 55, გვ. 3.

მაჰმადიან ქართველებში

უკანასკნელ დროს ბათუმში გადმოტანილი იქნა ბაქოს მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება. ამ საზოგადოებაში, სხვათა შორის, მუშაობდა ბაქოს თურქულ გაზეთ „იენი იკბალის“ თანამშრომელი რიზა-ბეგი. ბ-ნმა რიზა-ბეგმა ბათუმში ჩამოსვლისთანავე უარპყო თავისი მოვალეობა და მიზნად დაისახა ქართველ მაჰმადიანებში დედა ენის აღადგმვა. ბ-ნ რიზა-ბეგს არასასურველად მიაჩნდა, რომ ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს გვიყვარდა ჩვენი დედა ენა ქართული და მის ნაცვლად თურქული ენის ჩანერგვას ლაპობდა ჩვენში. ის, როგორც საქველმოქმედო საზოგადოების წევრი, დაიარებოდა ქართველ მაჰმადიანთა ოჯახებში ნივთიერი დახმარების აღმოსაჩენად და რომელ ოჯახშიც კი შევიდოდა, მისი პირველი სიტყვა იყო: „ვინ ხართ თქვენ და რად გინდათ ქართული ენა“...

როგორც ეტყობა, ბ-ნი რიზა-ბეგი მარტოდ არ ყოფილა. ეს ჩანს შემდეგიდან: ბ-ნ რიზა-ბეგის წყალობით, ორი თვის წინათ, ბათუმის ქალაქის პირველადწყებითი ქართული სკოლის მეორე განყოფილებიდან გადავიდნენ სამი ქართველი მაჰმადიანი და წულუკიძენი — ბავშვები სიცოცხლით სავსენი. ზედმიწევნით ბეჯითები, ქართული ენის მოტრფიალენი და გაგზავნილ იქნენ ბაქოში თავიევის რუსულ მუსლიმანთა სკოლაში. ამ ქალების შესახებ არავინ დაიჭერებდა, თუ ორი წლის მოწაფენი იყვნენ, ისე შესწავლილი და შეთვისებული ჰქონდათ ქართული წერა-კითხვა.

ისინი რომ ბაქოში გაგზავნეს სწავლის მისაღებად, ამ ამბავს სიხარულით შევხვდი და აი, რატომ: ერთი რომ ბავშვების მშობლები ნივთიერად დაცემულნი არიან, მეორეც, —

პირველი მაგალითი იყო სამაჰმადიანო საქართველოდან სწავლისათვის მაჰმადიანი ქართველი ქალების უცხო მხარეში გაგზავნა, რაც გზის მაჩვენებელი იქნებოდა სხვებისათვის. უმთავრესი მიზეზი კი ჩემი სიხარულისა ის იყო, რომ სამაჰმადიანო საქართველოს შეეძინებოდა სამი განათლებული მაჰმადიანი ქართველი ქალი, რომლებიც გვერდში ამოუდგებოდნენ დებს და ძმებს... მაგრამ სამწუხაროდ, როგორც ეტყობა, ეს ჩემი ოცნება ოცნებადვე უნდა დარჩეს და აი რატომ: როდესაც ბათუმიდან ბაქოს გაემგზავრნენ დები წულუკიძენი, თბილისიდან მიიღეს მშობლებმა წერილი, რასაკვირველია, იმ ენაზე დაწერილი, რომელი ენაც იყო მათი და რომელ ენაზედაც შეეძლოთ მხოლოდ წერა-კითხვა, ე. ი. ქართულზე. ასეთივე წერილები მიიღეს მშობლებმა ბაქოდან, სკოლაში შესვლამდის, რომელშიც ბავშვები მშობლებს ჰპირდებოდნენ: „სკოლაში შესვლისას დაწერილებით ყველაფერს მოგწერთო“.

მაგრამ საუბედუროდ, როდესაც ეს უსუსური — დედა ენის მოტრფიალენი შედიან ზემოხსენებულ სკოლაში, წამსვე სურათი იცვლება და ბავშვებს ხელებზე ბორკილებს ადებენ. ვიმეორებ ბორკილებს ადებენ-თქო და აი, როგორ: ვლებულობთ რუსულ ენაზე დაწერილ წერილს, რომელშიც დამწერა, ბავშვების სახელით, მშობლებს სწერს: „ქართულად წერილი არ მოგვწერთ, რადგანაც აქ ქართული არავინ იცისო“. და ამ „მკაცრი განკარგულების“ შემდეგ მშობლებს მოსდით თურქულ ენაზე დაწერილი წერილები.*

რასაკვირველია, ამ თურქულ და რუსულ წერილებს ბავშვებს სხვები უწერენ, რადგანაც, ვიმეორებ, ბავშვებს მხოლოდ შეუძლიათ სწერონ მშობლიურ, ე. ი. ქართულ ენაზე. ერთი ვიცოდეთ, თუ რა დააშავა ქართულმა ენამ, რომ ბავშვებს აღარ შეუძლიათ თავიანთი ხელით თავიანთ მშობლიურ ენაზე სწერონ წერილები მშობლებს. მაშინ ხომ არც მშობლებს მოუხდებათ ქუჩა-ქუჩა სიარული, თუ ვის წავაკითხოთ თურქული წერილიო!.. საკვირველებაა!.. ბავშვებს თამამად შეეძლოთ წერა წერილისა და ამ დროს კი სხვებს სთხოვდნენ წერილის დაწერას!..

* წერილებს ბავშვები ჩემს სახელზე გზავნიან მშობლებზე გადასაცემად. წერილები ახლა ჩემს ხელშია. შ. ა.

ჩვენ, ქართველი მაჰმადიანები არავის მივცემთ ნებას, რომ ჩვენ საყვარელ დედა ენაზე იერიში მიიტანოს!

აქ არ შემოძლიან უყურადღებოდ დავტოვო რიზა-ბეგის წერილი, რომელიც ბაქოს თურქულ გაზეთ „იენი იკბალის“ 167-ე ნომერში დაიბეჭდა. როგორც ეტყობა ბ-ნი რიზა-ბეგი ძალიან გულნატკენი დაგვრჩენია... თავის წერილში ბ-ნი რიზა-ბეგი აჭარლებს შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „აჭარლები კაცის კვლასა და ძარცვა-გლეჯაში ოსტატები არიანო“. საინტერესოა ვიცოდეთ, აჭარაში მოგზაურობის დროს, ბატონი რიზა-ბეგი რამდენჯერ იქნა „მოკლული“ და რამდენჯერ „გაძარცული“?21.

გაზ. სახალხო ფურცელი“, 1916 წ., 25 მაისი, № 282, გვ. 3.

ლია წერილი ჩვენს ერთმორწმუნე კავკასიელ თურქებს

ჩვენო ერთმორწმუნენო!

ამ უკანასკნელ დღეებში ვკითხულობთ თურქულ პრესაში თქვენ გულისწყრომას ჩვენი ძმების, ქართველი ქრისტიანებისადმი. როგორც თქვენი ნაწერებიდან ჩანს, თქვენი გულისწყრომა გამოიხატება იმაში, რომ ჩვენმა ძმებმა კეთილ ინებებს და გაგვიხსნეს ორიოდ ეროვნული სკოლა, რომელსაც დიდი ხანია შევნატროდით, და სადაც შეგვიძლია ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს, ვისუნთქოთ საკუთარი ჰაერით.

ამაში რალაცას წარმოუდგენელს ხედავთ... თქვენი სიტყვით, ქართველმა მაჰმადიანებმა რომ ეროვნული ჰაერი ვისუნთქოთ, ეს იქნება ჩვენი დალუპვის მომასწავებელი... თქვენა ბრძანებთ: „თუ თურქული სკოლა არ გავხსენით, ვინ არი თავდები, რომ აჰარა არ გაქრისტიანდებაო“. ვერ წარმოგვიდგენია, თქვენს ასეთ შეკითხვას რა პასუხი გავცეთ!... აბა, თქვენ გვიპასუხეთ ერთმორწმუნენო: თუ თურქული სკოლები გავხსენით, ვინ არი თავდები, რომ აჰარა არ გათურქდება?... დღეს ხომ ეროვნება მეორე ღმერთია და მას ხომ დიდი ადგილი აკუთვნა კაცობრიობამ? ეს ხომ აშკარად დაგვიპტკიცა დღევანდელმა უმაგალითო ომმა!

ვერ წარმოგვედგინა ქართველ მაჰმადიანობას, თუ თქვენ, ჩვენს საკუთარ ჰაერის სუნთქვას წინ გადაელობებოდით!... შეიძლება ვცდებოდეთ და თქვენს წუხილს შეადგენს სარწმუნოების საკითხი და არა ჩვენი ქართველი მაჰმადიანების ეროვნულ ფერხულში ჩაბმა? თუ ეს მართლაც ასეა და გაწუხებთ ჩვენი სარწმუნოებრივი საჭიროება, ძლიერ კარგი და პატიოსანი. მივყოთ ხელი მის მოწესრიგებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამ საკითხს პირდაპირ ალტა-
ცებით მიეგებებიან ჩვენი ღვიძლი ძმები — ქართველი ქრის-
ტიანები, რომლებიც ჩვენი სარწმუნოების არსებობას არა
ნაკლებად იცავენ, ვიდრე თავისას. ამაში ქართველი მაჰმადია-
ნები სულითა და გულით ვართ დარწმუნებულნი და ამ რწმე-
ნას ჩვენი გულიდან ვერავითარი ძალა ვერ აღმოფხვრის.

არა ერთხელ და ორხელ თავდადებით და თავგანწირვით
დაუცავს ქართველობას, ქართულ პრესას ჩვენი სარწმუნოება.
ეს, ალბათ, თქვენც გემახსოვრებათ, ჩვენო ერთმორწმუნენო,
რადგანაც თქვენს პრესაში არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული
ჩვენი ძმების, ქართველი ქრისტიანების მოქმედება. მაგრამ
ახლა რა მოგივიდათ აღარ ვიცით, რომ ბრძანებთ: „თუ
თურქული სკოლა არ გავხსენით, ვინ არი თავდები, რომ აქარა
არ გაქრისტიანდებო“. ბატონო ერთმორწმუნენო! მოგახსენ-
ებთ, რომ ეს ისეთი გულსაკლავი სიტყვაა, რომ შეგნებული
ქართველი მაჰმადიანი მას ვერ დაივიწყებს...

ნუ შიშობთ, ჩვენ არ გავქრისტიანდებით. აგერ, ორმოც
წელზე მეტია, რაც ჩვენში სამისიონერო პუნქტი არსებობს.
აბა, ბრძანეთ: ვინ გაქრისტიანდა?! თუ მისიონერებმა და რუ-
სულმა სკოლებმა ვერ გაგვაქრისტიანა, ნუთუ ეროვნული
სკოლები, რომლებიც კეთილ ინებეს და გაგვიხსნეს ჩვენმა
ძმებმა, გაგვაქრისტიანებენ? მე რე, რატომ, იპიტომ, რომ
ეროვნულია? საკვირველია, ღმერთმანი, ასეთი შეხედულება!
ვინც ეროვნულ სკოლაში აღიზრდება, ის უსათუოდ გაქრის-
ტიანდება?! მაშინ გვიბრძანეთ, თქვენ როგორღა დარჩით მუს-
ლიმანებად და არ გაქრისტიანდით, თქვენც ხომ გაქვთ თქვენი
ეროვნული სკოლები? ოთხას მილიონამდე მუსლიმანია, ათასი
სხვადასხვა ეროვნებისა. ხომ ყველანი თავიანთი საკუთარი
ეროვნული სკოლებით იკვებებიან და რატომ არ გაქრისტიან-
დნენ?

მაგრამ, არა ბატონებო! ამოა ეს საკითხები. ჩვენ, ქართ-
ველი მაჰმადიანები უცოდვილესი ხალხი ვართ. ყველას ფეხ-
ქვეშ სათელი და სათრევი შევიქენით. სამასი წელია, რაც
მოვწყდით ჩვენს ეროვნულ სიტკობებს და ღობე-ყორეს ვე-
დებით. დღეს, როგორც იქნა, ჩვენს გულში იფეთქა დღემდე

შიძინებულმა ეროვნული გრძნობის პატარა ნაპერწკალმა და
ესწრაფვის მგზნებარე ცეცხლად გადაქცევას. ამიტომ, გთხოვთ,
ნუ გვიშლით ხელს. ჩვენც გვინდა გავერიოთ ხალხში, ჩვენც
გვინდა და გვწყურია, როგორც მთელ კაცობრიობას, ეროვნუ-
ლი სული და ვინც გადაეღობება ამ ჩვენს, ქართველ მაჰმადიან-
თა წმიდათა-წმიდა გრძნობას, ის ჩვენი მეგობარი არ იქნება!...
რაც შეეხება სარწმუნოებას, უკანასკნელად მოგახსენებთ, რომ
ჩვენ სარწმუნოება ტანსაცმელად არ მიგვაჩნია, როდესაც
გვინდა გავიხადოთ და როდესაც გვინდა ჩავიცვათ.

ნუ შიშობთ, ჩვენო ერთმორწმუნენო, თუ კი დღემდე მო-
ვიტანეთ, აწ არავინდა წაგვართმევს, მით უმეტეს, რომ სარწ-
მუნოების გამოტაცვის დრო უკვე წავიდა და ახლა მისთვის
არავის ცალია.²²

ჟურნ. „ცხოვრება“, 1917 წ., 15 თებერვალი, № 4, გვ. 20—31,

ამხ. ს ო ს ო I

ძმაო, რაც თქვენ ბათუმიდან წადით და მე და შენ ერთიმეორეს ძმური სიტყვა მივეცით ქობულეთის უმაღლეს პირველ-დაწყებით სასწავლებელში თქვენი მოწვევის შესახებ, მას შემდეგ მთელი ალიაქოთი ავტეხეთ, რათა თქვენ მოეწვიეთ.

ახლა, როგორც იქნა, საქმე გამოვჩარხეთ და ზეგ არჩევნებია, სადაც თქვენ აუცილებლად გასული იქნებით. არ დაგვღუპო კაცი და უარი არ თქვა, თუ გწამთ ძმური სიტყვა, რომელიც მე მომეცით, თუ გწამთ ზღაპრში მუშაობა და თუ გწამთ სამაჰმადიანო საქართველო, თქვენს კანდიდატურაზე უარი არ თქვათ.

თქვენ კარგად იცნობთ ქართველი მაჰმადიანების სულისკვეთებას. თქვენ კარგად იცით, თუ როგორ უნდა მათში მუშაობა და ამიტომ უმორჩილესად გთხოვ, მთელი სამაჰმადიანო საქართველოს სახელით, დათანხმდე. შეიძლება თქვენ გეშინიათ, ვერ გავალო — ფიქრობთ. ამ შემთხვევაში ოფიციალურ თანხმობას ნუ გამოვასუქარავებთ, მხოლოდ ისე, მე ვიცოდე შენი აზრი და ჩვენ უსათუოდ გაგიყვანთ. დანარჩენს ამ ბარათის მომტანი გეტყვის²³.

1917 წელი, 10 ოქტომბერი

სამუსლიმანო საქართველო და ოსმალეთი

როგორც მოგეხსენებათ, ბათუმის ვალიმ (გუბერნატორმა) დაავალა ბათუმისა და მისი ოლქის რამდენიმე მცხოვრებს ხალხის სახელით კონსტანტინეპოლში წასვლა. ე. ი. ვალის დასახელებული პირები უნდა წასულიყვნენ კონსტანტინეპოლში, როგორც ბათუმის და მისი ოლქის წარმომადგენლები და ვალის დავალებით, ხალხის სახელით, ახალი სულთანისათვის მიელოცათ ტახტზე ასვლა და მასთან ერთად მიელოცათ ბათუმის და მისი ოლქის მცხოვრებთა სურვილის თანახმად — სულთანის ფეხქვეშ გადასვლა...

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, ეს „ხალხის სულისკვეთების გამომხატველნი“ — ვალის დელეგატები — კონსტანტინეპოლიდან ბათუმში დაბრუნებულან. სულთანს ისინი დაუჯილდოებია ნიშნებით და წლიურად თვითთელისათვის დაუნიშნია ორ-ორი ათასი მანეთი პენსიის სახით, რომელიც იქნება ჩამომავლობით და გარდა ამისა, ვინც ამ „დელეგატებში“ ბეგი არ ყოფილა, სულთანს ბეგობა მიუცია და ასეთნი სულთანისაგან უხვად დაჯილდოებულნი დაბრუნებულან ბათუმში. ეს ვაქებატონები თურმე ხალხს არწმუნებენ, რომ სულთანი მათ სამუსლიმანო საქართველოსათვის შეჰპირდა ავტონომიას, რომელსაც მალე მივიღებთო. მათი სიტყვით, სულთანის დაპირებისამებრ, სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიაში უნდა შევიდეს: ბათუმის ოლქი, არდაგანი, ახალციხე და ახალქალაქი.

ამ „დელეგაციის“ ერთ წევრს, სახელდობრ, თემურ-ბეგ ხიმშიაშვილს კიდევაც ჩამოუვლია ბათუმის ოლქის ყველა უბანი და ხალხისათვის სულთანის სახელით განუცხადებია,

რომ სამუსლიმანო საქართველოს მალე სულთანი ავტონომიას მისცემსო.

ამის შესახებ ჩვენ აქ ბევრს არ ვილაპარაკებთ, რადგანაც ეს ადვილი ასახსნელია, თუ ამ გემრიელი სიტყვებით რა სურს სულთანს და მის ამჟამ-დამჟამ ზოგიერთ ხალხის მოღალატე ვაჟბატონს.

ჩვენ აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ ოსმალეთი ტყუილად ირჩება. ჩვენი ხალხი, ქართველი მუსლიმანები, დღეს უკვე კარგად იცნობენ ოსმალებს და მის ამჟამ-დამჟამ, ზოგიერთ ხალხის მოღალატე ვაჟბატონს, რომელმაც ჩვენი საწყალი ხალხის უბედურებაზე ააგო თავისი ბედნიერება.

ხალხი კარგად იცნობს ამ ვაჟბატონებს, ვალის დელეგატებსაც, რომლებიც სულთანისაგან ასე უხვად იქნენ დაჭილდობულნი.

„ზოგი ჭირი მარგებელიაო“, იტყვიან, და სწორედ ეს იტყმის ჩვენი კუთხის შესახებ. ოსმალეთი რომ ბათუმში და ჩვენს კუთხეებში არ შემოსულიყო და ჩვენი ხალხის უმრავლესობას ოსმალეთი არ გაეცნო, სამუსლიმანო საქართველო დიდხანს არ იქნებოდა გამოსადეგი საქართველოსათვის. დღემდის, თუ ქართველ მუსლიმანთა უმრავლესობისათვის გაუგებარი და შეუსწავლელი იყო ოსმალეთი, დღეს, თითო-ორიოლა ხალხის მოღალატეების გარდა, ყველასათვის ნათელია, თუ რა ფასი აქვს ჩვენთვის ოსმალეთს და ამიტომ ჩვენი ხალხი ოსმალეთის მიერ წამოსროლილ ანკესზე აღარ წამოეგება. ჩვენს ხალხს ოსმალეთის ავტონომია არც სჯერა და არც ესაჭიროება. ჩვენ კარგად ვიცით ოსმალეთის გულუხვობა ავტონომიების შესახებ. დღეს ჩვენს ხალხს ოსმალეთის არაფერი სჯერა და არც მისი გულუხვობა ესაჭიროება. ოსმალეთის სამუსლიმანო საქართველოში შემოსვლამ ნათელჰყო, თუ რანაირი თვალთ უყურებს ის ქართველ მუსლიმანებს. ის ჩვენ გვეძახის „გურჯებს“, ე. ი. ქართველებს და ის ჩვენ, ქართველ მუსლიმანებს, ისეთივე თვალთ გვიცქერის, როგორც ქართველ ქრისტიანებს. ის ჩვენ, ქართველ მუსლიმანებს, არასოდეს არ გვენდობა.

ოსმალეთმა ჩვენს ქართველ მუსლიმანობას აშკარა უნდობლობა გამოუცხადა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც

ჩვენ ქართველები ვართ და შევადგენთ საქართველოს განუყოფელ ნაწილს. რომ ეს ასეა, იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ ის ჩვენი მუჰაჯირი ქართველი მუსლიმანი ინტელიგენცია, რომელიც ოსმალეთში ბლომად მოიპოვება, არც ერთი არ შემოღუშვს ჩვენს კუთხეში, არც ერთი არ დააბრუნეს მის საკუთარ სამშობლოში. თუ ერთი ან ორი ინტელიგენტი მოგვეპოვებოდა ადგილობრივ, ისინიც დაიჭირეს და შორს უდაბნოებში გაისტუმრეს.

ჩვენ გულწრფელად ვაღიარებთ: ჩვენა ვართ გურჯები — ქართველები. ჩვენ შევადგენთ ნაწილს საქართველოსას და ამიტომ ჩვენ გვწამს ჩვენი მომავალი, რომელიც გამოიხატება სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს ეროვნულად და ტერიტორიულად შეკავშირებაში და შედუღებაში. მაშ, შორს ოსმალეთისა და ზოგიერთ მოღალატის ახალი ქსელები და გაუმარჯოს ჩვენს დიდებულ მომავალს — მთლიან საქართველოს!²⁴

გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 5 ნოემბერი, № 238, გვ. 3.

ახალციხე-ახალქალაქის მარჯვში

ბორჯომიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: ჩვენთან გამოცხადდენ ლეპისის და ურაველის საზოგადოებათა წარმომადგენლები: ალაქიში ახმედ ოღლი, შაო მუსა ოღლი, თემაზ მაზაზ ოღლი, გასან ნები ოღლი, კაგრიმან მუსი ოღლი და აიღარ ეიბ ოღლი, რომლებმაც გადმოგვცეს რა სალაპი გლეხკაცობის სახელით, თვალცრემლიანებმა შემოგვჩივლეს, რომ ჩვენი ხალხი მოკლებულია იმ ბედნიერებას, რაც წილად ხვდა მთელ საქართველოს გლეხკაცობას. მათ დაურიგეს მებატონეთა მიწები, გაანთავისუფლეს მონობის უღლისაგან და ჩვენ კისერზე კი დღესაც სხედან ბეგები —თავადები. წელს წაგვართვეს მოსავლის ნახევარი, ახლა კი ითხოვენ ბეგარას. ჩვენ გავიგეთ, რომ ახალციხეში შემოვიდა მუშების და გლეხების მთავრობა, რომელმაც მთელ საქართველოში ჩამოართვა მიწები მებატონეთ და გადასცა ჩვენსავით საწყალ უმიწაწყლო გლეხკაცობას. სანამ აქ იყო ოსმალეთი, ეხმარებოდნენ ბეგებს და ტყავს გვხდიდნენ მუშებსა და გლეხებს, ახლა კი მთავრობამ უნდა დავვიცვას, მოგვცეს სარჩოდ მიწები და ამიერიდან ნუ იქნება ბეგების ბატონობა ჩვენის მხრით და გვერდში ამოვუდგებით გლეხობას და მუშებს და სისხლით დავიცავთ მოპოვებულ თავისუფლებასო.

გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში გლეხების თხოვნა და დააჩქაროთ აგრარული რეფორმის გატარება.²⁶

გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 18 დეკემბერი, № 273, გვ. 3.

ახალციხის მაზრაში

ახალციხიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ:

ახალციხის მაზრაში დღეს სრული სიწყნარე და სიმშვიდეა. ქართველ მუსლიმანთა და ქრისტიანთა შორის ურთიერთობა დამაკმაყოფილებელია. პირველი იანვრისათვის ვიწვევთ გლეხთა ყრილობას და ყოველივე ზომები მივიღეთ, რომ ეს ყრილობა იყოს ნამდვილი გამომხატველი გლეხთა სულისკვეთებისა. როცა მშრომელ ხალხს ავუხსენით რეფორმის შინაარსი და მოვსპეთ ღაღების შეკრება, ამან ბეგების და ხოჯების გავლენას სრულიად ბოლო მოუღო. არ ვეჭვობ, რომ ბეგების და ხოჯების ბატონობის დაცემას დაადასტურებს პირველ იანვარს ჩვენს მიერ მოწვეული გლეხთა ყრილობა. სრული იმედი გვაქვს, რომ პირველი იანვარი იქნება ისტორიული დღე სამუსლიმანო საქართველოს მშრომელი ხალხისთვის, რომელიც საფუძველს ჩაუყრის დემოკრატიულ საქართველოსთან სრულ სოლიდარობას და საუკუნოდ ჯვარს დაუსვამს ბეგების და ხოჯების ბატონობას.²⁸

გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 27 დეკემბერი, № 281, გვ. 1.

სამუსლიმანო საქართველოს მშრომელი ხალხის მიმართ

მშრომელნო ქართველო მუსლიმანებო! ახალციხის მაზრის მიწის მუშათა საბჭომ, რომლის დიდი უმრავლესობა შესდგება ახალციხის მაზრის მუსლიმანთა მშრომელი ხალხის წარმომადგენლებისაგან, გადაწყვიტა გამოსცეს გაზეთი „განახლებული მესხეთი“, რომელიც მიზნად ისახავს დაიცვას როგორც ახალციხის მაზრის მშრომელი ხალხის ინტერესები, აგრეთვე მთელი სამუსლიმანო საქართველოს მშრომელი ხალხი. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ეს გაზეთი სავესებით დაიცავს ჩვენი მშრომელი ხალხის ინტერესებს. ის გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებებს, არ შედრკება არავითარი უსამართლობის წინაშე და მედგრად, გაბედულად იბრძოლებს ჩვენი მშრომელი ხალხის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

დარწმუნებული ვართ, მას თანდათან გვერდში ამოუდგება ქართველი მუსლიმანი მშრომელი ხალხი და გაუმაგრებს ზურგს.

ქართველო მუსლიმანო მშრომელნო, თქვენ კარგად იცით, რომ სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველო ეს ერთი სხეულია, ერთი ოჯახია და ამიტომ ეს ორი ღვიძლი კუთხე ჭირშიც და ლხინშიც ერთი უნდა იყვეს. მაგრამ თქვენ ისიც კარგად იცით, რომ ეს ჯერჯერობით ასე არ არის, რადგანაც კარგა ხანია ზოგიერთები ათასგვარი პროვოკაციული გზებით ცდილობენ ჩვენს ხელოვნურად დაყოფა-დაქუცმაცებას. თქვენ ისიც კარგად იცით, რომ ეს ვაჟბატონები, ჩვენი დაქუცმაცების მომხრენი, ძალიან კარგად შეურიგდებიან ოსმალეთს, აზერბაიჯანს და სხვებს, ოღონდ კი ჩვენი კუთხე, სამუსლიმანო საქართველო იდგეს შორს საქრისტიანო საქართველოსაგან.

კითხვა იბადება, თუ რისთვის იქცევინ ასე? მე მოკლედ გეტყვით, აი რას:

საქრისტიანო საქართველო არის უაღრესად დემოკრატიული კუთხე ჩვენი სამშობლოსა. მასთან ჩვენი შეერთება და მკიდრო კავშირი კი იქნება მომასწავებელი ჩვენი ფეხზე წამოდგომის, წელში გამაგრების და მით ჩვენი ბეგების და აღების ბატონობის დაცემის, ისე როგორც ეს არის საქრისტიანო საქართველოში და სწორედ ამას გაუზიან ჩვენი ბეგები და მუქთახორები. ამიტომ არის, რომ ისინი არაერთაარ პროვოკაციას და დემაგოგიას არ ერიდებიან ამ ორი ძმის გათიშვისათვის, რათა ამით შეინარჩუნონ ბატონობა და მუქთახორობა ჩვენს კუთხეში.

მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენი მშრომელი ხალხი თანდათან ერკვევა და იგნებს, თუ დღევდის რა სარგებლობა მოუტანეს ამ ბეგებმა და მუქთახორებმა: მხოლოდ მოტყუება, ავანტურისტული ნაბიჯებისაკენ მოწოდება. ჩვენი მშრომელი ხალხის ბრმა იარაღად გამოყენება და ამით მის ზურგზე და კისერზე გასუქება, ჯიბეების გასქელება, ჩინ-ორდენების მიღება, კარგი ჭამა-სმა, კარგი ქეიფი. და როდესაც ეს ერთი მუქა ხალხი თქვენის ნაოფლით, თქვენის ტანჯვით სიცილ-ხარხარში ატარებს დროს, თქვენ კი საწყალო მშრომელო ქართველო მუსლიმანებო, ამ დროს ულუქვაპუროდ შიმშილით გეხოცებათ ცოლ-შვილი — კვენესა-ვაებით და ოხვრით ატარებთ დროს.

დადგა დრო, რომ ჩვენმა ქართველ მუსლიმანთა მშრომელმა ხალხმაც გამოიღვიძოს. შეიგნოს ეს ყოველივე, მისი ბედი მანვე აიღოს ხელში და საქრისტიანო საქართველოს მშრომელ ხალხთან ძმობა-ერთობით, ხელიხელჩაკიდებული გასწიოს წინ ტანჯულთა და მაშვრალთა ბედნიერების და კეთილდღეობის მოსაპოვებლად.

მაშ, გაუმარჯოს სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს მშრომელ ხალხს!

გაუმარჯოს სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს მშრომელი ხალხის ძმობა-მეგობრობას!

გაუმარჯოს ამ გზისკენ მებრძოლ „განახლებულ მესხეთს“! ²⁷
ქ. ახალციხე, 1 თებერვალი, 1919 წ.

სხვა სამუსლიმანო საქართველოდან

საქართველოს არც ერთი კუთხე არ არის ისტორიულად, კულტურულად, ეკონომიურად და სულიერად დატანჯული და ფეხქვეშ გათელილი ყოველივე უფლებებით ისე, როგორც დღევანდელი ეგრეთწოდებული სამუსლიმანო საქართველო.

კარგა ხანია, რაც საქართველოს ეს ოდესღაც ამაყი კუთხე, რომელმაც შექმნა საქართველო, სათამაშო ბურთად გადააქციეს, არა მარტო ამა თუ იმ სახელმწიფომ, არამედ ის სათრევად და საჯიჯვანად გაიხადეს და ხშირად კიდევ ვაჭრობდნენ მით ზოგიერთი უღირსი შვილნი ამ წარმტაცი და ამაყი კუთხისა.

სამწუხაროდ და სავალალოდ, ეს გარემოება დღესაც გრძელდება. ვინ არ ლაპარაკობს მასზე, ვინ არ აცხადებს თავის კუთვნილებად. ვინ ვის არ აკუთვნებს, ვინ ვის არ ყიდის და სხვა ბევრი ამგვარი... კარგა ხანია, რაც ოსმალეთმა ეს ამაყი კუთხე ძალით მოსტაცა დედა საქართველოს, აუმართა მას კედელი ჩოლოქზე და მით გამოამწყვდია როგორც ჩიტი გალიაში, რის გამოც ის, თანდათან ასე კარჩაკეტილი, ზემოხსენებულ სათამაშო მდგომარეობამდე მივიდა.

ამ უკანასკნელი ომის და რუსეთის დიდი რევოლუციის ხანაში ვფიქრობდით, ჩვენს კუთხესაც რაიმე საშუალება დაადგებოდა და ის იქნებოდა გამოსული სამშვიდობო ასპარეზზე დედა საქართველოსთან შეერთებით...

ჩვენ ვფიქრობდით, რომ მოკავშირეების მხრივ იქნებოდა ყურადღებული და პატივცემული საქართველოს ნაწილის — სამუსლიმანო საქართველოს ხალხის გამოძახილი, რომელიც გამოიხატებოდა ამ ძალით მოგლეჩილი კუთხის დედა საქართველოსთან დაბრუნებით. მან, ე. ი. სამუსლიმანო საქართველომ,

მისი ღვიძლი შვილების, ქართველი მუსლიმანების სახით. ღვთისა და ქვეყნის წინაშე აღიარა, რომ ის არის ისტორიული ნაწილი საქართველოსი, რომ ის არის გადაჯაჭვული და გადაბმული დანარჩენ საქართველოს ყველა კუთხეებთან ისტორიულად, კულტურულად და ეკონომიურად, რისთვისაც ამ კუთხის საარსებო და სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს დაუყოვნებლივ დედა საქართველოსთან შეერთებას.

მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, აი ასეთი ნატვრა, ხალხის ტანჯული და წამებული გულიდან ნაღვლიანი ამოძახილი ჯერჯერობით მოკავშირეების მხრივ უყურადღებოდა: დატოვებული, რის გამოც სამუსლიმანო საქართველო ასე უფლება და ღირსება აყრილი, ბოღმით ავსილი და თვალცრემლიანი დასტირის თავის ბედს.

მაგრამ ის მაინც გულს არ იტეხს და დღე-დღეზე მოელის, რომ მის გამოძახილს და სულიერ ნატვრასაც მიექცევა სათანადო ყურადღება... და დღეს ასე ნაღვლიანად დარჩენილი დაუბრუნდება თავის დედა საქართველოს და მით იქნება სამუდამოდ ბედნიერი.

ავსთან ერთად, მე, როგორც ქართველმა მუსლიმანმა და ამ ტანჯული კუთხის შვილმა, არ შემძლია არ აღვნიშნო შემდეგი: მოკავშირეებმა ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. კარგი და პატიოსანი. მერე, შეიძლება აღამიანმა წარმოიდგინოს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა სამუსლიმანო საქართველოს გარეშე? საქართველო და მისი დიდება ხომ დღევანდელმა ეგრეთწოდებულმა სამუსლიმანო საქართველომ შექმნა?... და დღევანდელი მისი დამოუკიდებლობის ცნობაც ხომ უმთავრესად სამუსლიმანო საქართველოს წარსულის ნაყოფია?... ჩვენი დღეგატები და წარმომადგენლები ევროპის და მოკავშირეების წინაშე განა უმთავრესად „ვეფხისტყაოსნით“ და სხვა ასეთი საბუთებით არ წარსდგენენ საქართველოს გასაცნობად?... როდესაც მოკავშირეები საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გზას დაადგენენ, განა უმთავრესად, ზემოხსენებული საბუთებით არ ხელმძღვანელობდნენ?... და ეს საბუთები კი ვინ შექმნა? განა ეს ყოველივე უმთავრესად დღევანდელმა ეგრეთწოდებულმა სამუსლიმანო საქართველომ არ

შექმნა? ამის შემდეგ, განა უდიდესი უსაპართლობა არ არის საქართველოს დამოუკიდებლობის და ხელმწიფობის რუქიდან ამ კუთხის გარეთ დატოვება?!

აქ წარმოუდგენელ გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგილი, რომელსაც დარწმუნებული ვართ დაუყოვნებლივ მიექცევა სათანადო ყურადღება... და ამ მრავალტანჯულ კუთხეს, ეგრეთწოდებულ სამუსლიმანო საქართველოს, დაუბრუნდება გაუგებრობით აყრილი ღირსება, რომელიც გამოიხატება მისი საქართველოს ნაწილად ცნობით მოკავშირეების მხრივ და მისი დამოუკიდებელ საქართველოსთან შეერთებით.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობას, ჩვენ მოვითხოვთ მისგან დაიცვას ჩვენი ფეხქვეშ გათელილი ღირსება და უფლება, როგორც ნაწილის საქართველოსა და ნაწილის ქართველთა ხალხისა.

ჩვენ მოვითხოვთ მისგან, რა გზითაც შეიძლება, დაუყოვნებლივ შეუდგეს ბათუმის და მისი ოლქის დედა-საქართველოსთან შეერთებას.²⁸

ხმა სამუსლიმანო საქართველოდან

მცირე უნიფონა დიდ საკითხზე

(აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ხან ხოელის
განცხადების გამო ბათუმის შესახებ).

დიდი ხანია, რაც ოსმალეთის და აზერბაიჯანის აგენტები, ისლამის ქურქში გახვეულნი, დადიან სამუსლიმანო საქართველოში. ეს ვაჟბატონები ქართველ მუსლიმანებს ევლინებიან ისლამის დარაჯად და ხალხს არწმუნებენ, რომ თუ ისინი არა, ქართველ მუსლიმანებს დიდი ხანია შეუბღალავდნენ მათ წმინდათა წმინდა სარწმუნოებას როგორც რუსები, აგრეთვე ქართველი ქრისტიანებიც.

ჩვენ კარგად ვიცოდით და დღესაც ვიცით, თუ რა აინტერესებდათ ამ აგენტებს. მათ უნდოდათ არა ისლამის დაცვა ჩვენში, არამედ ჩვენი ხალხის ბრმა იარაღად გამოყენება მათი საკუთარი ინტერესებისა და მიზნებისათვის. რომ ეს ასეა, ამის თავდებია 1914 წლის ისტორია, როდესაც ჩვენი ხალხი ჩააბეს ავანტიურაში და აჭარის მთები აჭარლების სისხლით იქნა მორწყული და ამასვე გვიმტკიცებს შარშანდელი ფოცხოვის ავანტიურა, რომელმაც მათი წყალობით ისედაც საცოდავი ახალციხელები და ფოცხოველები განადგურების კარამდე მიიყვანა... და ისიც რისთვის, იმისათვის, რომ ბატონმა ხან-ხოელებმა ბათუმით თავისუფლად გაიტანონ ნავთი... ოღჭი კი თუნდაც სულ არ ყოფილა — აი, რა არის მათი ისლამის ლოცვა ჩვენში. მე აქ აზერბაიჯანის და თურქების აგენტების მოღვაწეობაზე ჩვენში სიტყვას აღარ ვავაგრძელებ. ამის შესახებ შემდეგში ვრცლად მოვილაპარაკებთ.



1940

1940

1940

მე აქ მხოლოდ მინდა აღვნიშნო შემდეგი:

ოსმალეთის და აზერბაიჯანის აგენტები სამუსლიმანო საქართველოში ხელიხელჩაკიდებულნი მუშაობდნენ წარსულში და მუშაობენ დღესაც, და რომ ეს ასეა, ამის მოწმეა ტრაპიზონის კომპანია და ოსმალეთის უკანასკნელი ომი საქართველოსთან. მაშინ ხან-ხოვლებს დაავიწყდათ ბაქოს ნავთის ბათუმით თავისუფლად გატანა, ვინაიდან ბათუმის დაცვაში ხან-ხოვლები ნეიტრალიტეტს იცავდნენ და ბათუმის დასაცავად ჭოროხ-კახაბერზე მარტო ქართველი ხალხის სისხლი დაიღვარა. და განა ყველა ამეებს შემდეგ ბ-ნ ხან-ხოვლებს კიდევ დარჩათ რაიმე არგუმენტაცია ბათუმისა და ქართველი მუსლიმანების შესახებ კრინტიან დაძვრისა?!²⁹

გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 10 მარტი, № 56.

ს ი ტ უ ვ ა

წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის დაკრძალვაზე
დიდუბის პანთეონში, 1952 წლის 11 მაისს

დიდად პატივცემულო ძვირფასო იოსებ! 1914 წელს ჩვენ მოსისხლე მტრის — თურქეთის შემოსევით აწიოკებულ აჭარას, ქართველი ხალხის ძმობისა და ნუგეშის ხმასთან თქვენი ზმაც ესმოდა. თქვენ გვანუგეშებდით: „დადგება დრო და, ძმანო, თქვენს ტანჯვასაც ბოლო მოეღებო“. გამართლდა თქვენი იმედი და დღეს, დიდი ლენინის დიადი დროშის ქვეშ, კულტურულად აყვავებული, ეროვნულად გათვითცნობიერებული, დავაუკაცებელი და ბაღნარად ქცეული აჭარა მზიური საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი სახელოვანი კუთხეა.

თქვენ მუდამ გაწუხებდათ ჩვენი უმწეო მდგომარეობა და გახარებდათ ჩვენი კეთილდღეობა. გასულ წელს თქვენ ფეხით შემოიარეთ მთელი აჭარა და ნახეთ არა ორმოცი წლის წინანდელი — პანისლამიზმით დაბეჩავებული აჭარა, არამედ სრულიად ახალი, განათლებული, აღორძინებული და აყვავებული აჭარა, რის შესახებაც თქვენ აღფრთოვანებული მწერდით: „მოველ, მოვიარე და ნამდვილი საქართველო აქა ვნახე, დავრწმუნდი, რომ დიდი შოთა აქ — მესხეთში დაბადებულა. მის გმირებს თითქოს ახლაც ვხედავ და მათ სიახლოვეს ვგრძნობ აჭარაში. ჩვენი დიდი ხნის ნატვრა აღსრულდა, საქართველო გაერთიანდა, კუთხობრიობა იშლება და რჩება ერთი ცნება: „ქართველი“...

დიახ, საქართველო გაერთიანდა და დღეს აჭარა მისი ერთ-ერთი აყვავებული კუთხეა, მხოლოდ თქვენ გულს გიკლავდათ ჯერ კიდევ დაკარგული ძმების, ქართველი ხალხის ღვიძლი შვილების: ლივანას, შავშეთ-იმერხევის, ჭანეთის და

სხვათა ბედი, რომლებიც, დედა სამშობლო საქართველოს გულმკერდიდან ცეცხლითა და მახვილით მოწყვეტილნი, ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილნი, დღეს კიდევ იტანჯებიან პანისლამიზმის და პანთურქიზმის ბრკყალებში. მაგრამ გვწამს, ეს ცეცხლითა და მახვილით მიტაცებული ღვიძლი ძმებიც დაუბრუნდებიან აყვავებულ მზიურ საბჭოთა საქართველოს.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ჩვენ შორის, ძვირფასო იოსებ!³⁰

ქ. თბილისი, 1952 წელი, 11 მაისი.

აი, როგორ იცვალა სახე ზღვისპირეთმა

ქართველი ხალხი შეძლებისდაგვარად ყოველთვის ზრუნავდა აჭარაში კულტურული დონის ამაღლებაზე. „ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებამ“ 1916 წელს გახსნა ექვსი ქართული სკოლა სხვადასხვა სოფელში, სადაც მიწვეულნი იყვნენ საუკეთესო ქართველი პედაგოგები. ისინი დიდ პატრიოტულ მოღვაწეობას ეწეოდნენ აჭარის გამოფხიზლებისა და ეროვნული გათვითცნობიერებისათვის.

1916 წლამდე აჭარაში იყო სამი ქართული სკოლა და ისიც მხოლოდ ბათუმში. სკოლების გახსნას მოსახლეობის დიდი ნაწილი სიხარულით შეხვდა და ისინი სრულად შეივსო ბავშვებით.

აჭარაში ღვივდებოდა ეროვნული შეგნების ნაპერწკალი და ესწრაფვოდა მგზნებარე ცეცხლად გადაქცევას, რამაც თავბრუ დაასხა პანთურქიზმის აგენტებს არა მარტო აჭარაში, არამედ მის გარეთაც. ასტეხეს განგაში სიტყვით თუ პრესით, საქართველო აჭარას გაქრისტიანებას უპირებსო.

პანთურქიზმის აგენტები ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩაეხშოთ აჭარაში ყოველივე ქართული, მშობლიური. ამისი უტყუარი საბუთები ბლომად მოგვეპოვება იმდროინდელ ყურნალ-გაზეთებში.

პანთურქისტების თავხედობა იქამდე მივიდა, რომ ისლამის სახელით უკრძალავდნენ აჭარლებს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ სწავლასა და ოჯახში შეტანას, მოითხოვდნენ ქართული სკოლების და ქართული თეატრის ნაცვლად აჭარაში გაეხსნათ თურქული სკოლები და თეატრი. მაგრამ პროგრესული ძალები თავდადებით იცავდნენ ერის ღირსებას, ხალხის ერთიანობას.

1918 წელს თურქები ისევ შემოიჭრნენ ჩვენს მიწა-წყალზე, მოახდინეს საპყრობითი საქართველოს დიდი ნაწილის ოკუპაცია ბათუმისა და ართვინის ოლქების ჩათვლით. აჭარაში დაიხურა ყველა ქართული სკოლა. მშობლიური ენის მოტრფილად აჭარელ გოგო-ბიჭებს ძალით მიერეკებოდნენ „მედრესეებში“, ხოჯა-მოლებთან გაუგებარ ენაზე ლოცვის საზეპირებლად.

აჭარის პატრიოტებს მტრების წინაშე არასოდეს არ მოუხრიათ ქედი. მათ, განსაკუთრებით 1918—1920 წლებში, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუპართეს ჯერ თურქ-დამპყრობლებს და შემდეგ კინგლისელ ოკუპანტებს ბათუმისა და ართვინის ოლქების გასანთავისუფლებლად და საქართველოსთან შესაერთებლად, რითაც ამ საშვილიშვილო საქმეს დიდი ამაგი დასდეს...

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს აჭარაში იყო მხოლოდ ორი უმაღლესი და ათი საშუალო განათლების მქონე კაცი. აბა, ახლა გადახედეთ საბჭოთა აჭარას, რამდენია ინჟინერ-ტექნიკოსი, იურისტი, ექიმი, აგრონომი, პედაგოგი, მსახიობი, მწერალი, მეცნიერ-მუშაკი, შრომის გმირი. მრავალი აჭარელი სწავლობს ბათუმის და ჩვენი რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებელში. შექმნილია სამეცნიერო დაწესებულებები.

მრავლად აშენდა აჭარაში ფაბრიკა-ქარხნები, გაშენებულია ციტრუსების ბაღები, ჩაის, თამბაქოს მეურნეობანი და სხვ.

დღეს აჭარა ეროვნულად გათვითცნობიერებული, კულტურულად აყვავებული, ეკონომიურად აღორძინებული მხარეა, რომელსაც შეჭხარის ყველა მისი მოკეთე და ერთგული.

ცნობილი კედაგოგი და მამულიშვილი

სოფელ გიორგიწმინდაში (საგარეჯოს რაიონი) 96 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი იერემია გულისაშვილი.

ი. გულისაშვილი ეკუთვნოდა იმ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა რიცხვს, რომლებმაც თავიანთი ცოდნა და შესაძლებლობა მთლიანად შეწირეს ქართველი ხალხის კეთილდღეობას.

განსვენებულს დიდი ღვაწლი მიუძღოდა 1916 წელს აჭარაში მშობლიური სკოლების დაარსების საქმეში.

დამპყრობთა მიერ გაპარტახებულ აჭარაში 1916 წლამდე მხოლოდ ბათუმში არსებობდა სამი დაწყებითი ქართული სკოლა: ერთი — „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ და ორი — ბათუმის ქალაქის თვითმმართველობის მიერ გახსნილი. სამაგიეროდ, აჭარის სოფლებში მრავლად იყო „მედრესეები“ და ბავშვებს აიძულებდნენ გაუგებარ ენაზე ეზებირებინათ ლოცვები.

აჭარაში მშობლიურ ქართულ ენაზე განათლების ასეთი უნუგეშო მდგომარეობა ძალზე აწუხებდა ჩვენს ხალხს, რომელიც მუდამ ზრუნავდა აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერებისა და მისი კულტურული დონის ამაღლებისათვის.

1915 წლის მიწურულში „ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებამ“ თბილისიდან ბათუმში მოავლინა იერემია გულისაშვილი.

იერემია ბათუმში ჩამოსვლისთანავე მოვიდა ჩემთან ბინაზე და მომახარა — აჭარაში მშობლიური სკოლების გახსნის

საკითხზე ვარ გამოგზავნილიო. ამის გაგონებაზე სიხარულით აღფრთოვანებული მივევარდი მას და დიდი მადლობის ნიშნად მაგრად გადავკოცნე. იერემიას თვალები ცრემლით ავესო, თვითონაც გადავკოცნა და მითხრა: — „დაკარგული ძმები გვიპოვნისხართ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ აჭარას დავუმტკიცოთ ნამდვილი ძმობა და ჩვენი დიდი სიყვარულიო“...

ი. გულისაშვილის სახელი აღრეც ხშირად გამეგონა, მაგრამ პირადად პირველად შევხვედი. ამ შეხვედრისას ქართველი ხალხის მიერ უკეთილშობილეს საქმეზე წარმოგზავნილი იერემია მხსნელად მეხატებოდა და არც ვცდებოდი, რადგან მისი ზეღმძღვანელობით უნდა ამხდარიყო ჩვენი დიდი ხნის ოცნება, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატებოდა აჭარაში ქართული სკოლების გახსნით.

იერემიამ ქართული, დარბაისლური, მამულიშვილური მიდგომით გადალახა ყველა სიძნელე, გვერდში ამოიყენა პროგრესული მოღვაწენი და მალე აჭარაში მისი ზეღმძღვანელობით „ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების“ ხარჯზე გაიხსნა ექვსი სკოლა — ყოროლისთავში, ხუტუბანში, ალაშბარში, ქვემო აგარაში (ქედა), ჩხუტუნეთში და ზემო აგარაში (ხულო).


სკოლები გაიჭედა გოგო-ბიჭებით და „მედრესეების“ გვერდით ამეტყველდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“. მშობლიური სკოლების ასეთმა წარმატებამ ლახვარი ჩასცა ხოჯებს, მოლებს, ხალხის მოღალატე ბეგებს და ყველა რეაქციონერს.

მაშინ აჭარაში სკოლის გახსნა იოლი საქმე არ იყო, რადგან სამი საუკუნის მანძილზე სკოლების ადგილი ცეცხლითა და მახვილით ეჭირა „მედრესეებს“. ხოჯა-მოლებს ზურგს უმაგრებდნენ პანთურქისტები და სამშობლოს მოღალატე რეაქციონერები. არც მეფის შთავრობა ზრუნავდა ბეჩაეი ხალხის განათლებაზე.

ამიტომ არ შეიძლება სიყვარულით არ მოვიხსენიოთ სამშობლოს სასიქადულო მოამაგე — იერემია გულრსაშვილი,

რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღოდა 1916 წელს აჭარაში ქართული სკოლების დაარსების საქმეში. მისი სახელი მუდამ დარჩება ჩვენს ხსოვნაში, როგორც თურქ დამპყრობთა მიერ გათიშული ქართველი ხალხის ძმობა-ერთობის განმტკიცებისათვის თავდადებული მებრძოლისა.

გზ. „საბჭოთა აჭარა“, 1958 წ., 7 მაისი, № 90.



1959 წლის 31 მაისს — სსრკ განათლებას სამინისტროს სახელმწიფო მუზეუმში (ს.წ. შ. წერაქიძის გამაეოცელებელი სასოგადოების) დაარსება 80 წლისთავადგა მიღეხილ გამოფენაზე დაშსწოე სასოგადოებას ელიო ჯეუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): ლუქარაბ ანთაე, ჰაიდაზ აბაშიძე, ილია ბახტაე, სოლომონ ხეცრევილა, ვარლამ თოფეური, ტრიფონ ხენდაე.

მუზღლიური მოამაგე

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებიდან 80 წლის გამო

შესრულდა 80 წელი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებიდან.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი იყო კერა-რომელმაც ქართველ ხალხს შეუნარჩუნა დედა ენა და ეროვნული კულტურა. ეს მცირე წერილი მიზნად ისახავს გახსენებას ამ საზოგადოების მშობლიური ამაგისა, რომელიც მან საქართველოს განუყრელ ნაწილს — აჭარას გაუწია.

1878 წელს თურქეთის მიერ გაპარტახებული და მრავალტანჯული აჭარა შემოუერთდა დედა-სამშობლოს — საქართველოს.

აჭარაში ამ დროს მრავლად იყო „მედრესეები“, სადაც ხოჯა-მოღები აჭარის ახალგაზრდობას მათთვის გაუგებარ ენაზე აზეპირებინებდნენ ლოცვებს ყურანიდან. სხვა საგანმანათლებლო კერა მაშინ იქ არ არსებობდა...

აჭარის ასეთი უმწეო მდგომარეობა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს ძალზე აწუხებდათ და მიუხედავად მრავალი სიძნელისა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით 1881 წლის 23 მარტს ბათუმში გახსნა ქართული სკოლა.

ამასთან დაკავშირებით გამოჩენილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ერთი უპირველესი საქმე, რომელსაც „წ. კ. საზოგადოება“ შეუდგა ამ ათი წლის წინათ, იყო სახალხო სკოლის დაარსება ბათუმში. განზრახვა, რომელმაც გამოიწვია ამ სკოლის დაფუძნება, მდგომარეობდა იმაში, რომ

ახლად შემოერთებულ მაკმადიან ქართველთა შვილები მოეზიდნა, გაემართნა ქართულს წერა-კითხვაში, მათი შუამდგომლობით შემდეგში გაევრცელებინა აჭარაში ქართული წიგნის ცოდნა და ამ გზით განეახლებინა კავშირი ღვიძლთა ძმათა შორის, რომელნიც უღმობელმა ბედმა ერთმანეთს გააყარა წარსულ საუკუნეებში“...

1894 წლიდან დაწყებული, 14 იანვარს (ძვ. სტილით), ყოველ წელს ქ. ბათუმში იმართებოდა საღამოები „წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების“ ქართული სკოლის სასარგებლოდ. საღამოზე დასასწრებად ბათუმში ხშირად ჩამოდიოდნენ ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები. ეს საღამოები ყოველთვის დიდ საზეიმო ვითარებაში, ქრისტიან და მაკმადიან ქართველთა ძმობა-ერთობის ნიშნით ტარდებოდა.

სკოლაში სწავლის ქირა წელიწადში 6 მანეთი იყო. მისგან თავისუფლდებოდნენ ქრისტიანი ქართველი ღარიბი მოწაფეები. ხოლო თავისი ნივთიერი მდგომარეობის მიუხედავად, სწავლის ფულის გადასახადიდან განთავისუფლებული იყო ყველა ქართველი მაკმადიანი მოწაფე.

აი, ასეთი მშობლიური მზრუნველობით გვზრდიდნენ ჩვენ, ქართველ მაკმადიანებს, ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეები და პედაგოგები.

საუკუნეების განმავლობაში თურქეთის მიერ ფეხქვეშ გათელილ და დედის ტკბილ ძუძუს მოწყვეტილ აჭარას პირველად ბათუმის ქართულმა სკოლამ ჩაუწერა მშობლიური ჭიყვარულის ნაპერწკალი, რომლის საფუძველზეც შემდეგ აჭარაში გაიშალა ეროვნული გათვითცნობიერებისათვის ბრძოლის დიადი დროშა.

აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერების, მისი კულტურულ-ეკონომიური აღორძინების და ქართველი ხალხის ერთიანობისათვის გაწეულ ბრძოლას უქმად არ ჩაუვლია. მას ხორცი შეასხა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ.

დღეს აჭარა მაღლიერების გრძნობით და სიყვარულით იგონებს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დიდ მამულიშვილურ საქმიანობას, მის დამაარსებლებს: დიმიტრი ყიფიანს, ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს და სხვა მრავალ გამოჩენილ, პატრიოტ საზოგადო მოღვაწეს, რომლებმაც ბოროტი ძალით გათიშულ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა დასაახლოებლად თავის დროზე დიდი ეროვნული საქმე გააკეთეს.³¹

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1959 წ., 30 მაისი, № 64.

აჭარა თავის მზრუნველს არასოდეს დაივიწყებს

მე ქართველი ხალხის მოწინავე შვილების შთაგონებით და ხელმძღვანელობით დავიწყე მუშაობა და არაფერს არ ვზოგავდი იმისათვის, რათა ყველა აჭარელში შემეტანა შეგნება, რომ ის თათარი კი არა, ქართველია. ამ მუშაობაში ბევრი ამომიღვა მხარში და ერთი მათგანი იყო ამჟამად თბილისში მცხოვრები სამოცდათერთმეტი წლის ასაკს გადასული, ლენინის ორდენოსანი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, პერსონალური პენსიონერი იოსებ მელიქიშვილი. იგი დაიბადა ბათუმში 1888 წელს, რკინიგზელის ოჯახში. 1892 წლიდან მისი მშობლები საცხოვრებლად გადავიდნენ თბილისში.

1912 წელს იოსებმა ჩააბარა გამოცდა კავკასიის სამოსწავლო ოლქში და მიიღო სამაზრო სკოლის მასწავლებლის წოდება. 1922 წელს მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკური ფაკულტეტი, ხოლო 1937 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი.

პირველად იოსები მაშინ გავიცანი, როდესაც ის 1913 წელს ხულოში ორკლასიანი რუსული სკოლის გამგედ დანიშნეს.

იმ დროის კულტურული მდგომარეობის დასახასიათებლად მოვიყვან ნაწყვეტს მისივე წერილიდან: „ხულოში სულხუთი აჭარელია, რომლებიც სარგებლობენ ჟურნალ-გაზეთებით, ახერხებენ კითხვას და ამონაკითხის გაგებას“. ეს წერილი დაბეჭდილია „ძმურ სიტყვაში“, რომელიც აპოლონ წულაძემ წიგნად გამოსცა 1915 წელს.

აპოლონ წულაძე თავის „ძმურ სიტყვაში“ იოსების შესა-

ხებ წერს: „ზემო აჭარაში, ხულოს მასწავლებლის — იოსებ მელიქიშვილის თაოსნობით გადაწყვიტეს ზუთ ადგილას გახსნან სკოლა და ამ სკოლებში სავალდებულოდ მოითხოვენ ქართული ენის სწავლებას“.

იოსების მოღვაწეობა აჭარაში იმდენად ნაყოფიერი იყო, რომ სულ მოკლე ხნის განმავლობაში მან საკმაოდ დიდი ნდობა დაიმსახურა მოსახლეობაში და სიყვარულის ნიშნად ზედმეტ სახელად „აქარელი სოსო“ შეარქვეს. იოსებ მელიქიშვილი ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან და აჭარის პატრიოტულ ძალებთან ერთად ხელისხელნიკიკიდებული იბრძოდა აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერებისა და მისი კულტურული ღონის ამძღვლებისათვის.

იოსები ჩვენთან იყო, როცა დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, როცა თურქეთმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა რუსეთის იმპერიის სამხრეთ საზღვრებს.

ასეთ პირობებში თურქეთმა შესძლო ფრონტზე დროებითი სამხედრო უპირატესობის მოპოვება და 1914 წლის ნოემბერ — დეკემბერში ხელთ იგდო არდაგანი, არტანუჯი, შავშეთ-იმერხევი და მოაღწია აჭარისწყლამდე და ეს კუთხეები განადგურების კარამდე მიიყვანა...

აჭარის ასეთი განსაცდელის დროს იოსები თავის მეუღლესთან — სარასთან ერთად დიდ მზრუნველობას და შრომას ეწეოდა აჭარის მოსახლეობის მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ამის შესახებ აი, რას ვკითხულობთ აპოლონ წულაძის წიგნში: „უნდა მრვიხსენიოთ, რომ ქართველი ხალხისაგან შემოსულ შემწეობის დარიგებაში და საზოგადოდ, აჭარლების ყოველგვარ დახმარებაში დიდ შრომას ეწეოდა ხულოს მასწავლებელი იოსებ მელიქიშვილი და მისი მეუღლე სარა. ამათ აჭარლები არასოდეს არ დაივიწყებენ... ეს ორი ღდამიანი დღე და ღამ აჭარლების სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ. აპრრილიდან მოკიდებული, მთელი შვიდი თვის განმავლობაში, ამ ცოლ-ქმარს არ დაუსვენია, ბევრი კარგი საქმეც გააკეთეს და ხალხსაც თავი შეაყვარეს“.

ხოჯა-მოლებსა და რეაქციონერებს იოსების მოღვაწეობა

არ მოსწონდათ. მეფის მოხელეებთან დაბეზღებით მათ იმას მიაღწიეს, რომ 1915 წლის დეკემბერში იოსები გაანთავისუფლეს ხულოს სკოლიდან და გადაიყვანეს ერევნის გუბერნიაში მასწავლებლად.

აჭარიდან იოსების წასვლამ მისი მეგობრები ძალზე დავაღონა და გულისტკივილით გავაცილეთ ბათუმიდან. წასვლისას პირობა ჩამოვართვით, რომ პირველ შემთხვევისთანავე დაუბრუნდებოდა მის საყვარელ აჭარას.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის დღეებში იოსები ჩამოვიდა ბათუმში. მისი ნახვა მეგობრებს ძლიერ გაგვიხარდა და ვთხოვეთ, რომ გადმოსულიყო ქობულეთში უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელში გამგედ (ინსპექტორად), მაგრამ ამ დროს ის მიწვეული ყოფილა ოზურგეთში. მიუხედავად ამისა, სიტყვა მოგვცა, რომ თუ ცოლის ავადმყოფობა ხელს არ შეუშლიდა, უსათუოდ წამოვიდოდა ქობულეთში სამუშაოდ.

იმ დროს ქობულეთის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელში გამგის და მასწავლებლის შერჩევა-მოწვევის საკითხის მოგვარება პირადად მე მქონდა დავალებული, აგრეთვე სასკოლო საბჭოს წევრებს — გულო კაიკაციშვილს, ხასია თხილაიშვილს, ახმედ ღუმბაძეს, ქემალ ნოღაიდელს და ცნობილ პედაგოგებს — ნიკო ჭაყელსა და აკაკი გვახარიას. როგორც კი დადგა სკოლის გამგის მოწვევის საკითხი, სასკოლო საბჭოს წევრების უმრავლესობასთან შეთანხმებით, წერილი გავუგზავნე იოსებს ოზურგეთში.

იოსები ქობულეთში ველარ გადმოვიდა ცოლის მძიმე ავადმყოფობის გამო. სარა გარდაიცვალა 1918 წელს, სოფელ შემოქმედში.

ამის შემდეგ ხსენებული სკოლის გამგედ მოვიწვიეთ ცნობილი პედაგოგი მიხაკო შარაშიძე.

აყვავებული და აღორძინებული აჭარა დიდი სიყვარულით იგონებს ყველა ღირსეულ მოამაგეს და მათ შორის იოსებ მელიქიშვილსაც.

დ ე კ ე შ ა

ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის
25 წლისთავთან დაკავშირებით

სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო ვერ ვესწრები ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ოცდახუთი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას. თუ დღეს აჭარა საბჭოთა სასაქართველოს ერთ-ერთი აყვავებული და მოწინავე კუთხეა, თუ დღეს ქართველი ხალხი ხარობს აჭარის გიგანტური მიღწევებით, ამ ბედნიერების დამკვიდრებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ბათუმის დიდ კულტურულ კერას — პედაგოგიურ ინსტიტუტს, რომელიც ღირსეულად ატარებს უკვდავი შოთას სახელს.

დიდი მადლობა ინსტიტუტის ხელმძღვანელებს, მეცნიერებს, ძვირფას პედაგოგებს, რომლებმაც ოცდახუთი წლის მანძილზე აჭარას აღუზარდეს მრავალი შესანიშნავი მამულიშვილი, რაც დიდად ახარებს „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ“ საქართველოს.

აკაკი და აკარა

სიტყვა, წარმოქმნილი აკაკი წერეთლის დაბადების
120 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე
ბათუმის სახელმწიფო თეატრში,
1960 წლის 28 ნოემბერს

ქართველი ხალხი აკაკის საქართველოს ბულბულს ეძახდა. აკაკი ბედნიერი იყო, რომ მას სიცოცხლეშივე ერი ხელით ატარებდა და გულში იკრავდა. ასეთი საერთო სიყვარული იშვიათად თუ ვინმეს ღირსებია.

ჩვენი გამოჩენილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი სამართლიანად ამბობდა: „აკაკი — საქართველოა“. დამახასიათებელია, რომ აკაკის დაკრძალვაზე არ იყო გვირგვინები, იყო მხოლოდ ერთადერთი გვირგვინი მთელი ქართველი ხალხისაგან — წარწერით: „აკაკის — საქართველო“.

1915 წლის უფრნალში „თეატრი და ცხოვრება“ (№ 3) აკაკის შესახებ აი, რას ვკითხულობთ:

„გვარიშვილობამ, ოჯახმა, განათლებამ, მაშინდელმა გარემომებამ და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებმა აკაკის ყოველივე უხვად მიანიჭა, რომ ეს მალდა, ცხოვრების თავში დარჩენილიყო და პირად განცხრომასა და ფუფუნებაში ტკბილად ეცხოვრა, მაგრამ აკაკიმ უარყო ყოველივე ეს და დაბლა დაეშვა, ძირს ჩამოვიდა და ჩაგრულთა შორის დაბინავდა.

სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული, ჭეშმარიტი დემოკრატი, პირდაპირი, გულახდილი, შეუპოვარი, უშიშარი, ზღაპრული პერკულესივით თავს დასტრიალებდა ჩვენს

ცხოვრებას და გზას უკვლევდა ქართველ ერს ბრწყინვალე მომავლისაკენ“...

აი, ვინ იყო აკაკი და ამიტომაც ასე უსაზღვროდ შეიყვარა იგი ქართველმა ხალხმა. მისი „დაფი და ნალარა“ მუდამ აღფრთოვანებდა ტანჯულებს მტანჯველების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამრიგად, დიდი პოეტი თავისი ხალხის გულის მესაიდუმლე, მისი ჭირისა და ლხინის თანაზიარი, მისი პირველი ჭირისუფალი იყო. სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გამთბარი, მომავლის რწმენით აღსავსე მისი პატრიოტული ლექსები ადვილად იკვლევდა გზას ხალხის გულისაკენ.

ეს ასე იყო საერთოდ, მაგრამ მე აქ მინდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ აკაკის ხმატკბილმა პანგებმა განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა მრავალტანჯული აჭარის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გაღვივების საქმეში. აკაკის ლექსების პატარა კრებულები, რომლებსაც აჭარაში ავრცელებდნენ ზაქარია ჭიჭინაძე და მისი მსგავსი მამულიშვილები, ჩვენს გულში აღვივებდა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას, გვინერგავდა სიმხნევესა და მომავლის რწმენას.

დედა-სამშობლო საქართველოსთან შეერთების აღსანიშნავად 1878 წლის ნოემბერში თბილისს ჩავიდა აჭარის დელეგაცია, რომელსაც ქართველმა საზოგადოებამ საზეიმო სადილი გაუმართა დაკარგული ძმების უკან დაბრუნების აღსანიშნავად.

ამ სასიხარულო შეხვედრაზე მგოსანმა აკაკიმ აღფრთოვანებით წარმოთქვა სადღეგრძელო: „ახლა ვხედავთ, — თქვა პოეტმა, — რომ ჩვენი წინაპრების დაპირებანი აქეთაც და იქითაც შენახულა და ამით სჩანს, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი თურმე არასოდეს არ ყოფილა მოშლილი“.

დიახ, ჩვენი სასიქადულო მგოსანი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი არასოდეს არ ყოფილა მოშლილი, მაგრამ ჩვენს ძმურ კავშირს, ჩვენს ვინაობას საუკუნეების განმავლობაში სისხლში ახშობდნენ, პირიდან ენას გვგლეჯდნენ, ცეცხლითა და მახვილით ძმებს ერთი მეორისაგან გვთიშავდნენ თურქი დამპყრობნი, პანისლამიზმის და პანთურქიზმის იდეების მატარებელი ხოჯა-მოლები.

მე მქონდა ბედნიერება, რომ პირადად შევხვედროდი ჩვენს დიდ მგოსანს — აკაკის.

ამ შეხვედრის ისტორია ასეთი იყო: აკაკის მონაწილეობით ქუთაისში, 1914 წლის 29 მაისს სალიტერატურო საღამო გაიმართა. იმ დროს, ღრ.ოგებით ქუთაისში ვიყავი და საღამოზე დასასწრებად თეატრის სალაროში ბილეთისათვის მივედი. ბილეთები დიდი ხნით ადრე გაყიდულიყო. თეატრი გაჰყვდილი იყო. ძალიან ბევრი, მათ შორის მეც, უბილეთოდ დავრჩით. ეს ამბავი ჩემს ახლო მეგობრებს — ია ეკალაძესა და ილია ბახტაძეს ეცნობებინათ აკაკისათვის.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა აკაკის მითითებით ილია ბახტაძემ შემეყვანა თეატრში და დამსვა ლოჯიაში, რომელიც გამოყოფილი იყო აკაკისა და მისი სტუმრებისათვის.

რა თქმა უნდა, ასეთი ყურადღება მართო მე არ მეკუთვნოდა; იგი იყო გამოხატულება იმ დიდი მშობლიური სიყვარულისა, რომელსაც მუდამ იჩენდნენ ჩვენი ბუმბერაზი ქართველი მოღვაწეები აჭარის მიმართ.

ფარდა აიხადა და სცენაზე გამოჩნდა მსცოვანი მგოსანი. თეატრში ტაში და ოვაციები დიდხანს არ შეწყვეტილა.

სიხარულით აღტაცებულს, კარგად ვერც კი გამერკვია, რა ხდებოდა სცენაზე, ვნატრობდი მხოლოდ იმ წუთების მოახლოებას, როცა აკაკი ჩვენთან შემოვიდოდა. აი, აკაკი სცენიდან ლოჯიაში შემოვიდა მოღიშარი სახით, სხვებთან ერთად მეც ხელი ჩამომართვა და დაჯდა.

მე იმ დროს 21-22 წლის ახალგაზრდა ვიყავი, მოწიწებით ფეხზე ვიდექი და აღტაცებით შევცქეროდი დიდი ადამიანის მოღიშარ სახეს. ბევრჯერ გამიმეორა დავმჯდარიყავი, მაგრამ მე მაინც ფეხზე ვიდექი, სანამ თვითონ არ მომკიდა ხელი და გვერდით არ დამისვა.

მისი პირველი სიტყვა იყო ის, რომ მიცნობდა გაზეთებში დაბეჭდილი ჩემი წერილებით, ზაქარია ჭიჭინაძის, იოსებ იმედაშვილისა და გაზეთ „ბათუმის გაზეთის“ რედაქტორის ნაამბობით.

მე ვუთხარი, რომ ჩვენი მტრების წინააღმდეგ მის უკვ-

დავ ქმნილებებსაც ვიყენებდით, და მაგალითისათვის ვუამბე იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც 1914 წლის დასაწყისში გვექონდა გაჩაღებული ვინმე ყარალა-ზადეს წინააღმდეგ, რომელიც ვითომდა სტუმრად იყო ჩამოსული ბათუმში. მას თურმე კონსტანტინეპოლში დაემთავრებინა თურქული ენის უმაღლესი სასწავლებელი და ბათუმში „სტუმრად“ ჩამოსვლის დღიდანვე სიტყვით თუ პრესის საშუალებით ეწეოდა პანისლიზმისა და პანთურქიზმის მავნე იდეების აგიტაცია-პროპაგანდას, მოგვიწოდებდა ხელი აგველო ჩვენს მშობლიურ ქართულ დედა ენაზე და ჩვევებზე.

აკაკის მოკლედ გავაცანი 1914 წელს მუსავატელების ბაქოს თურქულ გაზეთ „ილბალში“ (№ 628) გამოქვეყნებული ყარალა-ზადეს წერილი, სადაც იგი აქარლების შესახებ წერდა: „ისტორიის მიხედვით ქართველი მუსლიმანები ქრისტიან ქართველობიდან გადასულან, ე. ი. ისინი სხვა ბევრ მუსლიმანებსავე იუწინ მუსლიმანები არ ყოფილან, მათ მუსლიმანობა მიუღიათ და თურქებთან შეერთებულან, ამიტომ მუსლიმანების ქართველობაზე გადაყვანა ყოვლად შეუძლებელია“.

რასაკვირველია, ყარალა-ზადეს ბოროტი გამოსვლები ჩვენ უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია და მალე იგი იძულებული გახდა ბათუმიდან გაპარულიყო.

აკაკის აგრეთვე გავაცანი 1914 წლის 15 მაისის „ბათუმის გაზეთში“ (№ 38) დაბეჭდილი ჩემი წერილი, კერძოდ ის ადგილი, სადაც ყარალა-ზადეს ასე ვპასუხობდი: „ბ-ნი ყარალა-ზადე ტყუილად ირჩება იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს სარწმუნოების გამოცვლასთან ერთად — გამაჰმადიანებულმა ქართველობამ დაჰკარგა თავისი ეროვნული სახე. მართალია, თურქთა ბატონობამ და ისლამმა თავისი ბეჭედი დაასვა მას, მაგრამ ეროვნული თვითარსებობა და ერი ვერ აღმოფხვრა მასში. ამას უტყუარად ამტკიცებს ის გარემოება, რომ თუმცა მაჰმადიანობასა და თურქთა გავლენას ჩვენზე 300 წლის ისტორია აქვს, ჩვენ მაინც ეროვნულად ქართველები დავრჩით, არ გადავგვარდით. ასეთი ტიპები, როგორიც თვით ბ-ნი ყარალა-ზადე ბრძანდება, საბედნიეროდ

ჩვენშია იშვიათია... ყარაღა-ზადე კი გვირჩევს ჩვენ — ქართულ მუსლიმანებს, რომ ჩვენი დავივიწყოთ და სხვისას მივსდეთ“...

აკაკისთან საუბარი დავამთავრე ჩემს წერილში ყარაღა-ზადეს წინააღმდეგ გამოყენებული აკაკის სიტყვებით:

„გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია,
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია“.

ამ სიტყვების გაგონებაზე აკაკიმ თავზე ხელი გადამისვა და ღიმილით მითხრა: „გისურვებ წარმატებებს და სიმართლისათვის, სამშობლოსათვის ბრძოლის ველზე ქედი არავის წინაშე არ მოგეხაროს“.

აკაკის ეს სიტყვები მუდამ თან მახლდა და მუდამ ვცდილობდი ვყოფილიყავი ერთგული მამულიშვილი.

აკაკიმ შემდეგ იკითხა მემედ აბაშიძე, გულო კაიკაციშვილი, რეჯებ ნიჟარაძე და თქვა: „მოხარული ვარ, რომ ახლა სარბიელზე ჩნდებიან გამაჰმადიანებული ქართველი პატრიოტები, რომლებიც ქართველი ხალხის მოწინავე შვილებთან ერთად ხელიხელჩაკიდებულნი თავდადებით იბრძვიან საქართველოს ერთიანობისა და მისი ბედნიერი მომავლისათვის“.

აკაკიმ ჩვენთან საუბარი ასე დაამთავრა: „მე ღრმად მწამს გმირული წარსულის მქონე ქართველი ხალხის დიდი მომავალი და ვინატრებდი, რომ მეც მოვსწრებოდე მის ბედნიერებას“.

მე იმ დროს საზოგადოებაში ახლად ფეხადგმული ვიყავი და ამ დიდი ადამიანის პირადად გაცნობამ ჩემს გულში საქართველოს სიყვარული უფრო გააღვივა და განამტკიცა.

1914 წლის 29 მაისს, ქუთაისში აკაკის მონაწილეობით გამართულ სალიტერატურო საღამოს შემდეგ, ის მალე ლოგინად ჩაწვა და 1915 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა თავის სოფელ სხვიტორში.

აკაკის გარდაცვალება ელვის სისწრაფით მოედო მთელ საქართველოს და მისმა მალმერთებელმა მშობლიურმა ხალხმა ცხარე ცრემლით დაიტირა პოეტი.

ჩემდა სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო, აკაკის დამკრძალვას ვერ დავესწარი, მაგრამ ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ აქ მოვიყვან სამძიმრის დეპეშის შინაარსს, რომელიც აპარელთა ერთი ჯგუფის მინდობილობით გავუგზავნე ქართველ მოღვაწეთაგან საგანგებოდ შექმნილ აკაკის დამკრძალვ კომიტეტს. ეს ჩემი დეპეშა აგრეთვე გამოქვეყნდა 1915 წლის 4 თებერვლის ქუთაისის გაზეთ „სამშობლოში“ (№ 3): აი, ამ დეპეშის შინაარსიც: „ქართველი ერის ნაწილ-ნანგრევებს, ისედაც ბედისაგან დაწყევლილ-დატანჯულებს, ტანჯვაზე ტანჯვა აღარ გვშორდება და ამ უკანასკნელმა, სამუდამოდ დაუფიწყარმა, თავზარდამცემმა — საქართველოს დიდებული შვილის დაკარგვამ, გადააქარბა ყოველ ტანჯვას... ჯგუფის მინდობილობით ჰაიდარ აბაშიძე“.

აკაკის დამკრძალვას აპარელთაგან დაესწრო მოხუცი გულო კაიკაციშვილი, რომელიც თავს დაადგა აკაკის კუბოს და მიმართა შემდეგი სიტყვებით: „გვედრები, დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალით და ერთი ხელით სანთელი ჩვენსკენ დაიჭირონ, გვინათონ და გვიპატრონონ, აღვადგინოთ ჩვენი დედა ენა, გვისხნან იმ გაჭირვებისაგან, რომელშიდაც ნამეტურ ახლა ვიმყოფებით“... (კრებული „ძმური სიტყვა“, 1915 წელი, გვ. 59).

როცა მოხუცი გულო კაიკაციშვილი აკაკის კუბოსთან ამ სიტყვებს წარმოსთქვამდა და როცა აკაკის დამკრძალვ კომიტეტს აპარიდან სამძიმრის დეპეშებს ვუგზავნიდით, მაშინ ვილჰელმის გერმანიასთან კავშირში მყოფი თურქი დამპყრობლების ჯარები ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ დედა-სამშობლოს ერთგულ აპარას. თუ რა მდგომარეობა იყო იმ დროს აპარაში, ამის ნათელსაყოფად მოვიყვან 1915 წლის 10 მარტს გაზეთ „სამშობლოში“ (№ 31) გამოქვეყნებულ ჩემი წერილიდან ერთ ადგილს: „ოსმალეთის წყალობით კიდევ განადგურდა ნახევარი სამაჰმადიანო საქართველო, კიდევ დაინთხა მათი უდანაშაულო სისხლი. როგორც ვხედავთ, აპარის მხარე გათელილია, საუკეთესო ძალა მოისპო და ვინც დარჩნენ, ისინიც უკანასკნელ წუთებს ითვლიან“. ამავე წერილში მოვუწოდებდი ქართველ ხალხს, რომ აპარა ეხსნათ სრული განადგურებისა და მოსპობისაგან.

აკაკის კუბოსთან მოხუცი გულო კაიკაციშვილის მიერ წარმოქმულმა სიტყვებმა და აქარის უმწეო მდგომარეობის გამო ქართველი ხალხის მიმართ ეურნალ-გაზეთებში დაბეჭდილმა მოწოდებებმა მთელი საქართველო ფეხზე დააყენ-გასაჭირში მყოფი ღვიძლი ძმების — აქარლების საშველად. მართლაც, აქარას დიდი ძმური დახმარება გაუწია მთელმა საქართველომ, რუსეთის პროგრესულმა ძალებმა და იგი გადარჩა განადგურებას.

ქართველი ხალხის მოწინავე შვილები, აკაკისა და ილიას მეთაურობით, აქარებს მუდამ გვანუგეშებდნენ: „ძმებო, დადგება დრო, და თქვენს ტანჯვასაც ბოლო მოეღებო“.

მართლაც დადგა ეს სანატრელი დრო.

წარსულში მრავალტანჯული და დღეს კი ბედნიერებით აღსავსე აქარა ჩვენს საყვარელ მგოსანს თითქოს საფლავში ჩასძახის: „გაიხარე — ასრულდა შენი ნატვრა და აღსდგა შენი საყვარელი „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ საქართველო!“²

ს ი ტ შ ვ ა

წარმოთქმული ხარიტონ ახვლედიანის მიერ
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად
დისერტაციის დაცვისას საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის სხდომათა დარბაზში, 1961 წლის 14 მარტს

პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ნ ო!

ხარიტონ ახვლედიანის მიერ სადისერტაციოდ შერჩეული თემა: „სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“, ჭეშმარიტად მისასალმებელია, ვინაიდან ამ კუთხის ბედი, ჩვენი დიდი ეროვნული საკითხია და ამიტომაც მისი ისტორია ყველა ქართველმა აკვანშიაც უნდა იცოდეს...

საბჭოთა ეპოქამ აჭარას ბევრი შესანიშნავი სწავლული ქალი და კაცი აღუზარდა. მათ შორის აღსანიშნავია ჩვენი ძვირფასი დისერტანტი — ხარიტონ ახვლედიანი, რომელმაც სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით გამაჰყვალულმა, დაუზოგავი შრომითა და ენერჯით მოგვცა ძვირფასი შრომა ჩვენი უძველესი სახელოვანი კუთხის — სამხრეთ საქართველოს თავგადასავლიდან, რაც დიდი შენაძენია ქართველი ხალხის სახელოვანი ისტორიისათვის.

დე, ხარიტონ ახვლედიანის მსგავსი ქართველი მამული-შვილები კიდევ მრავალი აღეზარდოს საბჭოთა აჭარას!

ს ი ტ უ ვ ა

წარმოქმული საქართველოში და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის საზეიმო საიუბილეო სხდომაზე ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრში, 1961 წლის 10 მაისს

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო! საბჭოთა საქართველოსა და აჭარის 40 წლის საიუბილეო დღეებში მსურს გავიხსენო და აღვნიშნო შემდეგი: ახლა, როდესაც ქართველი ხალხი და მისი განუყოფელი კუთხე — აჭარა ზეიმობს საქართველოსა და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლისთავს, არ შეიძლება გაკვრით მაინც არ აღვნიშნოთ, თუ რა ტანჯვა განვლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დღეს დიდი ლენინის დიადი დროშის ქვეშ აყვავებულმა და ბალნარად ქცეულმა, საქართველოს ერთ-ერთმა უძველესმა კუთხემ — აჭარამ.

ქართველი ხალხი, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით არასოდეს არ ივიწყებდნენ თავის დაჩაგრულ ძმებს და მუდამ თავგამოდებით ექომაგებოდნენ თავის სამშობლოსაგან უკუღმართი ბედის წყალობით უსამართლოდ მოწყვეტილთ.

1878 წელს ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლითა და რუსი ხალხის მხედრობის დახმარებით, საუკუნეების განმავლობაში თურქეთის ფეხქვეშ გათელილი აჭარა შემოუ-

ერთდა დედა-სამშობლო საქართველოს; მაგრამ ამის შემდეგაც მას არ ღირსებია მოსვენებული ცხოვრება. 1914 წლიდან 1921 წლამდე სამხრეთ საქართველომ, აჭარის ჩათვლით; სამჯერ განიცადა თურქეთის შემოსევა და დარბევა.

უმწეო მდგომარეობაში მყოფ აჭარას დახმარება გაუწია ქართველმა ხალხმა და რუსეთის პროგრესული ძალების დახმარებით გადაარჩინა იგი აწიოკებასა და სრულ განადგურებას. აღსანიშნავია, რომ დამპყრობთა მიერ გაპარტახებულ აჭარაში 1916 წლამდე, ქალაქ ბათუმში არსებულ პირველდაწყებითი სამი ქართული სკოლის გარდა არც ერთი ქართული სკოლა არ არსებობდა და მათი ადგილი ეკავა „მედრესეებს“.

1879 წელს პეტრე უმიკაშვილს უმოგზაურია აჭარაში და გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე, სხვათა შორის, აი, რას წერდა: „მეჩეთებთან სკოლები აქვთ, რომლებშიაც მარტო არაბულ კითხვას ასწავლიან და არაფერი კი არ ესმით“.

მშობლიური ენის ასეთი უნუგეშო მდგომარეობა ძალზე აწუხებდა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს და ამიტომაც იყო, რომ ჩვენმა ძმებმა 1916 წელს აჭარის სოფლებში გაგვიხსნეს ექვსი ქართული სკოლა.

სკოლები გაიჭედა გოგო-ბიჭებით და „მედრესეების“ გვერდით ამეტყველდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“.

მშობლიური სკოლების ასეთმა წარმატებამ ლახვარი ჩასცა ხოჯებს, მოლებს, მოღალატე ბეგებს და ყველა რეაქციონერს, რომლებიც ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ მოესპოთ მშობლიური სკოლები.

ხალხის მოღალატეებმა დრბებით მიზანს მიალწიეს და 1918 წელს აჭარაში კვლავ ვერაგულად შემოჭრილმა თურქმა ოკუპანტებმა ქართველი ხალხის მიერ შრომითა და ამგვით გახსნილი მშობლიური სკოლები ხიშტებით დაგვიხურეს და ბავშვებს ძალდატანებით ისევ „მედრესეებში“ მიერეკებოდნენ.

ჩვენი მტრები უარყოფდნენ ჩვენს ვინაობას, ჩვენს ეროვნულ სახეს, ჩვენს მშობლიურ ქართულ დედა ენას, ქართვე-

ლი ხალხის ერთიანობას და პანისლამიზმის უმსგავსო დრო-
შით ლამობდნენ აჭარის გადაშენებასა და გათქვეფას თურქ-
თა მოდგმაში.

აღსანიშნავია, თუ სწავლა-განათლების მხრივ, რა მდგო-
მარეობაში ჩაიბარა აჭარა 1921 წელს საბჭოთა ხელისუფ-
ლებაში.

ზუსტად ვიტყვი: აჭარაში ამ დროს სულ ორი უმაღლესი
და ათიოდე საშუალო განათლების მქონე ადამიანი მოიპო-
ვებოდა. ახლა? ახლა აჭარა მოფენილია მშობლიური სასწავ-
ლებლებით, სამკითხველოებით, საკვლევ-სამეცნიერო დაწე-
სებულებებით და სხვა. მრავალია აჭარიდან, როგორც უნი-
ვერსიტეტში, ისე სხვადასხვა ინსტიტუტებში მოსწავლე
ახალგაზრდობა.

საბჭოთა ეპოქამ, საქართველოს განუყოფელ კუთხეს,
აჭარას ბევრი შესანიშნავი მეცნიერი, ხელოვანი, მწერალი,
საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე ქალი თუ .კაცი აღუ-
ზარდა. გადაუქარებლად შეიძლება ითქვას, რომ რაც კი
მთელ აჭარაში 1921 წლამდე განათლების მქონე პირები მო-
იძებნებოდა, დღეს იმდენი და უფრო მეტიც — აჭარის
თითოეულ ოჯახში მოინახება. ეს ხუმრობა არ არის, ეს
საბჭოთა სინამდვილეა, ეს ფაქტია.

1921 წლის თებერვალში, საქართველოში საბჭოთა ხე-
ლისუფლების დაპყარების დროს, აჭარა ისევ მძიმე წუ-
თებს და დიდ მღელვარებას განიცდიდა. მას კვლავ ვერა-
გულად შემოესია თურქეთის ჯარი, კვლავ ბეწვზე ეკიდა დედა-
სამშობლო საქართველოსთან აჭარის დარჩენის საკითხი და
თურქ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლაში კვლავ იღვრე-
ბოდა ქართველი ხალხის უდანაშაულო სისხლი.

ამ მეტად მძიმე მომენტში, 1921 წლის 17 მარტს კომუ-
ნისტურმა პარტიამ ცნობილი ბოლშევიკის — სერიოჟა
ქავთარაძის თავმჯდომარეობით, ბათუმში შექმნა რევოლუ-
ციური კომიტეტი. ამ რევოლუციური კომიტეტის ხელმძღვა-
ნელობით და აჭარის მშრომელი მოსახლეობის დახმარებით
მკიდროდ შეკავშირებულმა, იმ დროს ბათუმში მყოფმა
ქართველმა მეომრებმა, რომლებსაც მხარში წითელი არმია

ამოუდგა, 1921 წლის 18-დან 21 მარტამდე აჭარა ბრძოლით გაწმინდეს თურქეთის ჯარისაგან და აქაც, როგორც მთელ საქართველოში, დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

1961 წლის 7 თებერვალს ქ. თბილისში, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა აღნიშნა: „დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებამ იხსნა პატარა ხალხები ექსპლოატატორთა და უცხოელ დამმონებელთა მიერ მოსპობისაგან“.

ქეშმარიტად, აჭარა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ გადაარჩინა თურქეთის მონობას და კვლავ აწიოკება-აოხრებას.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის მტკიცედ გატარებამ ფართო გასაქანი მისცა საუკუნეების მანძილზე უფლებაყრთვ მშობლიურ, ტკბილ ქართულ დედა ენას და საბჭოთა სინამდვილემ მრავალტანჯული აჭარა აყვავებისა და აღორძინების ფართო გზაზე გაიყვანა.

დღეს აჭარა ეროვნულად გათვითნობიერებული, კულტურულად აყვავებული და ეკონომიურად აღორძინებული, დედა-სამშობლო საქართველოს ერთ-ერთი ბედნიერი კუთხეა, რომელსაც შეჭხარის ყველა მისი მოკეთე და ერთგული.

დედა-სამშობლო საქართველოსთან აჭარის შეკავშირება-შედუღება და მშობლიურ ნიადაგზე მისი აყვავება-აღორძინება, ეს არის უკვდავი ლენინის დიადი ნაციონალური პოლიტიკის ნაყოფი, რაც ქართველი ხალხის მოწინავე შვილების მშობლიური ამაგისა და მზრუნველობის დიდი გამარჯვებაა.

ჩვენ მუდამ გვჯეროდა და ღრმად გვწამდა საქართველოსთან შედუღებული აჭარის დიდი მომავალი, მხოლოდ პირადად მე ის ვერ წარმომედგინა, თუ ეს ბედნიერება ასე ანლო იყო და მეც მოვესწრებოდი.

დღეს, დედა-სამშობლო საქართველოსთან გაერთიანებული, მშობლიურ ქართველ ხალხთან ძმობა-ერთობით შემტკიცებული, აყვავებული და ბედნიერებით აღსავსე აჭარა დიდ საზეიმო ვითარებაში აღნიშნავს ჩვენი სახელოვანი

ერის ბედნიერებისა და ერთიანობის დიდ ეროვნულ დღესასწაულს — საბჭოთა საქართველოს ორმოცი წლისთავს და მუდამ დიდი მადლობით მოიხსენიებს ყველას, ვინც მის ბედნიერებას ხელი შეუწყო და თავი დასდო. (ტაში).

წიგნი სტენოგრაფიული ანგარიშისა, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გამოცემა, ბათუმი 1961 წ. გვ. 72—75.

ასე ფიქრობდა მგოსანი

მშობლიური ხალხი ვაჟას სიყვარულით მთის არწივს ეძახდა. მისი გენიალური ქმნილებებით მოხიბლული დიდი ილია აღფრთოვანებით ამბობდა: „არა, ჩვენ, ძველებმა, ახლა კალამი ძირს დავსდვით და გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ“. ილიასვე უთქვამს: „რუსთაველის შემდეგ ჩვენ ასეთი დიდი მგოსანი არა გვეყოლიაო“. ამიტომ იტყობინებოდა ქართული პრესა ვაჟას გარდაცვალებას ასე მწუხარებით: „გარდაიცვალა სამშობლო პოეზიის თვალი, ჩვენი მთლიანობისა და ერთიანობის მქადაგებელი — ვაჟა-ფშაველა... ბუნებისა და კაცთა მოციქული დადუმდა... დადუმდა ენა ვარდოსანის, გრძნობა მახვილის, ფიქრუძირის, დიდი მხატვარის, უტყუ-მეტყველთა მესაიდუმლე... აღარ გვეყავს ვაჟაკაცი, რომელს ამკობდა „სამშობლოს ტრფიალი“, რომელიც „მამულისათვის გულს იმრავლებდა კენესას“. აღარ გვეყავს ვაჟა, მთის ლაღი შვილი, ხალხის წამების ემბაზში განბანილი, სამშობლოს ბრწყინვალე მომავლის ნატვრაში სულდალეული“... (უფრ. „თეატრი და ცხოვრება“).

ვაჟას დიდებამ გადასერა მშობლიური საზღვრები და ახლა მთელ მსოფლიოში ფართოდ აღინიშნება დიდი მგოსნის დაბადების ასი წლისთავი. ვაჟას სახელი ღირსეულად შევიდა მსოფლიო პოეზიის ბუმბერაზთა თაიგულში, რაც ქართველი ერის დიდი კულტურის კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვებაა. ვაჟა იყო ამ ერის ძლიერებისა და მთლიანობის მქადაგებელი. მას სურდა საქართველო ერთიანი, მტკიცე და ძლევამოსილი ენახა. ეს განსაკუთრებით ჩანს ვაჟას დამოკიდებულებაში აჭარის და საერთოდ, სამხრეთ საქართველოს პრობლემისადმი.

1914 — 1915 წლებში თურქეთის ვერაგული შემოსევით აწიოკდა აჭარა. საგულისხმოა, თუ რას ვკითხულობთ ამასთან დაკავშირებით აპ. წულაძის „ძმურ სიტყვაში“. აქ მოტანილია ვაჟას შემდეგი სიტყვები: „დიდი სიამოვნებით ვეგებები მაჰმადიან ძმებისადმი ჩვენი საზოგადოების ყურადღების გაცხოველებას. ავადმყოფის სარეცელზე სხეულით დაუძღურებულს სულს მიღწენს იმედი, რომ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს დუღაბი კვლავ შეაერთებს.

პირადად დამივლია აჭარა, ქობულეთი, კლარჯეთი, ტალიდებული, მესხეთი ჩვენი... დიდებულია იგი ქვეყანა. იქ გაფანტული კულტურის ნაშთები — სულია ჩვენი ერისა.

წარსულში ჩვენი ძმობა იყო მტკიცე და შეურყეველი, როგორც სალი კლდე. ამიერიდან უნდა აღსდგეს იგი უფრო მტკიცე, უფრო შეურყეველი. ისინი და ჩვენ ერთი სისხლი და ხორცი ვართ საერთო ქართველი წინაპრებისა!..“

ვაჟას ნატვრა საბჭოთა ეპოქამ სინამდვილედ აქცია, ქართველი ხალხის სიმტკიცე და ერთიანობა შეურყეველია. დღეს ჩვენი საქართველო ვაჟას დაბადებიდან ასი წლისთავეზე ვაჟასივე უკვდავი სიტყვებით ღალადებს:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება“.

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1961 წ., 27 ივლისი, № 87.

ქალთაგან პირველი

აჭარელი ქალი დღეს მამაკაცის მონა აღარ არის. რგო მამაკაცის ცხოვრების შეგნებული და სწორუფლებიანი თანამგზავრია.

დღეს ჩვენ უშუალო მოწმენი ვართ, რომ მკვდრეთით აღმდგარი, განახლებული და აღორძინებული აჭარის შვილმა, ქართველმა ქალმა, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის კათედრის დოცენტმა, ნევრესტან რეჯების ასულმა შაშიკაშვილმა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის ისტორია (1801—1941 წ.წ.)“. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ნევრესტან შაშიკაშვილისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ნევრესტან შაშიკაშვილის დისერტაციის დაცვას მეც ვესწრებოდი, როგორც მაყურებელი, სტუმარი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ვხედავდი განახლებულ აჭარიდან ჩამოსულ ქართველ ქალს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, რომელიც შესანიშნავად იცავდა თავის სადისერტაციო შრომას მრავალრიცხოვან იქ დამსწრე მეცნიერთა წინაშე. ამიტომაც იყო, რომ სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი ნევრესტან შაშიკაშვილისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნებას.

აღსანიშნავია, რომ ნევრესტან შაშიკაშვილი აჭარიდან პირველი ქართველი ქალია, რომელმაც არ დაზოგა შრომა, ენერგია და ჩვენდა სასახელოდ მოიპოვა მეცნიერების უმაღლესი საპატიო ხარისხი — დოქტორობა, მედიცინის დარგში.

ილია და აპარა

1877 წელს, დაახლოებით ერთი წლით ადრე, სანამ აპარა დედა-სამშობლო საქართველოს დაუბრუნდებოდა, დიდი ილია წერდა: „უწარჩინებულესი მამანი, საღვთო-საერო თხზულებათა მთარგმნელნი, სახელოვანი მწერალნი ჩვენნი ეხლანდელი ოსმალის საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ.“

ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხარის კაცი იყო. რუსთავეის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოველი ცხოვრება იქ აყვავებულა. ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქევია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელოვანი დროშა.

სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული, თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას...

მძლავრობამ, მუხთლობამ, შავით მოსიღმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ — ძმები, ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოღბინენი“.

საქართველოს გულ-მკერდს ცეცხლითა და მახვილით მოწყვეტილი აქარის ტანჯვას მალე მოედო ბოლო: 1878 წელს დიდი მოძმე რუსეთის მხედრობის დახმარებით და ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლის შედეგად თურქეთის მიერ საუკუნეების მანძილზე გაპარტახებული, მრავალტანჯული აპარა შემოუერთდა დედა-სამშობლოს.

ჩვენ ღრმად გვწამდა, რომ საქართველო არ დაკარგავდა თავის ღვიძლ შვილს — აპარას. დიდი ილიას სიტყვებით რამ ვთქვათ: „თუ ამისათვის საჭიროა, რომ სინარულის

კრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა?“... ასეც მოხდა, თურქი მოძალადეებისაგან აჭარის გადასარჩენად მრავალჯერ დაიღვარა ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების სისხლი.

ახლად შემოერთებული ძმების პოლიტიკური და კულტურული გათვითცნობიერების საქმეს სათავეში ჩაუდგა დიდი ილია, რომელმაც თავის ირგვლივ შემოიკრიბა იმ დროს გამოჩენილი მოღვაწენი — სერგეი მესხი, იაკობ გოგებაშვილი, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ცხვედაძე, პეტრე უმიკაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, დავით კლდიაშვილი, პეტრე მირიანაშვილი და სხვ.

აჭარაში იმ დროს მრავლად იყო „მედრესეები“, სადაც ხოჯა-მოლები აჭარის ახალგაზრდობას სწამლავდნენ პანისლამიზმისა და პანთურქიზმის ბოროტი იდეებით.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით 1881 წლის 23 მარტს ბათუმში გახსნა ქართული სკოლა და ჩვენი მტრების გულის მოსაკლავად „მედრესეების“ გვერდით ამეტყველდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“:

თურქეთის აგენტები: ხოჯები, მოლები, მოღალატე ბეგები და საერთოდ, რეაქციის მსახურნი ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეხშოთ აჭარაში ყველა კეთილი მშობლიური წამოწყება და მოუწოდებდნენ მოსახლეობას არ გამოეყვანათ „მედრესეებიდან“ შვილები და არ ჩაეგდოთ ისინი „ურჯულოთა“ ხელში.

მათი გესლიანი აგიტაცია უფრო შორს მიდიოდა. ახლად შემოერთებულ აჭარის მოსახლეობას ისინი ურჩევდნენ: აიყარენით და თურქეთში გადასახლდით, და თანაც ისლამის სახელით აშინებდნენ: აქ, „ურჯულოების“ ხელში სიკვდილის შემდეგ „ცხონება“ არ გიწერიათო.

მშობლიური სკოლისა და ქართველი ხალხის ძმობა-ერთობის წინააღმდეგ ასეთი პროვოკაციული გამოსვლები იმ

დროს დიდ გავლენას ახდენდა აჭარის მოსახლეობის ჩამორჩენილ ნაწილზე.

დიდ ილიას სამშობლოს მოღალატეებისა და თურქეთის აგენტების ასეთი მზაკვრული წინააღმდეგობა წინასწარ ჰქონდა გათვალისწინებული და ამიტომაც იყო, რომ 1877 წელს, გაზეთ „ივერიაში“ წერდა: „არ გვაშინებს... ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოდ და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს და დიდი ხნის განშორებულ ძმას ძმურადვე მიიყრდენს, თვალში სიხარულის ცრემლმორეული“.

სამშობლოს მოღალატეთა მოლოდინის წინააღმდეგ, აჭარაში თავიდანვე მრავლად გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც გულთ ისმენდნენ ილიას სიტყვებს, „მედრესეებადან“ გამოჰყავდათ შვილები და ახლად გახსნილ მშობლიურ ქართულ სკოლაში აბარებდნენ.

აჭარელთაგან ამ სკოლის ერთ-ერთი პირველი მოსწავლე იყო მემედ აბაშიძე, შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც ფრიად დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს ამ კუთხის აღორძინების საქმეს.

მეც მქონდა ბედნიერება პირველი ნათლობა ამ სკოლაში მიმეღო. 1900 წლიდან, სხვა აჭარლებთან ერთად, მეც აქ ვსწავლობდი და დიდი ილიას ხელმძღვანელობით ამ სკოლაში მოვლინებული შესანიშნავი პედაგოგების შთაგონებით ვეზიარე პირველად იმ შეგნებას, რომ ჩვენ — აჭარლები, თათრები კი არა, ქართველები ვართ.

საუკუნეების განმავლობაში თურქეთის მიერ ფეხქვეშ გათელილ და დედის ტკბილ ძუძუს მოწყვეტილ აჭარას პირველად ბათუმის ქართულმა სკოლამ გაუღვიძა მშობლიური სიყვარულის ნაპერწკალი, რომლის შედეგადაც აჭარაში გაიშალა ეროვნული გათვითცნობიერებისათვის ბრძოლის დროშა.

ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით ბათუმში ქართული სკოლის გახსნა იმ დროისათვის დიდი მოვლენა იყო. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი გამოჩენილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ერთი უპირველესი, რომელსაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეუდგა, იყო სახალხო სკოლის დაარსება ბათუმში. განზრახვა, რომელმაც გამოიწვია ამ სკოლის დაფუძნება, მდგომარეობდა იმაში, რომ ახლად შემოერთებულ მაჰმადიან ქართველთა შვილები მოეზიდნა, გაემართნა ქართულს წერა-კითხვაში, მათი შუამავლობით შემდეგში გაევრცელებინა აჭარაში ქართული წიგნის ცოდნა და ამ გზით განეახლებინა კავშირი ღვიძლთა ძმათა შორის, რომელნიც უღმობელმა ბედმა ერთმანეთს გაკყარა წარსულ საუკუნეებში“...

გიორგი ნათაძის გარდაცვალების შემდეგ, 1891 წლის 10 იანვარს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობას ცნობილი პედაგოგი — მიხაკო შარაშიძე დაუმტკიცებია ბათუმის ქართული სკოლის გამგედ.

— ბათუმში გამგზავრებამდე, — იგონებს მიხაკო შარაშიძე, — ილია ჭავჭავაძემ მიმიხმო ბინაზე და ასე დამარიგა: „ჩემი პირადი სურვილი იყო, რომ შენ ასეთ პასუხსაგებ ადგილზე გამეგზავნე. იმედია, რომ ჩემს ნდობას გაამართლებ. იყავი წყნარი და მშვიდი, როგორც მტრედი. დიდი სიფრთხილით და მორიდებით არის საჭირო ქართველ მუსლიმანებს შორის მუშაობა. გახსოვდეს, რომ ქართველი მუსლიმანები — ჩვენი ძმები — მეტად ნიჭიერი, დინჯი, დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია. ერთი უადგილოდ და ნაჩქარევად ნათქვამი სიტყვა მთელი წლობით დასწევს უკან ჩვენს საერთო საქმეს. იხმარე ყოველივე ღონე, რომ მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო. დიდი მიღწევა იქნება ჩვენი მხრივ, წერა-კითხვასთან ერთად თუ მათ შეაგნებინებთ, რომ ისინი ქართველებია, რომლებიც ჩვენგან განირჩევიან მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოებით“.

ბათუმში სკოლის გახსნის საქმე დიდ სიძნელეებს აწყდებოდა და ამ საქმესთან დაკავშირებით ილია იქ ხშირად ჩადიოდა ხოლმე.

1880 წლის 21 დეკემბერს ილია ჭავჭავაძე დეპეშას უგზავნის ბათუმში ჩაბრუნებულ მასწავლებელს, ალექსანდრე ნანეიშვილს და ავალებს მას — საჩქაროდ აცნობოს, როდის იქნება სკოლა მზად, რომ იმ დროისათვის ბათუმში ჩავიდეს.

სკოლის სწავლის ქირა წელიწადში ექვსი მანეთი იყო. ილიას განკარგულებით მისგან თავისუფლდებოდნენ ქრისტიანი ქართველი ღარიბი მოწაფეები და რა ნივთიერი მდგომარეობაც არ უნდა ჰქონოდა, სწავლის ფულის გადასახადიდან განთავისუფლებული იყო ყველა ქართველი მაჰმადიანი მოწაფე. აი, ასეთი მშობლიური მზრუნველობით გვზრდიდნენ ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეები და პედაგოგები, დიდი ილიას რჩევითა და მეთაურობით.

1895 წელს ბათუმის ქალაქის თავის არჩევნები იყო. იხსენებდა რა ამ ამბავს, აქარის მოამაგე, ჩვენი საყვარელი და გამოჩენილი მწერალი დავით კლდიაშვილი თავის მოგონებებში წერდა: „საარჩევნო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას, სავარძელზე იჯდა და არჩევნების მსვლელობას უყურებდა განგებ ამ შემთხვევისათვის თბილისიდან ჩამოსული ილია ჭავჭავაძე... ქალაქის არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვებამ დიდი ალტაცება გამოიწვია, ქალაქის თავად ლუკა ასათიანის არჩევას ქართველობა დიდი ალტაცებით მიეგება“.

ლუკა ასათიანი უაღრესად მოწინავე ადამიანი იყო და გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს ქალაქის თავის არჩევნებში ასეთი შესანიშნავი კანდიდატის გამარჯვება იმანაც განაპირობა, რომ არჩევნებს ილია ესწრებოდა.

ახლად შემოერთებული ძმების კეთილდღეობისათვის დაუღალავმა მებრძოლმა ილიამ მრავალი თაყვანისმცემელი შეიძინა აქარაში; მათ შორის გულო კაიკაციშვილი, ხუსეინ ბეჟანიძე, დედი ნიჟარაძე, შავშეთიდან — ნური ხიმშიაშვილი, ბათუმელი აბაშიძეები და სხვ.

საარქივო მასალებში დაცულია მრავალი საინტერესო დოკუმენტი, რომლებიც მეტყველებენ, თუ რაოდენ დიდი გავლენა ჰქონდა ილიას აქარაში. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იმ დროს გულო კაიკაციშვილმა და დედი ნიჟარაძემ თავიანთი ვაჟები გაგზავნეს თბილისში ქართულ გიმნაზიაში სასწავლებლად და არ შეუშინდნენ იმას — „შვილები გაგვიქრისტიანდებო“.

1958 წელს თბილისში გამოცემულ გ. ნიორაძის წიგნში — „პირველი ქართული სკოლა ბათუმში“ ვკითხულობთ: „ბათუმის სკოლის მასალებში დაცულია 1882 წლის 21 მარტს ქართულ ენაზე დაწერილი წერილი ნური ხიმშიაშვილისა, გაგზავნილი ილია ჭავჭავაძისადმი. წერილის ავტორი აცნობებს ილიას, რომ იგი სტოვებს ბათუმს, მიდის შავშეთში, თავის მამულში საცხოვრებლად და სთხოვს ილიას შუამდგომლობას წერა-კითხვის საზოგადოების წინაშე, რათა შავშეთში გაგვიხსნან სკოლა ქართულ ენაზე, რომ ჩვენმა შვილებმა დედა ენა ისწავლონ... „თუ ასეთი სკოლა გაიხსნება, საზოგადოების გამგეობამ მხოლოდ მასწავლებლის ჯამაგირი იხადოს, დანარჩენს მე თვითონ ვკისრულობ, სკოლის სახლს და ბინას მასწავლებლისათვის მუქთად მივცემ და 60 — 80 მოსწავლეს შევკრებ სკოლაშიო“.

საარქივო მასალებში აგრეთვე დაცულია დოკუმენტები, რომ ბათუმელ აბაშიძეებსაც ახლო ურთიერთობა ჰქონიათ ილიასთან.

იმ დროს ბათუმის აბაშიძეთა უფროსი თაობიდან დარჩენილი იყო სამი ძმა: ხუსეინი, სალიხი და იბრაგირი. მათ შორის უფროსი ძმა იყო ხუსეინი. იგივე იყო ბათუმის აბაშიძეთა ოჯახების მეთაური და ხელმძღვანელი, როგორც მათ შორის უფროსი ძმა.

გ. ნიორაძის ზემოხსენებულ წიგნში ვკითხულობთ, რომ როცა სკოლისათვის საკუთარი შენობის ასაგებად მიწის ნაკვეთის შოვნის საქმე გაძნელებულა, ხუსეინ აბაშიძეს 1887 წლის 27 აპრილს სპეციალური ბარათი გაუგზავნია ილია ჭავჭავაძისათვის და შეუტყობინებია — ჩემი მამულიდან მიწას შევწირავ ბათუმის სკოლის ასაგებადო.

იმავე წიგნში გ. ნიორაძე წერს: „სკოლის გახსნაზე ბათუმში ჩამოსული ილია ჭავჭავაძე სპეციალურ თათბირს აწყობს ნური ხიმშიაშვილის სახლში — ხუსეინ აბაშიძის, ხუსეინ ბეჟანიძის და ბათუმის „უჩასტკის“ უფროსის, გაბუნიას თანდასწრებით“.

შემდეგ გ. ნიორაძე განაგრძობს: „1881 წლის 8 მაისის ცნობით, ე. ი. ილია ჭავჭავაძის მიერ მოწყობილი თათბირიდან და ბათუმის სკოლის გახსნიდან ერთნახევარი თვის შემდეგ, სკოლაში ირიცხებოდა 28 მოწაფე, მათ შორის 11 აჭარელი: საარქივო მასალებში დაცულია ამ მოწაფეთა სახელობითი სიებიც. აჭარელ მოსწავლეთა შორის 8 აბაშიძეა, რომელთაგან ერთი ქალია — ულიე აბაშიძე“.

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძესთან თათბირის შემდეგ, ხუსეინ აბაშიძეს, როგორც ბათუმის აბაშიძეთა ოჯახების უფროს ძმას, თავის შვილებთან და ძმების შვილებთან ერთად მშობლიურ ქართულ სკოლაში გაუგზავნია თავისი ქალიშვილი ულიეც.

იმ დროს აჭარელი ქალის გაგზავნა სკოლაში წარმოუდგენელი მოვლენა იყო, ისიც „გიაურების“ სკოლაში.

აქედან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი პატივისცემითა და უზომო სიყვარულით სარგებლობდა დიდი ილია აჭარაში.

ილიას ვერაგულად მოკვლის სამწუხარო ამბავმა აღაშფოთა მთელი აჭარა. ამ მძიმე მწუხარებასთან დაკავშირებით მემედ აბაშიძის მიერ გაგზავნილ დეპეშაში ვკითხულობთ: „ქართველი მაჰმადიანები, აღშფოთებულნი პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის საზარელი მკვლელობით, მონაწილენი არიან მთელი ქართველობის ეროვნული მწუხარებისა“.

ილია და აკაკი — ეს ორი გოლიათია, რომელთა ფიქრი და აზრი შოქს ჰფენდა მთელ საქართველოს და მის შესანიშნავ კუთხეს — აჭარას.

ჩვენ მუდამ გვჯეროდა და ღრმად გვწამდა დედა-საქართველოსთან შედუღებული აჭარის დიდი მომავალი. ამიტომაც აჭარის პატრიოტული ძალები, ქართველი ხალხის მოწინავე

შვილების ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძოდნენ ქართველი ხალხის ერთიანობისა და მისი მთლიანობისათვის.

1921 წლის თებერვალში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს, კვლავ ვერაგულად შემოესივნენ აჭარას თურქეთის ჯარები, კვლავ ბეწვზე ეკიდა დედა-სამშობლო საქართველოსთან აჭარის დარჩენის საკითხი და თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში კვლავ დაიღვარა ქართველი ხალხის შვილთა სისხლი. დიდი ილიას ვარაუდი — „ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავს ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა“, აქაც გამართლდა და ქართველმა ხალხმა ამჯერადაც დიდი მსხვერპლი გაიღო აჭარის გადასარჩენად...

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ მოძმე რუსი ხალხის დახმარებით, სამუდამოდ მოუღო ბოლო თურქეთისა და ხოჯა-მოლების ბატონობას აჭარაში.

ლენინური ბრძნული ეროვნული პოლიტიკის მტკიცედ გატარებამ ფართო გასაქანი მისცა ტკბილ მშობლიურ ქართულ დედა ენას და ეროვნულ ნიადაგზე მტკიცედ დამდგარი აჭარა სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ.

დიდი ილიას ნატვრა ასრულდა, საქართველო გაერთიანდა და მისი ერთ-ერთი შესანიშნავი კუთხე — ჩვენი ლამაზი საბჭოთა აჭარა, წარსულში მრავალწამებული, რომელიც დროთა სივრცეში წაღმა-უკუღმა ატარა, დღეს აყვავებული და აღორძინებული, დიდი ზეიმით აღნიშნავს ჩვენი სახელოვანი ერის უკვდავი შვილის — დიდი ილიას დაბადების 125 წლისთავს.²³

ცოტა რამ აზარაში ჩემს მოღვაწეობაზე

საუკუნეების განმავლობაში თურქეთის ფეხქვეშ გათელილ, ეკონომიურად გაპარტახებულ, კულტურულად დაცემულ, მრავალტანჯულ და ძალით გამაჰმადიანებულ აჭარას დედა-სამშობლო საქართველოსთან შეერთების შემდეგაც, კარგახანს არ ღირსებია მოსვენებული ცხოვრება. მარტო 1914 წლიდან 1921 წლამდე სამხრეთ საქართველომ სამჯერ განიცადა თურქეთის შემოსევა და დარბევა.

თურქეთმა ზემოთ აღნიშნულ წლებში ისევ მიიტაცა ჩვენი მიწაწყლის დიდი ნაწილი: ფოცხოვი, არტანუჯი, ლივანა, ბორჩხა, მურღული, შავშეთ-იმერხევი, ზედა მარადიდი და სხვა...

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, როცა რუსეთი თავისი რჩეული სამხედრო ძალებით ბრძოლას აწარმოებდა გერმანიის ფრონტზე, თურქეთმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხა რუსეთის იმპერიის სამხრეთ საზღვრებს.

ასეთ პირობებში თურქეთმა შესძლო ფრონტზე დროებითი უპირატესობის მოპოვება და 1914 წლის ნოემბერ-დეკემბერში შემოესია არდაგანს, არტანუჯს, შავშეთ-იმერხევს, ლივანას, მოაღწია აჭარისწყლამდე და ეს კუთხეები განადგურების კარამდე მიიყვანა. აჭარაში კი, მრავლად გადამწვარ, უპატრონოდ მიტოვებულ სოფლებში მხოლოდ ძაღლების შემზარავი ღმუილი და კატების საცოდავი კნავილი ისმოდა, რისი ცოცხალი მოწმე პირადად მეც ვიყავი.

ასეთ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი აჭარა სრულ განადგურებას გადაარჩინა მთელი ქართველი ხალხის და რუსეთის პროგრესული ძალების დახმარებამ.



საქ. სახალხო პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი
და ჯიღარ აბაშიძე, თბილისი, 1962 წ.

პანილამიზმისა და პანთურქიზმის მავნე იდეების მქადაგებელნი, როგორც იყვნენ ხოჯები, მოლები, მოლაღატე ბეგები, რეაქციონერები და თურქეთიდან შემოგზავნილი აგენტები, უარყოფდნენ ჩვენს ვინაობას, ჩვენს ეროვნულ სახეს, ჩვენს მშობლიურ დედა ენას, ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ აპარა ჩამოეშორებინათ თავისი ძმების — ქრისტიანი ქართველებისაგან, რათა კვლავ აღედგინათ და დაემკვიდრებინათ თურქთა ბატონობა მრავალტანჯულ და ძალით გამაჰმადიანებულ აპარაში.

მე მომსწრე ვარ იმ შავბნელი დროისა, როცა აპარა მოფენილი იყო „მედრესეებით“ და სკოლებში თითო-ოროლა ფესკიან აპარელ მოწაფეს თუ დაინახავდით. დანარჩენი — სკოლის ასაკის ახალგაზრდობა კი მთლიანად თავმოყრილი იყო „მედრესეებში“, ხოჯა-მოლებთან, სადაც ნორჩებს აზეპირებინებდნენ მათთვის გაუგებარ ენაზე ლოცვებს ყურანიდან. ამასთანავე, ეს ხოჯა-მოლები ხალხში ეწეოდნენ პანილამიზმისა და პანთურქიზმის მავნე იდეების პროპაგანდას, რაც დიდ ზიანს აყენებდა აპარის მოსახლეობის ჩამორჩენილ ნაწილში ეროვნული თვითშეგნების გაღვივება-განმტკიცების საქმეს.

სამი საუკუნის მანძილზე თურქებს არ დაუზოგავთ არაფერი, რომ გადაეშენებინათ და მოესპოთ შოთას სახელოვანი სამშობლო — სამხრეთ საქართველო, მაგრამ ეს მათ ვერ შესძლეს. აპარამ საუკუნეების მანძილზე ცეცხლში გამოატარა თავისი ყოფა, თავისი ცხოვრება და აპარელმა ქალმა — ამ სახელოვანმა ქართველმა დედამ, უმწიკვლოდ შეგვინახა და ბრძოლით მოიტანა ჩვენამდე ჩვენი ტკბილი, მშობლიური ქართული დედა ენა.

მე სრულიად ახალგაზრდამ დავაღწიე თავი ხოჯა-მოლების გავლენას და შევიგნე, რომ „თათარი“ კი არა, ქართველი ვიყავი.

შესაძლოა ეს ამბავი დღეს ბევრს, პირველ რიგში, ახალგაზრდას გაუკვირდეს, მაგრამ იმ დროს ამის ხმამაღლა თქმა არ იყო ადვილი საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ვიყავი ნივთიერად და უფლებბრივად გავლენიანი ოჯახის შვილი — ბა-

თუმის სანჯალ-ბეგ აბაშიძის შთამომავალი, ჩემს მშობლებს ზედინედ უგზავნიდნენ მოციქულებს, თხოვდნენ მოერჯულებინათ „გაგიაურებული“ შვილი, აგრეთვე აფრთხილებდნენ „ბათუმის გაზეთის“ რედაქციას, რომ ჩემი წერილები არ დაებეჭდა. მაგრამ ამან არ გაჭრა. ჩემი ეროვნული მრწამსი და შეგნება ისე ღრმა იყო, მას ვერაფერი შემაცვლინებდა.

ეს შეგნება ყველაზე ადრე შთამინერგა დიდი ილიას თაოსნობით 1881 წლის 23 მარტს ბათუმში გახსნილმა მშობლიურმა ქართულმა სკოლამ და ბათუმისა და ქუთაისის ქართველ ახალგაზრდობასთან დაახლოებამ. დიდი როლი ითამაშა აგრეთვე ამ შეგნების განმტკიცებაში ზაქარია ჭიჭინაძის მიერ ქართველ მაკმადიანების შესახებ გამოცემულ შრომებში ჩვენი თავგადასავლის წაკითხვამ, ბათუმის თეატრში ქართულ წარმოდგენებზე დასწრებამ და ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან დაახლოებამ. ამან ჩემს გულში უფრო გააღვივა საქართველოს და ქართველი ხალხის სიყვარული.

მუდამ მახსოვდა დიდი აკაკის სიტყვები: „სიმართლისათვის, სამშობლოსათვის ბრძოლის ველზე ქედი არავის წინაშე არ მოგეხაროსო“. ვცდილობდი ვყოფილიყავი ერთგული ამ სიტყვებისა.

ჯერ კიდევ მეფის მთავრობის დროს ქართველი ხალხის მოწინავე შვილების შთაგონებითა და ხელმძღვანელობით, აჭარის პატრიოტულ ძალებთან ერთად ვიბრძოდი თურქი დამპყრობლების მიერ საუკუნეობით ფეხქვეშ გათელილ და ძალით გამაკმადიანებულ ქართველთა შორის ეროვნული თვითშეგნების გაღვივება-განმტკიცებისათვის, მშობლიური ქართული კულტურის აღორძინება-აყვავებისათვის, ისლამის მიერ ხალხში ჩანერგილი ჩვევების აღმოფხვრისათვის, არაფერს არ ეზოგავდი იმისათვის, რათა ყველა აჭარელში შემეტანა იმის შეგნება, რომ ის „თათარი“ კი არა, ქართველია.

ამ ნიადაგზე მიხდებოდა ბრძოლა პანთურქიზმისა და პანისლამიზმის მქადაგებელ ხოჯა-მოლებთან, მოლაღატე ბეგებთან და ყველა რეაქციონერთან, ვინც ქრისტიან და ძა-

ლით გამაჰმადიანებულ ქართველთა შორის საზღვრებს აღ-
ლებდა და ისლამის სახელით ღვიძლ ძმებს ერთიმეორისაგან
ძალით გვითშავდა.

აგრეთვე ვიბრძოდი მემამულური მიწათმფლობელობის
ლიკვიდაციისა და მშრომელი მოსახლეობისათვის მიწის
უსასყიდლოდ გადაცემისათვის.

1913 წლიდან ბათუმის საქალაქო ქართულ სკოლაში,
სადაც მუსლიმანთა ბავშვებისათვის ცალკე განყოფილება იყო
გახსნილი, ვეწეოდი მასწავლებლობას და გამაჰმადიანებულ
ქართველთა შვილებში ვალგივებდი ეროვნულ შეგნებას.

ამავე წლიდან ეთანამშრომლობდი თითქმის ყველა იმ-
დროინდელ ქართულ. ჟურნალ-გაზეთებში, როგორც იყო:
„ბათუმის გაზეთი“, „ერთობა“, „სახალხო ფურცელი“,
„ცხოვრება“, „საქართველო“, „თეატრი და ცხოვრება“,
„განახლებული მესხეთი“ და სხვ. „ბათუმის გაზეთში“ გა-
მოქვეყნებულ წერილებს ვაწერდი ფსევდონიმებსაც —
„მაჰმადიანი ქართველი“, „ქართველი მუსლიმანი“.

ჩემი ასეთი მოღვაწეობა არ მოსწონდათ ხოჯა-მოლებს,
რეაქციონერებს და მეფის ბობოლა მოხელეებთან დაბეზ-
ლებით იმას მიაღწიეს, რომ 1916 წელს გამანთავისუფლეს
მასწავლებლობიდან, ხოლო შემდეგ, ბათუმის სამხედრო კო-
მენდანტის ბრძანებით, აჭარიდან გამასახლეს. საცხოვრებლად
გადავედი ჭიათურაში, სადაც დავყავი თებერვლის რევო-
ლუციამდე.

აჭარის პატრიოტულ ძალებთან ერთად განსაკუთრებით
დაძაბული ბრძოლის წარმოება მომიხდა თურქების წინა-
აღმდეგ, როცა ისინი პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში,
1914-15 წლებში, ვერაგულად შემოიჭრნენ აჭარაში,
გამოაცხადეს საღვთო ომი და მაჰმადის სახელით მოუწო-
დებდნენ ყველა ქვეყნის მუსლიმანებს, მათ შორის აჭარა-
საც, რომ თურქეთთან ერთად იარაღით ხელში ებრძოლათ
„ურჯულო“ რუსების წინააღმდეგ.

1918, 1919, 1920 წლებში დევნილი ვიყავი აჭარიდან
ჯერ თურქი დამპყრობლების, ხოლო შემდეგ ინგლისელი
ოკუპანტების მიერ და ამ წლების მანძილზე ქართველ ხალხ-

თან და აჭარის პატრიოტულ ძალებთან ერთად თავდადებით ვიბრძოდი ჯერ თურქეთისა და შემდეგ ინგლისელი ოკუპანტებისაგან აჭარის განთავისუფლებისათვის და დედა-სამშობლო საქართველოსთან მისი შეერთებისათვის.

ქართველი ხალხი, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, არასოდეს არ ივიწყებდა თავის დაჩაგრულ ძმებს და მუდამ თავდადებით ექომაგებოდა თავის სამშობლოს — დედის ძუძუსგან უკუღმართი ბედის წყალობით უსამართლოდ მოწყვეტილს. დიდი ილია გვანუგეშებდა: „ძმანო! დადგება დრო და თქვენს ტანჯვასაც ბოლო მოეღებოა“. დადგა. ეს სანატრელი დროც და აჭარის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გაღვივება-განმტკიცებისათვის, მისი კულტურულ-ეკონომიურად აღორძინება-აყვავებისა და ქართველი ხალხის ერთიანობისათვის გაწეულმა ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო.

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, რითაც სამუდამოდ მოეღო ბოლო თურქეთისა და ხოჯა-მოლების ბატონობას აჭარაში.

1921 წლის მარტის დღეებში რევკომის ხელიდან, პირველად ჩემს სიცოცხლეში, მივიღე დოკუმენტი, რომელიც ადმინისტრაციასა და საზოგადო ორგანიზაციებს ავალებდა ჩემს კანონიერ მფარველობას. ამ პატარა ფაქტმა მთელი არსებით მაგრძნობინა, რომ დამყარდა ხელისუფლება, რომელიც ნამდვილად დაიცავდა ჩვენი მრავალტანჯული ხალხის უფლებას, ღირსებასა და მომავალს.

მართლაც, საბჭოთა ეპოქამ და ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ ფართო გასაქანი მისცა ტკბილ მშობლიურ დედა ენას და ახლა მოძმე რუსი ხალხის დანმარებით აყვავებული და აღორძინებული აჭარა საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი სახელოვანი კუთხეა.

მთელი ჩემი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე, სიტყვით თუ საქმით, ქართველი ხალხის მოწინავე შეილებთან და აჭარის პატრიოტულ ძალებთან ერთად აქტიურად ვიბრძოდი აჭარის განახლება-აღორძინებისათვის, აჭარელთა შო-

რის ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისათვის. ამ ბრძოლაში არაერთხელ განმიცდია დევნა და შევიწროება ქართველი ხალხის მტრებისაგან, პირველ რიგში თურქი ლაშქრობლებისა და მათი აგენტებისაგან, მაგრამ ყველაფერი ეს წარსულს ჩაბარდა.

მე მახარებს ის, რომ ჩემი გაწეული პატარა ამაგი ქრისტიანი და ძალით გამაჰმადიანებული ქართველი. ძმების გასაერთიანებლად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ უფრო მეტად იქნა დაფასებული, რასაც მოწმობს, თუნდაც, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის, ისტორიკოს ხარიტონ ახვლედიანის შრომა — გამოცემული 1957 წელს ქ. ბათუმში, სათაურით: „სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“. წიგნის ერთ-ერთ თავში, რომლის სათაურია „ჭაიდარ აბაშიძის როლი მაჰმადიან ქართველთა ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში“, დაწვრილებით და დოკუმენტურადაა აღწერილი ჩემი მოღვაწეობა, რომელსაც ფართოდ გამოეხმაურნენ ჩვენი უურნალ-გაზეთები.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დააფასეს ჩემი პატარა ამაგი — სამშობლოს კეთილდღეობისათვის გაწეული; დამენიშნა საქართველოს სსრ რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსია.

საქართველოსა და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავთან დაკავშირებით, როგორც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის მონაწილე, დამაჯილდოვეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. მიღებული მაქვს, აგრეთვე, მედალი — „მამაცური შრომისათვის 1941 — 1945 წლების დიდ სამამულო ომში“.

დიდ კმაყოფილებას მეგვრის, რომ მე — აჭარის მკვიდრი, რომელიც ერთ-ერთი პირველი ვეზიარე მშობლიური ენის სიტყბოს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ-

ცელბელი საზოგადოების“ ბათუმის სკოლაში, დღეს ქართული მწერლობის ოჯახის წევრი ვარ.

უბედნიერესად ვთვლი თავს, რომ მოვესწარი აჭარისა და მთელი საქართველოს განახლება-აღორძინებას, რაც ჩვენს ხალხს მოუტანა კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ეროვნულმა პოლიტიკამ.

ბედნიერი ვარ, რომ ახლა ის, რასაც ახალგაზრდობიდანვე ვნატრობდი და რისთვისაც ვიბრძოდი³⁴.

შენიშვნები

1. „როდის გავიგე მე, რომ ქართველი ვარ“. ქრონოლოგიური თვალსაზრისით პ. აბაშიძის ეს წერილი ცოტათი უფრო გვიანდელია, ვიდრე სხვა სტატიები, მაგრამ იგი ავტორის ცხოვრების ღირსშესანიშნავე მოვლენას — ეროვნულ გამოფხიზლებას ეხება და ეაქობიანეთ პირველად წარმოგვედგინა.

ჰაიდარ აბაშიძის ეროვნულ გათვითცნობიერებაში დიდი როლი შეასრულეს მისმა ქრისტიანმა ქართველმა მეგობრებმა, რომლებმაც შთამაგონებელი საუბრებითა და ქართული წიგნებით აუხილეს მას თვალი და ჩაუნერგეს თავისი ნამდვილი სამშობლოს სიყვარული.

ამიერიდან ჰაიდარი დიდი ინტერესით ეცნობოდა ქართულ ეურნალ-გაზეთებში მოთავსებულ წერილებს, რომლებიც ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით იძლეოდნენ დასაბუთებულ განმარტებას სამხრეთ საქართველოს მცხოვრებთა ეროვნულ ვინაობაზე. ქართულ თეატრთან დაახლოებამ პ. აბაშიძისათვის კიდევ უფრო ნათელი გახადა თავისი ქვეყნის ისტორიული სინამდვილე, ღრმად ჩაუნერგა მტრების სიძულვილი და დედა-სამშობლო საქართველოსაკენ მისწრაფების კეთილშობილური გრძნობა.

2. „ხმა ქრისტიან მოძმეებს“. ამ წერილით დაიწყო ჰაიდარ აბაშიძემ კავშირის გაბმა ძმებთან — ქრისტიან ქართველებთან. იგი მოუწოდებდა ყველა ქრისტიან ქართველს ეცნოთ თავიანთი ღვიძლი ძმები და გაეწიათ მათთვის ყოველგვარი დახმარება.

3. „როდემდის ვიქნებით ასე?“ ამ წერილში ჰაიდარ აბაშიძე პრინციპულად აყენებდა საკითხს ქართული ენის გადაგვარებისაგან ხსნის შესახებ. მომხდურთა სამასწლოვანმა ბატონობამ თავისებური დალი დაასვა ქართული ენის სიწმინდეს. ოსმალების ცდა — გაებატონებინათ თურქული ენა ჩვენს ქვეყანაში, მშობლიური ენის წაბილწვის მიზეზი შეიქნა. მცხოვრებნი ორივე ენას ეტანებოდნენ, თუმცა ვერც ერთ მათგანს ვერ ფლობდნენ ხეირიანად. ამასთან ქართული ენა თანდათან დაიწყებდას ეძლეოდა. ამიტომ პ. აბაშიძე მოითხოვდა ქართული სკოლების გახსნას და ქართული წერა-კითხვის სწავლების სათანადო სიმალეზე დაყენებას.

4. „სამწუხარო ჩვეულება“. ამ წერილშიც, ისევე როგორც თავის თითქმის ყველა წერილში, პ. აბაშიძე სინანულს გამოთქვამდა ეროვნული

დაბნეულობის გამო. იგი ვერ ურიგდებოდა იმას, რომ ზოგიერთი ქრისტიანი ქართველი აპარლებს „თათარს“ ეძახდა, ხოლო აპარლებს არ სწყინდათ და არც ეუცხობებოდათ ეს სახელი. „ღრთა მოვიშორეთ ძვალსა და რბილში გამყდარი ეს სამარცხვინო ჩვეულება და თავისთავს ვუწოდოთ ქართველი, რომ მომავალი თაობაც არ აღიზარდოს ჩვენს შეცდომებზე ეროვნული ვინაობის საკითხშიო,“ — წერდა ჰაიდარ აბაშიძე.

ამ წერილმა მაშინვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება და აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. „ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე „ბათუმის გაზეთში“ ჩივის, თათრებს გვეძახიანო. სამწუხაროა, მაგრამ ამაზე უფრო სავალალო და სამწუხარო ის არის, რომ საუკუნეობით შექმნილ ფსიხიკის გადასაკეთებლად და ჩვენს დასახლებლად აქამდის ჩვენში თითქმის არაფერი კეთდებოდა. მართოდენ წიგნების გავრცელება და ერთი სკოლის დაარსება ბევრს ვერაფერს შექმნიდა,“ — წერდა „სახალხო გაზეთი“.

5. 3. აბაშიძის წერილმა „სამწუხარო ჩვეულება“ დიდი განგაში ატეხა მორწმუნეთა შორის. ფანტიკოსებმა მოსახლეობაში გაავრცელეს ხმა — 3. აბაშიძე გადაგვარდა, მუსლიმანობას უარყოფს და ქრისტიანებს ემხრობაო. ჰაიდარის მშობლებს მოციქულებს უგზავნიდნენ და აფრთხილებდნენ დაერიგებინათ შეილი, რომ მომავალში აღარ გაებდა მსგავსი საქციელი. წინადადება მისცეს „ბათუმის გაზეთის“ რედაქციასაც კვლავ აღარ დაებეჭდა ასეთი შინაარსის წერილები, თან დაემუქრნენ — წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით გაგისწორდებითო. ფანტიკოსებს არც ხელისუფლების ორგანოები ჩამორჩნენ.

„ჩვენმა მკითხველებმა იციან, — ვკითხულობთ „ბათუმის გაზეთის“ 1913 წლის 8 დეკემბრის ნომერში, — რომ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა რამდენიმე წერილი ადგილობრივ ახალგაზრდა მაჰმადიან ქართველისა...“

თანამომე მაჰმადიან ქართველთა გონებრივად გამოფხიზლება, თვითშეგნება და თავის თავის ცნობა ყოველი შეგნებული ქართველისათვის, რა მიმართულებისაც არ უნდა იყოს იგი, მეტად სასიამოვნო და სასიხარულოა. ჩვენ დანაშაულად ჩაგვეთვალა ხსენებულ ახალგაზრდა მაჰმადიანი ქართველის წერილების ბეჭდვა... მხოლოდ გონებრივად და ზნეობრივად მახინჯს შეუძლია უარყოს აპარლების, შეეშეთელებისა და ქობულეთელების ქართველობა და უწოდოს მათ „თურქები“, როგორც უწოდებენ მათ უმეცრები და ჩვენი ეროვნების შტრები... ჩვენ არ გვიკვირს, რომ რენეგატები და პროვოკატორები პროვოკაციას ეწეოდნენ, მაგრამ მოვახსენებთ ამ ვაებატონებს. რომ ამაოა მათი ბინძური სულისკვეთება და მათი საზიზღარი ბრძოლა ჩვენთან. შეიძლება პირადად გვაენოს მათმა პროვოკაციამ და რომელიმე ჩვენთაგანი მოაშოროს თავის საყვარელ საქმეს, ხოლო მოვახსენებთ, რომ ის

საქმე, რასაც ჩვენ ვემსახურებით უკვდავია. შეიძლება მისი შეფერხება, დაბრკოლება და მოკვლა — არა“.

ფანატიკოსთა საპასუხოდ პ. აბაშიძემ გამოაქვეყნა წერილი „ქართველი მუსლიმანების საყურადღებოდ“, რომელშიც განმარტავდა, ჩემს წინა წერილში გამოთქმული აზრი სრულიადაც არ გულისხმობს სარწმუნოების უარყოფას, იგი მხოლოდ ეროვნული ცხოვრების მოდუნებას შეეხებაო.

6. წინა ორმა წერილმა ფანატიკოსთა კიდევ უფრო მკაცრი გამოხმაურება გამოიწვია, მაგრამ პ. აბაშიძე უკან არ იხედა. მან გამოაქვეყნა წერილი „მაჰმადიან ქართველთა ფანატიკოსობა და ეროვნული გრძნობა“. წერილში იგი განმარტავდა იმ მიზეზებს, რომლებმაც განაპირობეს სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურული ჩამორჩენილობა და ეროვნული გრძნობების მიძინება. ამ წერილმა დიდი გამოძახილი ჰპოვა. აქარის მოსახლეობა ორ ჭკუფად გაიყო; ერთნი კვლავ კერპად იცავდნენ თავიანთ ფანატიკურ შეხედულებებს, შეგნებულმა პატრიოტებმა კი ზურგი შეაქციეს ოსმალეთელ ფანატიკოსებს და პირი იბრუნეს საქართველოსაკენ, მოითხოვეს საქრისტიანო საქართველოს დახმარებით ეზრუნათ თავიანთი კლთხის დაწინაურებაზე.

7. ამ წერილში პ. აბაშიძე კვლავ უბრუნდება ეროვნულ საკითხს. იგი კითხულობს: მაჰმადიანი ქართველები თავს „თათრებს“ იმიტომ უწოდებენ, რომ თავიანთ წარსულს არ იცნობენ, ხოლო ქრისტიანი ქართველები რატომ გვიწოდებენ „თათრებსო?“. იგი ქრისტიან ქართველებს მოუწოდებდა აღარ გაემეორებინათ ასეთი შეცდომა, რასაც მტერი ებღაუჭებოდა და თავის სასარგებლოდ იყენებდა, ხოლო მუსლიმან ქართველებს ასწავლიდა მოეშორებინათ „გულში ჩანერგილი დამღუპველი ფანატიზმი“, უყუევდოთ ეს საშინელი ჩვეულება, ერწმუნათ თავიანთი ქართველობა და ხმა აღემალეებინათ ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც მათ „თათრებს“ ეძახდა.

8. ჰაიდარ აბაშიძე, როგორც სულითა და გულით პატრიოტი, თავის სცემდა თავისი ქვეყნის ნიჭიერ შვილებს, სამშობლოს კულტურული აღორძინების მეჩირადღნებებს. მას გატაცებით უყვარდა ქართული თეატრი და დიდად აფასებდა მის ღვაწლს ხალხის ზნეობრივ აღზრდაში.

1914 წელს, როცა საქართველოს მადლიერმა საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა კოტე ყიფიანის სასცენო მოღვაწეობის 45 წლისთავი, პ. აბაშიძე ბათუმის საზოგადოების სახელით გულთბილად მიესალმა იუბილარს და გულწრფელი მადლობა გამოთქვა თეატრის კოლექტივისადმი.

იუბილესთან დაკავშირებით მაშინდელ გაზეთებში გამოქვეყნებულ „ნგარიშებში“ განსაკუთრებით არის გამოყოფილი ჰაიდარ აბაშიძის გამოხატვა. აი, მაგალითად, რას წერდა ს. ფირცხალავა („სიტყვა“) 1914 წლის 6 თებერვალს „სახალხო გაზეთში“:

„კოტე ყიფიანის იუბილეს დღეს დამსწრე საზოგადოება... პირდაპირ აღტაცებით, ხანგრძლივი მზურვალე ტაშისკერით მიეგება ბათუმელ მაჰმადიან ქართველის გამოსვლას. ეს ასეც უნდა ყოფილიყო — ბევრი

ეროვნული ნადგევი და სიმწარეა ჩაქსოვილი იმ მოგონებაში, რომელიც გარს ახვევია მაჰმადიან ქართველებს. მაჰმადიანი ქართველობა ჩვენი ისტორიის წამებული სახეა, მათ ცხოვრებაში ჩამარხულია ერის უძვირფასესი მისწრაფებანი, მათი ტკივილი და არგამთელებული იარა, მთელი ერის იარაა; მათი ახლანდელი მდგომარეობა — ეს ჩვენი კულტურის და სახელის ნანგრევებია, რომლებსაც მღუღარე ცრემლებით დავსტირით ხწირად. მათი აღდგენა სამშობლოს აღდგენაა და თუ გვიყვარს მშობელი ქვეყანა, ამ სიყვარულისაგან განუკვეთელია სიყვარული მოძმეებისადმი, რომლებიც უწყალო ბედმა დაუნდობლად მოჰკლიჯა დედის ძღუესა.

ეს მოვლენა ღრმად აღბეჭდილა ჰაიდარ აბაშიძის გულშიც:

„სიხარულით მინდა ავღნიშნო, — იგონებს დღეს უკვე მსოფიანი მოღვაწე, — რომ დაახლოებით 50 წლის წინათ, 1911 წლის 26 იანვარს, თბილისის ქართულ თეატრში, მეორე დიმიტრი თავდადებულის ღირსეული შვილის — კოტე ყიფიანის იუბილეზე, ოცდაერთი წლის ახალგაზრდას წილად მხვდა ბედნიერება ეყოფილიყავი ქართველი ხალხის წესანიშნავ წარმომადგენლებთან ერთად სტუმრებისათვის მშვენიერად მორთულ სცენაზე და გამოესულიყავი იუბილარისადმი მისალოცი სიტყვით.

დიდი ბედნიერება ვიგრძენი, როცა დავინახე, რომ ჩემს გამოსვლას მთელ საზოგადოებასთან ერთად, ღიმილით ტაშს უკრავდა იქვე, სავარძელში მჯდომი ჩვენი სასიქადულო მგოსანი აკაკი.

რა თქმა უნდა, ასეთი ყურადღება გამოხატავდა იმ დიდ მშობლიურ სიყვარულსა და მზრუნველობას მრავალტანჯული აჭარის მიმართ, რომელსაც საერთოდ მუდამ იჩენდნენ ჩვენი დიდი ქართველი მოღვაწეები „რლია ქავჭავაძის მეთაურობით“.

9. მუსლიმან ქართველ მამაკაცებთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ქალებიც რომ ჩაება, პ. აბაშიძემ გამოაქვეყნა საგანგებო წერილი: „ქართველი მაჰმადიანი ქალის ხმა“, რომელშიც გადმოცემულია აჭარელი ქალის იმდროინდელი ბეჩავი, უუფლებო, მონური ცხოვრება და მითითებულია ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის საშუალებებზე. წერილის ავტორად აბაშიძეს გამოყვანილი ჰყავს მორწმუნე ქალი, რომ ამით დანარჩენი ქალების ნდობაც დაემსახურებინა და წერილსაც მეტი დამაჯერებლობა ჰქონოდა. მართლაც, ამ წერილმა თავის დროზე დადებითი როლი შეასრულა.

10. როგორც ცნობილია, იმ დროს, როცა პ. აბაშიძე მოღვაწეობდა, აჭარაში ძირითადად ორი პოლიტიკური მიმდინარეობა იყო: ერთი — ქართული ორიენტაციისა და მეორე — პანისლამისტური. პირველს სათავეში ედგნენ მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, ს. დიასამიძე და სხვები, ხოლო მეორეს — ხოჭები და რეაქციონერი ბეგები.

თუ პირველი მიმდინარეობა მიზნად ისახავდა აჭარელთა ეროვნულ გათვითცნობიერებას, მათ სულიერ დაახლოებას ქართველებთან, ქართული სკოლებისა და თეატრების გამრავლებას, მეორე ჯგუფი, პირიქით,

მოითხოვდა ოსმალეთთან კავშირს და აყენებდა საკითხს თურქული სკოლებისა და თეატრების გახსნის აუცილებლობის შესახებ. ორივე მიმდინარეობას შორის გააფრთხილებელი ბრძოლა იყო გაჩაღებული.

1914 წელს ბაქოს თათრულ გაზეთ „იღბალის“ № 511-ში გამოქვეყნდა არაბ ვასფი-ეფენდის წერილი, რომელიც ეხებოდა ბათუმის მუსლიმან ქართველთა ცხოვრებას. ავტორი იმედს ამყარებდა ბათუმში ახალგახსნილ თურქულ თეატრზე და მეჩეთთან გასასხნელად განზრახულ თურქულ სასწავლებელზე. პ. აბაშიძემ ამ წერილის საპასუხოდ ბათუმის გაზეთში გამოაქვეყნა სტატია „არაბი და თათრული გაზეთი მაჰმადიანი ქართველების შესახებ“, რომელშიც სასტიკად გააკრიტიკა არაბ ვასფი-ეფენდის თურქოფილური შეხედულებანი.

11. ვასფი-ეფენდის წერილის საპასუხო წერილმა პანისლამისტებში დიდი განგაში გამოიწვია. იმავე გაზეთ „იღბალის“ № 628-ში გამოქვეყნდა წერილი „ქართველი მუსლიმანების შესახებ“, რომლის ავტორი იყო აქარელი ყარალა-ზადე (ხაქარაძე). ყარალა-ზადე პირწაყარდნილი თურქოფილი იყო. მას კონსტანტინეპოლში ჰქონდა უმაღლესი განათლება მიღებული და თვალი ოსმალეთისაკენ ექირა.

ხსენებულ წერილში იგი თავკამოდებით იცავდა ვასფი-ეფენდის შეხედულებებს ოსმალეთთან აქარლების დამოკიდებულების საკითხზე.

პ. აბაშიძის წერილი „ამასაც მტკიცება უნდა?!“ სწორედ თურქოფილ ყარალა-ზადეს გამოხდომის საპასუხოდ გამოქვეყნდა.

12. 1914 წელს გაზეთ „იღბალის“ 511-ე და 627-ე ნომრებში არაბ ვასფი-ეფენდისა და ყარალა-ზადეს ავტორობით გამოქვეყნებულმა წერილებმა დიდად შეაშფოთა აქარის პროგრესული ძალები. თურქოფილთა პანისლამისტური პროპაგანდა აფერხებდა მოსახლეობაში ეროვნულ გამოფხიზლებას. ფანატიკოსებმა გააძლიერეს აგიტაცია ოსმალეთთან სასარგებლოდ, ქართული ორიენტაციის მომხრეთა საზიანოდ.

ყარალა-ზადე სარგებლობდა იმით, რომ წარმოშობით აქარელი იყო და ცდილობდა ბევრი თანამოაზრე გაეჩინა. იგი ხალხს არწმუნებდა — თურქებთან დაახლოება მეტ სიკეთეს მოგვიტანს, რადგან მათთან ჩვენ მთავარი ძარღვი — სარწმუნოება გვაკავშირებსო. მერყევი ელემენტებო უჭერებდნენ და პანისლამისტებს ემხრობოდნენ.

გაითვალისწინა რა მოსალოდნელი საფრთხე, პ. აბაშიძემ ისევ კალამი მოიმარჯვა, გადაწყვიტა ფარდა აეხადა გადაგვარებული ყარალა-ზადესთან კალმოსნებისათვის, მათი დამლუპველი პოლიტიკისათვის და თავისი კუთხე ეხსნა ოსმალთა ეროვნული გავლენისაგან. მან დაწერა ამაღლებელი წერილი „საგულისხმო პროტესტი“, რომელზეც ხელი მოაწერინა 19 თანამოაზრეს და გამოაქვეყნა „ბათუმის გაზეთში“. ამ საპროტესტო წერილმა დიდი როლი ითამაშა. მისი გაცნობის შემდეგ ბევრმა აქარელმა ზურგი შეაქცია პანისლამისტებს და ჩაება ეროვნული გათვითცნობიერებისათვის ბრძოლის ფერხულში.

13. 1915 წელს აქარამ მთელ საქართველოსთან ერთად მწარედ განიცადა დიდი მგოსნის აკაცი წერეთლის გარდაცვალებით გამოწვეული

მწუხარება. თუ როგორი გულისტკივილით შეხვდნენ ამ სამწუხარო ამბავს მოწინავე აქარლები, ეს ჩანს ჰ. აბაშიძის დეპეშიდან, რომელიც მან მაჰმადიან ქართველთა ჯგუფის დავალებით გაგზავნა (თვითონ ავად იყო და დაკრძალვას ვერ დაესწრო).

14. პირველი მსოფლიო ომი რომ დაიწყო, 1914 წელს პანისლამიზმის აგენტებმა პროვოკაციულ მეთოდს მიმართეს — დაიწყეს ჩვენში პროკლამაციების გაერცელება და ირწმუნებოდნენ — ეს ომი საღვთო ომია და ყველა მაჰმადიანმა მხარი უნდა დაუჭიროს საღვთო ომის მდროშეს — ოსმალეთს. ამავე დროს ისინი აქარის მცხოვრებთ მოუწოდებდნენ დაეცვათ თავისი სარწმუნოება რუსების — ქრისტიანების მხრით დევნისაგან და ამით პატივი ეცათ სჯულის მამამთავრის — მაჰმადის ანდერძისათვის.

ამრიგად, პანისლამისტები აქარას ომის პლაცდარმად აშუადებდნენ; მათ სრულებით არ აწუხებდათ, რა ბედი მოელოდა ადგილობრივ მოსახლეობას.

3. აბაშიძემ განჰკრიტა მოსალოდნელი უბედურების სიმძიმე და გადაწყვიტა პანისლამისტთა პროვოკაცია ჩაეხშო საღი აგიტაციით. ამ მიზნით გაზეთ „სამშობლოში“ გამოაქვეყნა წერილი „მაჰმადის დროშა, საღმრთო ომი და ოსმალები“.

ამ წერილში იგი წინასწარგანზრახვით, განგებ, მხოლოდ რელიგიური წყაროების მოშველეებით განმარტავდა, რას ნიშნავს საღმრთო ომი, მაჰმადის ანდერძის თანახმად რა პირობებში ცხადდება იგი, ვის აქვს უფლება ასეთი ომის გამოცხადებისა და ა. შ. და ბოლოს ამტკიცებდა, რომ ეს ომი საღვთო ომი არ არის და არც ოსმალეთს აქვს უფლება ამ ომში მდღროშედ აღიაროს თავისთავი. ჰ. აბაშიძე ხალხს მოუწოდებდა არ აპყროლოდა პანისლამისტების ფეხის ხმას და აქარა სასტიკი ომის სარბიელად არ გაეხადა.

15. „კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური“ — ასეთი წერილით მიმართა ჰაიდარ აბაშიძემ ქრისტიან ქართველებს. როგორც ამ წერილიდან ჩანს, ავტორი უკმაყოფილო იყო იმით, რომ ზოგიერთი ქრისტიანე ქართველი თავის დაპირებას აქარლების მიმართ არ ასრულებდა.

საქიროდ მიგვაჩნია შეენიშნოთ, რომ ამ წერილის ტონი მეტად მკაცრია და ქართველი საზოგადოებრიობის მიმართ საყვედურიც გადაქარბებულიად გვეჩვენება. აქ ჰ. აბაშიძის მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ აქარის ჩამორჩენილობის საქმეში ყველაზე მეტი ბრალი აქარელ ფანატიკოსებსა და მეფის რეაქციულ მოხელეებს მიუძღოდნოდათ, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე აფერხებდნენ ქართველი საზოგადოებრიობის მიერ წამოწყებულ ყოველ კეთილ საქმეს და აქარის პროგრესულ ძალებს ხელს უშლიდნენ კულტურული დაწინაურების ღონისძიებათა განხორციელებაში.

ასეთი პოლიტიკის გამოხატულება იყო თუნდაც, ბათუმში ქართული გაზეთისა და ქართული სკოლის დახურვა.

გაზეთი „საქართველო“, იტყობინებოდა რა ამ ამბავს, 1915 წელს წერდა:

„ამ ერთი წლის წინათ გამოდიოდა „ბათუმის გაზეთი“, რომლის გამომცემელი გახლდათ იშვიათი ენერჯის ადამიანი სპ. კელიძე, რომელიც ძლივს სულს უდგამდა თავის ორგანოს... ერთ და იმავე დროს ის იყო რედაქტორიც, კორექტორიც, ასოთამწუობიც და თვით გაზეთის დამტარებელიც.

ამ გაზეთმა რამდენს გამოუფხიზლა გონება და დედა ენაც შეაყვარა. აქარლებისათვის ხომ დაუფასებელი მნიშვნელობა ჰქონდა „ბათუმის გაზეთს“ (იხილეთ ამის შესახებ „თეატრი და ცხოვრება“, 26-ე ნომერი, ჰაიდარ-ბეგ აბაშიძის წერილი — „რამ შემაყვარა მე ქართული ენა“).

ბათუმის ქართული სასწავლებლის დახურვასთან დაკავშირებით კი იგივე გაზეთი წერდა:

„ბევრი საწყალი მუშის შვილი გამოიზარდა ამ სასწავლებელში... ეს სასწავლებელი აძლევდა მათ შვილებს პირველდაწყებით და უკანასკნელ სწავლასაც... ამ სასწავლებელში ნამყოფთ შექმნდათ მდებრიო ოჯახებში ქართული წიგნი და გაზეთი და უღვიძებდნენ მათდამი კითხვის სურვილს. ბევრი ქართველი მაჰმადიანიც აღზრდილა აქ. ამისი ერთი მაგალითი ჰაიდარ-ბეგ აბაშიძეა, რომელმაც კიდევაც აღიარა ეს თავის წერილში „რამ შემაყვარა მე ქართული ენა“ („თეატრი და ცხოვრება“ № 26). ისე რიგიანად არსად ქართულ წერა-კითხვას არ ასწავლიდნენ, როგორც ამ სასწავლებელში.

და აი, ასეთი საეროვნო სასწავლებელი დაიკეტა დღეს. ამბობენ უსახსრობის გამო, მაგრამ ეს დაუჭერებელია. მოწადინება იყოს, თორემ სახსრებს ყოველთვის გამოიხაზვენ“.

წინააღმდეგ ჩვენი ხალხის მტრების ხრიკებისა, მოწინავე საზოგადოებრიობას უკან არ დაუხევია. რა მკაცრადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს დღეს ჰაიდარ აბაშიძის საყვედური თანამომეებებისადმი, ეს საყვედური საქმისათვის ფრიალ სასარგებლო აღმოჩნდა.

„შაბათის „სახალხო ფურცელში“ (№ 234) ჰაიდარ-ბეგ აბაშიძის ფრიალ საყურადღებო წერილია მოთავსებული აქარლების უნუგეშო მდგომარეობის შესახებ. ბ-ნი აბაშიძე სამართლიანად უსაყვედურებს ქართველ ინტელიგენციას უსაქმურობასა და ცარიელსიტყვაობას. სამართლიანია ეს საყვედური იმიტომ, რომ იმ დროს, როცა აქარა ჩვენს თვალწინ სულს დაფავს, ჩვენი მცონარე ინტელიგენცია „ქალი გრძნეულით“ ერთობა და მის გარშემო ერთ ამბავს ეწევა“.

„თანამედროვე აზრი“, 1915 წ., № 15.

„თანამედროვე აზრის“ ეს კრიტიკა თუმცა ზოგიერთმა ითაკილა, მაგრამ ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილმა, რაც მოთვარია, ხალხმა სალად შეაფასა მდგომარეობა. თუ რა რეზონანსი ჰქონდა პ. აბაშიძის წერილებს, ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა იმდროინდელი პრესის

გამოხმაურება. აი, ზოგიერთი მათგანი, პირველ რიგში აღსანიშნავია პო-
ეტი ქალის, განდევლის (დომინიკა ერისთავი) წერილი:

ქ ა რ თ ვ ე ლ ო ქ ა ლ ე ბ ო !

გადაიკითხეთ გუშინდელ „სახალხო ფურცელში“ მოთავსებული წე-
რილი პაიდარ-ბეგ აბაშიძისა? თუ არ წაგიკითხავთ, გოხოვთ, წაიკითხოთ
და მაშინ დამეთანხმებით. რომ ამ სტრიქონების დამწერი უცრემლოდ
ვერ წაიკითხავდა აბაშიძის წერილს. უცრემლოდ-მეთქი, — ვამბობ, ეს
ცოტაა! მე ვქეითინებდი ბავშვივით... ამავე ადულტების გულით მოგ-
მართათ თქვენ, ყური მიაპყრათ იმ საშინელ კენესას, იმ უმაგალითო
უბედურებას, რომელიც ჩვენს მოძვე ქართველ მამამდიანებს არგუნა
ბედმა.

ქართველო ქალებო! ნუ დაივიწყებთ, რომ ამ ჩვენის გულიდან მოგ-
ლეჭილს კუთხეს ქართველმა მამამდიანმა ქალებმა შეუნახეს ფაქიზად
ენა. ქართველმა მამამდიანმა ქალებმა უმღერეს მშობლიური ნანა თა-
ვიანთ შვილებს და მასთან ერთად შეასისხლბორცეს დიადი და იშვია-
თი ღირსება...

ქართველო ქალებო! ქართველი ერის მომავალი ჩვენზეა დამოკიდე-
ბული. „ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მო-
მავალი ხალხს“. და თუ გვწამს ეს ღიადი მცნება, გულგრილად ველარ
შევეყრებთ მოძმეთა დიდ გასაჰირს. ხმა მივცეთ გულდაკოდილ მოძმე-
ებს, ვამცნოთ, რომ ქართველ ქალთა ნაზი გრძნობა არ გამჰკრალა. იგი
ერთგვარის სიყვარულით ექცევა როგორც ქრისტიან, ისე მამამდიან
ქართველებს, ვაუწყოთ, რომ ჩვენ ერთის დედ-მამის შვილები ვართ,
ერთის ცის ქვეშ დაბადებულნი და აღზრდილნი. რომ არ არის ორი
საქართველო, იგი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე და მისი შვილების უბედუ-
რება გულს გვიკლავს, რა სარწმუნოებისაც არ უნდა იყოს იგი.

ქართველო ქალებო! დაეხმაროთ ჩვენს მოძმეებს, გავილოთ ჩვენი
წვლილი ვის რამდენიც შეგვიძლია, და სიყვდილს და გასაჰირს გადა-
ვარჩინოთ ჩვენი ძმები და შვილები. და მე თამამად მოგმართათ თქვენ,
რადგან ვციო თქვენ უფრო მგრძნობიარე ხართ და უფრო მხნედ შე-
უდგებით ამ წმინდა მოვალეობის აღსრულებას — სიტყვას საქმედ აქ-
ცეთ. ამდენი ხანია იწერება ამ საგანზე, მაგრამ აქამდე ვერც ერთი
მტკიცე ორგანიზაცია ვერ შესდგა ისეთი. რომელიც ცოტათი მაინც შე-
უმსებუქებდა მწარე ხედრს ჩვენს მოძმეებს. მე ვფიქრობ, ამას არც
ადგილობრივი მთავრობა დაგვიშლის, პარიჭით — ხელსაც შეგვიწყობს
გაჰირებულთა დახმარების საქმეში. მაშ, შევერთდეთ, ვეცადოთ, ნე-
ღარ შევეყრებთ უტყუ მოწმედ ამ კენესას, ამ ძახილს შველისას!

ამასთანავე ვგზავნი რედაქციაში 5 მანეთს. დაე, ეს იყოს პირველი
კენჭი, ქართველ ქალისაგან საჯაროდ მიტანილი, მოძმეთა დანგრეულ
ეკრის აღსადგენად.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 235.

„სამი თვე იქნება, აქარლების აწიოკებისა და აზარების ამბავი მთელს საქართველოს მოედო და მათმა კენესამ თითქოს დიდსა და პატარას გული დასწვა. — ვკითხულობთ წერილში, „სიტყვას“ ხელმოწერით, — გაუბედურებულმა მოძმეებმა ხმა მოგვეწოდეს და შეველა გეტხოვეს: ძმა ძმისთვისაო — შავი დღისთვისაო, მოხუცი კაიკაციშვილი ცრემლებით გვევედრა აკაკის დასაფლავების დღეს და მიცვალებულის სახელით დაგვაფიცა — ხელი გამოგვიწოდეთო. კეთილშობილმა მამამდიანმა ქართველმა ჰაიდარ-ბეგ აბაშიძემ მწარე საყვედურით მოგვემართა: ორმოცი წელია თქვენთან ვართ, თქვენ შემოგყურებთ ოდესაც დაკარგული ძმე-ზი, ველოდებით, რომ ძმურად მიგვიღებთ და აქამდის ვგ ძმობა ვერ ვნახეთო.

ჩვენი გაზეთებიც ახმაურდნენ, ჯერ მკრთალად, მაგრამ მერე გაბედულად. რამდენიმე წერილი დაიბეჭდა ყველა მიმართულების გაზეთებში: აქარა გადამწვარია, აქარა განადგურებულია, აქარლები უდიდეს განსაცდელში არიან და საჩქაროდ მივეშველოთ, დავეხმაროთ, რითაც შეგვიძლია — ქონებრივად, ზნეობრივადო. ცნობებიც იყო დაბეჭდილი, თუ როგორ აწიოკებულია აქარა. ისიც იყო აღნიშნული... რომ აქარლები მოლაღატენი არ არიან და ამას მთავრობაც აღიარებს. გაიმართა კრება... მრავალი სიტყვა იქნა წარმოთქმული... ზოგიერთ დამსწრეს ცრემლიც კი მოადგა თვალზე შეტის აღელვებისაგან. კრებამ ერთსულოვნად აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა, რომ დაუყოვნებლივ წარსდგომოდა მთავრობას, გამოერკვია აქარლების ბედი და ნებართვა აეღო მათი დახმარების მოსაწყობად...

აქარლები კი ისევ მთებსა და კლდეებში იყვნენ გახიზნულნი, სიმშვილისა და სიცივისაგან იხოებოდნენ, მათ წასახლარებში ნადირები ღმუროდნენ...

მაგრამ რაც იყო იყო და ეხლა... მხნედ მოეციდოთ ხელი საქმის მოწყობას და საქართველოს ყოველმა კუთხემ, ყოველმა სოფელმა, ყოველმა შვილმა უნდა მიაწოდოს თავისი წვლილი. თავისი დახმარება აქარას. გვახსოვდეს, რომ აქარა-შავშეთი ის მხარეა, საიდანაც ბევრი სიკეთე და მადლი მოჰქვნიდა ჩვენს სამშობლოს“.

„სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 250.

„ისევ ხალხმა გაიკრა ჯიბეს ხელი, ბობოლანი კი სდუმან... — ვკითხულობთ 1915 წლის № 12 „თეატრსა და ცხოვრებაში“, — ორი კვირა იქნება, რაც ჰაიდარ-ბეგ აბაშიძემ სამართლიანი საყვედურით აღსავსე წერილით მიმართა ქართველ საზოგადოებას („სამშობლოში“, შემდეგ სხვა გაზეთებში გადაბეჭდეს). და მიუხედავად ყოველივე ამისა, ვიმეორებთ. მხოლოდ ხალხმავე დაიწყო თავისი წვლილის გზავნა რედაქციებში... ბობოლანი, მოწინავენი კი სდუმან. ან მხოლოდ ჩურჩულებენ... დადგა დრო, როდესაც ჩვენს გათიშულ-გაგარეეებულ ძმებს თვალნათლივ უნდა დაეუმტკიცოთ არა თუ მხოლოდ ჩვენი თანაგრძნობა,

არამედ ისიც, რომ ჩვენ ერთნი ვიყავით ძველად ლხინში, ერთივე უნდა ვიყოთ ახლა კირში, და მომავალშიაც...

უმოკმედო ლაპარაკი. საგაზეთო წერილები არ კმარა. საქირთა მთელმა ქართველმა ხალხმა, მოწინავე საზოგადოებამ, საფინანსო, საქველმოქმედო, წოდებრივმა და სხვა დაწესებულებებმა სათვალწინო თანხა გადასდონ დაზარალებულ აპარელთა სასარგებლოდ, თბილის-ქუთაისის და საქართველოს სხვა დაბა-ქალაქ-სოფლებშიაც გაიმართოს დილა-სალამოები. ამავე მიზნით აპარაში გაიგზავნოს შესაფერი კაცები საქირთა ცნობების შესაკრებად და დახმარების აღმოსაჩენად, შეიქმნას მუდმივი კომიტეტი, რომელსაც განსაკუთრებით აპარელთა დახმარება-შეწევის საქმე უნდა მიენდოს და თუ ომისა ან სხვა რაიმე მიზეზით გახიზნულ-დაწიოკებულ აპარელთა მამა-პაპისავე ბინაზე დაბინაება შეუძლებელია, ჩვენსავე სამშობლოში გაუჩინოს ბინა, სადაც ჯერ არს შუამდგომლობა აღიძრას, რომ აპარელთა დახმარების საქმე უკეთ მოეწყოს და სხვ...

აპარელთა ბედ-იღბალი ჩვენის ქვეყნის დიდი და მწვავე საკითხთაგანია, როგორც ქართველი გვარტომის ხალხისა, და იგი არა ნაკლებ საყურადღებოა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც. ამიტომ ნუ ვაყოვნებთ... სიტყვას საქმეც მოვაყოლოთ“.

16. მცირეწლოვანმა გაიოზ იოსებზს ძე იმედაშვილმა (ამჟამად დოქტორმა) „სახალხო გაზეთის“ საშუალებით გულწრფელი თანაგრძნობით მიმართა აპარელ ბავშვებს და გაუგზავნა შეწირულება ფულის სახით. ამის საპასუხოდ ჰაიდარ აბაშიძემ მას მისწერა წერილი, რომელშიც დიდ მადლობას უძღვნოდა ასეთი კეთილშობილური მოქმედებისათვის და თან სთხოვდა — ჰკითხე მამაშენს (ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, იოსებ იმედაშვილს), იგი აპარლებს „გათათრებულ ქართველებს“ რატომ გვეძახისო.

ასეთი შეცდომა მაშინ ბევრს მოსდიოდა. ჰაიდარ აბაშიძისადმი მიმართულ ღია წერილში იუმორისტული ჟურნალი „ახალი მათრახი“ (1915 წ. 26 აპრილი) აღნიშნავდა:

„ფრიად გვესიამოვნა თქვენი წერილის წაკითხვა, ბატონ გაიოზ იოსების ძე იმედაშვილის მიმართ მიწერილი. ჩვენი საზოგადო მოღვაწენი ძლიერ ხშირად ურევენ ერთმანეთში ასეთ ცნებებს, როგორსაც თქვენ წააწყდით ბ-ნ გაიოზის წერილში“.

როგორც ცნობილია, ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი დახმარება გაუწია პირველი მსოფლიო ომის შედეგად განადგურებულ აპარას და იხსნა იგი სრული მოსპობისაგან. ამ კეთილშობილურ საქმეში

მონაწილეობდა ყველა ქართველი — დიდიც და პატარაც, ყველა პროფესიისა და სხვადასხვა მდგომარეობის ადამიანი.

მაშინდელი ჟურნალ-გაზეთები საესე იყო აქარლებისადმი გულთბილი, ამაღლევბელი თანაგრძნობის წერილებით. აი, ზოგიერთი მათგანი:

„ქართველმა მოწაფეობამ ამ კრიტიკულ მომენტში გულხელდაკრებით არ უნდა შესცქირონ აქარლების კენესა-წუხილს; დე, ყველამ გაიგოს, რომ ქართველი მომავალი თაობა ფიქრობს თავის ერსა და ქვეყნის მომავალზე“.

გაზ. „სამშობლო“, 1915 წ., № 65.

„ღღეს „სახალხო ფურცელში“ დედაჩვენი ჰაიდარ-ბეგ აბაშიძის წერილს კითხულობდა, პაწია გაიოზ იმედაშვილისათვის რომ მოუწერია. ჩვენ გული გვატყინა პაწია გამაჰმადიანებული ჩვენი ძმების, აქარლების ბედმა“.

და-ძმა იიკო და დათიკო გორგაძეები.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 250.

„ბატონო რედაქტოროსი ამასთანავე გაახლებთ შვიდ მანეთსა და ხუთ შაურს (7 მ. 25 კ.) ერთ ქართულ ოჯახში შეკრებილს, აქარლების სასარგებლოდ, რასაც მე დავესწარი. ეს ზემორე აღნიშნული ფული მე გამომატანეს დანიშნულებისამებრ გადასაცემად და ამასთანავე მთხოვეს შემომწირველთა გვარები არ გამომეცხადებინა გაზეთში“.

ვაჟა-ფშაველა

„სახალხო გაზეთი“, 1915 წ., № 238.

„წავიკითხე „სახალხო ფურცელში“ წერილი ჰაიდარ-ბეგ აბაშიძისა. ეს სამართლიანად საყვედურიანი წერილი ჩვენდამია მომართული და გული დამეთუთქა, თვალის კაკლები ცრემლებმა დამიწვა. ჩვენი მოძმე აქარლები ხელს გვიწვდიან, შველას გვთხოვენ. საჭიროა დაარსდეს „ფონდი აქარლებისა“, რაც უნდა მოხმარდეს აქარლების საჭიროებას. ამჟამად სააღდგომო ხარჯი შევიმოკლე სამი მანეთით, რასაც ვგზავნი „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში“.

ო. ავალიშვილი

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 236.

„წავიკითხე ჰაიდარ-ბეგ აბაშიძის საყვედურის წერილი და გულა ამევსო მწუხარებით და არ შემძლიან, რომ მცირე წვლილი მეც არ

გამოვიღო მათ სასარგებლოდ და მოგართმევთ აქარლების სასარგებლოდ ხუთ მანეთს სახალხო ფურცლის რედაქციას“.

მზარეული ნესტორ სულაძე.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 240.

17. ეს ღია წერილი ნათლად მოწმობს, როგორი სიმპათიით იყო პ. აბაშიძე განწყობილი აქარის ეროვნული გათვითცნობიერებისათვის თავდადებული მებრძოლის, ზაქარია კიკინაძის მიმართ. მართლაცა, ფასდაუდებელია ზ. კიკინაძის ღვაწლი აქარის წინაშე. მან ხომ ფეხით შემოიარა მთელი აქარა, მოინახულა ჩამოშორებულ ძმათა ოჯახები, გაეცნო მათ ჰირსა და ვარაშს და გულთბილად ანუგეშა ისინი, მათთან საჩუქრად მიჰქონდა ქართული წიგნები, ეურნალები, გაზეთები, ცდილობდა გადაგვარებისაგან ეხსნა ქართული ენა.

ზ. კიკინაძემ ბევრი ნაშრომი დაგვიტოვა ქართველ მაკმადიანთა ცხოვრების შესახებ. ამ ნაშრომებით მას სურდა აქარლებისათვის გაეცნო მათი ისტორიული წარსული, ეროვნული ვინაობა. პირველად მის წიგნებს უნდოდ უყურებდნენ ქართველი მუსლიმანები, რადგან ეგონათ ამ წიგნებით „გაგიაურებას“ უპირებდნენ. სწორედ ამიტომ პ. აბაშიძე ზ. კიკინაძეს ურჩევდა გამოსაცემი წიგნი განეხილა რამდენიმე გაელენიანი პირისაგან შემდგარ კომისიაში. მათი დასტურით დასტამბული წიგნები ადვილად მოიპოვებდა ნდობას აქარის მოსახლეობის ყველა ფენაში. ამავე დროს, როგორც ვიცით, პ. აბაშიძეს ძლიერ სწყინდა, როცა რომელიმე ქართველი აქარლებს „თათრებს“ ეძახდა. ზოგან კიკინაძესაც ეწერა ასეთი რამ. პ. აბაშიძის შენიშვნის შემდეგ ზ. კიკინაძეს ერთხელაც აღარ უხსენებია „თათარი“ ან „გათათრება“ აქარელთა მიმართ.

მიუხედავად თავისი სიახლგაზრდავისა, ჰაიდარ აბაშიძე უკვე ფრიად პოპულარული და პატივსაცემი პიროვნება იყო. მის სურათებს ბეჭდვადნენ ცნობილი მოღვაწეების სურათების გვერდით (წიგნი „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს“, ეურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., № 26.); მას უძღვნიდნენ წერილებს, შრომებს, ლექსებსა და პოემებს (მ. ჯანაშვილის „ტბეთის სვეტი შავშეთში“, წიგნი — „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს“, „თეატრი და ცხოვრება“, № 26, 1915 წ., ეურ. „განათლება“, 1915 წლის აპრილის ნომერი და სხვ.); ქართუ-

ლი მწერლობის აღიარებულ ოსტატებთან ერთად მემედ და ჰაიდარ აბაშიძეებს იწვევენ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ყრილობაზე დასასწრებად (გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917 წ., № 891).

აი, ზოგიერთი ამონაწერი ჰაიდარ აბაშიძის შესახებ იმ დროს გამოქვეყნებული წერილებიდან:

„ჰაიდარ-ბეგი ქართველ მუსლიმანებში პირველი ახალგაზრდა კაცია, რომელიც სიტყუით თუ საქმით, სრული შეგნებით იცავს ჩვენს ერთობას. ჰაიდარ-ბეგი ბათუმის მცხოვრებია, პირველად სწავლობდა ბათუმის ქართულ სკოლაში, მერე ბათუმის სამოქალაქო სასწავლებელში. სწავლა განაგრძო ტრაპიზონში. ამჟამად ის მასწავლებლად არის ბათუმის ქალაქის სკოლაში. ერთ დროს ამ ახალგაზრდასაც თავი თურქი ეგონა და დიდად სწყინდა, როცა მას ქართველ მუსლიმანს უწოდებდნენ. მაგრამ როცა ჰაიდარ-ბეგმა ახლოს გაიცნო მისი ტოლი ქართველი ქრისტიანები, რომლებმაც წააყიბეს საქართველოს ისტორია. ის დარწმუნდა რომ რკულით მუსლიმანი, ჭინსით ნამდვილი ქართველია. ამის შემდეგ ჰაიდარ-ბეგი თითქოს ახლად იბადება, სრულიად ახალ ცხოვრებას იწყებს. ის ღრმად რწმუნდება, რომ აქარა-ქობულეთელებს წინსვლა. განათლება და ცხოვრებაში დაწინაურება, მეზობლობა და ერთობა შეუძლიათ მხოლოდ ქართველ ქრისტიანებთან ქართული ენის შემწეობით და ქართველ ქრისტიანებთან ძმობა-ერთობით. ამის მტკიცებას და აზრის გაერკვლვას ჰაიდარ-ბეგი იწყებს თავისიანებში, მაგრამ სამწუხაროდ, ჰაიდარ-ბეგის კეთილი ჩივეა ბევრს მაშინ ვერ მოხვდა, ბევრი კიდევ გადაემტერა; ეს სულ ამ ორი-სამი წლის წინათ იყო, რომ ზოგს ჰაიდარ-ბეგი მუსლიმანების მტერი ეგონა. ამას ხელს უწყობდა ვინმე გაიძვერა არაბი ვასფი-ეფენდი, რომელიც ბათუმში იყო და ქართველ მუსლიმანებს გათურქებდას კი არა გაარაბებდას ექადაგებოდა, როცა ეს ომი დაიწყო. ვასფი-ეფენდომ თავისი ოსმალობა დამალა და განაცხადა — მე ინგლისის ქვეშევრდომი ვარ და ხელს ნუ მახლებთო. აი, ამ თქმის შემდეგ დამტკიცდა, თუ ვინ იყო ქართველ მუსლიმანების მეგობარი — ვასფი-ეფენდი, თუ ჰაიდარ-ბეგი. დღეს ყველა მიმხვდარია, რომ ჰაიდარ-ბეგი მართალი იყო; ჰაიდარ-ბეგი წერდა „ბათუმის გაზეთში“. ამ წერილებში, ის არკვევდა ქართველ მუსლიმანთა საქირებას. თუ მაშინ არა, ახლა მაინც ყველას სწამს. რომ ჰაიდარ-ბეგი თავისიანების პირისუფალი ყოფილა. თუ წინათ ის მარტო იყო, დღეს ბევრი ქართველი მუსლიმანი ამოუდგა გვერდში და სრული იმედია, ეს ახალგაზრდა ნასწავლი ბეგი ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს“...

აბ. წულაძის წიგნიდან: „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს“, თბილისი, 1915 წ., გვ. 28 — 29.

გაზ. „სახალხო ფურცლის“ 1916 წლის 21 მარტის ნომერში ვკითხულობთ:

„არა მგონია იყოს ისეთი ქართველი, ქრისტიანი თუ მუსლიმანი, რომელსაც არ გაეგებოდეს თუ რას წარმოადგენს დღეს სამაჰმადიანო საქართველო. გავიგეთ, თუ ვინ ვართ ჩვენ, სიხარულით ვუწუვლით ძმურ ხელს ერთიმეორეს. ერთმანეთის ძმობას არ გაეუბრვიართ; პირიქით, იმედი გვაქვს საბოლოოდ შეერთებისა და ქართველი ერის სახელით მის საკეთილდღეოდ ბრძოლისა. სულ სხვა იყო რამდენიმე წლის წინათ.

აქარლისათვის რომ გეტქვათ, შენ ტომით ქართველი ხარო, ის უსათუოდ იფიქრებდა, რომ ქრისტიანი უწოდებ და არასოდეს არ დაგეთანხმებოდა. ვერ არჩევდნენ ეროვნულ ვინაობას სარწმუნოებისაგან; ვერ არჩევდნენ, რომ ღვიძლი ძმა სიმატლეს ეუბნებოდათ და ეროვნული ვინაობის საკითხში უნდობლად გვიუყურებდნენ. საქირო იყო ისევ იმათგან ეთქვა ვისმეს სიმატლეს, ისევ მათშივე ეგრძნო და შეეგნო რომელიმეს თავისი ვინაობა, რომ უფრო ნდობით მოპყრობოდნენ და უფრო გულდასმით გაეწიათ ანგარიში მისი სიტყვებისათვის...

აი, სწორედ ასეთ დროს გამოვიდა სიმატლის საქადაგებლად ჩვენი ახალგაზრდა მოღვაწე ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე.

თამამად შემძლია ეთქვა, რომ მან, პირველმა ქართველი მუსლიმანებთან, თავგამოდებით, ღრმად და მკაფიოდ დაგვიყენა საკითხი შეერთებისა გათიშულ ძმების და ხილად გაედო იმ უფსკრულს, რომელიც ჩვენ გვაშორებდა.

უფრო იმიტომ არის დასაფასებელი მისი მოღვაწეობა, რომ გამოუცდელმა და ფუფუნებაში აღზრდილმა თავისი პირადი ბედნიერება ანაცვალა თავის სამშობლოს. თვით ვარ მოწმე, თუ როგორის სიმკაცრით გადაეღობნენ მშობლები წინ. თავის ხალხში კი გამარჯვებასაც ბევრი არ ეუბნებოდა: „გადელდა-გავიჟურდაო“, და ვინ იცის, რაებს არ ახერხებდნენ ჰაიდარ-ბეგის გასაჩუმებლად.

მაგრამ ჰაიდარ-ბეგმა ერთხელ და სამუდამოდ თქვა მტკიცე სიტყვა: „მე ქართველი ვარ და საქართველოს შევწირავ ჩემს პატარა ძალღონესო“.

გავიდა დრო და ჰაიდარ-ბეგ აბაშიძემ ბევრი მომხრენი, თანამოაზრენი იპოვა ქართველ მუსლიმანებში, მაგრამ მოწინააღმდეგე მაინც მეტი ჰყავდა.

ჰაიდარ-ბეგი არწმუნებდა ქართველ მუსლიმანებს, რომ სარწმუნოებას არავინ არ ეხებოდა, რომ თვით ყოველთვის იქნება პატიოსანი მორწმუნე მაჰმადისა და ამავე დროს ქართველი — ეროვნებით. სთხოვდა აგრეთვე ქართველ ქრისტიანებს, რომ სარწმუნოებას ცუდად არ შეხედონ.

ასე გართული ამ დიდ საქმეში მედგრად იკაფავდა გზას ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე. უსათუოდ, მისმა შრომამ საკმაო ნაყოფი გამოიღო. ბეგ-

რი გამოჩნდა აპარა-ქობულეთში მისი თანამოაზრე და გაბედულად და სიხარულით გამოეხმურნენ ახალგაზრდა ბეგს.

მაგრამ საუბედუროდ დარჩნენ ხელის შემშლელნი, ორი-სამი გაიძვერა, რომლებიც ცდილობენ ჰაიდარ-ბეგის და მისი თანამოაზრეთა ნდობა და პატივისცემა დასცენ ხალხში და ვინ უწყის, რას არ მოქორავენ.

ყველას კარგად მოეხსენება, თუ რას ნიშნავს ცუდი ხმები და შერცხვენილი სახელი იმ ხალხში, რომლის მოწინავედ ხარ გამოსული...

ესლა ვილაყებმა გაავრცელეს ხმა, ვითომც ბ. ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე ქრისტიანად მონათლაო, რადგანაც ქართველ ქრისტიან ქალზე დაქორწინდაო. ესე იგი, ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე თავის ხალხს მაგალითს აძლევს, თუ ქრისტიან ძმებს დაუახლოვდა, უსათუოდ ბოლოს სჯულიც უნდა გამოიკვალოსო. ქართველ ქრისტიანთა შორისაც გაავრცელდა ეს ხმა და ვილაყამ პრესაში კინლამ გამოაქვეყნა...

ნუ შიშობთ, ჰაიდარ-ბეგ აბაშიძეს შეიძლება უფრო უღირსადაც გადაეღობნენ დასამარცხებლად, მაგრამ ის მაინც მტკიცე ქართველი მაჰმადიანი არის და იქნება ბოლომდის“.

ეს წერილი მეორე დღეს გადაბეჭდა გაზეთმა „სამშობლო“.

თუ რამდენად მალალი იყო ჰაიდარ აბაშიძის მოქალაქეობრივი ავტორიტეტი, ჩანს აგრეთვე ლეონიდე ეპისკოპოსის განცხადებიდან:

„დასავლეთ საქართველოს მაჰმადიანთა შორის არა ერთი და ორი განვითარებული და ქართული წერა-კითხვის საკმაოდ მცოდნე პირი მოიპოვება.“

ასეთები თუ გინდაც რომ სრულებით სახეში არ მივიღოთ, შეუძლებელია, ამ შემთხვევაში გვერდი აუქციოთ და ანგარიში არ გაუწიოთ ისეთი ფხიზელი ბუნებისა და მოძმეთა მდგომარეობით დანტერესებულ პიროვნებას, როგორც არის ბათუმში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანი ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე. მისიონერების მოქმედება რომ ისეთი დასაგმობი, მავნე და აუტანელი ყოფილიყო აპარლებისათვის, როგორც ამას ქართული გაზეთები ხატავენ, ყველაზე უწინ ამას გაიგებდა და იგრძნობდა ქართველი მაჰმადიანების სულიერი ინტერესების სასიქადულო დარაჯი ბ. ჰაიდარ-ბეგი, რომელიც მე სრულებით არ წარმომიდგენია იმდენად გაუბედავ მოქალაქედ, რომ ვისმეს შიშისა და მორიდების გამოისობით არ ახმუერებულებოთ ამაზე ადგილობრივ პრესაში“.

„შინაური საქმეები“, 1915 წ., 11 ოქტომბერი, № 15.

18. პ. აბაშიძე მეუდამ იმ აზრს ანვითარებდა, რომ სარწმუნოების სხვაობა ხელს არ უშლიდა ეროვნულ ერთიანობას. მას ამ საკითხის ირგვლივ ხშირად უხდებოდა შეხლა-შემოხლა პანისლამისტებთან, რომლებიც ხალხთა ურთიერთდაახლოების პირობად სარწმუნოებით ერთიანობას აღიარებდნენ და ამიტომ იყო, რომ ოსმალეთთან კავშირს აპრობინებდნენ.

1915 წელს გაზეთ „საქართველოს“ № 17-ში გამოქვეყნდა „რ. ინგილოს“ წერილი სათაურით: „ვისი ბრალია?“, რომელიც საინგილოს მცხოვრებთა სარწმუნოების დროშის ქვეშ დარაზმვას ეხებოდა. საკითხის ასე დაყენება სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ეროვნული გათვითცნობიერებისათვის პ. აბაშიძისა და მისი მომხრეების მიერ აღებულ გეზს. პიი-დარმა ამ წერილის საპასუხოდ გაზეთ „სამშობლოში“ გამოაქვეყნა „მცირე შენიშვნა“, რომელშიც განიხილა „ინგილოს“ შეხედულებანი სარწმუნოების საკითხზე და მოგვცა თავისი საპირისპირო დასკვნები. როგორც ჩანს, პ. აბაშიძეს მარტო აქარაში მცხოვრებ მაჰმადიანთა მდგომარეობა კი არა, საქართველოს ყველა კუთხის მაჰმადიანთა ბედს აინტერესებდა.

19. „აქარის მთებში“ — ეს დიალოგი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის ფონზეა გაშლილი. იგი შავ დროში გათიშული ძმების — ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების კვლავ ერთ ქერქვეშ თავშეყრის მიზანს ემსახურება. პ. აბაშიძემ ამ პატარა წერილში მოხერხებულად ჩართო სამხრეთ საქართველოს მუსლიმან ქართველთა ეროვნული ვინაობის საკითხი, ნათლად დაგვისურათა ქვეყნის წარსული დიდება, გადატანილი ბრძოლები, სამხრეთ საქართველოს შვილთა იძულებითი გამოთიშვა დედა-სამშობლოსაგან. ეს ყველაფერი უბრალოდ, მაგრამ ღრმა განუცდით გადმოცემულია მოხუცს მოკლე საუბარში. მოხუცი ჭაბუკს უმხელს მისთვის დღემდე საიდუმლოებით მოცულ ამბავს — აქარლების სამშობლო საქართველოა და ქრისტიანი ქართველები მათი მკვიდრი ძმები არიანო.

20. პაიდარ აბაშიძის თხოვნით 1916 წელს საქართველოს „საქველმოქმედო საზოგადოებამ“ სოფელ ყოროლისთავში (ბათუმის რაიონი) გახსნა ქართული სკოლა. ეს დიდი მოვლენა იყო აქარის კულტურულ ცხოვრებაში. სკოლა დიდ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. საზეიმო შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა პ. აბაშიძე, რომელმაც დიდი მადლობით აღნიშნა ქართველი ძმების დახმარება და გამოთქვა რწმენა, რომ ამ სკოლაში აღზრდილი ახალგაზრდობა სახელოვნად უხელმძღვანელებს აქარის კულტურულა წინსვლის საქმეს.

21. ქართული „საქველმოქმედო საზოგადოების“ მიერ აქარის სოფლებში ქართული სკოლების გახსნამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია პანისლამისტების ბანაკში. ისინი გრძნობდნენ, რომ ეს სკოლები დიდად შეუწყობდნენ ხელს ქართული ენის საბოლოოდ დამკვიდრებას და დაიწყეს. პროეკაციული ხმების გავრცელება მოსახლეობაში, კიდევ მეტი კავშირი ვააბეს ბაქოს პანისლამისტებთან და შეუდგნენ თათრული და აზერბაიჯანული სკოლების გახსნას.

ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ბათუმში გადმოიტანეს ბაქოს „საქველმოქმედო საზოგადოება“. ამ „საზოგადოების“ წევრები რიზა-ბეგის მეთაურობით აქტიურ ღონისძიებებს ატარებდნენ თურქულ სკოლებში აქარელი ბავშვების მიზიდ-

ვისათვის. მათ იმასაც მიაღწიეს, რომ რამდენიმე ოჯახს ქალიშვილები გააგზავნიდნენ ბაქოს სასწავლებელში, რომ შემდეგ კადრები ჰყოლოდათ თურქული სკოლებისათვის.

პანისლამისტურ პროვოკაციას აყოლილ და ბაქოში წასულ მოსწავლე აქარლებს ქართულ ენაზე ხელი ააღებინეს და მშობლებს წერილებს თათრულ ენაზე უგზავნიდნენ.

ამ ამბავმა აღაშფოთა ჰაიდარ აბაშიძე, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა ქართული ეროვნული შეგნების დანერგვისათვის. მან მკაცრი პროტესტი განაცხადა პანისლამისტების თურქოფილური ნაბიჯების წინააღმდეგ. „ჩვენ, ქართველი მაჰმადიანები არავის მიეცემთ ნებას, რომ ჩვენ საყვარელ დედა ენაზე იერიში მიიტანოს“, — წერდა იგი.

გასაკვირი როდია, რომ ასეთი ადამიანი 1916 წელს ბათუმის აღმინისტრაციამ მასწავლებლობიდან გადააყენა. ეს ამბავი გაზეთების მეშვეობით მთელ საქართველოს მოედო და ბევრ მოღვაწეს ხმაშალალი პროტესტი გამოათქმევინა.

„ქობულეთის სასწავლებელში ქართულ ენას არ ასწავლიან, — ვითხოვლობთ გაზეთ „საქართველოს“ 1916 წლის 123-ე ნომერში, — რის მეოხებით როგორც ქრისტიან, ისე მუსულმან ქართველებს საშობლო წერა-კითხვის ცოდნა არ აქვთ. ამავე დროს ქართველ მუსულმანთა გასაზღვრნიერებლად ადგენენ მუსულმანური სკოლების პროექტებს უცხო ენებზე სწავლების საწარმოებლად...“

დღეს არსებულ სკოლებში ქართველი მუსულმანები ქართულ და რუსულ ენების გარდა, სწავლობენ თავის რჯულს... ბევრები ხალხთ სწავლობენ მათთვის გასაგებ ენას, რომელსაც მეტ-ნაკლებობით ყველა სკოლაში ასწავლიან. სწუთრიათ ცოდნის შექნა, ხალხით ეკადებიან სწავლას, რაც მოწმობს, რომ ქართველ მუსულმანთა შორის ძლიერი კულტურული ენერჯიაა ჩამოსხმული. ასე კარგად დაწყობილ საქმეს დამარხვას უპირებენ. იმედია, რომ თვით ჩვენი თანამოძმე შევნიებული ქართველი მუსულმანები ნათლად გაარჩევენ აესა და კარგს და მოითხოვენ ქართული ენის სწავლებას ყოველ სკოლაში, რა სახელისაქუნდა იყოს ეს სკოლა. ვფიქრობთ, რომ თუ საპირიება მოითხოვს საქმედ იქცევა ბ. ჰაიდარ-ბეგ აბაშიძის შემდეგი სიტყვები: „ჩვენ ქართველი მაჰმადიანები არავის მიეცემთ ნებას, რომ ჩვენ საყვარელ დედა ენაზე იერიში მიიტანოს“. ვაჟა, ასეთ მტკიცე შეგნებას და ქებათა ქება იმ შეგნებულ ჩვენს მოძმე ქართველ მუსულმანებს, რომელთ ბუნება გაშუქებულია ამ დიადი ეროვნული შეგნებით“.

„სახალხო ფურცელში“ სერგო გერსამია „კეთილი სანდლის“ ფსევდონიმით წერს:

„ბ. ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი პიროვნებაა. მისი ღვაწლი ქართველ მაჰმადიანთა გათვითცნობიერების საქმეში მრავალფეროვანი და დიდად ნაყოფიერია. ის ფხიზელი დარაჯი იყო მუდამ ქართველ მაჰმადიანების და როცა პრესაში თუ სხვაგან ამ

ნიადგზე საპირო იქნებოდა ხმის ამოღება, იგი უშიშრად გამოდიოდა და იცავდა ქართველ მაჰმადიანთა ეროვნებას. ეწეოდა აგრეთვე სხვადასხვა პრაქტიკულ მუშაობას და ამასთან ერთად ეწეოდა უღელს მასწავლებლობისას... ასეთი პიროვნების წასვლა ამ თანამდებობიდან ძლიერ დიდი დანაკლისია. განსაკუთრებით ამ ნაკლს ჩვენ ვიგარძნობთ მაშინ, თუ მოადგილედ შესაფერი კანდიდატი არ მოიძებნა...

როგორც გავიგე, ბ. ჰაიდარ-ბეგ აბაშიძეს თვითვე ჰყოლია გამოძებნილი თავისი მოადგილე. იგი ქართველ მაჰმადიანთა ინტელიგენტურ ძალებს კარგად იცნობს, იცის ვინ რას წარმოადგენს, როგორის გონებრივის და სულიერის ავლადიდებით არის დაჯილდოვებული და რას გაკეთებაც შეუძლია თვითუღელს მათგანს. ამის გარდა, მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ქართველ მაჰმადიანთა გათვითცნობიერების საქმეში მას სხვაზე უფრო შესტკივა გული და როგორც ასეთს, მეტიც დაეჭვება“.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., 20/10. № 701

22. ამ წერილში პ. აბაშიძე პანისლამისტებსა და მათ აშკარად განუმარტავდა: ქართული სკოლების გახსნა სრულებით არ ისახავს მიზნად გაქრისტიანებას, სარწმუნოების დევნას, ჩვენ მხოლოდ ეროვნული ერთიანობა გვწყურია ქრისტიან ქართველებთან.

ღია წერილს, როგორც მოსალოდნელი იყო, ფართო გამოხმაურება მოჰყვა. გაჩაღებულ პოლემიკაში ჰაიდარ აბაშიძეს მხურვალედ დაუჭირა მხარი გერონტი ქიქოძემ. მის სტატიაში გამოხატულია მთელი ქართველი საზოგადოების აზრი. აი, ეს სტატია:

„ღია ბარათში, რომელიც კავკასიელ თურქებისადმი არის მიმართული, ბ-ნ ჰაიდარ-ბეგ აბაშიძემ მარტივად და ენერგიულად გამოსთქვა ის, რასაც ყოველი შეგნებული ქართველი გრძნობს ბოლო დროს. უკეთესად არ შეიძლება ჩვენი საერთო ეროვნული თვალსაზრისის გამოხატვა. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ თვით ღია ბარათის ავტორი ქართველი მაჰმადიანია.“

ქართულ-თურქულ პრესის კამათში ყველაზე მეტად თვით მაჰმადიანი ქართველობაა დაინტერესებული. ეს ხალხი უტყვი მასა როდია. მას თვითცნობიერი წარმომადგენლები ჰყავს. ამ წარმომადგენლების ხმა უფრო მძიმედ უნდა იწონიდეს, ვიდრე ბაქოელ ან თბილისელ ეურნალისტის შეხედულება. რელიგია სინდისის საქმეა. ეროვნება სინდისის საქმე არ არის, მაგრამ რამდენადმე მაინც ნებისყოფაზე არის დამოკიდებული. ამიტომ დიდად საყურადღებოა, რას ამბობს მაჰმადიანი ქართველის სინდისი და საით არის მიმართული მისი ნებისყოფა.

ბ-ნი ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე ამტკიცებს, რომ ქართველ ხალხსა და ქართულ პრესას თავგანწირვით დაუტავს აქარლებისა და ლაზების სარწმუნოება. მეორე მხრივ, მას გულსაკლავად მიაჩნია თურქული პრესის მიერ გამოთქმული ეჭვი, ქართულ სკოლას აქარის გაქრისტიანება

შეუძლიაო, და მართლაც, რელიგიურ სინდისს არაფერი არ ბღალავს ისე, როგორც ასეთი უსაფუძვლო ეპეი... თვით ბ-ნი ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე სწორ პასუხს იძლევა ამ კითხვაზე...

უეპკელია, რელიგიური თვალსაზრისით არაფერი ითქმის ეროვნული სკოლის წინააღმდეგ. ქართული წერა-კითხვის გავრცელება აპარასა, ლაზისტანსა ან ტაო-კლარჯეთში ისევ ნაკლებ საშიშია მაჰმადიანებლათვის, როგორც სპარსული წერა-კითხვის გავრცელება სპარსეთში ან კიდევ არაბულისა — არაბეთსა და ჩრდილო აფრიკაში, მაგრამ შეიძლება ქართული სკოლა სხვაფრივ იყოს მანვე ან გამოუსადეგი. ამ რამდენიმე დღის წინათ ერთმა ინტელიგენტმა მაჰმადიანმა ის აზრი გამოსთქვა, რომ მაჰმადიანური სკოლა მაღალი კულტურის შესათვისებლად არის საჭიროო. მაჰმადიანებს ისეთი დიდი მწერლები ჰყავთ, როგორც მაგალითად, საადი, ნიზამი და ომარ ხაიამი, მათი შესწავლა კი შეუძლებელია ქართულ სასწავლებელშიო.

უწინარეს ყოვლისა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ დიდი მაჰმადიანი მეცნიერები და მგოსნები უმეტეს ნაწილად არაბულად ან სპარსულად წერდნენ. აპარაში კი, როგორც ვიცით, თურქული სასწავლებლების გახსნას აპირებენ. თურქული მეცნიერული და სიტყვაჯამბული ლიტერატურა კი ქართულზე უფრო მდიდარი არ უნდა იყოს. ქართველი ახალგაზრდობა კულტურულად ვერაფერს მოიგებს. თუ დედა ენას თურქულ ენაში გაცვლის, დაკარგვით კი ბევრს დაკარგავს...

დღევანდელი ქართველები რუსულ და ევროპიულ უნივერსიტეტებში პუშკინისა, გოეტესა და ვიქტორ ჰიუგოს ენას სწავლობენ. რატომ არ შეიძლება, რომ მათ მაჰმადიანურ უნივერსიტეტში ავიცენას ან ფრედოუსის ენა ისწავლონ? ასეთი სულიერი მრავალფერადობა დიდად ხელსაყრელიც არის ქართველი ერისათვის. ქართული პირველდაწყებათი სკოლა ან საშუალო სასწავლებელი არათუ ხელს შეუშლის. პირიქით, საუკეთესო ნიადაგს მოუმზადებს უმაღლესი საკაცობრიო კულტურის შესათვისებლად. ცხადია, რომ კულტურული თვალსაზრისითაც არაფერა ითქმის ქართული სკოლის წინააღმდეგ.

არის კიდევ ერთი მხარე საკითხისა, რომელიც აშკარად იშვიათად გამოითქმის, თუმცა შეუგნებლად ყოველთვის იგულისხმება კამათის დროს. საქართველოს პოლიტიკური დაცემა იმ დროიდან დაიწყო, როცა მას სამცხე-საათაბაგო, აპარა და ტაო-კლარჯეთი ჩამოშორდა. დღეს ამ კუთხეს კიდევ უფრო დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ოთხი-ხუთი საუკუნის წინათ ჰქონდა. პოლიტიკურ თვითმმართველობას საქართველოსათვის ფასი არ ექნება. თუ მის ფარგალში ძველი მესხეთი არ მოექცა. ძველი მესხეთი ჩვენი ეროვნული სხეულის განუყოფელი ნაწილია. ამის გარდა, ის უფართოესი ხილია, რომელიც წინააზიასთან გვაერთებს და უძლიერესა ციხე-სიმაგრე, რომელიც მტრის შემოსევისაგან გვიფარავს...

საქრისტიანო და მაჰმადიანო საქართველოს გაერთიანება ყველაზე

მეტად თვით მაჰმადიან ქართველობისათვის არის ხელსაყრელი. მესხეთზე ბედნიერი იყო საქართველოს ერობის დროს და უბედური გახდა გათიშვის ხანაში. ჩვენი ისტორიის პირველ საუკუნეებში აქედან გამოდიოდნენ ჩვენი საუკეთესო სახელმწიფო მოღვაწეები, მწერლები და ხუროთმოძღვრები. ვარძია, ბანა, პარხალი, ქაჯისციხე მათ შემოქმედებას მოწმობს. რა შესძინა უცხოთა ბატონობამ მესხეთს ამისდაგვარი? ხალხი გადატაცდა, დაეცა სულიერად და ფიზიკურად, ტერიტორიის ერთი ნაწილი უცხო ტომებს დაუთმო. თვითონ კი სანახევროდ წინააზიის მიწა-წყალზე გადასახლდა. ძნელია მეორე მაგალითის აღნიშვნა, სადაც ეროვნული დაქუცმაცების შედეგობა ასე თვალსაჩინო და ხელშესახები იყოს.

როგორც ბ-ნ ჰაიდარ-ბეგ აბაშიძის წერილიდან ჩანს, შეგნებულ მაჰმადიან ქართველობის ნებისყოფა ხელახლა დაქარგულ სამშობლოსაკენ მიისწრაფის. ამ ხალხის სურვილი კი, ყოველ შემთხვევაში, უმაღლესი კანონი უნდა იყოს ქრისტიანი ქართველებისათვისაც და ამიერ-კავკასიის მაჰმადიანებისთვისაც. წარსული უბედურებით დიდმა მესხეთმა შეურყეველი უფლება შეიძინა მომავალი ბედნიერებისათვის*.

გაზ. „საქართველო“, 1917 წ., № 27.

23. ეს წერილი (ვაქვეყნებთ ხელნაწერის მიხედვით) პ. აბაშიძემ გაუგზავნა ოზურგეთის (ახლა ქ. მახარაძე) მცხოვრებ სოსო ივანეს ძე მელიქიშვილს, რომელიც 1913—1915 წლებში ხულოში მასწავლებლად მუშაობდა და პ. აბაშიძისთან ახლო ნაცნობობა ჰქონდა. დედანი ამ წერილისა ინახება მელიქიშვილისავე წიგნსაცავში.

პ. აბაშიძე ს. მელიქიშვილს სთხოვდა გადმოსულიყო ქობულეთის სკოლის გამგედ, მელიქიშვილიც თანახმა იყო, მაგრამ მეუღლის მძიმე ავადმყოფობის გამო გადმოსვლა ვერ მოახერხა. ამიტომ ხსენებული სკოლის გამგედ მის მაგიერ მოწვეულ იქნა ცნობილი პედაგოგი მიხ. შარაშიძე.

24. სულთნის ჭარბება 1918 წლის პირველ აპრილს ბათუმის ოლქის (ქ. ბათუმის ჩათვლით) ოკუპაცია მოახდინეს.

ბათუმის გუბერნატორის (ვალის) დავალებით „შეარჩიეს“ დელეგატები, რომლებიც გაემგზავრნენ კონსტანტინეპოლში, სულთანს ტახტზე ასვლა და ბათუმის ოლქის მის მფარველობაში შესვლა მიულოცეს. „დელეგატები“ სულთანმა ეხვად დააჯილდოვა.

ბათუმში დაბრუნდნენ თუ არა, „დელეგატებმა“ ხმა გაავრცელეს — სულთნის მთავრობა სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიას აძლევსო.

ამ პროვოკაციას ჰაიდარ აბაშიძე სასტიკი პროტესტით შეხვდა. „ჩვენს ხალხს ოსმალეთის ავტონომია არც სჯერა და არც ესაჭიროებაო“, — წერდა იგი, ზიზღს გამოთქვამდა სულთნის მიერ მოსყიდულ ამ დელეგატთა“ მიმართ და მათ ქვეყნის გამკემლებს უწოდებდა. პ. აბაშიძის საპროტესტო წერილმა, რომელიც გაზეთ „ერთობის“ ფურცლებზე და-

იბეჭდა, ბევრ ქართველ მუსლიმანს თვალი აუხილა და სულთანის მომხრეთა ბანაკში მოხვედრას გადაარჩინა.

25. ქართველი ხალხის გამკემლების — მენშევიკების მთავრობა გლეხობას ფარისველურად ჰპირდებოდა მიწის რეფორმის გატარებას. ამაზე ხმა გაერყელდა მთელ საქართველოში, კერძოდ, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ამ ორი მაზრის გლეხობას ეგონა, თითქოს საქართველოს სხვა მაზრებში აგარარული რეფორმა უკვე გატარდა, და გროვნიული კრების წარმომადგენლებს წაუყენა მოთხოვნა — მიწები ჩვენც დაგვირიგეთო. ამ დროს ეროვნული კრების წარმომადგენლად იქ ყოფილან პ. აბაშიძე და სხვ. მათ კარგად იცოდნენ, რომ მიწის რეფორმა არც ერთ მაზრაში არ იყო გატარებული. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ და გადასწყვიტეს მთავრობისათვის ეთხოვათ დაეჩქარებინა აგარარული რეფორმის გატარება.

როგორც ცნობილია, მენშევიკურ მთავრობას აგარარული რეფორმა არც შემდეგში გაუტარებია.

26. პ. აბაშიძე 1918 წლის 16 დეკემბერს გაზეთ „ერთობის“ საშუალებით სთხოვდა მთავრობას დაეჩქარებინა მიწის რეფორმის გატარება, მაგრამ ამაოდ. მალე (1918 წლის 27 დეკემბერს), მან იმავე გაზეთის საშუალებით გამოაცხადა, რომ მომავალი წლის პირველი იანვრისათვის განზრახული ჰქონდა მოეწვია გლეხთა ყრილობა, რომელზეც ღირ იქედებს ამყარებდა. ფიქრობდა რა, რომ მანამდე მოაგვარებდა მიწის საკითხს, იგი რწმენას გამოოქვამდა, გლეხთა ყრილობა ბეგებისა და ხოჭების ბატონობის დაცემას დაადასტურებდესო.

როგორც ვიცით, ჰაიდარ აბაშიძე წარმოშობით ბეგი იყო. მაგრამ სასტიკად ილაშქრებდა რეპუბლიკურ-ექსპლუატატორი ბეგებისა და ხოჭების წინააღმდეგ, სულითა და გულით იბრძოდა გლეხთა ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის.

ახალციხეში იმ ხანად ჰაიდარ აბაშიძის საქმიანობაზე არსებობს ორი საინტერესო დოკუმენტი:

ახალციხის მაზრის გლეხთა ყრილობის ანგარიშში ეკითხულობთ:

„ლაპარაკობს ჰაიდარ აბაშიძე, რომელიც ვრცელ სიტყვაში ყოველ მხრივად ასაბუთებს სამაჰმადიანო საქართველოს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში დარჩენის აუცილებლობას. მისმა შინაარსიანმა სიტყვამ ყრილობის ოვაციები დაიმსახურა, მუსულმან გლეხთა ტაშის კვრას საზღვარი არ ჰქონდა“.

გაზ. „ერთობა“, 1919 წ., იანვარი, № 5.

იგივე გაზეთი მოგვიანებით იტყობინებდა:

„12 თებერვალს სერვერ-ბეგ ქობლიანსკის მეთაურობით ფოცხოვის ქარები შევიდნენ ახალციხეში... ქარებში იმყოფებოდა ბერი ოსმალ ოფიცერი. ქარების შესვლის დროს დატუსაღებულ იქნენ ყველა მოხელე-

ნი და ადგილობრივი მილიციის წევრები, რომლებსაც ვერ მოესწოთ ქალაქიდან წასვლა. უმთავრესად დაეძებდნენ დასაქვარად... ჰაიდარ აბა-შიძეს...”

გაზ. „ერთობა“, 1919 წ., 20 მარტი, № 63.

27. პ. აბაშიძეს დიდად აინტერესებდა სამუსლიმანო საქართველოში გაზეთების გამოცემა. იგი ალტაცებით შეეგება გაზეთ „განახლებული მესხეთის“ გამოსვლას, რომელიც ახალციხის მიწის მუშათა საბჭოს ინიციატივით დაარსდა. ამ გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1919 წლის 2 თებერვალს. პირველ გვერდზე მოთავსებული იყო ჰაიდარ აბაშიძის ვრცელი წერილი სათაურით „სამუსლიმანო საქართველოს მშრომელი ხალხის მიმართ“. ავტორი ახალციხის მაზრის მშრომელ მოსახლეობას ულოცავდა გაზეთის დაარსებას და გამოთქვამდა რწმენას, რომ იგი შეუდრეკლად იბრძოლებდა ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ, მშრომელთა ბედნიერების მოსაპოვებლად. წერილში მოკლედ მიმოხილულია აგრეთვე იმდროინდელი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა.

28. ეს წერილი ნიღაბს ხდიდა მოკავშირეებსა და მეორე ინტერნაციონალის მესვეურებს, რომლებიც ხალხს ფართო დაპირებებით ატყუებდნენ, აგრეთვე სასტიკად ამათრახებდა ქართველ მენშევიკებს, რომლებმაც საქართველო „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად გამოაცხადეს და მათი თანხმობით მოკავშირეებმა ისეთი სისაძაგლევ ჩაიდინეს, როგორც იყო ჩოლოქთან ძმათა სისხლისღვრა.

29. ამ წერილში აღძრულ საკითხს პ. აბაშიძე მეორედ უბრუნდება. წერილი აპარაში ოსმალეთისა და აზერბაიჯანელი მუსავატელების აგენტურის გააქტიურებას ეხება. ამ ორი ქვეყნის პანისლამისტთა მეგობრობა კვლავ გრძელდებოდა. ისინი თავს ქართველ მუსლიმანთა სარწმუნოების დამცველებად ასალებდნენ, სინამდვილეში კი აპარას თავიანთი ავანტურისტული ზრახვების განსახორციელებელ პლაცდარმად ვარაუდობდნენ. პ. აბაშიძე გმობდა ერთსაც და მეორესაც.

ეს სტატია აგრეთვე დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, 1920 წლის 11 მარტს.

30. ქვეყნდება სტენოგრაფის მიხედვით.

31. ქვეყნდება შემოკლებით (უფრო ვრცელი მოგონებებით ამ საკითხზე ჰაიდარ აბაშიძე გამოვიდა 1959 წლის 31 მაისს თბილისში, საქ. სსრ განათლების სამინისტროს სახელმწიფო მუზეუმში „ქ. შ. წ. კ. გამაყრცელებელი საზოგადოების“ დაარსების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე და ამავე წლის 6 ივლისს ილია ქავეკავაძის

სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ამავე საზოგადოების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე).

32. ამ თემაზე პ. აბაშიძე საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა 1960 წლის 27 ოქტომბერს.


33. ამ თემაზე პ. აბაშიძე გამოვიდა საქართველოს ტელევიზიით 1962 წლის 26 ნოემბერს.

34. იბეჭდება ზელნაწერის მიხედვით (დედანი ინახება აკარის სახელმწიფო მუზეუმში, ფონდი № 226).

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი წერილი ზ. ახვლედიანისა	3
როდის გავიგე მე, რომ ქართველი ვარ	47
ხმა ქრისტიან მოძმეებს	51
როდემდის ვიქნებით ასე?	55
სამწუხარო ჩვეულება	57
ქართველი მუსლიმანების საყურადღებოდ	59
მაჰმადიან ქართველთა ფანატიკოსობა და ეროვნული გრძნობა	60
ნუ ექნება „ჩვეულება სჯულზე უმტკიცესი“	62
მეორე დიმიტრი თავდადებულის ღირსეული შვილი	65
ქართველი მაჰმადიანი ქალის ხმა	67
არაბი და თათრული გაზეთი მაჰმადიანი ქართველების შესახებ	70
ამასაც მტკიცება უნდა?!	73
საგულთხსნო პროტესტი	79
სამგლოვიარო დეპეშა აკ. წერეთლის გარდაცვალების გამო	81
მაჰმადის დროშა, საღმრთო ომი და ოსმალები	82
კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური	84
მოძმეთა გულშემატკივარის, პაწია გაიოზ იოსების-ძე იმედაშვილის მიმართ	87
ღია წერილი ჩვენი ძვირფასი, დაუღალავი მუშაყის, ბ-ნ ზ. კიკინაძის მიმართ	88
მცირე შენიშვნა	89
აქარის მთებში	91
სიტყვა, წარმოთქმული ყოროლისწყლის სკოლის კურთხევაზე	92
მაჰმადიან ქართველებში	95
ღია წერილი ჩვენს ერთმორწმუნე კავკასიელ თურქებს	98
წერილი სოსო მელიქიშვილისადმი	101
სამუსლიმანო საქართველო და ოსმალეთი	102
ახალციხე — ახალქალაქის მაზრებში	105
ახალციხის მაზრაში	106
სამუსლიმანო საქართველოს მშრომელი ხალხის მიმართ	107
ხმა სამუსლიმანო საქართველოდან	109
ხმა სამუსლიმანო საქართველოდან (მცირე შენიშვნა დიდ საკითხზე)	112
სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის დაკრძალვაზე	114
აი, როგორ იცვალა სახე ზღვისპირეთმა	116

ცნობილი პედაგოგი და მამულიშვილი	118
მშობლიური მოამაგე („ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცე- ლებელი საზოგადოების“ დაარსებიდან 80 წლის გამო)	121
აქარა თავის მზრუნველს არასოდეს დაივიწყებს	124
დეპეშა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის 25 წლის- თავთან დაკავშირებით	127
აკაკი და აქარა	<u>128</u>
სიტყვა, წარმოთქმული ხარიტონ ახვლედიანის მიერ საკანდიდატო დისერტაციის დაცვის დროს	135
სიტყვა, წარმოთქმული საქართველოში და აქარაში საბჭოთა ხელი- სუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმ- ნის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ აქარის ასსრ უმაღლესი საბ- ჭოსა და საქართველოს კომპარტიის აქარის საოლქო კომიტე- ტის საზეიმო საიუბილეო სხდომაზე	136
ასე ფიქრობდა მგოსანი	141
ქალთაგან პირველი	, 143
ილია და აქარა	144
ცოტა რამ აქარაში ჩემს მოღვაწეობაზე	152
შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი	159



Айдар Алневич Абашидзе

Письма

(На грузинском языке)

Государственное издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси — 1963

საზოგადოებრივი რედაქტორი ი. რურუა
გამომცემლობის რედაქტორი ლ. ფოფხაძე
მხატვარი გ. გორდელაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე
ტექნიკური რედაქტორი ეთ. აბდუშელიშვილი
კორექტორი ნ. მიქელაძე.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/X-63 წ. ქალაქის
ზომა 84 X 108¹/₃₂. ნაბეჭდი თაბახი 9,43 + 0,42 ჩაკერა.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 7,96. სააეცორო თაბახი 7,35.
უე 05036. ტირაჟი 5.000. შეკვ. № 780.
ფასი 08 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარბოლიგრაფგამომცემლობის სტამბა № 1,
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

1-я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.